ბერნარდო ბერტოლუჩი

იდეალური

გამომცემლობა „მაცნე“

თბილისი — 1991

84. 4 Гр 1—44
ბ 49

XIX საუკუნის ბრაზილიური ლიტერატურის კლასიკოსის ბერნარდო ჟოაკიმ და სილვა გიმარაენსის რომანი „იზაურა“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი მრავალჯერ გამოიცა, როგორც ბრაზილიაში, ასევე სხვა ქვეყნებში. „იზაურამ“ გაუგონარი ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ქვეყნები, ხოლო თავად ბრაზილიაში მის საფუძველზე გადაღებულ იქნა 100-სერიანი სატელევიზიო ფილმი.

წიგნი პირველად გამოდის ქართულ ენაზე.

მთარგმნელი: **რობინზონ ციხელაშვილი**

© კოოპერატივი „არმაზი — 89“
4703010100
ბ ——————————— ბრძ. № 1—91
91

თავი I

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ, სახელოვან იმპერატორ პედრუ II-ის მეფობის დროს მოხდა[1].

კამპუს დი გოიტაკაზესის ნაყოფიერ და მდიდარ მხარეში, მდინარე პარაიბას ნაპირებზე, პატარა ქალაქ კამპუსის მიდამოებში, მდებარეობდა მშვენიერი ფაზენდა[2].

ფართო და მდიდრულად მორთული შენობა, რომელიც თვალს ახარებდა კლასიკური ფორმების დახვეწილობით, მდებარეობდა ულამაზეს ტაფობზე, მწვანეში ჩაფლულ ქოჩორა გორაკების ძირში. აქაური ბუნების პირველქმნილი სილამაზის ხელყოფა ჯერ ვერ მოესწრო მიწათმოქმედის ნაჯახს. ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდებოდა, იგრძნობოდა ხელშეუხები, უსიერი ბუნების ველური ძალა. თუმცა ჩვენი ფაზენდის გარშემო ადამიანის ძეთ, დაუცხრომელი შრომის წყალობით, უსიერი ტყე წალკოტად ექციათ. მის ირგვლივ გაშლილიყო წარმტაცი ყვავილნარი და ხილის ბაღები, მსუყე საძოვრები და ნაყოფიერი მდელოები. ყოველივე ამას ირგვლივ ცოცხალ ღობედ შემორტყმოდა, წინა ისტორიული ეპოქის მძლავრი სამეფოს ცოცხალი მოწმეები — გოლიათი გამელეირები, ტოტებგაშლილი პერობატები, ასწლოვანი კედრები და ქოჩორა კოპაიბები. პეიზაჟის ჰარმონიას ვერ არღვევდა ვერც კედელი, ვერც გალავანი და ვერც მიწაყრილი, რომლებიც ძლივს მოჩანდნენ ტანაყრილი ბამბუკის, აგავის, ეკლიანი კვრინჩხის, საბალზამე მურტის და მჭიდროდ ჩაწნული ლიანების ზურმუხტივით ხასხასა ცოცხალი ღობეების მიღმა. ყვავილნარს, ბაღ-ბოსტნებს, საძოვრებსა და ახლომდებარე პლანტაციებს ერთმანეთისაგან ღობე ჰყოფდა. ამ მხარეში შემთხვევით მოხვედრილი მგზავრის თვალწინ იშლებოდა წარმოუდგენლად წარმტაცი სანახაობა, იმდენად იდილიური, რომ მას თავი სამოთხეში ეგონებოდა.

---

[1] პედრუ II — ბრაზილიის იმპერატორი 1831-1889 წწ.

[2] ფაზენდა — მამული.

კოხტა კარმიდამოს ფასადი ორი ფლიგელით ბორცვებს გასცქეროდა. მწვანე ბუჩქებით შემოსაზღვრული ბილიკი ქვის კიბესთან თავდებოდა, რომელიც ხუთ-ექვსსაფეხურიანი ბაქნებით ადიოდა მარმარილოს ქათქათა სვეტებიან პარმაღზე. იგი მთლიანად შემოწნული იყო მხვიარა მცენარეების სათუთი ყლორტებით და ორქიდეას ჭრელ-ჭრელი გირლიანდებით. ფაზენდის უკანა ეზოში, დამხმარე სათავსების შიღმა, მიყუჟულიყვნენ მონათა სენზალები[1]. აქა-იქ მოჩანდა ნახირის ბაკები და ბეღლები, რომელთა გადაღმაც ცისარტყელას ფერებით კიაფობდა ყვავილნარი, ხოლო უფრო მოშორებით გადაშლილიყო უზარმაზარი ხეხილის ბაღი, რომელიც ფართო მდინარის ციცაბო ფლატეს ებჯინებოდა.

ოქტომბრის თბილი და წყნარი საღამო იდგა. მზე ისე ნელ-ნელა ეშვებოდა დასალიერში, გეგონებოდათ მისი ოქროსფრად მოელვარე დისკო ობობას უწვრილეს ქსელში გახვეულ ხასხასა და ფაფუკ ქაფში იძირებაო. მომხიბლავი ქალწულის სუნთქვასავით მსუბუქი სიო რაღაც საიდუმლო სურნელს აფრქვევდა და წყნარად არხევდა ხეთა კორომებს პარაიბას ნაპირებზე, ქოჩორს უწეწავდა ქოქოსის პალმებს — თავმომწონე კეკლუცებს, მდინარის დაჩრდილულ ნარნარა ზედაპირზე საკუთარი ანარეკლის ცქერით რომ ტკბებოდნენ. ჯადოსნული საღამო იყო, წვიმამ ის-ის იყო გადაიღო და გაბანილ ხეთა ხასხასა სიმწვანე თვალწარმტაცად კიაფობდა ირგვლივ. სეზონურ წყალდიდობას ჯერ არ აემღვრია მდინარე, მისი მოვერცხლისფრო-მომწვანო წყალი მედიდურად მიედინებოდა ციცაბო ნაპირების გასწვრივ და ირეკლავდა მოწმენდილ კაშკაშა ცის განუმეორებელ სიდიადეს, ჰორიზონტის მდიდარ პალიტრას და უძველეს ხეთა მუქ სიმწვანეს. გარშემო მდებარე ბაღებში, მდელოებსა და ბალსედოზე[2] ხანგრძლივი ფრენით დაღლილ ჩიტებს უკვე გამოჰყავდათ მწუხრის პირველი, ჯერ გაუბედავი ჰანგები.

ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ელაციცებოდნენ ფაზენდის შემინულ ფანჯრებს და ცეცხლისფრად ალაპლაპებდნენ მას — გეგონებოდათ სახლს ხანძარი მოსდებია, ალის ხაოიანი ენები სადაცაა ცაში აიკრებიან და ფაზენდაც უზარმაზარი კოცონივით აბრიალდებაო. სინამდვილეში კი შენობის შიგნითაც და გარეთაც სრული სიმ-

---

[1] სენზალა — ქოხმახი, ზანგი მონების საცხოვრებელი ბრაზილიაში

[2] ბალსედო — ჭაობიანი ადგილი.

შვიდე გამეფებულიყო. ერთი შეხედვით მრისხანე, ძლიერი ხარები და ჩასუქებული, კარგად მოვლილი მოზვრები მდელოზე, ასწლოვანი ხეების ჩრდილში წამოწოლილიყვნენ და დინჯად იცოხნებოდნენ. ეზოდან შინაური ფრინველის გაუთავებელი ყიყინი და კრიახი მოისმოდა. ბეღლების მხრიდან მსუყე ბალახის ძოვით დაღლილი ცხვრების ბღავილი და ძროხების ზმული ყურთასმენას ახშობდა. ამ გაუგონარ ერიამულში, რატომღაც, ადამიანის ხმა არ ისმოდა. სახლი მთლად უკაცრიელი ჩანდა, მხოლოდ ფასადზე გამავალი სასტუმროს გამოღებული ფანჯრები და ყურთამდე ღია კარები თუ მიგანიშნებდათ, რომ სახლში ვიღაც ცხოვრობდა.

და სწორედ ამ დროს სასტუმრო დარბაზში აეღერდნენ როიალის კლავიშები, რომელთა ნაზ, მოწყენილ ჰანგებსაც გასაოცრად და ამაღელვებლად შეერწყა ქალის ნარნარა და სუფთა ხმა. კედლების სისქით დახშული სიმღერა მაინც ისე სავსე და ღრმა იყო, რომ შეიძლებოდა გვემსჯელა უხილავი მომღერლის უზადო ვოკალურ ნიჭზე, თითქოს დაობლებული სულის შეჭირვება�ო, ისეთი ქვითინი და ღრმა მწუხარება იგრძნობოდა ნაღელიან მელოდიასა და ხმაში. გეგონებოდათ ირგვლივ ყველაფერი გაირინდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მომაჯადოებლად გადმოღვრილი სიმღერის ჰანგებს. ჩვენც შოვუსმინოთ ამ სიმღერას:

მონის მწარე ხვედრი მერგო,
გულზე მაწვეს კაეშანი,
ვინ გაუგებს მონის ფიქრებს,
განა მონა რამე არის?

მონის ხვედრი ბედკრულია,
გმინვა-კვნესით დადაღული,
მხოლოდ შოლტი, მხოლოდ ტანჯვა,
მხოლოდ ცრემლი და მათრახი.

და ცხოვრება გადის ასე
ბორკილებში და ხუნდებში,
გულზე, სულზე და ხელ-ფეხზე,
ბორკილები ადევს კუშტი.
ვერვინ ახსნის მას ბორკილებს.

ვერ-ცა ბძინე ტკირთს ვერ ჩამოხსნის,
ცივ ღუმილში, მწარე ფიქრებს,
მისცევია მონის გული.

ფერადოვან ყვავილთ სურნელს,
და ჩიტების ტკბილ გალობას,
ნაღვლით ავსებს მონის მღერა,
მღერაა თუ მწარე კვნესა? —

ნუღა კვნესი. მონავ მწარედ,
ბატონს ძლიერ ეჯავრება,
შენი გულიც და სიცოცხლეც,
მას ეკუთვნის უცილობლად.

რომელ სირინოზს ეკუთვნოდა ეს საოცრად სუფთა და, ამასთან, ასე ძალუმად მიმზიდველი ხმა? ან იქნებ, სულაც ცით მოვლენილი ანგელოზი მღეროდა ასე?

მოდით, ავუყვეთ საფეხურებს აყვავებული ორქიდეას გირლიანდებით შემკული მარმარილოს სვეტებიანი პარმაღისაკენ და უყოყმანოდ შევაბიჯოთ სავანის ღიაკარში, დერეფანს გავცდეთ და შევიდეთ მარჯვნივ, მდიდრულად მორთულ, ვრცელ სასტუმრო დარბაზში, რომლის შუაგულში, როიალთან, მარტოდმარტო ზის საოცარი სილამაზის ტანწერწეტი ქალიშვილი. როიალის გაკრიალებულ ზედაპირზე ირეკლება გიშერივით შავი თმის კულულებით დაჩრდილული პროფილის თლილი ნაკვთები. ქალი იმდენად ლამაზია, რომ კაცის გონებას ძალა არ შესწევს აღიქვას მისი გარეგნობისა და მზერის მომაჯადოებელი ბუნებრივი სიდიადე, მისი ღვთაებრივი სპილოსძვლისფერი კანი ისე ნაზად ერწყმოდა როიალის კლავიატურას, რომ იფიქრებდით ეს-ესაა მომაკვდავი ღამის წყვდიადში იბადებოდა განთიადის მკრთალი ციალი. ქალიშვილის მთრთოლვარე მკერდი და ჩამოქნილი კისერი ანტიკური ქალღმერთის ბიუსტს მოგაგონებდათ. მისი ხშირი შავი თმა ტალღებად ეფინებოდა მხრებს და ყორნისფერი კულულების გრეხილით ფარავდა სკამის საზურგეს. კრიალა მარმარილოს შუბლზე ვარდისფრად კიაფობდა ფაიფურის შანდლის იდუმალი სხივი, როგორც ღვთაებრივი აღმაფრენის განსახიერება. ღმერთს, მხოლოდ ღმერთს შეეძლო ასეთი სასწაულის შექმნა... ან-

გელოზი ფანჯარას მისჩერებოდა და მისი ნაღვლიანი მზერა უსასრულობაში ინთქმებოდა.

ქალიშვილის მომაჯადოებელ სილამაზეს ოდნავ აფერმკრთალებდა მისი მორთულობის გასაოცარი უბრალოება. ღიაცისფერი ჩითის კაბა მჭიდროდ შემოხვეოდა წერწეტ წელზე, ფართო ნაოჭებით ჩანჩქერივით იშლებოდა დაბლა და წარმოქმნიდა რაღაც სიფრიფანა ღრუბლის მსგავს ქულას. ამ ღრუბელზე აღმართული მომღერალი მოგაგონებდათ ზღვის ფირუზისფერ ტალღებზე მონარნარე ვენერას, ან იფიქრებდით, რომ თქვენს წინ ზურმუხტოვანი ღრუბლის წიაღიდან ანგელოზი შემოგცქეროდათ.

ქალიშვილს ერთადერთი სამკაული, ყელზე შავი ზონრით დაკიდებული აქატის ჯვარი ამშვენებდა.

სიმღერა დამთავრდა, მაგრამ ქალწული გაუნძრეველად იჯდა და თითებს არ აცილებდა როიალის კლავიატურას, თითქოს ოცნებაში ყურს უგდებდა დადუმებული სიმღერის ნაღვლიან სუნთქვას.

ამ დროს შეირხა ერთ-ერთი შიდა კარების მუსლინის ფარდა და სასტუმრო დარბაზში გამოჩნდა ახალი მოქმედი პირი. შემოსული გახლდათ კარგი აღნაგობის, ელეგანტური და ერთობ სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალბატონი. მდიდრული, მაგრამ აჩხა-ბაჩხა კაბა, ამაყი შესახედაობა, მედიდური, მაგრამ ოდნავ პრანჭია სიარული და მოდუნებული მოძრაობა მის გარეგნობას გატყლარჭულ ელფერს აძლევდა, რაც ასე ახასიათებს მაღალი საზოგადოების მრავალ მდიდარ და მიმზიდველ ქალს. საოცარია, მაგრამ კეკლუცი ქალბატონის მთელი ბრწყინვალება, როგორღაც გახუნდა მომღერლის კეთილშობილი უბრალოებისა და კდემამოსილების წინაშე. თუშცა, უნდა ითქვას, რომ მალვინა (ასე ერქვა ქალბატონს), მართალია ამაყობდა თავისი გარეგნობითა და მაღალი მდგომარეობით, მაგრამ იყო კეთილი და სათნო გულის პატრონი, არც მის ივლისის გამჭვირვალე ცასავით ლურჯს თვალებს აკლდა სითბოსა და სიამის შუქი.

მალვინა ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა მომღერალს და ზურგს უკან შეჩერდა. იგი დაელოდა, ვიდრე სივრცეში გაქრებოდა ნაღვლიანი მელოდიის უკანასკნელი ექო.

— იზაურა! — აღტაცებით წარმოთქვა მან და თლილი თითებით რბილად შეეხო მომღერლის მხარს.

— ოჰ, ეს თქვენა ხართ სენიორა? — აღმოხდა მოულოდნელო-

ბით დაბნეულ იზაურას. — მომიტევეთ, მე არ ვიცოდი, რომ თქვენ აქ ბრძანდებოდით.

— არა უშავს, ნუ გეშინია, განაგრძე სიმღერა... შენ ისეთი მომხიბლავი ხმა გაქვს!.. თუმცა, უმჯობესია სხვა რამე იმღერო. ვერ გამიგია, ასე რატომ მოგწონს ეს ნაღვლიანი სიმღერა? ის ჩემში კაეშანს იწვევს.

— სენიორა,მ ე მიყვარს ეს სიმღერა, ის ისეთი ლამაზია, თანაც... მომიტევეთ, მე ვერ გავბედავ გითხრათ...

— რატომ? თქვი იზაურა. რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ნურაფერს დამიმალავ, მე ხომ შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა...

— ეს სიმღერა საბრალო დედას მაგონებს, სენიორა. მე ხომ თითქმის არ ვიცნობდი! მაპატიეთ, თუკი თქვენ არ მოგწონთ ეს სიმღერა, მე აღარასოდეს ვიმღერებ მას.

— ჰო, იზაურა, ქენი სიკეთე, თორემ მის გაგონებაზე ერუანტელი მივლის. ამ სიტყვების გამგონემ შეიძლება იფიქროს, რომ შენ აქ ცუდად გეპყრობიან, რომ შენ მკაცრი და ცბიერი ბატონების მსხვერპლი, ბეჩავი მონა ხარ. თუმცა შენი აქ ყოფნა ბევრ თავისუფალ ადამიანსაც შეშურდებოდა. შენ ხომ შენმა ბატონებმა ლამის სულში ჩაგისვან. როგორი განათლება მიიღე! — ბევრი შეძლებული ქალიც კი იოცნებებდა! შენ კოხტა გოგო ხარ და თანაც ისეთი თეთრი კანი გაქვს, რომ ფიქრადაც კი არავის მოუვა, შენს ძარღვებში შავკანიანის სისხლი ეძებოს. ყველაფერს კი ჩემს სახელოვან დედამთილს უნდა უმადლოდე, რომელმაც სიკვდილის წინ ასე გაქო ჩემთან და ჩემს მეუღლესთან. ქალი კი არა წმინდანი იყო. მისი დამსახურებაა, რომ მე უფრო მეგობარი ვარ შენი, ვიდრე ქალბატონი. მხოლოდ, ღვთის გულისათვის, ნუღარ იმღერებ ამ ნაღვლიან სიმღერას, იზაურა. ჯიუტობა არ გაბედო, — უცებ მკაცრად დაუმატა მალვინამ, — თორემ ვუბრძანებ როიალთან აღარ მიგიშვან.

— ო, სენიორა, მე ხომ მართლაც მხოლოდ უბრალო მონა ვარ. რა ბედენაა ჩემი სწავლა და გარეგნობა, რომელიც თქვენ ასე შეაქეთ, ზანგის სენზალაში? ეს ზედმეტი ფუფუნებაა, სენზალა ხომ მაინც სენზალად დარჩება...

— როგორ, შენ მაინც უჩივი შენს ბედს, იზაურა?

— ო, არა, სენიორა, ამის მიზეზი არ არსებობს. მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა, რომ, რასაკვირველია, ცოდვაა ბედს ვუჩიოდე, მაგრამ მე ვიცი ჩემი ადგილი.

— აბა გეყოფა, მე ისეც ვხვდები, რა ჭიაცა გღრღნის, ამისათვის შენი სიმღერის მოსმენაც კმარა. შენ ისეთი მიმზიდველი ხარ, რომ, ალბათ, სატრფო გამოგიჩნდა...

— ღმერთო ჩემო, სენიორა... როგორ გავბედავდი... გეეედრებით, ამას ნუ იფიქრებთ, ჩემო ქალბატონო!

— რატომ არა? შენ რა, სხვა ხისაგანა ხარ გამოთლილი? გამოტყუდი, იზაურა, ხომ გყავს გულის სწორი? განა ამიტომ არ დარდობ, რომ მონად დაიბადე და უფლება არა გაქვს გახდე მისი, ვინც გიყვარს? რა, ტყუილია?

— ო, ქალბატონო, — შეეეედრა იზაურა მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით, — გეფიცებით, თქვენ ცდებით... ფიქრადაც არ მომსვლია ასეთი რამე, როგორ გავბედავდი...

— ოჰ, ფიქრადაც არ მოსვლია! ანგელოზი! როგორ არა, იმწუთას დაგიჯერებ. რა თქმა უნდა, შეყვარებული ხარ — სხვანაირად არც შეიძლება. მხოლოდ ესაა, შენ ძალზე მიმზიდველი და განათლებული ხარ, მონა რომ შეიყვარო, ალბათ, ვინმე შენი თანასწორი იქნება, თუმცა, ვეჭვობ, შენი საფერო მონა მოიძებნოს. ასე რომ, საყვარელო, ვერ მომატყუებ: შენი ღირსების გოგოს, მონა კი არა, შეუძლია ზღაპრული პრინცის სიყვარულიც დაიმსახუროს. აი, თურმე რატომ მღერი ასეთ ნაღვლიან სიმღერებს. მაგრამ, ნუ დარდობ, იზაურა, პირობას გაძლევ, დაბრუნდება ლეონსიო და შენ მიიღებ თავისუფლებას. რასაკვირველია, სირცხვილია შენისთანა გოგო დღემდე მონა იყოს.

— მადლობას მოგახსენებთ, სენიორა, მხოლოდ გარწმუნებთ, მე არც მიფიქრია სიყვარულზე, მით უმეტეს — თავისუფლებაზე. ხანდახან თუ მოვიწყენ, ეს ისე, უმიზეზოდ მემართება.

— კმარა, თავი დავანებოთ ამას. მე თვითონ მინდა, რომ შენ მიიღო თავისუფლება და მივაღწევ კიდეც ჩემსას.

აქ საუბარი შეწყდა: ცხენის ფლოქვების ხმამ აუწყა მათ, რომ ვიღაც მხედრები მოვიდნენ და ალბათ, უკვე ჩამოქვეითდნენ კიდეც სახლის შესასვლელთან.

მალვინა და იზაურა სარკმელს ეცნენ, რომ გაეგოთ ვინ მოვიდა.

შესასვლელთან, კიბეზე ორი ელეგანტური ახალგაზრდა მამაკაცი ამოდიოდა. ისინი ქალაქ კამპუსიდან ჩამოვიდნენ ფაზენდაში. მოსულებს ქცევაზე ეტყობოდათ, რომ ამ სახლში ისინი უცხონი არ იყვნენ და მართლაც, ერთი მათგანი გახლდათ ლეონსიო, ფაზენდის პატრონი, ხოლო მეორე — ენრიკე, მალვინას ძმა.

ვიდრე თხრობას გავაგრძელებდეთ, მოდით, ახლოს გავეცნოთ მოსულებს.

ლეონსიო იყო მშვენიერი ფაზენდის მფლობელის, მდიდარი და გავლენიანი კომანდორის, ალმეიდას ერთადერთი მემკვიდრე. უკვე საკმაოდ ხანში შესულმა და ჯანგატეხილმა კომანდორმა, ერთი წლის წინ დააქორწინა შვილი და ჩააბარა მდიდარი ფაზენდა. თვითონ კი ქალაქში დარჩა საცხოვრებლად, რათა თავისუფლად, ქალებთან არშიყობაში გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი წლები და ამით გაექარვებინა მარტოობითა და ავადმყოფობით გამოწვეული გულის ჯავრი.

ლეონსიო გახლდათ ბედის ნებიერი. მშობლები სულში უყვარებოდნენ მას და ბიჭიც ერთობ განებივრებული იზრდებოდა. ასეთმა გადამეტებულმა მოფერებამ და სითამამემ საბოლოოდ გარყვნილებისა და თავაშვებული ცხოვრების გზაზე დააყენა იგი. თავქარიანი და დაუდგრომელი ლეონსიო თავს არ იწუხებდა სწავლით. რის ვაი-ვაგლახით გადადიოდა კლასიდან კლასში, ხშირად სკოლიდან სკოლაშიც და რომ არა მასწავლებლები, რომლებიც ვერ ბედავდნენ უოვლისშემძლე და გულუხვი კომანდორის მომდურებას, ალბათ, ლეონსიო სიმწიფის ატესტატის გარეშე დარჩებოდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ლეონსიო სამედიცინო ფაკულტეტზე მოეწყო, მაგრამ, რამდენიმე თვის შემდეგ, მომავალმა ესკულაპმა გული აიყარა მედიცინაზე და მტკიცედ იბრუნა პირი იურიდიული მეცნიერებისაკენ. მან გადაწყვიტა ქალაქ ოლინდში გადასულიყო, რათა შეესწავლა კანონი და სამართალი, მაგრამ ამის საბაბად თავით ფეხამდე ჩაეფლო გაუთავებელ ქეიფსა და დროსტარებაში, ამასთან, არც მრუშობას ერიდებოდა და მალე მამის ქონების რიგიანი ნაწილი გაფლანგა. იურისტობაზე საბოლოოდ გულაყრილმა ლეონსიომ უცებ აღმოაჩინა, რომ მას მხოლოდ ევროპაში, უველაზე წმინდა და სახელგანთქმულ ცოდნის კერებში, შეეძლო

თავისი მახვილი გონების შემდგომი სრულყოფა და ცოდნის დაუოკებელი წყურვილის მოკვლა. ყოველივე ამის შესახებ მან ვრცელი წერილი მიწერა მამას. კომანდორმაც არ დააყოვნა — ფულით უზრუნველყო თავისი ქარაფშუტა ვაჟი და პარიზში გააგზავნა. ალმეიდას დიდი იმედი ჰქონდა, რომ მისი პირმშო ევროპული მეცნიერების აკვნიდან, სულ მცირე, ახალ ჰუმბოლტად[1] მოევლინებოდა ქვეყანას.

დამკვიდრდა რა დროსტარების ამ საოცნებო აკვანში, ჩვენი ახალგაზრდა ჭკუის კოლოფი ერთობ იშვიათად ახარებდა სორბონის ცნობილ მეცნიერებს მათ საწყალობელ ლექციებზე დასწრებით. იშვიათად თუ ვინმე შეხვედრია ჩვენს სწავლულს მუზეუმებში ,ინსტიტუტის კედლებში ან ლათინური კვარტლის[2] ბიბლიოთეკების მყუდრო დარბაზებში. სამაგიეროდ ის შინაურ კაცად ითვლებოდა რესტორან „როშე დე კანკალში“, ოპერაში და პროსტიტუციით ცნობილ ლანგლადის უბანში. ლეონსიომ მრავალი მეგობარი შეიძინა მაღალი საზოგადოების ცნობილ არშიყთა შორის, რის გამოც მას ადვილად ცნობდნენ პარიზის ბულვარებში. რამდენიმე წელიწადში ამ ახალგაზრდა გიჟმაჟმა შემოიარა დარდიმანდებისა და დროსტარების მოყვარულთა წრეში ცნობილი ევროპის ყველა კურორტი და დედაქალაქი და ყველგან სახელი გაითქვა. ლეონსიოს სატრფიალო ფანტერაკებმა და დარდიმანდობამ ისე დააცარიელა მშობლების ჯიბე, რომ კომანდორმა ალმეიდამ უკუაგდო უსაზღვრო მშობლიური სიყვარული და გადაწყვიტა სათაყვანებელი პირმშო სასწრაფოდ დაებრუნებინა მშობლიურ ბუდეში და ამით თავი დაეღწია საბოლოო გაჩანაგებისაგან. კომანდორს თავში განსაცვიფრებელი აზრი მოუვიდა: მას უნდოდა თავისი ზრდასრული, უსაქმური შვილი ეხსნა გარყვნილების მოგიზგიზე ჯოჯოხეთიდან და სცადა მისი დაინტერესება ერთობ ხელსაყრელი ქორწინებით მდიდარ და ლამაზ ქალიშვილზე.

ლეონსიო ანკესზე წამოეგო და სასწრაფოდ ჩამოვიდა — ელეგანტური და გამოპრანჭული. მართალია, სამეცნიერო ასპარეზზე

---

[1] ჰუმბოლტი ალექსანდრე (1769-1859) — ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი, გეოგრაფი და მოგზაური.

[2] ლათინური კვარტალი — ადგილი პარიზში, რომელიც განთქმულია სასწავლებლებით, მუზეუმებითა და ბიბლიოთეკებით.

დაფნის გვირგვინი ვერ მოიმკა და განათლებაც ვერ მიიღო. რაზეც ასე ოცნებობდა მამამისი, მაგრამ, სამაგიეროდ ჩვენები და ქცევა შეიძინა — ჭეშმარიტად დიდებული, არც მეტი და არც ნაკლები. მეფისწული გეგონებოდათ! საკვალალო მხოლოდ ის იყო, რომ გაუთავებელ ქეიფსა და დროსტარებაში ჩაფლულმა ჭკუა ვერ მოიკრიბა ,გულს ღვარძლი შეეპარა და სულით დაეცა. ის სიკეთე, რითაც დედაბუნება უშურველად აჯილდოვებს ადამიანს, ლეონსიომ დაუნდობლად ამოიძირკვა გულიდან და ამაზე არცა წუხდა.

ლეონსიო ოცდახუთი წლის იყო, როცა ევროპიდან დაბრუნდა. მამამ შესძლო მისი დარწმუნება, რომ განათლება, რა თქმა უნდა, კარგი რამ არის, მაგრამ მისთვის საკმარისზე მეტი ფული დაიხარჯა, ასე რომ, დროა ლეონსიო გონს მოვიდეს, თავი გაანძრიოს, რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი და შეეცადოს, თუ ვერ გაზრდის, როგორმე მაინც შეინარჩუნოს დარჩენილი ქონება. დიდი ხნის ფიქრისა და მერყეობის შემდეგ, ლეონსიომ როგორც იქნა გადაწყვიტა და კომერსანტის კარიერა აირჩია, რომელიც, როგორც ის ფიქრობდა, ყველაზე უკეთ შეეფერებოდა მის დახვეწილ ჩვევებსა და ქცევას. მაგრამ ახლად გამოჩეკილი კომერსანტის აზრი და იდეები ისეთი უსუსური აღმოჩნდა, რომ კომანდორი მალე მიხვდა — შეცდომა დაუშვა, როცა ლეონსიოს არჩევანს დაეთანხმა. მონებით ვაჭრობა, დიდი მოცულობის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებიც კი ლეონსიოს მიაჩნდა მისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ღირსების დამამცირებელ სამარცხვინო საქმიანობად. მის ბუნებას არც საცალო ვაჭრობა ესადაგებოდა, რომლის მხოლოდ გაფიქრებაზეც კი მისი ცისფერი სისხლი დუღილს იწყებდა. ლეონსიოს ოცნება იყო სპეკულაცია ბირჟაზე, განსაკუთრებით, თამაში ფასების გაზრდაზე, აი, მისი შესაფერისი საქმე, აქ კი ის ორ წამში სამჯერ გაზრდის მამის მონაგარს ევროპის ბირჟებზე აქა-იქ შეძენილი ცოდნის იმედით. მას ეგონა, რომ მისი შესაძლებლობების მქონე კაცისათვის, ასეთი ოპერაციების ჩატარება აქ, ბრაზილიაში, უბრალო რამე იქნებოდა.

მაგრამ მამა, რატომღაც, არ ჩქარობდა მთელი ქონება გადაეცა ახალი ფინანსური გენიისათვის, რომელიც ჰპირდებოდა ყველაფერი ოქროდ ექცია, რასაც კი შეეხებოდა მისი ხელი, თუმცა დღემდე მხოლოდ უნაკლო მფლანგველისა და გამნიაველის თვისებებს ამჟღავნებდა. ბრძენმა კომანდორმა ამჯობინა ქონების გაზრდის საკი-

თხი იმ დრომდე გადაედო, ვიდრე ლეონსიო ოდნავ მაინც არ მოჭკვიანდებოდა.

შვილი მიხვდა, რომ მამის ფულებს ასე მალე ვერ ჩაიგდებდა ხელში და სწრაფად მოისაზრა, რომ მხოლოდ ქორწინება იყო მისთვის ყველაზე უმტკივნეულო და უბრალო ხერხი ფულის საშოვნელად. ფული მას ხელგაშლილი ცხოვრებისათვის ჭირდებოდა.

ხელსაყრელი შემთხვევაც მალე გამოჩნდა. ერთხელ ალმეიდა ქალაქს გაემგზავრა ოჯახით. ისინი ეწვივნენ კომანდორის ძველ მეგობარს, მდიდარ ვაჭარს, რომლის მომხიბლავი ქალიშვილიც, მშობელთა ორმხრივი მოლაპარაკების თანახმად, ლეონსიოს დანიშნულად ითვლებოდა. მალვინა დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა თავისი საბედოს ნახვას. ახალგაზრდებს მოეწონათ ერთმანეთი და რაკი საქმეს ხელს არაფერი უშლიდა, მალე ქორწილიც გადაიხადეს. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ლეონსიოს დედას შეტევა მოუვიდა და საბრალო ქალი გარდაიცვალა. ღმერთმა აცხონოს, ამ კეთილ ქალს ბედი არ წყალობდა ცოლქმრულ სიყვარულში. საკმაოდ ცივი და უკმეხი კომანდორი ცოლს არ ანებივრებდა ყურადღებით და სიყვარულის ჟინს ხშირად ოჯახის გარეთ იკლავდა, რითაც დაუნდობლად უსერავდა გულს საბრალო მეუღლეს. ერთიღა იყო ქალბატონის ნუგეში — ლეონსიო. დანარჩენი შვილები ჯერ კიდევ ძუძუთა ასაკში მიაბარეს მიწას. საბრალო ქალი მთელი სიცოცხლე ქალიშვილზე ოცნებობდა, რომელიც მის მწარე დღეებს დაატკბობდა და სიბერეში ანუგეშებდა. ის ღმერთს შესთხოვდა, სანაცვლოდ მისი ტანჯვისა და სათნოებისა, ეჩუქებინა პაწაწინა ნაზი ქმნილება, რომელსაც ის განუზომელი სიკეთითა და სითბოთი აავსებდა.

და ისმინა ღმერთმა მისი ვედრება: მშვენიერმა გოგონამ, რომელიც მონა ქალმა გააჩინა კომანდორის სახლში, აკვნიდანვე მოაჯადოვა კეთილი სენიორა. პატარა ისეთი ნაზი, ცოცხალი და სანდომიანი იყო, რომ მთლიანად დაეპატრონა ქალბატონის გულს. იზაურა, ასე ეძახდნენ გოგონას, გახდა მისი ზრუნვის საგანი.

გოგონას დედა — მშვენიერი მულატი ქალი — დიდი ხნის მანძილზე ქალბატონის საყვარელი და ერთგული მუკამა[1] იყო. კომანდორი ალმეიდა არას დაგიდევდათ, სიყვარულით ჟინმორეულს, მას

---

[1] მუკამა — ქალბატონის მოახლე ან ბავშვების ძიძა. შაეკანიანი მონა ქალი.

მონა ქალები საკუთარ ჰარამხანად მიაჩნდა. საუბედუროდ, კომანდორი ამ გარყვნილებას სჩადიოდა სათნო მეუღლის დაურიდებლად. ეს დაუმსახურებელი და აღვირახსნილი შეურაცხყოფა ბასრი ხანჯალივით უსერავდა გულს ამ წმინდან ქალს.

ალმეიდა დიდი ხანია ცდილობდა მოეთვინიერებინა მომხიბლავი მულატი ქალი და დაეყოლიებინა ის თავისი ცხოველური ჟინის მოსაკლავად. საბრალოს, რაც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა უხეშ შემოტევას, მაგრამ საბოლოოდ წინ ვერ აღუდგა პატრონის მუქარასა და ძალადობას და დანებდა.

სასოწარკვეთილებამდე მისულმა ქალბატონმა ამჯერად ვეღარ აიტანა შეურაცხყოფა და მთელი ამდენი ხნის დაგროვილი ბოღმა გადმოანთხია გაიძვერა მეუღლეს თავზე. ამის შემდეგ ის მტარვალი ვეღარ ბედავდა მონა ქალზე ხელის აღმართვას, ძალის გარეშე კი საწადელს ვერ აღწევდა, რადგან ქალის გულში ზიზღნარევი გულგრილობა სუფევდა მის მიმართ. ასეთი დამცირების ატანა არ შეეძლო გულბოროტ ტირანს და მან გადაწყვიტა დაესაჯა ამაყი და ჭირვეული მოსამსახურე.

მულატი გააძევეს ბატონის სახლიდან და შეასახლეს შავკანიან მონებთან ყველაზე ღარიბულ, ნახევრად დანგრეულ სენზალაში. ფეიტორმა[1] მიიღო სასტიკი ბრძანება: ურჩი მონისათვის არ დაეშურებინა არც ყველაზე მძიმე სამუშაო და არც მათრახი. მაგრამ ეს პორტუგალიელი, კეთილი გულის კაცი, მოიხიბლა მულატის მშვენიერებითა და უწყინარი ხასიათით და მათრახის ნაცვლად მოფერებით დაასაჩუქრა ქალი, თანაც ისეთი წარმატებით, რომ ერთი წელიც კი არ იყო გასული და ქალს ეყოლა მშვენიერი გოგონა, რომელსაც იზაურა დაარქვეს.

ბავშვის გაჩენის დღიდან კომანდორის რისხვამ ახალი ძალით იფეთქა თავნება მულატის მიმართ. საბრალო მოურავი ფაზენდიდან გააძევეს, მონა ქალი კი გადაიყვანეს ისეთ მძიმე, კატორღულ სამუშაოზე, მიმართავდნენ ისეთ დამცირებასა და ტანჯვას, რომ უბედური მალე უფალმა მიიღო, ისე რომ, ვერ მოესწრო პირმშოს გაზრდას.

აი, როგორ უმუხთლა ბედმა იზაურას — დედაც და მამაც წაართვა პატარას. თუმცა, თითქოს ამ გაუგონარ, მკაცრ უსამართლო-

---

[1] ფეიტორი — მოურავი ან მონათა ზედამხედველი.

ბას ინანიებსო, სასწაულმოქმედმა მოწყალების კალთა გადააფარა პაწიას და წმინდანი ქალბატონის სახით, სიკეთის ანგელოზი გამოეცხადა. კომანდორის მეუღლემ გოგონა მიიღო, როგორც ბედისწერა, ციური საჩუქარი, თავისი ტანჯვა-წამებისა და სათნოების სანაცვლო ჯილდო. უბედური მულატის კუბოსთან მან ზე აღაპყრო ცრემლით დანამული თვალები და დაიფიცა, რომ თავს ანაცვალებდა იზაურას, საკუთარი შვილივით გაზრდიდა მას.

ამ დიდებულმა ქალმა რელიგიური ფანატიზმით აღზარდა გოგონა, უწილადა მას მთელი თავისი ამოუწურავი სიყვარული და სათნოება. როცა იზაურა პატარა იყო, ქალბატონი თვითონ ასწავლიდა წერა-კითხვას, ხელსაქმესა და ღვთის სიყვარულს. შემდეგ დაუქირავა მუსიკის, ცეკვის, ხატვის, იტალიური და ფრანგული ენების, მშვენმეტყველების მასწავლებლები, უყიდა წიგნები, ერთი სიტყვით, ისე ზრუნავდა მასზე, როგორც საკუთარ ქალიშვილზე, იზაურა ასმაგად უხდიდა სამაგიეროს და გულს უხარებდა კეთილ ქალბატონს. გოგონა ისე მარდად მიიწევდა წინ, ისე ხარბად იწოვდა ცოდნას თავისი სწრაფი, გამჭრიახი გონებით, რომ მოხუცი სენიორა ვერ ასწრებდა დამტკბარიყო ამ მშვენიერი განძის სიყვარულით. ქალბატონი გულმოდგინედ ხვეწდა და აპრიალებდა ამ ძვირფასი ქვის წახნაგებს და მიაჩნდა, რომ ის იყო მისი ჭაღარის დამამშვენებელი, სიცოცხლის ბოლო დღეების გამხარებელი. „ღმერთმა არ მომცა ქალიშვილი, ჩემი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“, — ამბობდა ის, — სამაგიეროდ ვით სულიერი შვილი, იზაურა მომეევლინა სულის საცხონებლად“.

ვერც სიყვარულმა, ვერც, შესაძლოა, მოჭარბებულმა, ცოტა ძოსაბეზრებელმა მზრუნველობამ, რომლითაც ასე უხვად იყო გარემოცული გოგონა, ვერ წაახდინა, ვერ გარყვნა იგი, ვერ აქცია ის თავხედ, ამპარტავან ადამიანად. პირიქით, თანდათან სათნო და გულღია ხდებოდა იზაურა. უფრო და უფრო მეღავნდებოდა მისი გულის ბუნებრივი სითბო და სიწმინდე. მუდამ მხიარული და გულღია სხვა მონებთან, ქალიშვილი მორჩილებასა და თავმდაბლობას ასახიერებდა ბატონების წინაშე.

კომანდორს არ მოსწონდა მეუღლის ასეთი დამოკიდებულება მონასთან და შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ საყვედური არ გამოეთქვა ამ, როგორც ის იძახდა, „სულელი ბებრუხანას კაპრიზებზე“.

— მთლად დაკარგა ჭკუა ბებერმა! — გაიძახოდა ის, — გამოზრ-

დის პრინცესას და მერე, მის ფეხთა მტვერს ეამბორონ ყველანი? არა, არა! ღმერთმა დაგვიფაროს. მთლად გასულელდა ამ სიბერის დროს. ზოგი მთელ დღეებს ლოცვაში ატარებს, სხვანი ილანძღებიან და ადამიანებს ერჩიან, მუსამენი ძაღლებსა და სხვა ცხოველებს პატრონობენ, ეს კი მოულოდნელად მცირეწლოვან მონებზე გადავიდა. აი საქმე... თუმცა, ჯანდაბას, დე, გული იჯეროს. მადლობა ღმერთს! ჩემზე წუწუნს მაინც არ დაიწყებს.

ლეონსიოს ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კომანდორმა თავისი ოჯახობა ქალაქ კამპუსის მახლობლად ფაზენდაში გადაიყვანა. მერე დიდხანს აღარ დაუყოვნებია, შვილს გადასცა მამულის, მონებისა და სხვა საკუთრების ფლობისა და მართვის უფლება და თან დასძინა, რომ მართალია სიცოცხლე ბედნიერებასა და კმაყოფილებაში გაატარა, საკუთარი თავისათვის არაფერზე უარი არ უთქვამს, მაგრამ დაიღალა და გადაწყვიტა დაისვენოს, რისთვისაც მხოლოდ რენტის შემოსავალს იტოვებს. შვილისთვის ასეთი ძვირფასი საჩუქრის გაკეთების შემდეგ რიოში გაემგზავრა. მისმა მეუღლემ კი, კომანდორის ლოცვა-კურთხევითა და მისდა გასახარად, ამჯობინა ფაზენდაში ახალგაზრდებთან დარჩენილიყო.

მალვინა ბუნებით კეთილი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ამიტომ პირველი დღიდანვე სიმპათიითა და გულწრფელი სიბრალულით განიმსჭვალა იზაურას მიმართ. მონა ქალის უბრალობას, საასიამოვნო გარეგნობას, დახვეწილ მანერებსა და თვინიერებას არ შეეძლო გულგრილი დაეტოვებინა ის და ახალმა ქალბატონმაც მთელი გულით შეიყვარა თავისი მოახლე. ასე რომ, იზაურა გახდა არა მხოლოდ უახლოესი მოახლე, არამედ სენიორას მეგობარი, რომელიც ერთფეროვანი გრძელი დღეების შემოკლებაში შველოდა მას. ქალაქურ გართობას მიჩვეული მალვინა ბედნიერი იყო, რომ ამ განაპირა, მიყრუებულ მხარეში იშოვა ასეთი ერთგული სული და მასთან ერთად უფრო ადვილად ეჩვეოდა პროვინციულ ცხოვრებას.

— რატომ აქამდე არ გაათავისუფლეთ ეს მშვენიერი გოგო? — ჰკითხა მალვინამ თავის დედამთილს ერთ მშვენიერ დღეს. — ის ისეთი შესანიშნავი და კეთილია. ნუთუ, მთელი სიცოცხლე მონობაში უნდა გაატაროს?

— შენ მართალი ხარ, შვილო, — გულკეთილად უპასუხა მოხუცმა სენიორამ, — მაგრამ რა ვქნა? ძალა არ მეყოფა ამ ჩიტუნიას გასათავისუფლებლად, იმიტომ, რომ იგი ზეცამ გამოაგზავნა. თვით

ძალიან ღმერთმა ინება, რომ იზაურა ყოფილიყო ჩემი უკანასკნელ-
დღეების ნუგეში და სიხარული. ან რად უნდა მას თავისუფლებ
აქ ხომ ის სულ თავისუფალია, უფრო მეტად თავისუფალ
ვიდრე მე თვითონ. ან რა მეშველება მე უბედურს, — დარჩენილი
სიცოცხლეც კარგს არაფერს მიქადის. აღარც ძალა მერჩის, რომ
დავცილდე ჩემს ჩიტუნიას, ჩემს ნატვრისთვალს? საკმარისია, ერ-
თხელ გამიფრინდეს, რომ ველარასოდეს ველარ ვიხილო. განა, დაბ-
რუნდება ისევ გალიაში?! არა, არა საყვარელო, ვიდრე მე ცოცხა-
ლი ვარ, ის ჩემთან ახლოს იქნება. ასეთია ჩემი ნება. შენ, რა თქმა
უნდა, იტყვი, რომ მე ანჩხლი ვარ, მაგრამ რაღა დამრჩენია — წინ
ორი პარასკევიღა მიდევს. ასე რომ, არც ისე ბევრს მოვითხოვ. რო-
გორც კი უფალი მიმიღებს, ისიც გათავისუფლდება, ამაზე ნამდვი-
ლად ვიზრუნებ, ანდერძს დავტოვებ.

კეთილმა დედაბერმა, მართლაც, რამდენჯერმე დააპირა ანდერ-
ძის შედგენა, რათა თავად გაეხარებინა მისი გულის ძვირფასი სხი-
ვი — იზაურა, მაგრამ კომანდორი, ლეონსიოს შეგონებით, ათას-
ნაირი მიზეზით ახერხებდა საქმის გაჭიანურებას. საუბედუროდ, ბო-
როტი განზრახვა წარმატებით დამთავრდა — მძიმე შეტევით დავარ-
დნილი მოხუცი სენიორა ერთ საათში გარდაიცვალა, ისე რომ, ვერ
მოასწრო თავისი საბოლოო სურვილის აღსრულება.

დედამთილის ცხედარზე მალვინამ დაიფიცა, რომ არ მიატოვებ-
და უბედურ იზაურას და ყველაფერს გააკეთებდა, რათა მისთვის
გარდაცვლილი ქალბატონის მაგივრობა გაეწია. იზაურა კი ღამღა-
მობით დასტიროდა ამ შესანიშნავ ქალს ,რომელიც მას ფაქიზ და
მოსიყვარულე დედობას უწევდა. ნაღვლიანი ფიქრები იზაურას გულს
უსერავდა. ის ხომ ძველებურად მონად რჩებოდა, მხოლოდ არა კე-
თილი და გულისხმიერი ქალბატონის, არამედ სასტიკი და გულბო-
როტი ბატონების მონად.

თავი III

ახლა მეორე მოსულიც გავიცნოთ, ძვირფასო მკითხველო. კოხტად
გამოწყობილი თაქარიანი დარდიმანდი, ფიცხი და ქედმაღალ-
ოცი წლის წარმოსადეგი ახალგაზრდა, როგორც უკვე ვთქვით,
გახლდათ ლეონსიოს ცოლისძმა, ენრიკე. ის არაფრით გამოირ-
ჩეოდა მასავით მდიდარი მშობლების სხვა ნაშიერთაგან. თუმცა
მიუხედავად ყველა იმ, მისი ჩამომავლობის ახალგაზრდებისათვი

დამახასიათებელი ნაკლისა, უნდა ითქვას, რომ ენრიკე არ იყო გულპოროტი და სულმდაბალი ადამიანი. ის გახლდათ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი და ახლა არდადეგებზე იმყოფებოდა. ლეონსიოს მოწვევით ენრიკე დასთან, მალვინასთან, ჩამოვიდა და აპირებდა რამდენიმე დღე ფაზენდაში გაეტარებინა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუმცა ლეონსიო ადრეც ჩამოდიოდა ფაზენდაში და რამდენიმე დღესაც ატარებდა აქ, მაგრამ იზაურას სილამაზესა და ნორჩ მშვენიერებას მხოლოდ თავისი ქორწინების შემდეგ მიაქცია ყურადღება. ანგარებით შერთული ცოლისადმი რაიმე განსაკუთრებულ სიყვარულს არ განიცდიდა, თუმცა ქორწინებით დიდად კმაყოფილი იყო. თქმა არ უნდა, იშვიათი ბედნიერებაა გყავდეს ასეთი ქორფა და ლამაზი ცოლი, თანაც ასეთი შესაშურად მდიდარი მზითვით. მიუხედავად ამისა, თავისი სანდომიანი მეუღლის სურვილი ლეონსიოს დროდადრო თუ უჩნდებოდა და ხორციელი წყურვილის მოკვლისთანავე ივიწყებდა მის არსებობას. იზაურაშ სხვანაირად ააღელვა ლეონსიოს გული, მისი სულის მიჩქმალულ, სასწაულით გადარჩენილ, ჯერ კიდევ შეურყვნელ კუთხე-კუნჭულებში გააღვიძა ნათელი გრძნობა. მასში ჩასახული სურვილი ღრღნიდა მის გულს, მხურვალე ცეცხლად გიზგიზებდა იქ და მისი ალი დღითი დღე უფრო და უფრო სტანჯავდა ამ გაქნილ არშიყს. იოლ გამარჯვებებს შეჩვეულ ლეონსიოს იზაურას წინააღმდეგობა აცოფებდა, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, არ შეიგნო, რომ მომხიბლავი და ამაყი იზაურა მონაა — მისი საკუთრება. რაკი ეს გააცნობიერა, გადაწყვიტა, ძალით გადაელახა წინააღმდეგობა და ამით დაამტკიცა, რომ ზნეობრივად მამამისის ღირსეული მემკვიდრე იყო.

პირველად, როცა იზაურა ჯერ არ დაუფლებოდა მის გულსა და გრძნობას, ლეონსიო ხშირად მსჯელობდა მის მშვენიერებასა და ღირსებებზე ცოლისძმასთან. ამასთან ,ოდნავადაც არ დაირცხვენდა, თუნდაც ლაპარაკი მის ცხოველურ სურვილებს შეხებოდა. სიძის უსინდისობა სულს უხუთავდა ენრიკეს. ამგვარი საუბრების დროს ის ხშირად წითლდებოდა სირცხვილისაგან. იგი გულწრფელად თანაუგრძნობდა დას და აღშფოთებული იყო ლეონსიოს საქციელით. თუმცა სიძესთან ამ გაუთავებელ საუბრებს ფუჭად არ ჩაუვლია: ენრიკეს გულის სიღრმეში სურვილი გაუჩნდა საკუთარი თვალით ენახა ეს არაჩვეულებრივი მონა ქალი.

ფაზენდაში ორი მამაკაცის მოსვლის მეორე დღეს, დილაადრიან,

იზაურამ მოასწრო ავეჯიდან მტვრის გადაწმენდა და იმის მოლოდინში, თუ როდის ინებებდნენ ბატონები გაღვიძებასა და ადგომას, რომ მათთვის ყავა მიერთმია, იქვე სასტუმრო დარბაზის ფანჯარასთან ჩამოჯდა. მას ხელში ქარგა ეჭირა და გულმოდგინედ ქარგავდა. ლეონსიოსა და ენრიკეს ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძათ, მობეზრდათ ლოგინში წოლა და ნებივრობა, ადგნენ და ჩუმად გამოვიდნენ ოთახიდან, შეუმჩნეველად გაიარეს დერეფანი და სასტუმრო დარბაზის კარებთან შეჩერდნენ. ისინი შესცქეროდნენ იზაურას, რომელმაც ვერ შენიშნა ბატონების გამოჩენა და წყნარად განაგრძობდა თეთრ ტილოზე საოცრად ლამაზი არშიის ქარგვას.

— აბა, რას იტყვი, მოგწონს? — ფრთხილად წასჩურჩულა ლეონსიომ ცოლისძმას.

როგორი ბრილიანტია. ჰა?.. ნამდვილი მზეთუნახავი არ არის?

— საოცრებაა! — აღტაცება ვერ დამალა ენრიკემ. — ბრაზილიის დედოფალი!

— რა შუაშია ბრაზილია! მთელი მსოფლიოს ოქროს დაჩრდილავს ამ მარგალიტის ციალი! არა, ამ თვრამეტი წლის ქურციკის გრაცია, მისი სინორჩე, ვისაც გინდა შეშლის ჭკუაზე, ყინულის ლოდსაც კი დაადნობს მისი გზნება. მართლა, შენი დაიკო მთხოვს გავათავისუფლო იზაურა, — ასეთი ყოფილა თითქოს ჩემი დედიკოს, ღმერთმა აცხონოს მისი სული, საბოლოო სურვილი. მაგრამ, განა მე ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ დავკარგო ჩემი გულის მანათობელი ვარსკვლავი? ჩემი ნებით დავთმო ასეთი საგანძური? ვერ მოგართვით! რაკი დედაჩემი ზედ დაჰკანკალებდა და ანებივრებდა, პრინცესასავით გამოზარდა. მე რა, ამიტომ ჩემი ნებით უარი ვთქვა ასეთ საგანძურზე? — არა და არა! თუმცა ის მათხოვარი, იზაურას მამა, ჩვენი სახლის ზღურბლს არ სცილდება, ქალიშვილის გამოსყიდვა სურს, მაგრამ ბარაქალა მამიკოს. არ გამაწბილა. ისეთი ფასი დაადო, რომ იმ საცოდავ პორტუგალიელს არც დაესიზმრება იმდენი ფული. თავად განსაჯე, ენრიკე, მოიძებნება იმდენი ოქრო, რომ ეს მზეთუნახავი გამოისყიდოს?

— ჰო, ის მართლაც საოცრებაა. პირდაპირ მომაჯადოებელი. დაეთანხმა ენრიკე. ასეთ სამკაულს უძლეველი ფადიშახის ჰარამხანაშიც ვერ იპოვიდა კაცი. მაგრამ მინდა ვისარგებლო შენი მეგობრისა და ნათესავის უფლებით და გირჩიო, ძვირფასო სიძევ, შენ

დიდ საფრთხეს უქმნი ოჯახურ სიმყუდროვეს, ჩემი დის გვერდით ასეთ ყვავილს რომ ელოლიავები...

— ბრავო! — სიცილით შეაწყვეტინა ლეონსიომ. — შენ, ჩემო ძმაო, შენს წლებთან შედარებით, ჩამოყალიბებული მორალისტი ყოფილხარ. ტყუილად განიცდი ძამიკო, შენ დას, პირიქით, მოსწონს კიდეც, რომ მისი მოახლე აღტაცებას იწვევს ყველაში. ის სამართლიანად ამაყობს ამით. რა არის, ბოლოს და ბოლოს, იზაურა? — მომხიბლავი სამკაული ,უბრალო ნივთი, რომელსაც ყველას უჩვენებენ. ნუთუ, უკეთესი იქნებოდა, რომ პლანტაციაში სამუშაოდ გაგვეგზავნა იგი?..

აქ მათ საუბარი შეაწყვეტინა მომღიმარი, აპრილის სუნთქვასავით მსუბუქი, მალვინას გამოჩენამ.

— დილა მშვიდობისა, ძილისგუდებო! — ჩიტივით დაიჭიკჭიკა მან. — არ მეგონა, რომ თქვენ უკვე გღვიძავთ!

— გაგიმარჯოს, ჩემო ანგელოზო! გაუღიმა ლეონსიომ, რა მხიარულ გუნებაზე ხარ? ოქროს ნისკარტიანი მწვანე ჩიტი ხომ არ დაგესიზმრა?

— უარს არ ვიტყოდი, მაგრამ არ მინახავს. არაფერია, სხვა დროს აუცილებლად დამესიზმრება. მე, მართლაც, მხიარულ გუნებაზე ვარ და მინდა სხვებიც მხიარულობდნენ. შენ უნდა მომეხმარო, ლეონსიო... გუშინ ისე შევწუხდი, შენ რომ ნაღვლიანი დაგინახე, სულ გადამავიწყდა, რის თქმასაც ვაპირებდი... ჩემი უმადური ძმის დანახვამ კი, ასე დიდხანს რომ არ ყოფილა ჩვენთან, საერთოდ თავიდან ამომიგდო ყველაფერი.

— რაშია საქმე? ნუ გვტანჯავ, თქვი, მალვინა.

— ლეონსიო, გახსოვს შენ რომ შემპირდი? ეს წმიდათაწმიდა მოვალეობაა, რომელიც აუცილებლად უნდა აღსრულდეს... და მე მინდა, რომ დღეს მოხდეს ყველაფერი!

— ოჰო! მაინც... რას შეგპირდი? მაპატიე ჩემო ანგელოზო, მე აღარ მახსოვს...

— ნუთუ? ასეთი გულმავიწყი ხარ? დაგავიწყდა, შენ შემპირდი, რომ გაათავისუფლებდი...

— ა... თურმე რაში ყოფილა საქმე, — აგდებით გამოეპასუხა ლეონსიო. — მახსოვს, როგორ არ მახსოვს. მაგრამ ძვირფასო, ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი, თანაც მისი თანდასწრებით?

— რა არის ამაში ცუდი? თუმცა, როგორც ინებებ, — და ამ

სიტყვებით მალვინამ ქმარი გაიყოლა შიდა ოთახში. — ენრიკე, შენ აქ დაგველოდე, მე ვუბრძანებ ყავა მოგვართვან.

იზაურამ მხოლოდ მალვინას მოსვლისას შეამჩნია, რომ ის მარტო არ იყო ოთახში. ქალიშვილს არ გაუგია, რაზე ჩურჩულებდნენ მამაკაცები, ვერც მალვინას და ლეონსიოს საუბრიდან გაიგო რამე. როდესაც ბატონები გავიდნენ, ის ადგა და უნდოდა წასულიყო, მაგრამ ენრიკემ გადაუღობა გზა.

— რა გნებავთ, სენიორ? — იკითხა მან და წყნარად დახარა თვალები.

— მოიცა, საყვარელო, მე რაღაც მინდა გითხრა, — უპასუხა ენრიკემ და უცებ იგრძნო, რომ პირი გაუშრა, ენა სასაზე მიეკრა. ის უხმოდ იდგა იზაურას წინაშე და თვალებით ჰამდა მას; ენრიკეს ძალა არ შესწევდა სიტყვა დაეძრა, ან თვალი მოეწყვიტა ქალიშვილის საოცრად მშვენიერი სუფთა სახისათვის. იზაურა კი, თავის მხრივ, გაოგნებული შესცქეროდა ახალგაზრდა კაცს. უცებ ენრიკემ იგრძნო თავისი საცოდავი მდგომარეობა: კერპივით გაშეშდა მონ-ქალის წინაშე და აღტაცებული შესცინინებს მას... დიახ, დიახ, ის ხომ უბრალო მონაა, თუმცა ფერიასავით ლამაზი. როგორც იქნა დასძლია ჯადოს, დაიბრუნა ჩვეული სითამამე და იზაურას ხელი შეავლო: რა მომხიბლავი ხარ, პაწიავ! ჩემი და მართალია — არ შეიძლება შენნაირი ნაზი ყვავილი მონობაში დაიტანჯოს. შენ რომ თავისუფალი იყო, ფეხქვეშ გაგეგება ყველა!

— თქვენ ძალზე კეთილი ხართ ჩემს მიმართ, სენიორ, — მორცხვად უპასუხა იზაურამ და შეეცადა ხელი გაენთავისუფლებინა, — თუ სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი, ნება მომეცით წავიდე.

— მოიცა, ჩემო ტურფავ, ნუ ხარ ასე მკაცრი. მე ხომ ცუდს არაფერს ვაკეთებ. ო, ღმერთო დიდებულო, შემეწიე მონობიდან გამოვიხსნა და დავიმსახურო მისი სიყვარული! ასეთი მშვენიერი და ნაზი ქმნილება ტყვეობაში არ უნდა დაჭკნეს. ვინმე აუცილებლად გამოგიხსნის და დაგისაკუთრებს. ღმერთს ვევედრები — მე ვიყო ის კაცი, შენი ქალბატონის ძმა, რომელიც შენ პრინცესად გადაგაქცევს...

— ნუ ინებებთ, სენიორ ენრიკე, — ქალიშვილს ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა, — რატომ კადრულობთ თქვენი დის მოახლის გამასხარავებას? აქ იმდენი კარგი ქალიშვილია, ისინი ბედნიერად ჩათვლიდნენ თავს თქვენი კეთილი განწყობით.

— ო, ამას ნუ იტყვი, იზაურა! მთელს მსოფლიოში ვერავინ შეგედრება შენ, სილამაზის დედოფალო! უარს ნუ მეტყვი, აბა დაფიქრდი, ჩემზე მეტად ვის შეუძლია შენი შეელა? მე ვაიძულებ ლეონსიოს გაგათავისუფლოს, მადლობა ღმერთს, მე ვიცი მისი გეგმები და შემიძლია ხელი შევუშალო; ასეთი სიმდაბლის დაშვება არ შეიძლება. შენ ყველაფერი გექნება, რასაც მოისურვებ: აბრეშუმის კაბები, სამკაულები, ეტლი, მონები, რომლებიც შენს ნაფეხურებს დაკოცნიან. ჩემი სახით კი გეყოლება ყველაზე მგზნებარე თაყვანისმცემელი, რომელიც ხელისგულზე გატარებს.

— ო, ღმერთო ჩემო! — შეეხვეწა იზაურა. — მთლად თავბრუს ნუ დამახვევთ, სენიორ. მე არა ვარ მაგ სიტყვების ღირსი, გაუფრთხილდით მათ უფრო ღირსეული ქალიშვილებისათვის, მე კი ისეც კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა.

— იზაურა, ნუ ხარ ასე დაუნდობელი! დამიჯერე, რომ მე... იგი შეეცადა ყელზე მოხვეოდა ქალიშვილს.

— თავი დამანებეთ, სენიორ ენრიკე, გეხვეწებით! — შეჰკივლა იზაურამ და შეეცადა ხელიდან გასხლტომოდა. — ღვთის გულისათვის, ხელი გამიშვით!

— შემიბრალე, იზაურა! — ენრიკეს თვალებში ცეცხლი კიაფობდა და ხმა უკანკალებდა. — ასე ნუ ყვირიხარ... ერთი კოცნა, მხოლოდ ერთი კოცნა და მე ვიქნები ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი. გეფიცები, ერთხელ გაკოცებ და გაგიშვებ, გეფიცები!

— თუ თავს არ დამანებებთ, სენიორ, უფრო ხმამაღლა დავიყვირებ, — ლუღლუღებდა საბრალო მოახლე და აქეთ-იქით აწყდებოდა.

— რატომ იზაურა, რით დავიმსახურე შენი სიძულვილი? — შეჰყვირა წინააღმდეგობით უკვე საკმაოდ გაღიზიანებულმა ენრიკემ. ეფიცავ, ყველაფერს გაჩუქებ, რასაც შენი გული ისურვებს! სენიორასავით იცხოვრებ!.. ნუ ჯავრობ ასე, ჩემო პრინცესა...

— ღმერთმა შეგაჩვენოთ, სენიორ! — ბრაზით მიახალა მოთმინებადაკარგულმა ქალიშვილმა. — სენიორ ლეონსიო არ მეყოფოდა და ახლა თქვენც? ახლა რომ შემოვიდეს, მაშინ?

— რაო? რა თქვი? მაშ, ლეონსიოც?.. მაშასადამე წინათგრძნობა არ მღალატობდა! რა სულმდაბლობაა. აბა, გამოტყდი, მასთან, ალბათ, უფრო ალერსიანი ხარ, არა?

— ისევე როგორც თქვენთან, სენიორ.

— აბა, აბა, გეყოფა იზაურა. ქალბატონმა ლამის სულში ჩაგის-

ვას, შენ მისი ერთგული წარ და ამიტომაც ყურს არ ათხოვებ ლეონსიოს უზნეო ლაპარაკს. მაგრამ მე ხომ სხვა კარ! რატომ ხარ ასე დაუნდობელი ჩემს მიმართ?

— მე? ღვთის გულისათვის, სენიორ, ნუ დამცინით საბრალო მონას!

— სრულებითაც არ დაგცინი, იზაურა! ნება მომეცი ერთხელ.. გაკოცო..: — ენრიკე გაქანდა მისკენ და ცდილობდა მოხვეოდა და ეკოცნა ქალიშვილისათვის.

— ბრავო! ბრავისიმო!.. — გაისმა დამცინავი ხმა სასტუმროს ზღურბლზე.

მოულოდნელობისგან დაბნეული ენრიკე შეშინებული შემოტრიალდა, სიყვარულის ცეცხლი უმალ ჩაუქრა და გული კინაღამ წაუვიდა — კარებში დოინჯშემოყრილი ლეონსიო იდგა და დამცინავი ღიმილით შესცქეროდა მათ.

— შენ დროს ტყუილად არ კარგავ, ძმობილო, — განაგრძო ლეონსიომ დამცინავი ხმით. აი, თურმე რა ფასი აქვს შენს ლექციებს მორალის თემაზე! ჩემი მონები მოგინდა? დიდი პატივია შენი მხრით... აი, როგორ აფასებ საკუთარი დის სახლს!

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ბოროტად გამოსცრა ენრიკემ, რომლის პირველი სურვილიც იყო მუშტებით მივარდნოდა დამცინავ სიძეს. თუმცა, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ ყმაწვილმა კაცმა გადაწყვიტა მოწინააღმდეგის ხერხით ესარგებლა, რადგან ასეთ ვითარებაში მოხერხებულად და დროულად ნახმარ დაცინვას შეეძლო უპირატესობა მისთვის მოეტანა. ამიტომ ენრიკემ სიბრაზე დაიოკა და სიძის დამამცირებელი, დამცინავი ტონის მიბაძვით წარმოთქვა: — მაპატიეთ, ძამიკო! მე მხოლოდ ახლა ვიგრძენი. რამდენად კეთილად ხართ განწყობილი ამ თქვენი სამკაულის მიმართ: თქვენ ისიც კი ინებეთ, ჩუმად მოპარულიყავით აქ და შეუმჩნეველად გეთვალთვალათ. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ ეჭვიანობთ ამ მონა ქალის მიმართ! საბრალო ჩემი და... აი, აი, როგორ გაოცდება, რომ ამდენ ხანს ვერ მიუხვდა თავის კეთილგონიერ ქმარს!

— რას მიედ-მოედები? — თვალები დააკვესა ლეონსიომ და ხელები მომუშტა. — აბა გაიმეორე, რა თქვი?

— ის, რაც ახლა გაიგონა სენიორმა, — დინჯად უპასუხა ენრიკემ, — ვფიქრობ, თქვენი ბილწი საქციელი დიდხანს არ დარჩება საიდუმლოდ ჩემი დისათვის.

— რა საქციელი? შენ რა, ჭკუაზე შეიშალე, ენრიკე?

— თავს ნუ იკატუნებთ, სენიორ ლეონსიო! თქვენ რა, მე სულელი გგონივართ? აბა გვეყო, კარგად ბრძანდებოდეთ! მე გტოვებთ, იმიტომ რომ ვიღაც მონა ქალის სიყვარულზე კამათი უდიდეს უზნეობად და უღირს საქციელად მიმაჩნია.

— მოიცა, ენრიკე... მომისმინე.

— არა, გეთაყვა, დიდი მადლობელი ვარ, კარგად ბრძანდებოდეთ! — თავი დაუკრა ენრიკემ და სწრაფი ნაბიჯით დატოვა დარბაზი.

ლეონსიო მიხვდა, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. როგორ მოხდა რომ ის, მისი ჭკუითა და გამოცდილებით, გაება ამ თავქარიანი ცინგლიანის მიერ დაგებულ მახეში? — საყვედურობდა იგი თავის თავს. ლეონსიო ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმ ვულკანის ძალას, რომელიც იზაურამ ენრიკეს გულში ააგზნო, არც იმას, რომ დღეიდან მისი ცოლისძმა მზად იყო ყველაფერი ეღონა მონა ქალის გასათავისუფლებლად, თუმცა ამის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერი არ უთქვამს. მეორეს მხრივ, რა დამამტკიცებელი საბუთების მოტანა შეეძლო ენრიკეს, რომ ის გაეშავებინა ცოლის წინაშე? — მხოლოდ რამდენიმე მოურიდებელი და უხამსი რეპლიკა? მაგრამ ის ხომ მათ ადვილად გადააქცევს ხუმრობად. ან იქნებ იზაურამ წამოროშა რამე ენრიკესთან, რომ მასში მრისხანება და ეჭვი გამოეწვია? კაცმა რომ თქვას, ლეონსიოს ფეხებზე ეკიდა ოჯახური კერის კეთილდღეობა, მაგრამ, მის სატრფიალო გეგმებში ჩარევამ, იგი საბოლოოდ გააცოფა.

— ეშმაკმა დალახვროს! — დაიღრიალა მან. — ამ სულელს შეუძლია მთელი ჩემი ჩანაფიქრის ჩაშლა. თუ მისთვის ცნობილია რაიმე, ის აუცილებლად ჩაუკაკლავს მალვინას...

მოღუშული, მღელვარებით განაწამები ლეონსიო რამდენიმე ხანს გაუძრევლად იდგა და პირქუშად მიშტერებოდა სიცარიელეს. შემდეგ მას გაახსენდა იზაურა, რომელიც მისი გამოჩენისთანავე ოთახის კუთხეში მიიყუჟა და შიშისაგან აკანკალებული თვალყურს ადევნებდა გააფთრებულ ჩხუბს. გეგონებოდათ ორი მშიერი ვეცხვი დაეძგერაო ერთმანეთს სისხლიდან დაცლილი შვლის გასაყოფად. იზაურა მწარედ საყვედურობდა საკუთარ თავს მოუთმენლობისა და გაუფრთხილებელი სიტყვებისათვის. ახლა იგი ხედავდა, რომ მისი დაუდევრობა სერიოზული განხეთქილების მიზეზი შეიქმნა, რომლის მთავარი

შსხვერპლიც, ეჭვგარეშეა, თვითონ იქნება. მას თავს დაატყდა ორი-საავდროდ მოქუფრული მრისხანე შავი ღრუბელი, რომელთა შეჯ-ახებაც ფერფლად აქცევდა საბრალო მონას.

თავი IV

— ე, ე, შენ კიდევ აქა ხარ? შესანიშნავია... — ჩაილაპარაკა ლეონსიომ, როცა მისი მზერა დაეცა შეშინებულ იზაურას, რომელ-საც ჯერაც ვერ გაებედა თავისი კუნჭულიდან გამოსვლა და ღმერთს ევედრებოდა, ბატონს არ შეემჩნია ან დავიწყებოდა იგი.

— როგორც ჩანს, დროს ტყუილად არ კარგავ. ამ ლაწირაკის ქათინაურებს ისმენდი, არა?

— ისევე, როგორც თქვენსას, ჩემო ბატონო, სხვა გამოსავალი მე არა მაქვს.

— შენ თვითონ კი არაფერი გითქვამს ამ ოტროველასათვის?

— მე?! — შეცბა ქალიშვილი. — როგორ გავბედავ შეურაცხ-ვყო კეთილშობილი სენიორის სმენა?

— კარგად აწონე შენი სიტყვები, იზაურა, ნუ შეეცდები ჩემს გაცურებას. მაშ, არაფერი გითქვამს ჩემს შესახებ?

— არაფერი...

— აბა დაიფიცე!

— ვფიცავ, — ჩაჩურჩულა შეშინებულმა იზაურამ.

— ყური მიგდე, ჩემო კარგო... ფრთხილად იყავი, თუ მე დღემ-დე კიდევ ვიტანდი ჩემს აბუჩად აგდებას, არ იფიქრო, რომ ამ ვი-გინდარას არშიყობასაც მოვითმენ, თანაც ჩემ საკუთარ სახლში, თითქმის ჩემი თანდასწრებით. ერთიც იცოდე, ნაკლები ილაპარაკე იმის შესახებ, რაც აქ ხდება! თუ ჩემი სიყვარული არ გინდა, მიფრ-თხილდი, ჩემი სიძულვილი არ დაიმსახურო.

— მაპატიეთ სენიორ, მაგრამ რა დავაშავე, რისთვის მაწვალებთ?

— თვითონაც კარგად ხვდები. და, საერთოდ, მგონი მომიწევს შენი ამ სახლიდან გადაყვანა სადმე წყნარ კუთხეში, რომ ზედმეტ-ყურადღება არ მიიქციო...

— რატომ, ბატონო?

— კმარა, საყვარელო, შენს მოსასმენად არა მცალია, თანაც შე-იძლება თვალი შეგვასწროს ვინმემ. სხვა უფრო ხელსაყრელ დროს

ვილაპარაკოთ. უნდა წავიდე, თორემ ის საძაგელი შემთხვევას უცდის, რომ მალვინას წამკიდოს. ო, ის პირუტყვი! — ლუღლუღებდა დარბაზიდან მიმავალი ლეონსიო. — წყეული იყოს ის დღე, როცა მე ის სახლში შემოვიყვანე!

როცა დარწმუნდა, რომ პატრონი როგორც იქნა გავიდა ოთახიდან. ქალიშვილმა ნაღვლიანად წამოიძახა:

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ უფრო ხელსაყრელი დრო დაუდგეს ბატონს, ან ეს ყველაფერი კვლავ განმეორდეს!

განწირული დარდითა და მომაკვდინებელი შიშით გათანგული მონა ქალი გრძნობდა, რომ ლეონსიო სულ უფრო აშკარა ძალადობას დაიწყებდა, რომლის აღკვეთაც საბრალოს არაფრით არ შეეძლო. როცა იზაურამ გადაწყვიტა სიკვდილამდე გაეწია წინააღმდეგობა, გაახსენდა თავისი უბედური დედა, ვისი ნაღვლიანი თავგადასავალიც, თავის დროზე დიდი სიფრთხილით უამბეს მოხუცმა მონებმა. საკუთარი მომავალიც ძალზე საშინელი ფერებით ეხატებოდა მას.

ქალიშვილი გრძნობდა, რომ მხოლოდ ერთადერთი საშუალებით შეეძლო აღეკვეთა პატრონის ავი განზრახვა — ყველაფერი ეთქვა მალვინასათვის. მაგრამ იზაურას ისე ძლიერ უყვარდა თავისი ახალგაზრდა ქალბატონი, რომ ვერ ბედავდა გადაედგა ასეთი ნაბიჯი, რომელიც, ეჭვგარეშეა, საბოლოოდ გაფანტავდა იმ ბედნიერ და ტკბილ ნეტარებას, რომლითაც ახლა ცხოვრობდა მისი ქალბატონი. იზაურა მზად იყო დედამისივით თვითონ გამხდარიყო ბოროტების მსხვერპლი, ვიდრე საკუთარი ხელით შეექმნა საავდრო ღრუბელი საყვარელი სენიორას მანამდე მოწმენდილ, უღრუბლო ცაზე.

მალვინას გარდა, იზაურას ბედით უანგაროდ დაინტერესებული იყო მამამისი — უბრალო მოსამსახურე, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე საშუალება, რომ დაეცვა თავისი ქალიშვილი მოსალოდნელი ძალადობისაგან. ასეთ ვითარებაში იზაურას ისღა დარჩენოდა ჩუმად ეტირა თავის უბედურებაზე და ღმერთს შევედრებოდა მოწყალებას.

ახლა გასაგებია, თუ რატომ მღეროდა იზაურა საყვარელ სიმღერას ასეთი სევდიანი და მწარე ნაღველით სავსე ხმით. მალვინა კი შეცდა, როცა ეს სევდა სიყვარულის კაეშნად მიიჩნია.

ლეონსიოსთან საუბრის შემდეგ, თავის ოთახში დაბრუნებულ იზაურას მძიმე სევდა დაეუფლა. შიშისაგან თავზარდაცემულმა ქალიშვილმა გადაწყვიტა მიმალულიყო სახლის ან ბაღის რომელიმე მყუდრო ადგილას, რათა გარიდებოდა მსგავსი სამარცხვინო სცენების გამეორებას, რომელთა მოწმე და მონაწილეც თვით იყო. ნაჩქარევად გამოიცვალა ტანსაცმელი და მალულად გაიპარა ოთახიდან. ის შევიდა სასტუმრო დარბაზში, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა. მის წინ აღიმართა უცნაური და სასაცილო სუბიექტი, რომელიც მასავით ჩუმად, მხოლოდ მეორე მხრიდან, შემოვიდა დარბაზში.

ეს იყო ყველანაირ ადამიანურ ფორმებს მოკლებული არსება. უშველებელთავიანი მახინჯი ჯუჯა, რაქიტიანი ტანითა და მოკლე დაღრეცილი ფეხებით, ქოფაკივით ბანჯგვლიანი და მაიმუნივით უგვანო. ის მოგაგონებდათ შუა საუკუნეების მეფეთა ამალის განუყრელ წევრს — რომელიმე გროტესკულ მასხარას. ბუნებას დავიწყებოდა მისთვის კისრის ბოძება. ამიტომ უფორმო თავი პირდაპირ კუზიდან ამოზრდოდა. და მაინც სახის სწორი ნაკვთები სიკეთესა და მორჩილებას გამოხატავდნენ.

იზაურამ მოულოდნელობისაგან შეჰკივლა, ვინაიდან ვერაფრით ვერ შეეგუა ამ არსების შემაძრწუნებელ გარეგნობას. ეჭვს გარეშეა, მის წინ იდგა სენიორ ბელშიორი. მიუხედავად ყველა ფიზიკური ნაკლისა, ის უკვე მრავალი წლის მანძილზე ერთგულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა მებაღის მოვალეობას ფაზენდაში. სახლის ირგვლის საამოდ გადაშლილ მშვენიერ ყვავილნარს არც უფიქრია დამჭკნარიყო მებაღის ნაკლებად მიმზიდველი გარეგნობის გამო. არ ვიცი განგებამ, თუ შემოქმედის ახირებამ შექმნა ასეთი საოცარი შეხამება. როცა ერთის სიმახინჯით უფრო მკაფიოდ ჩანს მეორის სილამაზე.

ბელშიორს ერთ ხელში ჩალის ქუდი ეჭირა, რომელიც იზაურას დანახვაზე დაუვარდა, მეორეში კი — თაიგული, უფრო სწორად, მთელი იღლია ნაირფერი ყვავილებისა, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავდა მისი უცნაური ტანის ზედა ნაწილს. ამ დროს ბელშიორი მოგაგონებდათ იმ უზარმაზარ სასწაულებრივ ლარნაკს ყვავილებით, დიდი დარბაზის კუთხეებში, რომ დგამენ დღესასწაულზე.

— ღმერთო ჩემო, ესღა მაკლდა... გაიფიქრა იზაურამ. რა თქმა უნდა, მისი ატანა ადვილია, ის თაყვანისმცემლები მტანჯავდნენ მე, ამას კი შეიძლება დავცინო კიდეც.

— დილა მშვიდობისა, ბელშიორ! — მიმართა ქალიშვილმა მებაღეს. რაზე შეწუხებულხართ?

— სენიორა იზაურა, მე... მე... მოვედი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუღლუღებდა მებაღე.

— სენიორა? ეს მე ვარ, სენიორა? თქვენ დამცინით ბელშიორ!

— მე დაგცინით? რას ამბობთ... როგორ შეიძლება ,რომ სენიორას უპატივცემულოდ... ენა გამიხმეს თუ 'დაგცინოდეთ... მე, პირიქით... დიდი პატივისცემით... სენიორას ყვავილები მოვუტანე, იმიტომ რომ სენიორა თვითონ არის ყვავილი...

— გეყოფა ბელშიორ. ნუ მიწოდებ სენიორას! თუ ასე გააგრძელებ, გავბრაზდები და ყვავილებს აღარ ავიღებ. სენიორა... როგორ არა... ნუ გავიწყდებათ ბელშიორ, რომ მე დონა მალვინას მონა ვარ.

— კეთილი, კეთილი, იზაურა. სულ ერთია, ჩემთვის თქვენ მაინც სენიორა ხართ... და მე მზადა ვარ თქვენს ფეხებთან... უჰ, — როგორა ვთქვა... დავიჩოქო, რათა დავკოცნო ისინი... რა მინდა გითხრათ იცი, აი... ეს... — საცოდავი აქ სულმთლად დაიბნა.

— საინტერესოა, ბელშიორ, გააგრძელეთ...

— ჰო... რისი თქმა მინდა იცით, წარჩინებული არა ვარ, მართალია, მაგრამ თავისუფალი ვარ და შრომაც მეხერხება. ასე რომ, ყულაბა ცარიელი არა მაქვს. მასში, ალბათ, ნახევარ ათასამდე კრუზადო მოიძებნება... და ჩემი სიყვარულისათვის კაპიკსაც არ დავიშურებ, ოღონდაც თქვენ მონობიდან გამოგისყიდოთ. თქვენ მხოლოდ სიტყვა თქვით... მერე კი მზადა ვარ ცოლად შეგირთოთ.

— დიდი მადლობელი ვარ გულუხვობისათვის, ბელშიორ, მაგრამ ტყუილად ირჯებით. ჩემი ბატონები არავითარ ფულზე არ გამყიდიან.

— ო, რა საშინელებაა!.. ასეთი მზეთუნახავი და მონა! მე რომ მკითხონ, მირჩევნია თქვენნაირი მონის ყმა ვიყო, ვიდრე თავად მყავდეს ასი ათასი მონა! უთქვენოდ სიცოცხლეს ფასი არა აქვს ჩემთვის. აი, ვრწყავ ხოლმე ყვავილებს და სულ თქვენზე ვფიქრობ — ვოცნებობ...

— ნუთუ, მართლა? ახლა ვხედავ, როგორ გყვარებივარ!

ბელშიორი მუხლებზე დაეცა:

— სენიორა იზაურა! შეიბრალეთ საბრალო ტყვე, რომელიც... რომელსაც...

— ადექით, სასწრაფოდ ადექით! — აჩქარებით გააწყვეტინა ქალიშვილმა უმწეოდ მოლუღლუღე მებაღეს. — უცებ ბატონები რომ შემოვიდნენ და ჩვენ ასე დაგვინახონ! რაღა ვქნა მაშინ მე, ჰა?

რაკი იზაურამ ახსენა ბატონები, მოდით, ჩვენც გავიხსენოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდა დამოკიდებულება მათ შორის.

სასტუმრო დარბაზში წაკინკლავებამ საგრძნობლად გააბრაზა ფიცხი ენრიკე. სიძესთან ლაპარაკის შემდეგ წამოსული თავის დას სასაუზმე ოთახში შეხვდა. მალვინა ყავას ადუღებდა. ისე რომ, არ დაფიქრებულა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას, ჭაბუკმა ვერ დაიოკა თავისი გრძნობები და თავს უფლება მისცა მალვინას თანდასწრებით წამოესროლა რამდენიმე დაუფიქრებელი სიტყვა, რომლებმაც ქალს გულში ეჭვი და შეშფოთება ჩაუღვარა.

— უ, რა პირუტყვია ეს შენი ქმარი! — წამოიძახა სიბრაზისაგან გაცეცხლებულმა.

— რას ამბობ, ენრიკე? რას უწოდებ მას? — იკითხა ძმის სიბრაზით განცვიფრებულმა მალვინამ.

— მაპატიე, დაო... შენ რომ იცოდე, რა სამარცხვინოა იგი...

— ავად ხომ არა ხარ, ენრიკე? რას მიედ-მოედები? — შეაწყვეტინა ახალგაზრდა ქალმა.

— ღმერთო ძლიერო, — წაიბუტბუტა ჭაბუკმა თავისთვის, — ისე ქენი, რომ მან არასოდეს გაიგოს სიმდაბლე მისი...

— ამიხსენი! რაშია საქმე? რა მოგვიდათ? — მალვინამ მომეტებული შეშფოთებით ჩახედა ძმას თვალებში.

— არა, არაფერი... ნუ ღელავ, — უპასუხა ენრიკემ. ის უკვე წუხდა წამოცდენილ სიტყვებს. ენრიკე ხვდებოდა, რომ შეიძლება საკვალალო და მეტად სამწუხარო როლი ეთამაშა და ცოლ-ქმრის დღემდე უღრუბლო ურთიერთობაში განხეთქილება ჩამოეგდო. ამიტომ ჭაბუკი შეეცადა ნათქვამის გაქარვებას. — ნუ ღელავ, — განაგრძო მან ნაძალადევი ღიმილით, — უბრალოდ, შენი ქმარი დიდი ჯიუტი ვინმეა. მხოლოდ ნუ იფიქრებ, გეთაყვა, რომ ჩვენ დუელში ვაპირებთ გასვლას.

— კი მაგრამ, რომ შემოხვედი, შენ ისეთი სახე გქონდა... ანთებული თვალები, სიბრაზისაგან გაცეცხლებული...

— გაცეცხლებული... შენ რა, მე არ მიცნობ? ყოველთვის ასე ვარ, ბზესავით ავგიზგიზდები, მაგრამ მალევე მივნელდები.

— მე კი შემაშინე და...

— მაპატიე დაიკო. სჯობს ყავა დალიო. — დაამთავრა ენრიკემ საუბარი და მალვინას სურნელოვანი სასმელით სავსე ფინჯანი მიაწოდა.

ახალგაზრდა ქალი შეეცადა დაწყნარებულიყო, მაგრამ ძმის სიტყვებმა სულში აუხსნელი შიში ჩაუნერგა.

ამ დროს გამოჩნდა ლეონსიო და სამივე, ისე რომ კრინტი არ დაუძრავთ, ყავას შეექცა. ისინი უხერხულად გრძნობდნენ თავს, ერთმანეთს უნდობლად უყურებდნენ და ყველაფრიდან ჩანდა, რომ, ამ წუთიდან, სულ ცოტა ხნის წინათ ასე წყნარსა და მხიარულ პატარა ოჯახში, განხეთქილების ჭიამ დაიბუდა.

ყავა დალიეს და უხმოდ დაიშალნენ. მაგრამ განგებამ ისინი სხვადასხვა გზით: ხელიხელგაყრილი ენრიკე და მალვინა გარე შუშაბანდის, ლეონსიო კი მარტო ოთახების გავლით ერთ ადგილზე — სასტუმრო ოთახში მიიყვანა. მიზანთან ლეონსიო მივიდა პირველი. მან ოთახში აღმოაჩინა იზაურა, რომელსაც ბედმა მისი ახლადშექმნილი ოჯახის დანგრევა დააკისრა. ახალგაზრდა კაცმა ოთახის ზღურბლთან ნაბიჯი სწორედ იმწუთს შეანელა, როცა ბელშიორი იზაურას წინაშე მუხლებზე დაეცა. სქელ ფარდას ამოფარებულ ლეონსიოს შეეძლო შეუმჩნევლად ედევნებინა თვალყური ოთახში გათამაშებული სცენისათვის, მაგრამ თავის მხრივ, ვერც თვითონ შეამჩნია შუშაბანდში მომავალი ენრიკე და მალვინა, რომლებიც სასტუმრო დარბაზს საპირისპირო მხრიდან მოუახლოვდნენ და მეორე კარებთან შეჩერდნენ. ლეონსიო რამდენიმე წამს უყურებდა მის თვალწინ მომხდარს და ნაბიჯი წინ იმ დროს გადადგა, როცა იზაურა ბელშიორს ეხვეწებოდა ფეხზე ამდგარიყო და თან ბატონების გამოჩენით აშინებდა.

— ერიჰა! — ჩაიცინა ფაზენდის პატრონმა. — მგონი, ჩემს სახლში კერპი გამოჩნდა, რომლის წინაშე პირქვე ემხობა ყველა! — ჩემი მებაღეც კი... დიდად სასიამოვნოა თქვენი მხრიდან, სენიორ ბელშიორ... — შეუღრინა გუნებაწამხდარ კუზიანს. — ოღონდაც ეს მებაღის საალერსო ყვავილი არ არის! — ლეონსიოს ხმამ დამცინავი კილო დაკარგა და ბოროტად წაისისინა: — გახსოვდეს ეს, მახინჯო!

— მაპატიეთ, ბატონო, — წაილუღლუღა დაბნეულმა, შიშისაგან

აკანკალებულმა მებაღემ — მე აქ, ოთახებში ყვავილები მოვიტანე, როგორც ყოველთვის და აი...

— და მუხლებზე აღმოჩნდი, ვხედავ. აი, თუ კიდევ შეგამჩნიე არშიყობა, ფაზენდიდან პანღურით გაგაგდებ. გაეთრიე აქედან!

დამფრთხალმა ბელშიორმა ტყაპატყუპით მოუსვა ოთახიდან, თან ბრმასავით სკამებს აწყდებოდა.

— იზაურა! ჩემო იზაურა! — ხმა დაიტკბო ლეონსიომ და ხელებგაშლილი, ალერსიანი ღიმილით ქალიშვილისაკენ გაემართა.

ლეონსიომ ვერ მოასწრო მონა ქალს შეხებოდა, რომ გვერდიდან გაგონილმა ხმამაღალმა კვნესამ აიძულა გაჩერებულიყო. ის წამიერად გაირინდა, შემობრუნდა და შუშაბანდში გამავალ კარებთან თვალი მოჰკრა გაფითრებულ მალვინას, რომელიც ენრიკეს ხელკავით ეჭირა.

— ო, ძმაო, ახლა კი ვხედავ, რისი თქმაც გინდოდა, — ნაღვლიანად წარმოთქვა ქალმა. ერთი ხელი გულზე მიიდო, რომელიც, როგორც მოეჩვენა, ტკივილისაგან გასკდომას ლამობდა, მეორეში კი ცხვირსახოცი ეჭირა და ცდილობდა დაბინდულ თვალთაგან ცრემლის ნაკადის შეჩერებას. მალვინამ მეტს ვეღარ გაუძლო ,უკან გამობრუნდა, თავის ოთახში შევარდა და შიგნით ჩაიკეტა.

ლეონსიო საკმაოდ გააბრაზა ამ მეტად უხერხულმა სცენამ, ის კიდევ დიდხანს აწყდებოდა აქეთ-იქით სასტუმრო ოთახში და ხელებს მუშტავდა გაცოფებული. — ეშმაკმა წაიღოს ეს თავხედი ლაწირაკი! — ცხარობდა ფაზენდის პატრონი. — მის გამო ახლა შეიძლება ხელიდან გამისხლტეს იზაურა. რა წყალში ჩავვარდე, როგორ დავაღწიო თავი ამ ხათაბალას...

იზაურა, რომელმაც ერთ საათში ამდენი რამ გადაიტანა, ძალზე დაბნეული და შეცბუნებული იყო სასტუმრო ოთახში მომხდარი ამბებით. ამიტომ, დრო იხელთა თუ არა, გასხლტა სახლიდან და მწევრებდადევნებული კურდღელივით, თავი ბაღში ფორთოხლის ხეებს შეაფარა.

სიძეზე გულმოსულ ენრიკეს საერთოდ არ უნდოდა მასთან კვლავ შეხვედრა, ამიტომ აიღო თოფი და ტყეში წავიდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა საღამომდე ენადირა, მეორე დილით კი დაეტოვებინა ფაზენდა და ქალაქში წასულიყო.

ასეთი ამბების შემდეგ, რა გასაკვირია, თუ ლეონსიოს მარტოს მოუწია სადილობამ, რამაც, სხვათა შორის, დიდი მითქმა-მოთქმა

გამოიწვია შინაყმებში. ფაზენდის პატრონმა რამდენჯერმე გაგზავნა მონა ცოლის დასაძახებლად, მაგრამ მან შემოთვალა — შეუძლოდ ვარო და უარი განაცხადა სადილზე. ამის გაგონებაზე. განრისხებულმა ლეონსიომ, სიბრაზისაგან კინალამ ფანჯარაში მოსტყორცნა გაწყობილი სუფრა, შემდეგ გადაწყვიტა მოეძებნა ცოლის ძმა, რათა სანაქებოდ მიებეგვა იგი. — მაინც რა უდროო დროს გამოჩნდა ეს ვიგინდარა მის სახლში? თითქოს საგანგებოდ მისი მშვიდი ცხოვრების დასანგრევად ჩამოვიდა, — მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ. როცა კარგად აწონ-დაწონა საქმე, ლეონსიო ძიხვდა, რომ სჯობდა დაწყნარებულიყო და ზედმეტი მძვინვარებით თავი არ გაეცა, გულგრილად აეტანა ცოლის გაბუტვაცა და ნათესავის საზიზღარი საქციელიც. ახალგაზრდა ფაზენდეირო გრძნობდა, რომ დღეიდან ის ვეღარ მოახერხებდა თავისი ავხორცი ზრახვების დამალვას; მეორე მხრივ, ცოლისათვის პატიების თხოვა და ბოდიშის მოხდა მის ხასიათს არ ესადაგებოდა და არც აპირებდა. ამიტომ მოსალოდნელი ქარიშხლისაგან თავის დაცვა ლეონსიომ დამცინავი გულგრილობის ნიღბით არჩია. ამისკენ მას უბიძგებდა თავხედური ქედმალლობა და ცინიკური რწმენა იმისა, რომ ქალებს, საერთოდ, ზერელე წარმოდგენა აქვთ თავმოყვარეობასა და სინდისზე.

ლეონსიომ ბრძანა ცხენი შეეკაზმათ და ვითომც არაფერი, ისე გაემართა ყავის პლანტაციაში ნაკაფის შესამოწმებლად, რასაც, საერთოდ, იშვიათად აკეთებდა. სახლში რომ დაბრუნდა, კარგა დაბინდებული იყო, წყნარად და გვარიანად ივახშმა, შემდეგ სასტუმრო ოთახში შევიდა, რბილ დივანზე გაიშხლართა და სურნელოვანი სიგარეტი გააბოლა.

ამასობაში ენრიკეც დაბრუნდა ნადირობიდან. ოთახებში ამაო ძებნის შემდეგ მან თავისი და, როგორც იქნა, აღმოაჩინა საძინებელში. მალვინა ფერმკრთალი, თმებგაწეწილი და ტირილისაგან დასიებული თვალებით დახვდა ძმას.

— სად დაიკარგე, ენრიკე? შეიძლება ასე? უსაყვედურა ძმას. — ეს რა სულელური ჩვევაა, მარტო რატომ დამტოვე?

— მარტო? როგორ, შენი საყვარელი ქმარი სათვალავში აღარ შედის?

— ნუ გამახსენებ იმ არამზადას... მან მე მომატყუა! ახლა კი ვხვდები, რომ ყველაზე უარესი დამემართა... ასეთი ვერაგობა?!

— კიდევ კარგი, რომ საკუთარი თვალით ნახე, რის თქმასაც მე

ვერ ვბედავდი შენთვის, — ამოიოხრა ენრიკემ. — ეჰ, რას იზამ... ახლა რას აპირებ?

— რას ვაპირებ?.. ჯანდაბას... შენ ნახე ის? სად არის?

— მგონი, სასტუმრო ოთახში, დივანზეა გაშხლართული.

— კარგი. მაშინ, ენრიკე, გამომყევი იქ, გეთაყვა.

— მე გჭირდები? სიმართლე გითხრა, იმ პირუტყვის ნახვის არავითარი სურვილი არა მაქვს.

— არა, არა, მე მინდა, რომ შენ ჩემთან იყო, ამიტომ გელოდებოდი. მე მეშინია მისი და მინდა, რომ გვერდით ერთგული ადამიანი მყავდეს.

— გასაგებია, შენ გინდა რომ მე ვიყო შენი დამცველი, რათა გაბედულად ელაპარაკო მას. კეთილი, თანახმა ვარ. ერთი გაბედოს და გაწყენინოს რამე!

თავი VI

— სენიორ ლეონსიო, — დაიწყო მღელვარებისაგან დაძაბული ხმით მალვინამ და მიუახლოვდა დივანს, რომელზეც მისი ქმარი იყო გაშხლართული, — მე მინდა მოგელაპარაკოთ, თუ თქვენ ეს არ შეგაწუხებთ.

— მე ყოველთვის მზადა ვარ გემსახურო, ძვირფასო. — ვითომც არაფერი, თავაზიანად გაუღიმა და წამოდგა ლეონსიო. — რა გნებავს?

— მე მინდა გითხრათ, — ახალგაზრდა ქალი ამაოდ ცდილობდა მიეღო მშვიდი გამომეტყველება, — მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ მეტად შეუფერებლად და უსინდისოდ მოიქეცით. დამამცირეთ და მიღალატეთ!

— წმინდაო უფალო, როგორ გეკადრებათ, ძვირფასო? გთხოვთ კარგად ამიხსნათ, თორემ მე არაფერი მესმის...

— ნუ თვალთმაქცობ, სენიორ. — თქვენ მშვენივრად იცით ჩემი მრისხანების მიზეზი. მე დიდი ხანია ვგრძნობდი ამას. თქვენ აღარა ხართ ალერსიანი, პირდაპირ სიცივესა და გულგრილობას აფრქვევთ ჩემს მიმართ.

— ეჰ, ჩემო კარგო, შენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებ ამას.

ან იქნებ გინდა, თაფლობის თვე უსასრულოდ გაგრძელდეს? თვითონ პირველს მოგბეზრდებოდა ასეთი ერთფეროვნება.

— დამცინით კიდეც? ვაი, სირცხვილო! — წამოიძახა მალვინამ და სიბრაზე ვეღარ დამალა. ლოყები წამოენთო და თვალებში შეუკავებელმა რისხვამ იელვა.

— ასე რად გაცხარდი, საყვარელო, მე ხომ გეხუმრები? — ლეონსიომ დააპირა მკლავზე შეხებოდა მეუღლეს.

— ეს რა ხუმრობაა! — მალვინამ სწრაფად გამოგლიჯა ხელი. — ხელი არ შემახოთ, სენიორ! ვაი, სირცხვილო... რა ლაფი დაგვესხა თავს!

— იქნებ გამარკვიო, რაშია საქმე?

— მე არაფერი მაქვს გასარკვევი, თქვენ ისეც მშვენივრად იცით ყველაფერი. მე მხოლოდ მოვითხოვ...

— ბრძანე გენაცვალე, ჰქენი ეგ სიკეთე.

— თქვენ დღესვე უნდა გადაწყვიტოთ იმ მონა ქალის ხვედრი, რომელსაც ფეხქვეშ ეგებით. გაათავისუფლეთ ის, გაყიდეთ, რაც გინდათ ის ქენით, მხოლოდ მან უნდა დატოვოს ეს სახლი. წინააღმდეგ შემთხვევაში მე წავალ აქედან. აირჩიეთ ჩვენ ორიდან ერთი, სენიორ! დღესვე!

— დღესვე?

— დიახ, დაუყოვნებლივ!

— შენ ძალზე უსამართლოდ მექცევი, მალვინა. — ცოლის გაცხარებით რამდენადმე გაკვირვებულმა ლეონსიომ დროის გაჭიანურება გადაწყვიტა.

— შენ ხომ იცი, მე თვითონ მინდოდა იზაურას განთავისუფლება, მაგრამ ეს განა ჩემზეა დამოკიდებული? ასეთ საქმეებს მამაჩემი განაგებს.

— უდღეური თავის მართლებაა, სენიორ! მამათქვენმა დიდი ხანია გადმოგცათ ფაზენდაც,მონებიც. თვითონ შეგიძლიათ ყველაფრის გადაწყვეტა. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ ჩემს თავს თქვენ გირჩევნიათ ეს...

— სისულელეს ნუ ამბობ, მალვინა!

— სისულელე? ვინ იცის... ამ გომბიოს ბედი ახლავე უნდა გადაწყვიტოთ, თუ არ გინდათ, რომ სამუდამოდ მივატოვო თქვენი სახლი. მე ერთ წუთსაც აღარ დავტოვებ ჩემს მოახლედ იზაურას.

— აბა, რას გეუბნებოდით? — ჩაერია ენრიკე, რომელსაც

ეტყობოდა, მოსწყინდა ჩუმად დგომა. — ხედავთ, სადამდე მივყავართ მომხიბლავი ზიზილ-პიპილით სახლის დამშვენებას!

— ეს ზიზილ-პიპილა ხელს არავის შეუშლიდა, თუ არა საძაგელი ჭორიკნები, რომლებიც მის ხელში ჩაგდებას ცდილობენ და მზად არიან მყუდროება დაარღვიონ სხვის სახლში, — მოუჭრა ლეონსიომ.

— ყველას თქვენი საზომით ნუ ზომავთ, სენიორ! რაც შეეხება მყუდროებას სხვის სახლში, — ვალში არ დარჩა ენრიკე — მინდოდა გამეგო, ხომ არ გადაიყვანდით ამ ზიზილას სასტუმროდან საძინებელ ოთახში და შეურაცხყოფდით ჩემს დას?

პასუხად ლეონსიომ რაღაც ჩაიბურტყუნა და განრისხებული მუქარით გაემართა ენრიკესაკენ.

— კმარა ბატონებო! — წამოიყვირა მალვინამ და აფოფრილ კაცებს შუაში ჩაუდგა. — კამათის გაგრძელება სამარცხვინო და შეუფერებელია. მე ყველაფერი ვუთხარი სენიორ ლეონსიოს. ახლა კი თვითონ გადაწყვიტოს. მას კიდევ შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც პატიოსან კაცს შეშვენის, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემს სიძულვილს დაიმსახურებს.

— მომისმინე, მალვინა, — შემრიგებლური ტონით დაიწყო ლეონსიომ, — მე მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი შენს საამებლად, მაგრამ, გაიგე, იზაურას უცებ განთავისუფლება არ შეიძლება. რაც გინდა იფიქრე, მაგრამ მე მაინც უნდა მოველაპარაკო მამას. ის კი ახლა ქალაქშია და სულაც არ აპირებს იზაურას გაშვებას. ხომ იცი, მამამისის თავიდან მოსაცილებლად ისეთი თანხა დაასახელა, რომ ის უბედური ვერასოდეს შეაგროვებს.

— ეჰეი, მასპინძელო! — გაისმა უცებ მქუხარე ხმა, რომლის პატრონიც, როგორც ჩანდა, კიბეზე ამოვიდა და შესასვლელთან შეჩერდა. — შეიძლება შემოვიდე!

— მობრძანდით! — გასძახა ლეონსიომ პასუხად, თან გულში ღმერთს მადლობას უძღვნიდა, რომ შეწყდა გაჭიანურებული უსიამო ლაპარაკი და როგორც იქნა, მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდა.

მაგრამ ლეონსიოს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. მოულოდნელი სტუმარი იყო იზაურას მამა — მიგელი, ფაზენდის სწორედ ის ყოფილი მოურავი, რომელიც მოხუცმა კომანდორმა ასე უხეშად გააძევა. დარბაზში შეკრებილთაგან არც ერთი მას სახეზე არ იცნობდა და ამიტომ პატივით მიიღეს.

— დაბრძანდით, სენიორ, გთხოვთ, — გულღიად მიიპატიჟა ფაზენდის პატრონმა. მოხარული ვართ თქვენი სტუმრობით. რას ვუმადლოდეთ თქვენს მობრძანებას?

— დიდი მადლობელი ვარ! — სტუმარმა ყველას თავაზიანად დაუკრა თავი. — თქვენი მოწყალება, ალბათ, სენიორ ლეონსიო ბრძანდება?

— მზად ვარ გემსახუროთ.

— ძალიან კარგი. რადგან თქვენი პატივცემული მამა აქ არ გახლავთ, მე მსურს მოველაპარაკო თქვენს მოწყალებას. თავს დიდხანს არ შეგაწყენთ, პატარა საქმე მაქვს. ვფიქრობ, ყველაფერი შემიძლია გადავწყვიტო თქვენთან ამ ბატონების თანდასწრებით, რომლებიც, ჩანს, თქვენი მოწყალების ნათესავები არიან.

— რასაკვირველია. ჩვენ შორის დასამალი არაფერია.

— მაშ ასე, სენიორ ლეონსიო, — დაიწყო მიგელმა, თან ფართო ჯიბიდან ქისა ამოიღო და ახალგაზრდა კაცს გაუწოდა, — თქვენი მოწყალება აქ ზუსტად იმდენ ფულს ნახავს, რამდენიც თქვენმა პატივცემულმა მამამ დაასახელა თქვენი ფაზენდიდან ერთი მონის გასათავისუფლებლად. მას იზაურას ეძახიან.

ამის გაგონებაზე ლეონსიო გაშრა, თუმცა, უნებურად მაინც ჩამოართვა გაწვდილი ქისა და რამდენიმე ხანს ასე გაუნძრეველად იდგა.

— როგორ მე... ე-ე... მესმის, — წარმოთქვა როგორც იქნა. — სენიორი, ჩანს... ე-ე... ხსენებული მონის მამაა... სენიორ... ე-ე... დამავიწყდა, რა გქვიათ თქვენ...

— მიგელი, თქვენო მოწყალებავ.

— ჰო, მართალია, მაშ ასე, სენიორ მიგელ, მე, რა თქმა უნდა, ფრიად მოხარული ვარ, რომ თქვენ შეაგროვეთ ქალიშვილის გამოსახსნელი თანხა. ის, რასაკვირველია, იმსახურებს ამას...

ვიდრე ლეონსიო ქისას გახსნის და ძალიან ნელა, სათითაოდ გადათვლის ფულს, რომ დრო მოიგოს და მოიფიქროს, როგორ მოიქცეს, მოდით, ჩვენ ვისარგებლოთ ამით და უკეთესად გავეცნოთ იზაურას მამას, კეთილსინდისიერ პორტუგალიელს, რომელიც აქამდე არ მოხვედრილა ჩვენი მხედველობის არეში.

სენიორ მიგელი იყო ორმოცდაათ წელს ცოტა გადაცილებული კაცი. მის ფართო სახეზე კეთილშობილება, გულკეთილობა და სინდისი იყო აღბეჭდილი. მას ღარიბულად, მაგრამ კოხტად და სუფთად ეცვა. პორტუგალიელს ქცევაზე ეტყობოდა, რომ ის არ ეკუთ-

ვნოდა მის თანამემამულეთა იმ კატეგორიას, რომელიც ბრაზილიას სიმდიდრის საძიებლად მოაწყდა. მისი ქცევა და ლაპარაკი ზრდილი და განათლებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მართლაც, მიგელი იყო ძველი, კეთილშობილი მიგელისტების[1] ოჯახის შთამომავალი. მისი მშობლები პოლიტიკურმა ინტრიგამ იმსხვერპლა და აიძულა ბრაზილიაში გადასახლებულიყვნენ. აქ ისინი ისე გარდაიცვალნენ, რომ სამემკვიდრეოდ არაფერი დაუტოვებიათ თავისი თვრამეტი წლის შვილისათვის. ქონებასა და პროტექციას მოკლებული, მარტოდ დარჩენილი მიგელი იძულებული იყო საკუთარი ხელით ეშოვა ლუკმაპური. ხან მებაღედ მუშაობდა, ხან მებოსტნედ, შემდგომში — სხვისი მამულების მოურავად. ბუნებით გამჭრიახი და ენერგიული, ნებისმიერ სამუშაოს იოლად და მარჯვედ ასრულებდა.

ლეონსიოს მამას შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მიგელს, შეეფასებინა მისი უნარი და აეყვანა თავისი ფაზენდის მოურავად. ამ თანამდებობაზე პორტუგალიელი დიდხანს მუშაობდა და სარგებლობდა ბატონისა და ხელქვეითების პატივისცემით, ვიდრე არ ჩაიდინა ჩვენთვის უკვე ცნობილი საბედისწერო, მაგრამ საპატიო ლმობიერება, რის გამოც ის გააგდო მისმა პატრონმა. მიგელმა მწარე წყენა და ღრმა მწუხარება განიცადა, მაგრამ არა საკუთარი სულმოკლეობის, არამედ იმ ორი უბედური და საყვარელი ქმნილების გამო, რომელთა დაცვაც მას არ შეეძლო თავხედი და ულმობელი ბატონისაგან.

კომანდორის ნებას დამორჩილებული ეს კეთილი კაცი დიდხანს არ დარჩენილა უსაქმოდ. მრავალი ახლო-მახლო მცხოვრები პლანტატორი, რომლებმაც იცოდნენ მისი უნარი, მზად იყო სამუშაო მიეცა მისთვის. მიგელმა არჩევანი ძველი ბატონის მეზობლად მდებარე ფაზენდაზე შეაჩერა, რათა ახლოს ყოფილიყო საყვარელ ქალიშვილთან.

თითქმის ყოველთვის, როცა კომანდორი შინ არ იყო, მიგელი მიიჩქაროდა იზაურას სანახავად, რომლის სიყვარულიც წლითიწლო-

---

[1] მიგელისტები — აბსოლუტიზმის მიმდევრები.

ბით უფრო და უფრო იზრდებოდა. მოხუცი სენიორა, თუ ქმარი სახლში არ იყო, ნებას აძლევდა პორტუგალიელს დაუფარავად მისულიყო და ენახა მისი ერთადერთი სიხარული — იზაურა. გოგონა ქალბატონსაც ახარებდა, რომლის სახითაც ღმერთმა მას მეორე დედა მოუვლინა. ყოველ შემთხვევაში კეთილი ქალბატონი არანაკლები სინაზითა და სიყვარულით ეპყრობოდა იზაურას, ხოლო დაცვა და დახმარება მამაზე გაცილებით უკეთ შეეძლო. კეთილისმყოფელი ქალბატონის მოულოდნელმა სიკვდილმა გული გაუტეხა საბრალო ქალიშვილს და როგორც მას ეგონა, მისი ყველა ტკბილი ოცნება დაასამარა.

თუმცა, როგორც დავინახეთ, ქალბატონის სიკვდილი, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იზაურას მთელი იმედების მსხვრევას, რადგან, ღარიბი, მაგრამ მოსიყვარულე მშობელი მამის გულს შეუძლია უმძიმესი დაბრკოლებებიც კი გადალახოს. მიგელმა დასძლია სიძულვილი და ზიზღი ალმეიდას მიმართ და მრავალჯერ თაყვანი სცა მუხანათ კომანდორს, ამასთან, მორჩილად სთხოვდა დაენიშნა იზაურას გამოსასყიდი თანხა.

— ე, ძმობილო, შენ სიცოცხლეში ვერ იშოვი იმდენ ფულს, ასე რომ, შენი გოგონა ჩემთან დარჩება. — ეუბნებოდა პირზე ცინიკური ღიმილით უდრეკი მონათმფლობელი დამწუხრებულ მამას. მაგრამ მიგელი თავისას არ იშლიდა და ბოლოსდაბოლოს, თავიდან რომ მოეცილებინა ეს აბეზარი მათხოვარი, კომანდორმა განაცხადა: — თუ შეძლებ ერთ წელში შეაგროვო ათი ათასი რეისი[1], გოგონა შენი იქნება... და ღვთის გულისათვის, მეტს ნუღარ შემაწუხებ. დაიმახსოვრე: ერთი წლის მერე ფულს თუ არ მოიტან — ლაპარაკი გათავებულია!

— ათი ათასი! — შეჰკივლა განცვიფრებულმა პორტუგალიელმა. უზარმაზარი თანხაა ჩემთვის, სენიორ, მაგრამ ჩემი ქალიშვილი ღირს ამ ფასად. რას იზამ, თავს მოვიკლავ და ფულს დროზე მოვიტან. ღმერთი შემეწევა!

და, აი, ეს საწყალი კაცი ბეჯითად შრომობდა, ყველაფერზე უარი თქვა, გაყიდა რაც გააჩნდა და წლის ბოლოს, მაინც, საჭირო თანხის მხოლოდ ნახევარი თუ ექნებოდა შეგროვილი. მაგრამ მას ბედმა გაუღიმა: ახალმა ბატონმა, გაიგო რა ასეთი გამოძალვისა და ტანჯვის შესახებ, დიდსულოვნად ასესხა საჭირო რამდენიმე ათასი რეისი მიგელს ამ წმინდა და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

---

[1] რეისი — ფულის ერთეული ბრაზილიაში.

ლეონსიოს, როგორც მამამისს, შეუძლებლად მიაჩნდა ღარიბი პორტუგალიელისათვის ასეთი თანხის დროზე შეგროვება და ამიტომ საკმაოდ თავგზააბნეული იყო, როცა საჭირო თანხა პირდაპირ ხელში ჩაუდეს მას.

— ო... მართლაც ათი ათასია... — წარმოთქვა ლეონსიომ, როცა, როგორც იქნა, დაამთავრა ფულის თვლა. — ზუსტად იმდენი, რამდენიც მამამ დანიშნა. თავისთვის კი ჩაიბურტყუნა: „ჰო, მოტყუვდა მამაჩემი, მე ასეთ გოგოს ასი ათასადაც არ მივცემდი!“ — კეთილი, სენიორ მიგელ, — ხმამაღლა გააგრძელა ლეონსიომ და ქისა დაუბრუნა, — ჯერჯერობით თქვენ გქონდეთ ეს ფული. იზაურა მე არ მეკუთვნის. — ის მხოლოდ მამაჩემის საკუთრებაა. მამა კი ახლა ქალაქშია და არავითარი მითითება არ დაუტოვებია. ასე რომ, მას უნდა მოველაპარაკოთ.

— კი მაგრამ, თქვენი მოწყალება ხომ კომანდორის ერთადერთი შვილი და მემკვიდრეა და თვითონ შეგეძლოთ...

— კმარა. სენიორ მიგელ, — უხეშად შეაწყვეტინა ლეონსიომ — მამაჩემი, მადლობა ღმერთს, ჯერ ცოცხალია და მე უფლება არა მაქვს თვითნებურად განვაგო მისი ქონება, თუნდაც ჩემთვის მემკვიდრეობაში მოცემული.

— ასეთ შემთხვევაში, სენიორ, — დაბეჯითებით განაგრძობდა იზაურას მამა, — გთხოვთ, აიღოთ ეს ფული და გაუგზავნოთ თქვენს პატივცემულ მამას და ჩემი სახელით სთხოვოთ შეასრულოს მისი დანაპირები და გაათავისუფლოს იზაურა.

— შენ კიდევ ყოყმანობ? — გაბრაზებული ხმით იკითხა მალვინამ, რომელიც სწრაფად კარგავდა მოთმინებას და გული მოსდიოდა ქმრის ხრიკებზე, როგორმე გაეჭიანურებინა საქმე. — სასწრაფოდ მიწერე მამას, თუ შენში ოდნავ მაინც დარჩა სინდისი, შენ უნდა დაეხმარო გოგოს განთავისუფლებაში.

საქმის ვითარებით კუთხეში მიმწყვდეულ და ცოლის მზერით ცეცხლმოდებულ ლეონსიოს სხვა გზა აღარა ჰქონდა. სიმწრით მომუშტული ხელებითა და პირქუში სახით ის მიუჯდა მაგიდას და გონებაში ცდილობდა გამოეცნო, როგორ მიიღებდა მამამისი ამ ბარათს. მალვინა და ენრიკე ჩუმად საუბრობდნენ ფანჯარასთან. მიგელი მოპირდაპირე კუთხეში იჯდა და მშვიდად ელოდებოდა, როდის დაწერდა ლეონსიო სასურველ წერილს.

ამ წუთს ბუდმა ჩვენი მოთხრობის გმირი სასტუმრო ოთახში მო-

ოყვანა. სადღაც ბაღში მიმალულმა იზაურამ გადაწყვიტა შინ დაბრუნება და ეს-ესაა სასტუმროში გაკვირვებით შეხვდა მიგელს. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა: მამა, რაშია საქმე? — ჩვეულებრივზე მხიარულად გამოიყურებით...

— ჩუმად, — ჩაილაპარაკა მიგელმა, ტუჩებზე თითი მიიდო და თვალით ლეონსიოზე აჩვენა. ის, მგონი, მზადაა დაგვითმოს.

— მართლა? როგორ მოახერხეთ, მამა?

— როგორ?.. ფულით, როგორ კიდევ. მე გამოგისყიდი, შვილო და მალე შენ თავისუფალი იქნები.

— ოჰ, მამა! რა კეთილი ხართ! რომ იცოდეთ, რა ხშირად მესიზმრება თავისუფლება! კი მაგრამ, რა ფასი უნდა გადაიხადოთ? ღმერთო ჩემო, მე ვერც კი ვბედავ ფასზე ლაპარაკს. ჩემი სული კი მღერის, — განაგრძო ქალიშვილმა, თან მხურვალედ კოცნიდა მამას ხელებზე. — მე უკვე იმედიც კი დამეკარგა.

— დამშვიდდი, შვილო. — მამამ იზაურა გულში ჩაიხუტა. — ზეცამ გადმოგვხედა, ინებებს ღმერთი, შენ მალე თავისუფალი იქნები!

— ის უკვე თანახმაა? — შიშით იკითხა ქალიშვილმა და თვალით ლეონსიოზე აჩვენა.

— მე, მას კი არა, მოხუც კომანდორს მოველაპარაკე. ახლა მას უნდა მიწეროს.

— მაშ, იმედია. აი, მარტო სენიორ ლეონსიო რომ წყვეტდეს, მაშინ სიკვდილამდე თავისუფლება არ მეღირსება!

მოდით, თავი დავანებოთ მამისა და შვილის საუბარს და ყურადღება მივაპყროთ ფაზენდის ახალგაზრდა პატრონს, რომელზეც ამ წუთს იყო დამოკიდებული იზაურას ბედი.

— წყეულიმც იყოს! — გამოსცრა ახალგაზრდა კაცმა და ფეხზე წამომდგარმა მუშტი დაჰკრა მაგიდას. — ბოლო უნდა მოეღოს ამ სულელურ წამოწყებას!

— დაამთავრე წერილი? — იკითხა მალვინამ და ქმარს შეხედა.

ლეონსიომ ვერ მოასწრო ცოლისთვის პასუხის გაცემა, რადგან ამ დროს ოთახში ლაქია შემოვიდა ჩქარი ნაბიჯით და ბატონს ლანგარზე დადებული შავზოლიანი კონვერტი მიაწოდა.

— სამგლოვიარო წერილი! ღმერთო ჩემო... ლეონსიო გაფითრდა და აკანკალებული თითებით გახსნა კონვერტი. სწრაფად გადაავლო თვალი ბარათს, დაეშვა სკამზე და თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

— რა მოხდა, ლეონსიო? — შიშით იკითხა მალვინამ. პასუხი რომ

ვერ მიიღო, თვითონ აიღო წერილი მაგიდიდან და ხმამაღლა წაიკითხა.

„ლეონსიო, მე უნდა შეგატყობინო სამწუხარო ამბავი, რომელსაც შენი გული მშვიდად ვერ მიიღებს. ბედმა შენ მძიმე განსაცდელი მოგიმზადა, რომელიც მორჩილად უნდა გადაიტანო. ჩვენ შორის აღარ არის მამათქვენი. გუშინწინ ის უდროოდ გარდაიცვალა გულს შეტევით...“.

— ო! ღმერთო ჩემო! ყველაფერი დაიღუპა! — მწუხარედ ამოიგმინა მამის გვერდზე მიყრდნობილმა იზაურამ. — არავითარი იმედი...

— ვინ იცის, ჩემო გოგონა?.. ნაღვლიანად გამოეპასუხა მამა. — გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი არ გაგვწირავს.

თავი VII

ახლა მთლიანად ლეონსიოს საკუთრებაში გადმოსულ ფაზენდის მრავალ შენობებს შორის იყო ერთი დიდი, უხეშად ნაგები ფარდული. საკმაოდ მოუწყობელი ნაგებობა მიწის იატაკითა და დიდი ხის ცხაურით აჭედილი ღიობებით ფანჯრების მაგიერ. ამ შენობაში მრთველები და მქსოველი მონები მუშაობდნენ. ფარდულში იდგა უშნოდ შეჭედილი უზურგო სკამები და მაგიდები, ძაფის სართავი და სახვევი ჩარხები, კუთხეში კი უშველებელი საქსოვი დაზგა.

კედლების გასწვრივ, სინათლეზე იჯდა ოცი-ოცდაათი მრთველი — ზანგი და მულატი ქალები. რამდენიმე მათგანს მუხლებზე ძუძუთა ბავშვი ეჯდა, უფრო მოზრდილები კი იატაკზე ფუსფუსებდნენ. მომქანცველი შრომის შესამსუბუქებლად ქალები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ზოგი კი რაღაცას მღეროდა. აქ იყო ყველა ასაკისა და ფერის მონა ქალი — მოხუცი, ნაღვლიანი და კუპრივით შავი აფრიკელი თუ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე თითქმის თეთრკანიანი მულატი.

მრთველებში გამოირჩეოდა ერთი ქალწული, ლამაზი, ხალისიანი და ამაყი, რამდენადაც ეს შეიძლება მონობაში. ტანადი და მოქნილი გოგო ყურადღებას იქცევდა ნატიფი სახით, მაცდური და ცოცხალი შავი თვალებით. მისი ოდნავ მსხვილი, წყლიანი და ვნებიანი ტუჩები აპრილის დილით გაფურჩნილ ლოტოსს მოგაგონებდათ. შავი, კულულებად დაყრილი თმა ნებისმიერ, ყველაზე დიდგვაროვან ევროპელ ქალბატონს დაამშვენებდა. მაგრამ ამას ვერ იტყოდით მის ვარცხნილობაზე — მას თმა მოკლედ, თითქმის ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი.

თუმცა ასეთი ვარცხნილობა მას სინატიფეს სულაც არ აკლებდა. პირიქით, მის მოცინარ, გამჭირდავ სახეს ორიგინალურ იერს აძლევდა. თუ არა ბრჭყვიალა საყურეები პატარა ყურებზე და თხელი პერანგის ქვეშ ორი ანცი, მოკუნტრუშე ,თიკანივით მხტუნავი, დაბურთული მკვრივი ძუძუები, იფიქრებდით, რომ თქვენს წინ სანდომიანი ცულლუტი ბიჭი იდგა. ჩვენ იმასაც გავიგებთ მალე, როგორი გულის პატრონი იყო ეს ქალწული ასეთი მეღერი სახელით — როზა.

თუ ყურადღებით მოუსმენდით, ჯარას ზუზუნსა და საქსოვი დაზგის გამოზომილ რაკარუკში, ქალების მონოტონურ სიმღერასა და ბავშვების ჟრიამულში გაარჩევდით საუბარს, რომელსაც ხმადაბლა აგრძელებდა მრთველების ერთი ჯგუფი, მათ შორის როზაც.

— ჰო, ჩემო მეგობრებო, — ჰყვებოდა მოხუცი მონა, გამოცდილი და ჯერ კიდევ ძველი ბატონების დროიდან ფაზენდის ყველა საქმის მცოდნე ქალი, — როცა სენიორ კომანდორი აქ ცხოვრობდა და სენიორა მალვინაზე ჩვენთან არავის არაფერი გაეგო, აი, მაშინ ვიყავით კარგად!

— მაინც როგორ, დეიდა ჟოაკინა! მოგვიყევი...

— როგორ? ახლავე გიამბობთ... თქვენ, ალბათ, გაგიგიათ, ძველი ბატონი პირქუში კაცი იყო, ხუმრობა არ უყვარდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეშინოდა მისი, ,მაგრამ, გამოდის, რომ მხოლოდ ახლა ვხვდებით, რა კარგად ვცხოვრობდით მაშინ. ეს ახალგაზრდა ბატონი, სენიორ ლეონსიო, ვგრძნობ, ისეთ რამეს მოგვიწყობს, ძველი ცხოვრება სანატრელი გვექნება. ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი წინათგრძნობა გამართლდეს.

— წმინდაო მარიამ! შენ შეგვიწყალე! ამას ნუ ამბობ, დეიდა ჟოაკინა. ამას ჯობია, მოვკვდე.

— მგონი ,ახალგაზრდა ბატონს, ჩვენი არც დართვა უნდა და არც ქსოვა. მას მხოლოდ ყავა უნდა, ბევრი ყავა, რომელიც დიდი ფული ღირს. ჰოდა, გაგვრეკავს ამ ფარდულიდან... რა თქმა უნდა, წინათაც დავდიოდით ყავის მოსაკრეფად, ლერწამსაც ვჭრიდით, მოურავის მათრახიც მოგვხვედრია, ოღონდაც ყველაფერი ცოტ-ცოტა. ახლა კი... ვინ იცის, რა გველის?

— მართალი გითხრათ, — გამოეხმაურა მონა ქალი, — არ ვიცი რა სჯობია: პლანტაციაში ლერწმის ჭრა, თუ დილიდან ღამემდე ფანჯარასთან ჯდომა. პლანტაციაში მაინც თავისუფალია ცხოვრება.

— თავისუფალი არა?! — წამოიძახა მესამე მრთველმა. — აქ

ჩვენთვის ასჯერ უკეთესია! აქ მაინც შოლტიანი ზედამხედველი არ არის.

— ნეტა ერთი თქვენც, გოგოებო, — შეაწყვეტინა მოხუცმა ქალმა. — აქა სჯობია, იქა სჯობია, — ერთი ჩარაა, მონობა მონობაა. თუ კაცი მონად დაიბადა, ყველგან ძნელია. ნამდვილი ეშმაკის მოგონილია ეს ოხერი მონობა. როგორც ეტყობა. როცა ღმერთი თიხისაგან ადამიანს აკეთებდა, ცოტა ჩაეძინა. ეშმაკი კი უმალ იქ გაჩნდა და მონობა გამოიგონა. ეჰ, მონაზე მწარე სიცოცხლე არავისა აქვს ამ ქვეყანაზე... ალბათ, ყველამ იცით, როგორ მიიყვანეს სიკვდილამდე იზაურას დედა, საცოდავი ჟულიანა...

— რაკი იზაურა ვახსენეთ, — ჩაერია ერთი მრთველი, — ის როგორღა ცხოვრობს ნეტა? სინიორა მალვინას დროს, . იცოცხლე. ბატონის სახლში დასეირნობდა, ახლა კი, ამბობენ, სუმთლად...

— ახლა კი ის, ალბათ, ბატონს ცოლის მაგივრობას უწევს — უკმეხი სიცილით გამოეხმაურა როზა.

— სისულელეს ნუ ყბედობ, გომბიო! — დაუცაცხანა მოხუცმა ქალმა. ახლა იზაურას ძალიან უჭირს. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ თქვენ არა ხართ მის ადგილზე. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ბატონმა თვალი დაადგა საცოდავს, როგორც სენიორ კომანდორმა — უბედურ ჟულიანას. ძველი ბატონი, ღმერთმა შეუნდოს, დიდი მუსუსი იყო, ხელიდან არავის უშვებდა. ჟულიანა კი მშვენიერი მულატი იყო, წერწეტი. ფერით როზას ჰგავდა, ოღონდ უფრო ტანადი...

როზას ასეთი შედარება არ მოეწონა და აგდებულად ჩაიფრუტუნა. მოხუცი განაგრძობდა: — სილამაზემ დაღუპა ჟულიანა. ის თვალში მოუვიდა კომანდორს. ხოლო, რაც ამას მოჰყვა, მე უკვე მოგიყევით. ჟულიანა ხომ ნამუსიანი გოგო იყო და სიკვდილამდე იტანჯებოდა... მოურავად მაშინ ჩვენთან სენიორ მიგელი იყო, სწორედ ის, ჩვენთან რომ მოდის ხოლმე, იზაურას მამა. იმაზე უკეთესი მოურავი არა გვყოლია.

— მე თქვენ გეუბნებით! ყველას გვიყვარდა და ღირსიც იყო. არაფრით არ ჰგავდა ახლანდელ უღმერთო სენიორ ფრანცისკოს! ეს შავ ჭირზე უარესია. ჰოდა, აი, სენიორ მიგელს ჟულიანა ისე შეუყვარდა, რომ წელებზე ფეხს იდგამდა, ფულს აგროვებდა მის გამოსასყიდად. მაგრამ ძველ ბატონს ეს არ მოეწონა, გაბრაზდა და გააგდო სენიორ მიგელი.

ჟულიანამ კი ამის მერე ცოტახანს იცოცხლა — შოლტმა და

ლერწამმა მას მალე მოუღო ბოლო. ამის შემდეგ, მარტო დარჩა პატარა იზაურა. და ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა ობოლ გოგონას, კეთილი ქალბატონი რომ არ ყოფილიყო. იმ უბედურს, არც თვითონა ჰქონდა ტკბილი ცხოვრება და ძაინც, ვიდრე ღმერთი მის სულს ჩაიბარებდა, ბევრი სიკეთე გააკეთა, განსაკუთრებით საცოდავი იზაურასთვის.

— რატომ საცოდავი, დეიდა ჟოაკინა?

— იმიტომ გოგოებო, რომ, მე გული მიგრძნობს, ისიც დედის კვალს გაჰყვება...

— ახიც იქნება, იმ ამპარტავანზე, — წარმოთქვა შურიანმა როზამ. — რა ჰგონია, რაკი ბატონებს სახლში ემსახურება, ამიტომ ყველას სჯობია? ახალგაზრდა ბატონებთან კუდს აქიცინებს, დიდ სენიორად მოაქვს თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ მამილო სულ გამოსყიდვას ჰპირდება. როგორ არა, გამოისყიდის... იმ საცოდავმა მიგელმა თავისი დასამარხი ფულიც ვერ შეაგროვა და საიდან გადაიხდის ქალიშვილის საფასურს?!

— რა შხამიანი ხარ! — გულმოსულად მიაძახა მოხუცმა ზანგმა მულატს და კიცხვით გადააქნია თავი. შენ ძალიან უღვთოდ ლაპარაკობ საბრალო იზაურაზე. მას ხომ კეთილი სული აქვს, ლამაზია და განათლებული. არც ერთ თეთრკანიან გოგოს არ ჩამოუვარდება, თუმცა მას კეთილი თვალით არავინ უყურებს. ე-ე, შენ რომ მის ადგილზე ყოფილიყავი, როზა, შენი თავხედობით ასჯერ ცუდად მოიქცეოდი.

განაწყენებულმა როზამ ტუჩზე იკბინა, მაგრამ უმალ იპოვა პასუხი, როგორც ყოველთვის, უკმეხი და უწმაწური. თუმცა სათქმელის დამთავრება ვერ მოასწრო, რადგან ფარდულის შემოსასვლელთან გაისმა მკვეთრი და ხრინწიანი ხმა, რომელმაც უმალ შეაწყვეტინა ქალებს ლაპარაკი.

— გაჩუმდით! — დაიქუხა კარებიდან. — ეშმაკმა წაგიღოთ, ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებენ!

ფარდულში მოურავი შემოვიდა — მხარბეჭიანი, ჩაფსკვნილი, ხშირ შავ წვერულვაშიანი და უხეში, ამაზრზენი შესახედაობის მამაკაცი. მას მოჰყვებოდა ლაქიაც, ლივრეაში გამოწყობილი ახალგაზრდა მულატი, რომელსაც კიდევ ერთი ჯარა მიჰქონდა. ამ პატარა პროცესიას იზაურა აგვირგვინებდა.

მონა ქალები სასწრაფოდ წამოდგნენ, რათა თაყვანი ეცათ მოურავისათვის. მან თვალი მოავლო ფარდულს და უბრძანა თავისუფალ

ადგილზე დაედგათ ჯარა. იზაურას საუბედუროდ, ეს ადგილი როზას გვერდზე აღმოჩნდა.

— მოდი აქ, გოგო, — წარმოთქვა მოღუშულმა მოურავმა, თან იზაურას უზურგო სკამზე მიუთითა.

— ამიერიდან შენი ადგილი აქ იქნება. აი, შენ ჯარა, შენი მეგობრები კი გეტყვიან, რა უნდა გააკეთო დღეს. ვხედავ, რომ ძალიან არ გიხარია ,მაგრამ, რას იზამ, — საკუთარ თავს დააბრალე, ასე ბრძანა ბატონმა. ოღონდ გახსოვდეს, ჯარა როიალი არ გეგონოს, აქ შრომაა საჭირო. ისე რომ, შეეცადე. ნაკლები იყბედო და მეტი იმუშავე...

მიუხედავად მოურავის შენიშვნებისა, იზაურა მშვიდად იდგა. მდგომარეობის ასე მოულოდნელმა შეცვლამ არც მწუხარება აღბეჭდა მის სახეზე და არც წყენა. ქალიშვილი წყნარად მიუჯდა ჯარას და დაიწყო მისი სამუშაოდ მომზადება. თუმცა. ჩვეულებრივ, იზაურა მხოლოდ ოთახებს ალაგებდა და სხვა იოლ სამუშაოს ასრულებდა. მაგრამ მას ნებისმიერი ხელსაქმე ემარჯვებოდა. მან კარგად იცოდა დართვა და ქსოვა, სარეცხის რეცხვა და დაუთოება. საჭმელებს კი ყველა მზარეულზე უკეთ ამზადებდა. ისე უყოყმანოდ და თავისუფლად მოეწყო ახალ ამხანაგებს შორის, რომ მის მოღიმარ სახეზე ძნელად დაიჭერდით მორჩილების ნაღვლიან, ძლივს შესამჩნევ ანარეკლს. შესაძლოა, მასში გამოკრთოდა აგრეთვე ახალგაზრდა მონის გულის დამთრგუნველი შეშფოთება და წუხილი. ერთი კია — ამ ღიმილში არ იგრძნობოდა ბედზე ჩივილი, თუმცა მან ასეთი მძიმე დარტყმა მიაყენა ქალიშვილს. იზაურა მორჩილად იტანდა ყველა განსაცდელს, რადგან მიუხედავად ბუნებრივი სილამაზისა და მიღებული განათლებისა. მის გულს ქედმაღლობის ჯანღი არ მოხვევია და არ დაუნისლავს მისი თანდაყოლილი კეთილგონიერების შუქი.

გარეგნული თვინიერებისა და მორჩილების მიუხედავად, იზაურას ქცევაში მაინც იგრძნობოდა შინაგანი ღირსება და სიამაყე. არა მარტო ნატიფი ტანით, სახის სწორი კეთილშობილური ნაკვთებით, ქალწული, მისდაუნებურად, ყველა მისი ჟესტითა და მოძრაობით გამოირჩეოდა დანარჩენი ქალებისაგან. უცხო ადამიანი, შემთხვევით რომ შეეხედა ფარდულში, არაფრის გულისათვის არ იტყოდა, რომ მის წინ მონა იჯდა და თავისი თანამოძმეების თანაბრად შრომობდა. იზაურა მას ეგონებოდა ჯარასთან გასართობად მიმჯდარი ახალგაზრდა ქალბატონი. სხვა მონა ქალებს შორის ის გამოიყურებოდა, როგორც მო-

ფუსფუსე უჯიშო იხვებს შორის ამაყად ყელმოღერებული სამეფო გედი.

სართავ ფარდულში, მონათა უმრავლესობა იზაურას შეხვდა სიბრალულითა და თანაგრძნობით. გამონაკლისი მხოლოდ როზა იყო. ის იზაურას მიმართ განიცდიდა არა მარტო შურს, არამედ სასიკვდილოდაც სძულდა იგი. სხვათა შორის, მკითხველი ადვილად მიხვდება ასეთი გრძნობების მიზეზს, როცა გაიგებს, რომ, ვიდრე ლეონსიო იზაურას მიაქცევდა ყურადღებას, როზას ხშირად ეპატიჟებოდნენ ბატონის საძინებელში. დაუდეგარი მულატის სიყვარული ფაზენდის პატრონმა იოლად, ყოველგვარი ხვეწნის და მუქარის გარეშე მიიღო. მაგრამ იმ დღიდან, როცა ლეონსიოს ყურადღება იზაურას მიეჯაჭვა, როზა მთლად დაივიწყა. ბატონის გულგრილობამ მოურჩენელი ჭრილობა დაამჩნია მულატის გულს. ბუნებით დაუნდობელმა და შურისმაძიებელმა როზამ, რაკი საშუალება არ ჰქონდა ბატონისათვის გადაეხადა სამაგიერო, მრისხანების მთელი სიმძიმე უნებლიე მეტოქეზე გადაიტანა.

— მეხი კი დაგეცეს, სისხლისმსმელო! ხორველამ მიგასიკვდილოს, წვერებიანო ეშმა! ჩხრიალა გველმა გიკბინოს ენაზე, ბატონის ყურმოჭრილო მონავ! — მსგავსი წყევლა-კრულვა ისმოდა მონათა პირიდან, როგორც კი მოურავი ზურგს შეაქცევდა. ეს კაცი, ვისმა დაუნდობელმა შოლტმაც მოსვენება არ იცოდა, საყოველთაო ზიზღს იწვევდა ფაზენდის მონებში; ალბათ, ყველაზე ბოროტ ჯალათსაც არ დასდებდნენ ბრალს ასეთი ავი სიტყვებით. თუმცა, როგორც მკითხველსაც კარგად მოეხსენება, ქვეყნად ყოველთვის საკმაოდ არიან გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ჯალათს უფრო ლანძღავენ, ვიდრე განაჩენის გამომტან მოსამართლეს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბედმა იზაურას არგუნა სამუშაოდ როზას გვერდზე მოხვედრილიყო, რომელიც ძალას არ ზოგავდა დაციწვითა და ათასგვარი ხრიკებით გული დაეწყვიტა უბედური თანამოძმისათვის.

— ჰო, შენი ბედი არავის შეშურდება, გოგონა... შენიშნა როზამ და ჯარა იამუშავა.

— ვითომ რატომ? — მხრები აიჩეჩა იზაურამ და მულატის შემრტევის ახალიტალიის მოლოდინში ამოიოხრა.

— იმიტომ, რომ განა იოლია გაცვალო ბატონის სახლი მონის

სენზალაზე, დამასეგადაკრული[1] დივანი და ატლასის ბალიში — ფეხებმოღრეცილ სკამზე, ხოლო როიალი — ჯარაზე? ჰო, მართლა, რისთვის გამოგაგდეს იქიდან, ჰა?

— მე არავის გამოვუგდივარ, როზა. შენ თვითონაც კარგად იცი, რომ სენიორა მალვინა და მისი ძმა სტუმრად არიან მამასთან. ბატონის სახლში ჯერ-ჯერობით არაფერია გასაკეთებელი და ამიტომაც გამომგზავნეს თქვენთან სამუშაოდ.

— მაშ, ქალბატონმა რატომ თავისთან არ წაგიყვანა, ჰა? ადრე ხომ პირდაპირ სულში გიძვრენდა. სულ ჩემს მოტყუებას ცდილობ. მაგრამ ვერ მოგართვი — მე ისედაც ვიცი ყველაფერი. ძალიან გაგივიდა თავს, აი რა, გაამაყდი — ჰოდა იმიტომაც მოგაბრძანეს ჩვენთან, რომ შენი ადგილი იცოდე.

— რატომა ხარ ასე ბოროტი, — ნაღვლიანად ამოიოხრა იზაურამ. შენ გგონია, რომ მე ძალიან მსიამოვნებდა ბატონის სახლში ცხოვრება? ცდები, აქ უკეთესია .მშვიდად მაინცა ვარ, თუ შენ მწარე ენას არ ჩავთვლი.

— როგორ არა, დაგიჯერე: აქ უკეთესია! აი, მხოლოდ ახალგაზრდა ბატონები არ არიან, რომ გაეპრანჭო.

— რა გინდა, როზა, რას ჩამაცივდი? რა დაგიშავე?

— ქალბატონს დამიხედეთ! ბატონის სასტუმრო ოთახის შემდეგ მას აქ არ მოსწონს. ბოდიში, დონა იზაურა! გვაპატიეთ, კეთილშობილო სენიორა!

— იყბედე რამდენიც გინდა, როზა. მაგრამ სადაც უნდა ვიყო, მე ყოველთვის მახსოვს, რომ უბრალო მონა ვარ, სწორედ ისეთი, როგორიც ყველა თქვენ. არც შენ დავიწყო, რომ დღეს შეიძლება ჯარასთან იჯდე, ხვალ კი, მხოლოდ მამაზეცერმა იცის, სად აღმოჩნდები. სჯობია, წესიერად ვიმუშაოთ, თორემ ასეთ ლაპარაკში სასიამოვნო არაფერია.

ამ დროს გაისმა ზარის ყრუ გუგუნი, რომელიც სადილზე უხმობდა მონებს. ქალებმა მიატოვეს საქმე და ჯგუფად გაემართნენ გასასველელისაკენ. მხოლოდ იზაურა არ დაძრულა ადგილიდან და ძაფის რთვას აგრძელებდა.

— შენ რა, სადილი არ გინდა? — ჩვეულებისამებრ დამცინავად იკითხა როზამ. — წავიდეთ, ლობიო ჩავხეთქოთ.

---

[1] დამასე — მბრწყინავი და რბილი აბრეშუმის ქსოვილი.

— არა, როზა. მე აქ დავრჩები, — უპასუხა იზაურამ. — რაღაც არ მშია. თანაც დღიური ნორმა არ დამიმთავრებია. მე ხომ თქვენზე გვიან დავიწყე.

— სწორია. შენ განათლებული და კულტურული გოგო ხარ, როგორ გეკადრება უბრალო მონებთან ერთად ერთი ქვაბიდან ხვრეპა. ხომ არ ინებებდით აქ მოგართვან ბულიონი ან იქნებ შოკოლადი გნებავთ?

— ენა ჩაიგდე, ყბედო, — შეაწყვეტინა როზას მოხუცმა ზანგმა. — პირდაპირ გველის ნესტარივით ენა გაქვს! სხვებს თავი დაანებე, წავიდეთ!

ქალები ფარდულიდან გავიდნენ და მარტო დატოვეს შრომაში გართული და ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირული იზაურა. ვიდრე მოხდენილი შიშველი ფეხი თანაბრად აწვებოდა ჯარის სატერფულს, ძაფი თავისით გარბოდა თითებს შუა. ქალიშვილს დამჭკნარი თეთრი შროშანას ყვავილივით გვერდზე დაეხარა თავი, ხოლო ოდნავ დაშვებული ქუთუთოები მალავდნენ მის ნაღვლიან მზერას.

— „ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა იზაურა, — აქაც კი არ მასვენებენ! ყოველი მხრიდან მაწვალებენ... ბატონის სახლში თეთრკანიანები მიმწარებდნენ სიცოცხლეს, ჩემიანებში მოვხვდი, ვფიქრობდი მშვიდად ვიცხოვრებდი — მაგრამ აქაც გამოჩნდა ბოროტი სული, ჩემი განადგურება უნდა. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მონობაში დაბადება არ მეყოფოდა სატანჯველად, ან რისთვის მომცა ზეცამ სილამაზე და გონება, რომ უფრო მეტად დავიტანჯო?! არა სჯობია შავი და საშინელი გავეჩინე...“.

ასეთ ნაღვლიან ფიქრებში იყო იზაურა, რომ გაისმა კარის ჭრიალი და ქალიშვილმა თავი ასწია.

— რა უბედურებაა! — წაილაპარაკა მან. — ერთი წუთით თავს არ მანებებენ...

ფარდულში ანდრე შემოვიდა, სწორედ ის ლაქია, რომელიც ჩვენ უკვე ვნახეთ მოურავთან ერთად. თავხედი, პატივმოყვარე და ამპარტავანი ბიჭი.

— სალამი, ლამაზო! — როგორ ცხოვრობ აქ, ჩემო ყვავილო? — მისთვის ჩვეული მოურიდებლობით მიმართა ლაქიამ იზაურას.

— გმადლობთ, არა მიშავს, — მშრალად უპასუხა ქალიშვილმა.

— ო, შენ რაღაც ხასიათზე არა ხარ? თუმცა მართალი ხარ. ბატონის სახლის შემდეგ, აბრეშუმისა და ვარდის წყლის შემდეგ, აქ,

გეთანხმები, საზიზღრობაა. თუნდაც ერთი აქაური ღამე რად ღირს...

— შენ რა, ანდრე, საზიზღრობის სათქმელად მოხვედი?

— როგორ გეკადრებათ! ღმერთმა დამიფაროს, იზაურა, შენ რო-გორ გაწყენინებ? პირიქით, გული მიკვდება, შენ რომ აქ გხედავ, ამ დიდტუჩა და აქოთებულ გომბიოებში. აბა, რა შენი საქმეა აქ ყოფ-ნა? შენ ხალიჩებზე უნდა დადიოდე და ბუმბულზე გეძინოს! ოჰ, რა ულმობელი გული აქვს სენიორ ლეონსიოს...

— შენ რა გაღელვებს? მე სულაც არა ვარ ცუდად.

— როგორ არა, იმწუთს დაგიჯერებ. შენი ადგილი აქ არ არის. თუმცა, ერთი მხრივ, მე მიხარია...

— რატომ, რა გიხარია?

— სიმართლე გითხრა, იზაურა დიდი ხანია თვალი დაგადგი, აბ-ლა მაინც გვექნება საშუალება თავისუფლად ვილაპარაკოთ.

— კიდევ რა გინდა. მე არ ვაპირებ შენი უბედობა მოვისმინო!

ანდრე წამიერად დადუმდა, მაგრამ მალე გააგრძელა შეტევა.

— გასაგებია. კეთილშობილი სენიორა იქ ოთახებში ბატონებთან მიეჩვია კურკურს... — მხოლოდ იცოდე, მეგობარო, ეგ წასული საქ-მეა. აქ კი ჩემზე უკეთეს ბიჭს ვერ ნახავ. თანაც დამაწინაურეს, ჰალს-ტუხით დავდივარ, დავარცხნილ-დაუთოებული თვალს ვერ მომაცი-ლებ. არც ჯიბეცარიელი გახლავარ — აქ ლაქიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ხურდა ფული ააჩხრიალა. ასე რომ, ჩემზე ბევრ გოგოს რჩება თვალი... თუნდაც როზას. ხო ლამაზი გოგოა? თავიდან ვერ ვიცილებ საცოდავს, თუმცა ის შენ როგორ შეგედრება! რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ ,უარს არ მეტყოდი... შენ ოღონდ მოინდომე და მე ისეთ... — ამ სიტყვებზე თამამად მიუახლოვდა ქალიშვილს, მხარზე ხელი დაადო და წინ გადაიხარა, თითქოს ყურში რამის თქმას ან კოცნას უპირებსო.

— მომშორდი! — გულმოსულმა იზაურამ ხელი ჰკრა ლაქიას, — თავხედი! მოუსვი აქედან, თორემ სენიორ ლეონსიოსთან გიჩივლებ!

— კარგი, კარგი. ტყუილად ცხარობ, მე ხომ ალალი გულით... არა უშავს, ღმერთია პატრონი, შენი გაყინული გულიც გალხვება. აბა, მე წავედი, მხოლოდ ჩემზე ნურაფერს ნუ იტყვი, კარგი? თო-რემ ბატონმა რო გაიგოს, თავს წამაცლის! — დაუმატა ანდრემ და ფარდულიდან გამოვიდა.

საბრალო იზაურა! როგორც დავინახეთ, არც ბატონები და არც მონები მოსვენებას არ აძლევდნენ. წარმოიდგინეთ, როგორ ძნ-

შედ და ნაღვლიანად უნდა ეგრძნო თავი ამ უბედურს! ფაზენდაში ახლა მას ოთხი მტერი ჰყავდა: სამი თაყვანისმცემელი — ლეონსიო, ბელშიორი და ანდრე და გესლიანი, დაუნდობელი მეტოქე — როზა. თუ სამი უკანასკნელის მომაბეზრებელი შემოტევის მოგერიება, მართალია ქანცავდა, მაგრამ მაინც შეეძლო, რაღა ექნა, როცა ლეონსიო კვლავ გამოჩნდებოდა?

და მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ფარდულში ლეონსიო შევიდა მოურავის თანხლებით. იზაურამ ვერ შეამჩნია ისინი, რადგან წუთიერად თავი მიანება სამუშაოს, იჯდა და სახეზე ხელებაფარებული თავის ბედს დასტიროდა.

— მონები სად არიან? — ჰკითხა მოურავს კარებში გაჩერებულმა ფაზენდის პატრონმა.

— საჭმელად წავიდნენ, თქვენო მოწყალებამ, მალე დაბრუნდებიან. შემიძლია ახლავე მოვრეკო, თუკი ინებებთ.

— ეს რაღად დარჩენილა? — კვლავ იკითხა ლეონსიომ და უცებ მრთველის გარინდებულ ფიგურაში იზაურა ამოიცნო. უჰ, ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერც მოიფიქრებს კაცი, — შენიშნა მან თავისთვის. — კიდევ ერთი შეტევა და ეს ყინულიც დნობას დაიწყებს. ის შიუბრუნდა ფრანცისკოს და უბრძანა: ჭამას რომ დაამთავრებენ, ქალები ყავის მოსაკრეფად გაგზავნე. მეორედ არ დავინახო ისინი აქ. მე დიდი ხანია ვაპირებდი სართავის გაუქმებას. შენთვის მინდოდა მეთქვა, მაგრამ ვეღარ მოვიცალე. არავითარი სარგებელი არ არის ამ საქმეში. ქალები აქ მხოლოდ ნებივრობენ და ლაქლაქის მეტს არაფერს აკეთებენ. ფაბრიკის ქსოვილი უფრო იაფი ჯდება.

როცა მოურავი გავიდა, ლეონსიო სწრაფად გაემართა მჯდომარე ქალისკენ.

— იზაურა... შემპარავი ხმით წაილუღლუღა მან.

— ბატონი? — შეკრთა მოულოდნელობით დაბნეული მონა, მერე კი თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჩემი ტანჯვის საათმა დაჰკრა...“.

თავი VIII

მკითხველისათვის ძნელი იქნება დაუნდობელი და ავხორცი ბატონის პირისპირ დარჩენილ იზაურასთან განშორება, მაგრამ ნება გვიბოძეთ რამდენიმე ხნით გავერიდოთ ამ დრამატულ სცენას და მოკ-

ლედ მოგახსენოთ, რა ამბები დატრიალდა ფაზენდაში კომანდორის სიკვდილის შედეგ.

მამის სიკვდილმა ლეონსიო ფაზენდის ერთპიროვნულ პატრონად აქცია. მოისპო ის რამდენიმე შეზღუდვაც კი, რომლებიც, შესაძლოა, ხელს უშლიდა მას ძალადობის გამოყენებაში იზაურას მიმართ. მეორე მხრივ, გამოცხადებულმა გლოვამ ხელი შეუშალა უმალ წამოეწყო გადამწყვეტი შეტევა.

რამდენიმე დღეს ლეონსიო და მალვინა ღრმა მწუხარებას მიეცნენ. ამით ლეონსიომ ცოტა შეისვენა ჩხუბისა და საყვედურებისაგან. ენრიკე, რომელიც, როგორც გახსოვთ, წასვლას აპირებდა, საბოლოოდ დაყვა დის ხვეწნას და მასთან დარჩა.

— ეს უბედური შემთხვევა რომ არა, — ეუბნებოდა მალვინა ძმას, — მე შენთან ერთად წამოვიდოდი. ახლა კი არ შეიძლება, მე აქ უნდა ვიყო, მაგრამ, თუ ამ დღეებში ლეონსიო გონს არ მოეგება და არ გადაწყვეტს იზაურას ბედს, მაშინ ჩვენ ერთად წავალთ აქედან.

თვითონ ლეონსიო ოთახში ჩაიკეტა და რამდენიმე დღე აღარ გამოდიოდა. კაცს ეგონებოდა, რომ ის განუქარვებელმა მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მამის გარდაცვალებამ ის, რა თქმა უნდა, ერთგვარად ააღელვა, მაგრამ, როგორც კი ლეონსიომ შეაფასა მშობლის სიკვდილის შედეგები, მწუხარებაც გაქრა. ლეონსიოს აზრადაც არ მოსვლია იზაურას გაშვება. განმარტოებული, თავის ოთახში ჩაკეტილი ფაზენდეირო, ფიქრობდა საქმის მოსალოდნელ გამწვავებაზე და ცდილობდა მიეგნო, რა ხერხით შეეძლო მშვენიერი მონის დაუფლება.

მკითხველს, ალბათ, ახსოვს მოხუცი კომანდორისა და იზაურას მამის შეთანხმება. მიგელმა შეაგროვა საჭირო თანხა და ახლა ითხოვდა ქალიშვილის განთავისუფლებას. იზაურას განთავისუფლება, — ეს კარგად იცოდა ლეონსიომ — მისი დედის უკანასკნელი სურვილიც იყო, ყოველივე ამასთან ერთად, მონის დაუყოვნებლივ გაშვებას მოითხოვდა მალვინაც, რომელმაც გაიგო მეუღლის ზრახვები იზაურას მიმართ. შექმნილ მდგომარეობაში ფაზენდის პატრონი, ალბათ, ვერ შეძლებდა აშკარა უარი ეთქვა ქალიშვილის განთავისუფლებაზე. ამიტომ ის ცდილობდა საქმის გაჭიანურებას რაიმე შესაფერისი საბაბით. მეორე მხრივ, მის გულს დაუფლებული ჟინიანი წადილი ბრმად უბიძგებდა ზრდილობისა და პატიოსნების ყოველგვარი წესების დარღვევისაკენ. თავისი ბიწიერი გრძნობების დასაკმაყოფილებლად, ის

შზად. იყო შეუბრალებლად დაეკოდა სათნო და მოსიყვარულე მეუღ-ლის გული. გლოვის დღეები თავდებოდა, ლეონსიოს კი საბოლოოდ არ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ის სულ უფრო და უფრო იხ-რებოდა ერთი აზრისაკენ: ცინიკურად უარი ეთქვა პირობის შესრუ-ლებაზე და თავი არ შეეწუხებინა შესაფერის ახსნა-განმარტების ძიებით.

ამიტომ, რამდენჯერაც მალვინა შეეცადა საუბარი წამოეწყო ამ შეტად მტკივნეულ საკითხზე, ლეონსიო ყოველთვის ცივად პა-სუხობდა:

— მოესწრება, მე არ მეჩქარება. ჯერ მამაჩემის ყველა საქმე უნ-და მოვაწესრიგო — წავიდე ქალაქში, გავარჩიო საბუთები, ჩავატარო ქონების აღწერა, დავბრუნდები და მერე, შეიძლება მოვილაპარაკოთ იზაურას შესახებ.

ასეთმა პასუხმა მალვინას გული დაუსერა. მან იგრძნო, რომ მისი ოჯახური ბედნიერების ბროლის კოშკი, რომლის შენარჩუნებაც მას ასე უნდოდა, თვალწინ ენგრეოდა. ამ საუბრამდე ქალს იმედი ჰქონ-და, რომ მძიმე დანაკლისი ქმარს აიძულებდა სინდისისათვის მოეხმო, ეღარებინა შეცდომები და სათნოების გზას დასდგომოდა. ლეონსიოს ზრდილობიანმა გულგრილობამ და ფუჭე თავის მართლებამ ბოლო მოუღო უკანასკნელ იმედს და ღრმა მწუხარებაში ჩააგდო მალვინა.

— როგორ?! — აღშფოთებული და სევდიანი ხმით წამოიძახა მან, — შენ კიდევ ყოყმანობ გაანთავისუფლო თუ არა იზაურა? შენ რომ ადამიანი იყო, მას დასავით უნდა უყურებდე. დედაშენი ხომ მას ზედ დაჰკანკალებდა, ღვიძლი შვილივით უყვარდა და როცა კვდებო-და, ანდერძი დატოვა, თავისუფლება კი არა, ფულიც მიგეცა მისთვის. შენ ძალიან კარგად იცი მამაშენისა და მიგელის შეთანხმება, რომელ-მაც უკვე მოგიტანა ფული და ბოლოს ჩემი მოთხოვნაც ნუ გავიწყ-დება! შენ კი საქმეს აჭიანურებ, მიზეზებს ეძებ... არა, ასე საქმე არ გამოვა. შენ ახლავე უნდა შეასრულო ყველაფერი!

— რა საჭიროა ასეთი აჩქარება? — მშვიდად გამოეპასუხა ლეონ-სიო, — კარგად დაფიქრდი, რა ხეირს მოუტანს იზაურას ნაჩქარევი განთავისუფლება? განა აქ ცუდად არის? განა მას ცუდად ექცევიან? ის ხომ ოჯახის წევრივით ცხოვრობს ჩვენთან და არა მონასავით. შენ კი გინდა გაათავისუფლო... დაფიქრებულხარ სად უნდა წავიდეს? არა, ძვირფასო, ასე ჩვენ ვერ ავასრულებთ დედის ანდერძს. მას ხომ, პირველ რიგში, იზაურას კეთილდღეობა სურდა. ასე რომ, მალვინა,

ჩვენ უფლება არა გვაქვს ბედის ანაბარა მივატოვოთ იგი. ჯერ მისი სილამაზისა და განათლების შესაბამისი მდგომარეობით უნდა უზრუნველვყოთ, მოვუძებნოთ შესაფერისი საქმრო... ასეთი საქმეები კი ერთ დღეში არ კეთდება, — დაასკვნა ლეონსიომ.

— რაღაცას ნუ იგონებ! — ვერ მოითმინა მალვინამ. — ქმრის მფარველობა ჯერ არ სჭირდება იზაურას, მას ჰყავს მამა. კაცი, უკეთესი რომ არ იქნება. თავისი შვილის სიყვარული მან საქმით დაამტკიცა. მივცეთ გოგო მას და ყველაფერი კარგად იქნება.

— ღატაკი მიგელი! — ლეონსიოს აგდებულად გაეცინა. — განზრახვა კარგი აქვს, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მომავალი ცხოვრებისათვის ფულს სად იშოვის? მით უმეტეს, რომ ახლა მან უკანასკნელი პერანგიც კი გაყიდა გამოსასყიდის შესაგროვებლად...

მალვინამ ნაღვლიანად ამოიოხრა და თავი გააქნია. თუმცა ქმარს აღარ ენდობოდა, მაგრამ მაინც არ სურდა საბოლოოდ გაეწყვიტა ურთიერთობა, კიდევ რაღაც გამოსავალს ეძებდა, ამიტომ აღარ გამოხატა წყენა, ოთახიდან გამოვიდა იმ იმედით, რომ საუბარს მეორე დღეს გააგრძელებდა. ამასთან მალვინას შეგნებული ჰქონდა, რომ მისთვის დამამცირებელი, ორჭოფული ვითარების დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

მეორე დღეს ახალგაზრდა ქალმა კვლავ მიმართა ქმარს ჩვენთვის ცნობილი არგუმენტებით, მაგრამ ლეონსიომ კვლავ აგდებული გულგრილობით უპასუხა. მალვინასათვის ნათელი გახდა, რომ ვერავითარ დათმობას ის ვერ მიაღწევდა, შემდგომი უნაყოფო ცდები კი მხოლოდ დამატებით იმედის გაცრუებასა და დამცირებას მოუტანდა. ისლა დარჩენოდათ, საბოლოოდ გაეწყვიტათ ურთიერთობა, რაც კიდეც გააკეთა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო გაერღვია მეუღლის ცინიკური სიმშვიდის ჯავშანი.

მეორე დილით, ისე რომ არაფერი უთქვამს ლეონსიოსათვის, მალვინა ენრიკესთან ერთად რიო-დე-ჟანეიროში გაემგზავრა. ფაზენდას რომ ტოვებდა, გაბრაზებული და მოტყუებული ქალი იფიცებოდა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო ამ სახლში, სადაც ასე უსინდისოდ შეურაცხყვეს და არაფრის გულისათვის აღარ შეხვედროდა ამ ნამუსგარეცხილ და გარყვნილ კაცს, რომელსაც ის უკვე ქმარს აღარ ეძახდა. ერთი კია, გულისწყრომის ალში გახვეულ მალვინას არ უფიქრია, შეძლებდა კი ამ ნაჩქარევი ფიცის შესრულებას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ის იყო სათუთი და კეთილი სულის პატრონი, ხოლო მი-

სი გული სიყვარულს უფრო ღრმად ინახავდა, ვიდრე სიძულვილს. ამიტომ, როგორი სამართლიანიც არ უნდა ყოფილიყო წყენა, მან ვერ შეძლო გულიდან მთლად აღმოეფხვრა გზააბნეული ქმრის სიყვარული.

თავის მხრივ, ლეონსიო არავითარ შინაგან შეშფოთებას არ განიცდიდა ცოლთან განხეთქილების გამო. ამიტომ გასამგზავრებლად მალვინას სასწრაფო მზადებამ სრულიადაც არ ააღელვა ის. შუშაბანდის მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი ფაზენდის პატრონი ზანტად აბოლებდა სიგარას და გულგრილად ადევნებდა თვალს სამგზავრო გაწამაწიას, რომელსაც, თითქოს, არაფერი საერთო არ ჰქონდა მასთან.

თუმცა ლეონსიოს გულგრილობა რამდენადმე მოჩვენებითი იყო. ცოლის გამგზავრებას ის, რა თქმა უნდა, არა ნაღვლობდა, პირიქით, მისი ცოდვილი სული ზეიმობდა: მეუღლე, როგორც იქნა, ტოვებდა ბრძოლის ველს, ახლა არაფერი შეუშლიდა მტკიცედ მოეკიდა ხელი ურჩი იზაურასათვის. ოღონდ ეს ზეიმი გარეგნულად შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგან ლეონსიო მტკიცედ იცავდა წესს: სიმშვიდე და გულგრილობა — საუკეთესო იარაღია ქალის გულისწყრომისა და ჭირვეულობის წინააღმდეგ. ასე, რომ, მალვინა, თუნდაც აუღელვებლად და წყნარად ჩამჯდარიყო ეტლში, მაინც ვერ შეამჩნევდა განცდების რაიმე კვალს მეუღლის სახეზე.

რაკი მალვინასა და ლეონსიოს ურთიერთობას გავეცანით, მოდით ახლა ვნახოთ, როგორ წარიმართა იზაურას ბედი კომანდორის სიკვდილის შემდეგ.

მოისმინა თუ არა ქალბატონის მიერ წაკითხული წერილის შინაარსი, ქალიშვილი მიხვდა: თავისუფლების მიღების ყველა იმედი დამსხვრა. შიშისაგან გაქვავებული იზაურა, გრძნობდა, ულმობელმა ბედმა როგორ უმწეოდ და უქმოაგოდ დატოვა მისი დაუფლების მოსურნე, შეუბრალებელი მდევრის წინაშე. იზაურას თავისი უბედური დედა გაახსენდა. მან იცოდა, რომ სხვა გზა არც თვითონ ჰქონდა: ან სასტიკ ძალადობას უნდა დამორჩილებოდა, ან სიცოცხლეს გამოსალმებოდა. სევდამ და შიშმა მოიცვა იზაურას სული, გაფითრებული და დაბნეული უბედური მონა, ხან უმიზნოდ დაეხეტებოდა ბაღის ყრუ ტევრში, ხანაც დიდი სახლის ყველაზე მივარდნილ კუნჭულებში იმალებოდა. არწივის გაფარჩხული კლანჭების შემხედვარე კურდღელივით აცახცახებული იზაურა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა თავშესაფრისა და მშველელის ძებნაში. ქალიშვილის დაცვა და თანაგრძ-

ნობა კი მხოლოდ ორ ადამიანს შეეძლო: მამას და მალვინას. მაგრამ საბრალო მიგელი ლეონსიოს სახლში არ ცხოვრობდა, ქალიშვილს დიდი გაჭირვებით ნახულობდა და ძნელად თუ შეეძლო სათანადო დახმარების გაწევა. მალვინა კი, თუ წინათ ყოველთვის ეფერებოდა და მფარველობდა იზაურას, თვით იმ სავალალო ამბის შემდეგაც კი, სასტუმრო ოთახში რომ გადახდა იზაურას, თანდათან ეჭვიანობდა და აღარ ენდობოდა მას. ქალბატონი დღითი დღე სულ უფრო პირქუში ხდებოდა მონა ქალის მიმართ, რომელსაც ადრე დასავით დაუახლოვდა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კეთილი და წრფელი გულის პატრონი მალვინა, თავისთავად, ალბათ, ასე სწრაფად არ შეიცვლიდა დამოკიდებულებას იზაურასთან, თუ არა ერთი გარემოება. საქმე იმაშია, რომ, როცა იზაურა ბატონის სახლიდან დაითხოვეს, მის ადგილზე მოახლედ დანიშნეს როზა. ცბიერი მულატი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ როგორმე ქალბატონის გული ეჭვიანობის შხამით მოეწამლა, და გზიდან ჩამოეცილებინა საძულველი მეტოქე.

— ტყუილად ენდობოდით იმ გაიძვერას, სენიორა, — ჩასჩურჩულებდა შურიანი როზა მალვინას, — მე ვიცნობ იმ მატყუარას. ქალბატონის წინ გულუბრყვილო გოგოდ მოჰქონდა თავი, ბატონის წინ კი კუდს აქიცინებდა... თვითონ ისაა დამნაშავე, თვითონ აუბნია გზაკვალი ბატონს.

როზას მარჯვე ხრიკებმა მალე შეაცდინა გულუბრყვილო და გამოუცდელი ქალბატონი, შედეგმაც არ დააყოვნა — მალვინამ შეიძულა იზაურა. ეშმაკი მულატის ოცნებაც ეს იყო.

ამ ახალი უბედურებით დათრგუნვილი იზაურა რამოდენიმეჯერ შეეცადა დალაპარაკებოდა ქალბატონს, გაეგო ასეთი მოულოდნელი გულცივობის მიზეზი, მაგრამ ყოველთვის ისე მტრულად ხვდებოდა მალვინა, რომ საცოდავი მოახლე შიშით უკან იხევდა, რათა კიდევ უფრო ღრმად ჩაძირულიყო სასოწარკვეთილების უფსკრულში.

მიუხედავად ამისა, თუნდაც აღარ ყვარებოდა ქალბატონს ყოფილი მოახლე, მალვინას სახლში ყოფნა მაინც იცავდა იზაურას ლეონსიოს აშკარა ძალადობისაგან. გატანჯულ მონას ესმოდა ეს და ამიტომაც ორმაგი შიშით შეჰყურებდა ქალბატონის სამგზავრო მზადებას, ის გრძნობდა, რომ მალე მთელი სისასტიკით დაიწყებოდა ავხორცი ბატონის მცდელობა.

და მართლაც, ის იყო მალვინას ეტლი ბორცვს მიეფარა, რომ

ლეონსიო უმალ გაემართა იზაურას მოსაძებნად. შორეულ კუთხეში უნუგეშო ტირილისაგან მთლად მოკუნტული იპოვა ლეონსიომ იზაურა.

მკითხველს შევიბრალებთ და დაწვრილებით არ ავწერთ იქ გათამაშებულ სამარცხვინო სცენას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ლეონსიომ სწრაფად ამოწურა მგზნებარე აღთქმის, დიდსულოვანი დაპირებებისა და დამამცირებელი ხვეწნის მარაგი და გადავიდა ყველაზე სასტიკ და აშკარა მუქარაზე, მაგრამ, სხვათა შორის, არც ამან გამოიღო შედეგი.

ჭირვეული მონის დაყოლიების ამ კიდევ ერთი უშედეგო ცდის შემდეგ, ფაზენდის პატრონი მუქარიდან საქმეზე გადავიდა. იმავე დღეს, როგორც წინა თავიდან შევიტყვეთ, მან განკარგულება გასცა იზაურა მრთველების ფარდულში გადაეყვანათ სამუშაოდ. შემდგომში მას ელოდა ყავის პლანტაცია, შაქრის ლერწმის ჭრა და ბოლოს ფაზენდაში არსებული სამარცხვინო ბოძი, რომელზეც დამნაშავე მონებს სჯიდნენ. და თუ ამის შემდეგ იზაურა კვლავ გააგრძელებდა ჯიუტობას, ეპვგარეშეა, ყველაფერი სამარით დამთავრდებოდა.

თავი IX

ბიწიერი ვნებით ანთებული ლეონსიო ადგილს ვერ პოულობდა. ის უმიზნოდ დაეხეტებოდა სახლში, ხან მოსამსახურეებს მოუდებდა შარს, ხან მოურავის საქმეში ერეოდა, ამასთან ფაზენდეირო ყურადღებით ადევნებდა თვალს იზაურას თითოეულ ნაბიჯს და შემთხვევას ეძებდა მარტო მოეხელთებინა სადმე. ამიტომ, როცა საჭმელად მიმავალ მონა ქალებს შორის იზაურა ,ვერ დაინახა, ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა: კარგია! — ახლა მოურავს უბრძანებს ქალები ყავის საკრეფად წაიყვანოს, თვითონ კი მარტო დარჩება იზაურასთან.

შესაძლოა, სკეპტიკურად განწყობილი მკითხველი დაეჭვდა კიდეც — რაში ჭირდებოდა ლეონსიოს ამდენი ეშმაკური ხრიკები. ბოლოსდაბოლოს, იზაურა ხომ მისი კანონიერი საკუთრება იყო და მის სანახავად კმაროდა ებრძანებინა და თუნდაც ძალით მოუყვანდნენ მონას.

ყველაფერი ასეა მართლაც, მაგრამ, მეორე მხრივ, იზაურას სილამაზეს და გონების, მისი სულის კეთილშობილებასთან ერთად არ შე-

ეძლო არ გამოეწვია თუნდაც ასეთი ცინიკოსი და აღვირახსნილი პატრონის პატივისცემა. მისი სილამაზე აიძულებდა ლეონსიოს მასთან უფრო თავაზიანი და მორიდებული ყოფილიყო, ვიდრე სხვა მონებთან.

— იზაურა, — შემპარავად წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა და გააგრძელა ჩვენ მიერ ზევით შეწყვეტილი საუბარი, — შენ უნდა გაიგო, რომ შენი ბედი ახლა მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული.

— ყოველთვის ასე იყო ბატონო. — მორჩილად უპასუხა ქალიშვილმა.

— ყოველთვის არა, მაგრამ ახლა, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მე ვარ მთელი ქონების სრულუფლებიანი პატრონი. თანაც მალვინა მშობლებთან გაგზავნილა შენთვის უეჭველად. კარგად ცნობილი მიზეზების გამო. ასე რომ, დღეიდან აღარაფერი შემიშლის ხელს შენი ბედის გადაწყვეტაში და თუ როგორ გავაკეთებ ამას, მთლიანად შენზეა დამოკიდებული.

— ჩემზე?! ო, ბატონო... რა შეიძლება იყოს დამოკიდებული საბრალო მონაზე?

— მართალს გეუბნები, — გააგრძელა ლეონსიომ და ხმას, რაც შეეძლო რბილი და გულწრფელი ეერი მისცა, — მე მთელი გულით მწადია შენი სიცოცხლის გალამაზება, მაგრამ როგორ მოვიქცე, თუკი შენ თვითონ ჯიუტად უარს ამბობ ბედნიერებაზე.

— რაში გჭირდებათ მონა ქალი, ბატონო? — უმჯობესია გაიხსენოთ კეთილშობილი და მშვენიერი სენორა მალვინა, რომელიც თქვენ ასე გიყვარდათ. თქვენს მეუღლეზე შეიძლება ილოცოს ადამიანმა... თქვენ კი ამის მაგიერ არაფრის მაქნის მონას აქცევთ ყურადღებას, რომელიც მზად არის ყველაფერი დაგიჯეროთ, გარდა ერთისა...

— მომისმინე, იზაურა, შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ და ბევრი რამ არ იცი ცხოვრებაში. ოდესმე ინანებ, რომ ხელი ჰკარი ჩემს სიყვარულს, მაგრამ გვიან იქნება!

— არა! — ცხარედ შეეპასუხა ქალიშვილი. — მე რომ თქვენ რჩევას დავყვე, მაშინ სენორა მალვინას ვუღალატებ!

— შენ პატარა ბავშვივით ლაპარაკობ! გამიგე, ჩემო იზაურა, დედაჩემი აფასებდა შენს სილამაზესა და მგზნებარე სულს, ხარჯებს არ მოერიდა, გასწავლა, საკუთარი შვილივით გაგზარდა. მას ისე უყვარდი შენ... და თუ არ გაგათავისუფლა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდა, არ დაეკარგე. მაშ, როგორ შემიძლია გაგიშვა მე, ვისაც უფრო

მეტად უყვარხარ, უყვარხარ სიგიჟემდე. ჭკუის დაკარგვამდე; მამა-ჩემი — ღმერთმა აპატიოს! — თავისი სიხარბით მზად იყო ერთ მუჭა ოქროზე გაეყიდე. მაგრამ რა არის ოქრო შენს ზეციურ სილამაზესთან შედარებით? სულელი! მე კი არ შემიძლია უარით არ გავისტუმრო ის, ვინც ბედავს და ფულს მთავაზობს შენ გასათავისუფლებლად. შენ ხომ უიმისოდაც თავისუფალი ხარ, თავისუფალი, რადგან ასე სურ-და დედაჩემს, ასე მსურს მეც. მაგრამ ჩემი სიყვარული შენდამი იმ-დენად დიდია, რომ მე არ შემიძლია შენი აქედან გაშვება. მე დარდით მოვკვდები, თუ მაიძულებენ, ხელიდან გავუშვა ზეცის მიერ ჩემთვის საჩუქრად მოძღვნილი უძვირფასესი მარგალიტი!

— მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ მე თქვენი ვერაფერი გამიგია. ხან ამბობთ, რომ მე თავისუფალი ვარ, ხან არ გინდათ ჩემი გაშვება...

— იზაურა, საკმარისია მოინდომო და — შენ გახდები ამ სახლის დიასახლისი, არა, ქალღმერთი! — გზნებით განაგრძობდა ლეონ-სიო. — ნებისმიერი შენი სურვილი ,უმნიშვნელო კაპრიზი დაუყოვ-ნებლივ ასრულდება. მე ვიქნები შენი ერთგული და ფაქიზი მიჯნური, შე ისეთ ზრუნვასა და ალერსში გაგხვევ, როგორიც მხოლოდ ყველა-ზე მხურვალე მარადიულ სიყვარულს შეუძლია! მალვინა წავიდა? მით უკეთესი. მე რა საქმე მაქვს მასთან, როცა შენა ხარ ჩემთან? მოდი, დავივიწყოთ წარსული და ერთმანეთის ალერსში ვპოვოთ ბედნიე-რება!

— მე მაშინებს თქვენი სიტყვები, ბატონო. როგორ შეიძლება ზი-ზღით თქვა უარი ისეთ მოსიყვარულე და სათნო მეუღლეზე, როგო-რიც სენიორა მალვინაა? მაპატიეთ, მაგრამ, განა ეკადრება კეთილშო-ბილ სენიორს უუფლებო მონის გამო მიატოვოს ერთგული ცოლი?

ასეთმა საყვედურმა ლეონსიოს სიამაყე შელახა.

— ხმა ჩაიწყვიტე, თავხედო გომბიო! — დაიყვირა მან, — არ გეყო ჩემი აბუჩად აგდება და ახლა ჭკუის სწავლებაც დამიწყე? და-ფიქრდი, რას ლაპარაკობ!

— მაპატიეთ, ბატონო... — იზაურა უკვე ნანობდა წამოცდენილ სიტყვებს.

— საკმარისია დამეთანხმო და შენ გახდები... — ლეონსიომ და-აპირა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. მაგრამ ხმა ჩაუწყდა. — არა, კმა-რა თავის დამცირება მონის წინაშე .რა საჭიროა ვიმათხოვრო ის, რაც ისეც მეკუთვნის? არ დაივიწყო უჯიათო, რომ მე, მხოლოდ მე მეკუთვნი სულითაც და ხორცითაც, სხვას არავის! შენ ჩემი საკუთრე-

ბა ხარ, ლამაზი ლარნაკი, რომლის მზერით დაჭკნობაც შემიძლია და თუ მოვინდომე — შემიძლია დავამსხვრიო კიდეც.

— დიახ, ბატონო, თქვენ შეგიძლიათ გატეხოთ ეს ლარნაკი, მაგრამ ღვთის გულისათვის, ნუ გამოიყენებთ მას ჭუჭყიან, სამარცხვინო საქმეში. მონასაც ხომ აქვს ადამიანის გული და ბატონსაც კი ძალა არ შესწევს მართოს მისი სიმპათიები...

— სიმპათიები? შენ რა, უკვე გაგიჩნდა სიმპათია?

— არა-არა, ბატონო. ჩემი გული თავისუფალია. ჯერ ვერავინ მოინადირა.

— მისმინე, გოგონა, ნუ გავიწყდება, რომ შენ ჩემი მონა ხარ. და თუ ნებით არ დამთანხმდები, მე ვისარგებლებ ჩემი უფლებით და ძალით... მაგრამ რისთვის? მე მძულს უკიდურესი ზომები, მაგრამ შენ თვითონ მიბიძგებ მათკენ. რას ვიზამთ, თუ კი შენ ასე გირჩევნია...

— ვაი ჩემს თავს უბედურს! მე თქვენს ხელთა ვარ, ბატონო და ვიცი, რისი შაქნისიც ბრძანდებით. მამათქვენმაც ასევე დაღუპა საბრალო დედაჩემი და ვგრძნობ, მეც იგივე ხვედრი მელოდება. მხოლოდ მე დარწმუნებული ვარ, მეყოფა ძალა სამუდამოდ დავაღწიო თავი შეურაცხყოფას!

— ოჰო! — გესლიანად გაიღიმა ლეონსიომ, — მგონი შენ რომანტიკაში გადავარდი! მონისაგან არ მიკვირს? აი, ისიც — განათლების ნაყოფი... ჰეშმარიტად. როიალზე დაკვრა და რომანების კითხვა სიკეთეს არ მოუტანს მონებს. მაგრამ მე ეს გავითვალისწინე და შევძლებ გავანელო შენი რომანტიკული გზნება! — პატრონის ხმა თანდათან მკაცრი ხდებოდა. — ვფიქრობ, მალე გაგივლის სურვილი თავი პრანჭია ქალბატონად მოგვაჩვენო. ეი, ანდრე! — ხმამაღლა დაიძახა ლეონსიომ.

— გისმენთ, ბატონო, — იმ წუთს გამოეპასუხა ლაქია და ფარდულში სათამაშო ყუთიდან ამომძვრალი ეშმაკივით გაჩნდა.

— მაშ ასე, ანდრე, — მშრალად და მოკლედ ბრძანა ფაზენდეირომ, — მომიტანე ხუნდები და ბორკილები.

— აი, აი, აი... თავისთვის დუდუნებდა ლაქია და თან ბრძანების შესასრულებლად მიდიოდა. — რა ამბავი დატრიალდება? საცოდავი იზაურა...

— შემიბრალეთ, ბატონო! — შეჰღაღადა ქალიშვილმა და მუხლებზე დაეცა. გევედრებით, მამათქვენის ჯერ ისევ თბილ საფლავს გაფიცებთ. დედათქვენის უკვდავი სულისათვის, ნუ გაუტეხთ სახელს

უბედურ მონას! გამგზავნეთ ყველაზე მძიმე სამუშაოზე, დილიდან საღამომდე ლერწამი მაკაფინეთ, ყველაფერს ავიტან, ოღონდ, ნუ მომთხოვთ იმას, რაც ჩაიფიქრეთ, თორემ მოვკვდები!

— ო, ამის დაშვება არ შემიძლია. მე არ ვაპირებ შენისთანა მონის დაკარგვას. ოდესმე მადლობასაც მეტყვი, სიცოცხლე რომ გაჩუქე.

— მე ვხედავ, რომ თუ თავს არ მოვიკლავ, მაშინ ჯალათის ხელით მოვკვდები! — აკანკალებული ხმით წარმოთქვა იზაურამ და ფეხზე წამოდგა.

ამ დროს გამოჩნდა ლაქია ანდრე, რომელმაც ხუნდები და ბორკილები მოიტანა. მან დახლზე, პატრონის ახლოს, დააწყო ისინი და ჩუმად გავიდა.

ამ ბარბაროსული ხელსაწყოების დანახვაზე ქალიშვილს გული გაეყინა, თვალები დაეხილა, ფეხები მოეკვეთა და სკამზე უღონოდ დაეშვა. იზაურა ცრემლად დაიღვარა. იგი გარდაცვლილი ქალბატონის სულს შესთხოვდა ზეცაში დაეცვა საბრალო მონა ქალი.

— იზაურა, — შეუბრალებლად შეაწყვეტინა ლეონსიომ. — ხომ ხედავ, რაც გელოდება ურჩობისათვის. შენ კიდევ გაქვს დრო, მოიფიქრე. დღის ბოლომდე უნდა აირჩიო, ან ჩემი სიყვარული ან სიძულვილი. ნახვამდის.

როდესაც ლეონსიომ ფარდულის კარები გაიხურა, იზაურამ თავი ასწია, ხელები სიბრალულით ზე აღმართა და შეევედრა: ყოვლად წმინდა ქალწულო, ღვთისმშობელო! შენ ხომ იცი, დანაშაული არ მიმიძღვის, მაშ, რით დავიმსახურე ასეთი მკაცრი სასჯელი? შენ და მიფარე ჯალათის ხელიდან, გაანათე მისი სული, შენ ჩაუნერგე სიბრალული! სხვა მოსარჩლე არ გამაჩნია შენს მეტი, წმინდა ქალწულო! შემიბრალე, დაიფარე ჩემი სიცოცხლე და პატიოსნება. შენს წამებულ ძეს გაფიცებ; დამიფარე!

ამ ნაღვლიანი და მხურვალე ლოცვის დროს იზაურა ჩვეულებრივზე უფრო მშვენიერი იყო. ამ წუთს რომ დაენახა თავისი მონა, შესაძლოა ლეონსიოს ქვის გულიც მომბალიყო. ცრემლით სავსე თვალებით, ლოყებზე მარგალიტის მძივებად რომ დაკიდებოდა, ლოცვის მოჩურჩულე მთრთოლვარე ლალისფერი ტუჩებით, ზურგზე კულულებად დაყრილი მშვენიერი თმით და სწრაფად მბორგავი მკერდით, რომლის გამოძერწვასაც უდიდესი სკულპტორიც კი დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, ქალიშვილი მწუხარების მშვენიერ და დიდებულ ხატს ჰგავდა. იზაურას ლოცვა იმდენად მხურვალე იყო, რომ იფიქრებდით

ცით მოვლენილი ანგელოზები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ეს უმანკო ვედრება სასწრაფოდ მიეტანათ წმინდა ქალწულის სამყოფელში.

მწუხარებაში ჩაფლულმა იზაურამ ვერ შენიშნა, როგორ შემოვიდა ფარდულში მიგელი. მამამ დაინახა ქალიშვილი და ფრთხილად მიუახლოვდა მას.

— მადლობა ღმერთს, აქ არის ჩემი შვილი — თავისთვის ჩურჩულებდა პორტუგალიელი. მაგრამ, მგონი, აქ უკვე იყო ის არამზადა. რა ეშველება ჩემს საბრალო გოგონას?

— მამა! — მოულოდნელობისაგან შეკრთა ქალიშვილი. — ხედავთ სადამდე მიიყვანეს შენი შვილი!

— რა მოხდა შვილო? რა ახალი უბედურება დაგატყდა თავს? — შიშით იკითხა მიგელმა.

— ნუთუ ვერ ხედავ? — ნაღვლიანად ამოიოხრა იზაურამ და ხუნდებზე და ბორკილებზე, მიუთითა, — აიჩემი ხვედრი...

— უ-უ, მხეცი! — რას იზამ, მე ველოდი ასეთ სულმდაბლობას მისგან.

— აი, როგორ ესმის მას თავისუფლება დედამისის მიერ სიყვარულით გაზრდილი ქალისათვის. ამიერიდან მე მხოლოდ ტანჯვა და სირცხვილი, დამცირება და უხეშობა მელოდება. მე ვერ ავიტან ამას მამაჩემო! ხსნის ერთადერთი საშუალება არსებობს მხოლოდ! როგორ მეშინია... ქალიშვილი დადუმდა, მერე კი ჩახლეჩილი ხმით დაამატა: — მამი, მომეცი შენი დანა.

— ღმერთო შეგვიწყალე, რად გინდა შვილო დანა? ხომ არ გაგიჟდი?

— მომეცი დანა, მამაჩემო. მე მას მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში გამოვიყენებ. ჩემი სისხლით შევღებავ იმ არამზადის საზიზღარ სახეს...

— არა, შვილო, ასეთი საშინელება ჩვენ არ გვინდა. გული მიგრძნობდა ამას და ყველაფერი მოვიფიქრე. ის ფული შენს გამოსასყიდად რომ შევაგროვე, დამეხმარება გამოგიხსნა ამ მტაცებლის კლანჭებიდან. მე ყველაფერი მოვამზადე გასაქცევად, ჩემო გოგონა. ჩვენ უნდა გავიქცეთ აქედან!

— გავიქცეთ?! საით? რანაირად?

— შორს აქედან და დაუყოვნებლივ, ვიდრე ეჭვი არ აუღიათ, ვიდრე ბორკილები არ დაუდვიათ.

— ეჰ, მამა, რომ დაგვიჭირონ? მაშინ რა მომელის?

— რა თქმა უნდა, ეს სახიფათოა, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს შვილო! — ვენდოთ ღვთის განგებას, ღმერთი პატრონია. ახლა ფაზენდაში თითქმის არავინ არ არის: კაცები ლერწამს ჭრიან, შენი აქაური მეგობრები მოურავმა ყავის საკრეფად წაიყვანა. ბატონი ცხენით წავიდა სასეირნოდ ანდრესთან ერთად, მხოლოდ სამზარეულოშია რამდენიმე კაცი. ხელიდან ნუ გავუშვებთ ღმერთის მიერ ნაბოძებ შემთხვევას! ბაღის ბოლოს მდინარის ნაპირზე მე ნავი მივაბი. შენ პირველი გახვალ აქედან და წახვალ ბაღში. რამდენიმე წუთში მეც უკან გამოგყვები. ერთ საათში კამპუსში ვიქნებით. იქ დგას გემი, რომლის კაპიტანიც ჩემი ძველი მეგობარია. განთიადისას გემი გადის ჩრდილოეთისაკენ, ასე რომ ხვალ, ამ დროს, ჩვენ უკვე შორს ვიქნებით შენი მტანჯველი ჯალათისაგან. წავიდეთ, იზაურა და იქნებ ღმერთმა კიდევ მოგვივლინოს კეთილშობილი ადამიანი, რომელიც ჩემზე უკეთ დაგიცავს მომავალში.

— მე თანახმა ვარ, მამა. დასაკარგავი აღარაფერი მაქვს, ამაზე უარესი რა უნდა იყოს...

იზაურამ ფრთხილად გამოიხედა ფარდულიდან, ყურადღებით მიმოიხედა ირგვლივ, გადაჭრა ეზო და ბაღის ჭიშკარში მიიმალა. ცოტა ხანში მიგელიც მიჰყვა ქალიშვილის კვალს. რამდენიმე წუთში ლტოლვილები მდინარის ნაპირზე შეიყარნენ.

მიგელის ძლიერი და მარჯვე ხელების წყალობით ნავი სწრაფად და უხმაუროდ შეცურდა წყალში და მალე მდინარის მოსახვევში გაუჩინარდა.

თავი X

იზაურას გაქცევიდან უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა. ვიდრე ლეონსიო მოსვენებას არ აძლევს პოლიციას, ქირაობს კერძო მაძებრების ხროვას და პირდაპირ ოთხში ამოდის, რომ როგორმე დაიჭიროს მისი გალიიდან ასე გაბედულად გაფრენილი ჩიტუნია, ჩვენ დავასწროთ ლეონსიოს, მთელი სისწრაფით გავექანოთ ჩრდილოეთის პროვინციებში, სადაც, შესაძლოა, ლტოლვილებთან შეხვედრაც მოვახერხოთ.

ქალაქი რესიფე![1] ჭეშმარიტად მშვენიერი ჯადოსნური ღამე იყო

[1] რ ე ს ი ფ ე — ბრაზილიის შტატის, პერნამბუკუს დედაქალაქი.

სამხრეთ ამერიკის ამ კოპწია ვენეციაში, რომლის თავზეც სინათლის დიადემა ისე კიაფობდა, თითქოს შეყვარებული ოკეანის ტრფიალს გამოქცეული, ბრილიანტის გვირგვინით შემკული ტურფა სირინოზი ამოვიდაო ტალღებიდან ნაპირზე. ნამდვილად ჯადოსნური ღამეა, დღესასწაულის ღამე. ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, სინათლით გაკაშკაშებულ სახლში თავი მოეყარა წარჩინებული საზოგადოების ნაღებს: მამაკაცებსა და ქალებს. აქაურ შესანიშნავ მეჯლისებზე ყოველთვის ნახავდით ყველაზე დახვეწილ პუბლიკას. აქ იყო ძველი ოლინდიდან ჩამოსული თავქარიანი სტუდენტების, მდიდარი მშობლებისაგან განებივრებული შვილიკოების კომპანია, რომელსაც სურდა, თუნდაც რამდენიმე საათით, დაევიწყებინა აკადემიის ხმელი მერხები, მიხრწნილი პროფესორების მომაბეზრებელი ლექციები და იქ დაგროვილი სევდა გაექარვებინა საცეკვაო დარბაზის მსუბუქი არომატითა და ჭრელ-ჭრელი აბრეშუმის მდიდრული მორთულობით, რომ ეგრძნო პერნამბუკელ შავვგრემანთა მწველი მზერითა და ჯადოსნური ღიმილით გამოწვეული სისხლის მოზღვავება და ახალგაზრდა გულების, ძგერა.

მოდით, დავენდოთ ტერპსიქორის[1] ტაძრის ტურფა ქურუმთა თილისმას და ჩვენც შევიდეთ ამ უტურფესი მუზის სამყოფელში. რაზე საუბრობენ ეს ცოცხლად ეს ელეგანტური [illegible] ნაირდებული [illegible] ით, შევჩერდეთ და დავიკმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა.

— დამიჯერეთ, — ამბობდა ალვარო, — ეს ახალი ვარსკვლავი [illegible] გაბრწყინებს რვსიფეს სალონებში. ღიმილიდან ყველაზე [illegible] ული მეჯლისიც კი გაფერმკრთალდება. სამი თვეც არ არის, რას ის აქ გამოჩნდა. მას თითქმის არავინ იცნობს. მე ბედმა გამიღიმა — პატივი მქონდა გავცნობოდი. გეფიცებით, დოქტორო ჟერალდო, [illegible] ქმნილება [illegible] ერთ ჩვენთაგანს არ შეხვედრია. ქალი კი არა ანგელოზია, ნამდვილი ფერია, არა, ქალღმერთი!..

— დალახვროს ეშმაკმა! — წამოიძახა დოქტორმა ჟერალდომ. — ანგელოზი, ფერია, ქალღმერთი! შენ ნამდვილი პოეტი ხარ, ჩემო მეგობარო. ვნახოთ და ერთი ჩვეულებრივი ქალი გამოდგეს, მერე? გარდა მაგისა, რაც არ უნდა იყოს, გინდა მართლაც ქალღმერთი იყოს,

---

[1] ტერპსიქორა — ცეკვის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

ან თუნდაც ფერია, მაინც ხომ უნდა იცოდე, მეგობარო: სადაურია, რა მზითევი აქვს და სხვა ამისთანა, ა?..

— სიმართლე გითხრათ, მე ასეთი წვრილმანები არ მაღელვებს. ზეცამ ჩამაგონა, რომ ის ანგელოზია. მისი წმიდა და კეთილშობილი სული და შეუდარებელი სილამაზე კი ჩემთვის ყველა სიმდიდრეზე ძვირფასია. თანაც დანამდვილებით ვიცი, რომ ის რიო-გრანდე-დუ-სულიდან ჩამოვიდა მამასთან ერთად, რომ ის დედისერთაა და ბევრი ფულიც აქვთ. და კიდევ ვიცი, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება მასზე ლამაზი ქალი. სახელად კი ელვირას ეძახიან.

— ელვირა! — მართლაც ლამაზია, — შენიშნა მესამე მოსაუბრემ. — მაგრამ ვითხარი, ალვარო, სად ცხოვრობს შენი ზღაპრული მზეთუნახავი?

— კი ბატონო, მე ამის დამალვას არ ვაპირებ. ისინი დაბინავდნენ სანტუ-ანტონიოში, ერთ პატარა სახლში. მორიდებულად ცხოვრობენ, საზოგადოებას გაურბიან და ხალხში იშვიათად გამოდიან. მათი სახლი პალმების ხეივნის სიღრმეშია ჩადგმული, ზღაპრული მღვიმე გეგონებათ და ჩემი ფერია ფოთლებში მიმალულ იასავით ცხოვრობს იქ.

— დიდებულია! — შენიშნა დოქტორმა ჟერალდომ. — მაინც, როგორ მოახერხე ამ მომხიბლავი ნიმფის აღმოჩენა, ან როგორ შეაღწიე იმ ზღაპრულ მღვიმეში?

— ნება მომეცით, მოგიყვეთ. ერთხელ მე ცხენით ვსეირნობდი და უცებ თვალი მოვკარი აუწერელი სილამაზის ქალიშვილს. ის ვარდების ბაღში მერხზე ისვენებდა. შემნიშნა თუ არა, რომ მე აწე აშკარად და მოურიდებლად ვუყურებდი, ის წამოხტა და პეპელასავით შეფრთხიალდა აყვავებულ ბუჩქებში. იმ დღიდან მოსვენება დავკარგე. სულ იმას დავეძებდი. მაგრამ მთელ იმ მხარეში მისი ნაცნობი ვერავინ ვიპოვე. როგორც იქნა ბედმა გამიღიმა, მე გავიცანი იმ სახლის პატრონი, სადაც ის ცხოვრობს, მაგრამ ვერც მისგან გავიგე მათი ასავალ-დასავალი. ეს კი მითხრა, რომ ყოველთვიურად ზუსტად დათქმულ დროს, მდგმური მოდიოდა და წინასწარ იხდიდა სახლის საფასურს. იმის იმედით, რომ ერთხელ მაინც დავინახავდი და დაველაპარაკებოდი მას, მთელი დღეები ამ ბაღის ირგვლივ დავსეირნობდი.

რამდენიმეჯერ თვალიც მოვკარი, მაგრამ ნიმფა გაურბოდა ჩემს ვნებიან მზერას და ყვავილებში მემალებოდა. ერთ მშვენიერ დღეს შორიდან ვუთვალთვალებდი. დავინახე, რომ მერხიდან ადგომისას

ცხვირსახოცი დაუვარდა. კარები ღია იყო და მე გავბედე ბაღში შეს-
ელა, ავიღე ცხვირსახოცი და სწრაფად მივუტანე, ამ დროს ჩემი ფე-
რია უკვე სახლის ზღურბლზე იდგა. მან მადლობა გადამიხადა და გა-
მიღიმა... ღმერთო, როგორი ღიმილი აქვს! თითქოს უცებ მზე აკაშ-
კაშდაო წყვდიადში! მე მზად ვიყავი მუხლი მომეყარა მის წინაშე,
მაგრამ ის უკვე მიიმალა სახლში, მე კი არც შემიპატიჟა.

— ჩემო საყვარელო, ალვარო, — შეაწყვეტინა ერთ-ერთმა ახალ-
გაზრდამ, — როგორ ფიქრობ, ცხვირსახოცი მას შემთხვევით დაუ-
ვარდა? იქნებ შენთან საუბარი მოუნდა? სანაძლეოს ჩამოვალ, რომ
ეს მახე იყო. მე ვიცი კოკლუცების ამბავი.

— სისულელეა! მასში კოკლუცობის წვეთიც არ არის. ის პირდა-
პირ ხალასი გულწრფელობითაა ნაქსოვი. რომ იცოდეთ, რა ტანჯვის
ფასად დავტოვე სიყვარულისა და სინაზის სურნელით გაჟღენთილი
ბაღის ის ღვთით კურთხეული კუთხე...

ალვარო მიყუჩდა, თითქოს მეორედ განიცდიდა იმ მთრთოლვარე
წამებს.

— გაიღვიძე, ალვარო!—შეუძახა ერთ-ერთმა მეგობარმა.— შენ ისე
მოგვხიბლე შენი თავგადასავლით, რომ ერთი სული მაქვს მოვისმინო
რომანის გაგრძელება...

— რომანის? ოჰ, ნეტავი მართლა ასე იყოს... მე თვითონაც არ
ვიცი, იქნება თუ არა გაგრძელება. რა არ ვიღონე, მაგრამ ვერაფრით
მოვიფიქრე რაიმე, ოდნავ მაინც დამაჯერებელი მიზეზი, რომ კიდევ
ერთხელ მეცადა შემეღწია ჩემი ქალღმერთის უწმინდეს სავანეში. და-
აი, ერთხელ ასეთი შემთხვევაც მომეცა. ერთ დღეს ეტლით ვსეირნობ-
დი სანტუ-ანტონიუში, მდინარე ბებერიევეს გასწვრივ. უცებ დავინახე
ჰატარა ნავი, რომელშიაც კაცი და ქალი ისხდნენ. ჩემს თვალწინ დი-
ნებამ მეჩეჩისკენ წაიღო ნავი და ცხვირით ქვიშაში ჩაფლა. დიდხანს
არ მიფიქრია, ეტლიდან გადმოვხტი, ჩავჯექი ნაპირზე მიბმულ ერთ-
ერთ ნავში და ნიჩბები მოვიმარჯვე. მინდოდა მალე მივშველებოდი
კვიმატ წყვილს, რომელიც ამაოდ ლამობდა ნავის ადგილიდან დაძ-
ვრას. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა, მათთან მიახლოებულ-
მა, ვიცანი იდუმალებით მოცული ფერია და მამამისი.

— უჰ! საქმის სწორედ ასეთ შემობრუნებას მოველოდი, თუმცა,
ჭიმართლე გითხრათ, ეს ისტორია მაინც დრამატულია. მხოლოდ ეგაა-
სულ უფრო ჰგავს მოგონილ ამბავს.

— რას ამბობ! გეფიცები, ყველაფერი წმინდა წყლის სიმართლეა!

მომისმინეთ, აი, რა მოხდა შემდეგ. რადგან ორივე თავიდან ფეხებამდე სველი იყო, მე მათ ეტლი შევთავაზე და დიდი ხვეწნის შემდეგ დავითანხმე სახლამდე მიმეყვანა. რა იყო სახლში, იმას არ მოვყვები. მხოლოდ გეტყვით, რომ მე მოკრძალებით ნება დამრთეს მევლო იმ საიდუმლო მღვიმეში.

— ო, მგონი, შენ მართლა შეყვარებული ხარ, — ჩაილაპარაკა დოქტორმა ჟერალდომ.

— შენ რა, ეჭვი გეპარება? მე პირდაპირ თავბრუ მესხმის, სხვა რამეზე ფიქრიც კი არ შემიძლია. თანაც... მგონი, არც ის არის გულგრილი ჩემდამი.

— ფრთხილად, რომელიმე ავხორცი ცირცეას [1] ბადეში არ გაეხვე, რომელმაც გაიგო, რომ ახლო-მახლო ცხოვრობს მდიდარი მიამიტი კაცი და გადაწყვიტა მისი ფულების ხელში ჩაგდება. მე მაშფოთებს მათი ეს გარიყულობა, გარს შემოხვეული საიდუმლოების ფარდა.

— ხომ შეიძლება მათ დანაშაულიც ჰქონდეთ ჩადენილი ან პოლიციას ემალებოდნენ? — ვარაუდი გამოთქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ.

— ან ყალბი ფულის მჭრელები იქნებიან, — დაამატა მეორემ.

— მე კი, — განაგრძო დოქტორმა ჟერალდომ, — როცა ვისმენ მამაკაცთან ერთად მოგზაური ლამაზი ქალების შესახებ, თუნდაც კაცებს მამას ან ძმას ეძახდნენ, ყოველთვის ცუდი აზრები მიჩნდება თავში. აი, ახლაც, გულს ეჭვი მიღრღნის. დაფიქრდი, ალვარო, ნამდვილად იცი ,რომ ის კაცი მამაა მისი. ან იქნებ რომელიმე არამზადაა, რომელსაც უნდა ამ მზეთუნახავის ხარჯზე გამდიდრდეს?

— ო, ღმერთო ჩემო! — ხელები გაასავსავა ალვარომ. — რომ მცოდნოდა, ასე მიიღებდით ჩემს ნათქვამს და დაიწყებდით ჩემი ფერიის ლანძღვას, პირში წყალს ჩავიგუბებდი თევზივით. დამიჯერეთ, მეგობრებო. თქვენ ძალიან უსამართლოდ ლაპარაკობთ საბრალო ქალიშვილზე, დარწმუნებული რომ არ ვიყო მის ზეციურ სიწმინდეში, კიდევ შეიძლებოდა მისი წარმოდგენა გვირგვინახდილ პრინცესად,

---

[1] ცირცეა — ჯადოქარი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ოდისევსის თანამგზავრები ღორებად აქცია, ოდისევსი კი ერთი წელი ჰყავდა თავის კუნძულზე-აქ გადატანითი მნიშვნელობით — მაცდური ლამაზმანი.

მაგრამ ის ხომ ნამდვილი ანგელოზია? არაფერია, მალე გაგაცნობთ და თქვენი ეჭვები ნისლივით გაიფანტება. აი, ვნახავთ, ყველა ერთხმად აღიარებთ ციურ ანგელოზად. ერთი რამ მაშინებს მხოლოდ — მეტოქეები მომიმრავლდება.

— ჩემი ნუ შეგეშინდება, — გაიცინა ერთ-ერთმა მოსაუბრემ, — იდუმალებით მოსილი ქალები ჟრუანტელს მგვრიან.

— მე კი უბრალო მოკვდავი ვარ, ფერიებისა და ქალღმერთებისა სიკეთილივით მეშინია, — ჩაიქირქილა მისმა მეგობარმა.

— ერთი რამ ვერ გამიგია, — წარმოთქვა დოქტორმა ჟერალდომ, — რამ აიძულა ეს განდეგილი ქალი გამოსულიყო თავშესაფრიდან და დათანხმებულიყო ხალხმრავალ მეჯლისზე მოსვლას?

— ეჰ, მეგობრებო, რომ იცოდეთ რა ხვეწნითა და მუდარით დავითანხმე?! — შესძახა ალვარომ. — პირდაპირ ძალით მომიწია წამოყვანა. მთელი ჩემი მჭევრმეტყველება დავხარჯე, რომ მათთვის დამემტკიცებინა — მამაზეციერმა ასეთი სილამაზე შექმნა არა იმისთვის, რომ ხალხს დაემალოს, არამედ, პირიქით, რომ მას უმზერდნენ და აღტაცებაში მოდიოდნენ მისით. მე სულაც არა ვარ ისეთი მიჯნური, რომელიც ცდილობს ქვესკნელში გადამალოს თავისი სატრფო და დაიფაროს თავისი განძი შესაძლო არშიყებისგან და მაინც, მამაშვილი ათასნაირ მიზეზს იგონებდა უარის სათქმელად. ბოლოს და ბოლოს, ეშმაკობა ვიხმარე: დავარწმუნე, რომ ასეთი განდეგილი ცხოვრება ეჭვს იწვევს საზოგადოებაში და სადაცაა პოლიციაც სერიოზულად დაინტერესდება მათი საქმით. ამ ტყუილმა კი ნაყოფი გამოიღო.

— ეს არც ისე შორს არის ჭეშმარიტებისაგან, — შეაწყვეტინა დოქტორმა ჟერალდომ.

— მე დავიჟინე, — განაგრძობდა ალვარო, — რომ ეჭვის გასაფანტავად აუცილებელია ხალხში გამოსვლა, და, აი, როგორც ხედავთ, მათაც დამიჯერეს.

— მით უარესი, — წარმოთქვა ჟერალდომ, — ეს მხოლოდ ამტკიცებს ჩემს ცუდ წინათგრძნობას. თუ მათ არავითარი ცოდვა არ აწევთ, მაშინ ვერც ვინმეს ეჭვი შეაშინებდა და ვერც პოლიცია დაგანაგრძობდნენ ძველებურად ცხოვრებას.

— არა, ჩემო მეგობარო, — შენ გეშლება, — გაცხარდა ალვარო, — საზოგადოებას მხოლოდ იმიტომ ერიდებიან, რომ ხელმოკლედ

ცხოვრობენ. ამიტომ... თუმცა, შეხედეთ, აი, ისინიც... თავად განსაჯეთ, ვინ არის მართალი, მე თუ თქვენ.

ყველას მზერა მიიპყრო საოცარი სილამაზის ქალიშვილმა, რომელიც სანდომიანი გარეგნობის შუახნის კაცს მოჰყვებოდა.

— მოხარული ვარ მოგესალმოთ, სენიორ ანსელმო! საღამო მშვიდობისა დონა ელვირა! — მიესალმა ალვარო, რომელმაც მეგობრები მიატოვა და გამოეშურა ახლად მოსული წყვილის შესახვედრად. შემდეგ ზრდილობიანად შესთავაზა მკლავი ქალიშვილს და სენიორ ანსელმოსთან ერთად წაიყვანა დარბაზში, სადაც მთელი ძალით ჩქეფდა მხიარულება. ელვირას მოსვლამ ნამდვილი აურზაური გამოიწვია: ალვაროს მეგობრებმა პირი დააღეს, ირგვლივ ჩურჩული ატყდა. ყველა მშვენიერი ქალწულისკენ აბრუნებდა თავს და მალე მთელი იქ შეკრებილი ხალხი თვალს ვერ აცილებდა მას.

— ის მართლაც კალმით ნახატი მზეთუნახავია!

— რა საოცარი სილამაზეა!

— ღვთაებრივია პირდაპირ, ღვთაებრივი!

— შეხედე რა თვალები აქვს? ის ნამდვილად ანდალუზიელია?

— დედოფალია, ნამდვილი დედოფალი!

— ყელი? შეამჩნიეთ, როგორ უჭირავს თავი?

— ასე უბრალო კაბა და ასე ელეგანტური!

ასეთ რეპლიკებს წარმოთქვამდა ქალიშვილის არაჩვეულებრივი სილამაზით გაოგნებული სამი კავალერი.

— თქვენ შეამჩნიეთ, რა ლამაზი ხალი აქვს მარჯვენა ლოყაზე? — არ ცხრებოდა დოქტორი ჟერალდო. — ალვარო არ აჭარბებს, მისი ფერია, რა თქმა უნდა, დაჩრდილავს ყველა აქაურ ლამაზმანს და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მას პირველად ვხედავთ, თანაც მის ირგვლივ შექმნილ საიდუმლოების შარავანდედს... მე, პირდაპირ, მოუთმენლობის ალი მედება; როდის გამაცნობენ ამ მომაჯადოებელ ქალიშვილს!

აღგზნებულმა ალვარომ, როგორც იქნა, წარუდგინა ახალი ვარსკვლავი ადგილობრივ წარჩინებულ პირებს და მეგობრებთან დაბრუნდა.

— მეგობრებო, — აღტაცებით წარმოთქვა მან, — ნება მიბოძეთ დარბაზში მიგიწვიოთ. მე მინდა გაგაცნოთ დონა ელვირა, რომ საბოლოოდ გავფანტო ის ბნელი აზრები და ეჭვები, რომლებიც თქვენ გულებს შეეპარა. მე მინდა თქვენი თვალით დარწმუნდეთ, რომ მზის-

ქვეშეთში არასოდეს არ გაჩენილა ამაზე უფრო ფაქიზი და სურნელოვანი ყვავილი.

მან გაიყოლა სამეული და მალე კავალრები ბრწყინვალე მეჯლისის მორევში ჩაიძირნენ.

მათი ადგილი უმალ ელეგანტური, მდიდრულად მორთული ქალიშვილების გუნდმა დაიკავა. ისინი მარაოებით იგრილებდნენ შუბლს, და თან სამოთხის ჩიტებივით ჭიკჭიკებდნენ. რა თქმა უნდა, მიხვდით, საუბარი ელვირას ეხებოდა, თუმცა მისი შინაარსი განსხვავდებოდა ახალგაზრდა კაცების ნათქვამისაგან. არაფერს დავაშავებთ, თუ მივუახლოვდებით და ყურს დავუგდებთ საუბარს.

— იქნებ, თქვენ იცოდეთ, დონა ადელაიდა, ვინ არის ეს ყმაწვილი ქალი, სენიორ ალვარომ რომ მოიყვანა?

— არა, დონა ლაურა, მე მას პირველად ვხედავ, ვფიქრობ, აქაური არ უნდა იყოს.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, როგორი დამფრთხალი გამოიყურება საბრალო! პროვინციელი იქნება და ეტყობა არასოდეს ყოფილა მეჯლისზე. თქვენ რას იტყვით, დონა როზალინა?

— ეჰვს გარეშეა! თქვენ თუ მიაქციეთ ყურადღება მის ტუალეტს? ფუ, რა უბადრუკობაა! ჩემს მოახლეს უფრო გემოვნებით აცვია. დონა ემილიას ნამდვილად ეცოდინება, ვინ არის ეს მეტიჩარა.

— მე? საიდან აიღეთ რომ მე? მე არც მინახავს ის თვალით, თუმცა, ვაღიარებ, სენიორ ალვარო რაღაცას მიყვებოდა მასზე, მარწმუნებდა, რომ ის ზღაპრულად ლამაზია. მოგეხსენებათ კაცები და მათი გემოვნება. კი, რა თქმა უნდა, სანდომიანი გოგოა, მაგრამ მზეთუნახავს ვერაფრით ვერ უწოდებ. უცნაური ვინმეა სენიორ ალვარო — ყველაფერი ახალი და არაჩვეულებრივი იზიდავს. საინტერესოა, საიდან ჩამოვიდა ეს გოგო, ასე რომ მოაჯადოვა ალვარო?

— შეიძლება კუნძულელია? ცოტა ეგზოტიკური გარეგნობა აქვს, ასე არ არის?

— მხოლოდ აი ეს შავი ლაქა ლოყაზე სულ არ უხდება. ის რომ არა, საკმაოდ ლამაზი იქნებოდა.

— პირიქით, დონა ლაურა, ლაქა მას ალამაზებს კიდეც, რაღაც თავისებურ პეწს აძლევს.

— ო, მომიტევეთ, სულ დამავიწყდა, რომ თქვენც ასეთივე ხალი გაქვთ სახეზე, მაგრამ თქვენ ის ძალიან გიხდებათ. მას კი დიდი და უშნო ლაქა აქვს. მაისის ხოჭოსავით აზის ლოყაზე.

— რას ამბობთ! — მე კი ვერც შევამჩნიე. მოდით, წავიდეთ დარბაზში და ახლოდან დავაკვირდეთ.

ქალიშვილები დარბაზისკენ გაემართნენ. ხელიხელ ჩაჭიდებული ქალიშვილები ფერადი ყვავილებით დაწნულ გირლიანდს მოგაგონებდათ, რომელიც გველივით იკლაკნებოდა და ხალხის ბრბოში იკარგებოდა.

თავი XI

ალვარო ერთი მათგანი გახლდათ, ვისაც ხალხი ბედის ნებიერს ეძახის. ბუნება და ფორტუნა თითქოს ერთმანეთს გაჯიბრებოდნენ და ჩქარობდნენ ურთიერთისათვის დაესწროთ — თავისი საგანძური გაეხსნათ ალვაროს წინაშე და მისთვის თავზე დაეფრქვიათ გულუხვი წყალობა და მადლი. წარჩინებული და მდიდარი მშობლების ერთადერთი შვილი ოცდახუთი წლის ასაკში დაობლდა და მემკვიდრეობად დარჩა რიგიანი ქონება, რომელიც არანაკლებ ორი ათასი კონტოლირდა[1].

ალვარო იყო საშუალო ტანის ჩაფსკვნილი, კარგად გამოძერწილი ახალგაზრდა. სახის გამხდარი, მაგრამ დახვეწილი, თლილი ნაკვთები მის კეთილშობილებაზე მეტყველებდნენ. მას რაიმე განსაკუთრებული ნიჭი არ გააჩნდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოხერხება და სიბეჯითე არ აკლდა. ალვარომ სწორად განსაზღვრა, რომ მემკვიდრეობით მიღებული სიმდიდრე, მიზეზიან და ცვალებად ფორტუნას წყალობით, შეიძლება მალევე გამოსცლოდა ხელიდან, ამიტომ გადაწყვიტა ხელრიანი პროფესია შეეძინა და არჩევანი იურისპრუდენციაზე შეაჩერა. მაგრამ თუ აკადემიაში სწავლის პირველი წელი, ასე თუ ისე, კიდევ ანიჭებდა გარკვეულ კმაყოფილებას, შემდეგ თანდათანობით მისთვის სულ უფრო მოსაწყენი ხდებოდა ამ უსიცოცხლო მეცნიერების მშრალი კაზუისტიკა. ალვარო სიგიჟემდე მიჰყავდა კანონებისა და მუხლების უთავბოლო ლაბირინთებს. მას თავგზა ებნეოდა, პროცესუალურ სამართალში ბორძიკობდა და ყელამდე ეფლობოდა სამოქალაქო სარჩელის სქელ კრებულებში მიჩქმალულ შეცდომებსა და აბდაუბდაში. ყოველივე ამას ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძლო. მისი

---

[1] კონტო — მილიონი რეისი.

გრანდიოზული და კეთილშობილური მისწრაფებებით აღსავსე მგზნებარე სული უფრო და უფრო მიისწრაფოდა საზოგადოების გარდაქმნის უტოპიური ოცნებისაკენ და მაღალი პოლიტიკური და სოციალური მატერიების კვლევაში პოულობდა შვებას.

მას სძულდა სოციალურ პრივილეგიები, არ ფარავდა მტრობაა რასობრივი დისკრიმინაციისადმი და საშინლად სურდა ბოლო მოეღო მონობისათვის — საზოგადოების ამ დამპალი წყლულისათვის. რაღა თქმა უნდა, ალვარო იყო თავგამოდებული ლიბერალი, რესპუბლიკელი და თითქმის — სოციალისტი.

ბუნებრივია, რომ ამგვარი შეხედულების პატრონი, ალვარო, შეიდიოდა თავგამოდებულ აბოლიციონისტების [1] რიგებში და არა მარტო ცარიელი სიტყვებით, საქმითაც ამტკიცებდა ამას.

როგორც ვიცით, ალვარომ, უდროოდ გარდაცვლილი მშობლებისაგან მემკვიდრეობით ვეებერთელა მამული მიიღო, რომელშიც რამდენიმე მდიდარი პლანტაცია და უამრავი მონა იყო. მას დიდხანს არ უფიქრია, უმალ შეუდგა მონების განთავისუფლებას. რა თქმა უნდა, ალვარო დიდი უტოპისტი და ფილანტროპი იყო, მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, საკმაო წინდახედულება გამოიჩინა. მას შეგნებული ჰქონდა ის საშიშროება, რომელიც დღემდე დაბეჩავებულ და სრულ მორჩილებაში მყოფი მონების ასე უცებ განთავისუფლებას მოყვებოდა. ამიტომ წინასწარ აწონ-დაწონა ყველაფერი და თავის ერთ-ერთ ფაზენდაზე მოაწყო განთავისუფლებული მონების კოლონია, რომლის მმართველობაც თავისუფლებისმოყვარე იდეების მომხრე ერთ სამართლიან და კეთილშობილ კაცს ჩააბარა. ყოფილ მონებს გამოუყვეს საკარმიდამო ნაკვეთები პირად სარგებლობაში და პლანტაცია არენდის უფლებით. უნდა გენახათ მონები — მცონარობა და ბიწიერება კი არ დაიწყეს, პირიქით, დიდი მონდომებით ამუშავებდნენ მიწას და მოწეულ მოსავალს ათმაგად უხდიდნენ ალვაროს სიკეთისა და კაცთმოყვარეობისათვის.

ძველ რომანებში ყბადაღებული ინგლისელი ლორდის მსგავსად, ექსცენტრიკული და ხანდახან უცნაური ალვარო იყო ზნეობრივად

---

[1] აბოლიციონიზმი — მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში წარმოშობილი მოძრაობა მონობის გასაუქმებლად.

მკაცრი და კვაკერივით[2] უმანკო. თუმცა არც გართობაზე ამბობდა უარს, არც ფუფუნებაზე და ნუგბარ საჭმელებზე. ქალებს აღმერთებდა და მათ მიმართ იჩენდა წმინდა და ამაღლებული ბუნების მქონე ადამიანის ყველაზე რომანტიულ, პლატონურ გრძნობებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ალვაროს მოსვენებას არ აძლევდნენ მისი გულისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების მაურველი ქალები, მაგრამ არც ერთი მათგანისთვის არ უგრძნობინებია კეთილგანწყობა. ის ჯერ არ შეხვედროდა ქალიშვილს, რომელიც მას მოხიბლავდა, მის გულს დაიპყრობდა და წარმოსახვაში შექმნილი იდეალის მიწიერი განსახიერება იქნებოდა.

ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის დიდი სევდა და იმედის გაცრუება, რომელიც პერნამბუკელ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს დაეუფლა, როცა მათ დაინახეს ის ყურადღება და მზრუნველობა, რომელსაც ალვარო იჩენდა ამ შავგვრემანი, ღარიბულად ჩაცმული ქალწულისადმი. გაიგონეს, როგორ აღფრთოვანებულ ქება-დიდებას ასხამდა მას. ჰეშმარიტად ალბათ, ჰერამ და ათინამ უფრო ნაკლები გულისწყრომით მიიღეს მშვენიერი პარისის განაჩენი[1], ვიდრე აქაურმა ქალებმა არჩევანი. ჯერ კიდევ მეჯლისამდე დიდი ხნით ადრე, ალვარო თავს ვერ იკავებდა, ელვირას სილამაზესა და მშვენებას ისეთი აღფრთოვანებით უმღეროდა, რომ ყველა აქაური ქალიშვილი მოუთმენლად ელოდა, საკუთარი თვალით ეხილა ელვირა, რათა სამუდამოდ დაემსხვრიათ მისი კერპი, რომელსაც წინასწარ ათასნაირ წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ. და აჰა, ეს წუთიც დადგა.

მშვენიერმა და პრანჭია ახალგაზრდა ჭორიკნებმა, ბაგეთაგან მოსხლეტილი ავი სიტყვებისა და ფარისევლური დამცინავი ღიმილის მიუხედავად, გულებში მაინც უსიამო ჩხვლეტა იგრძნეს. ალვაროს ტყუილი არ უთქვამს, ელვირა მართლაც შეუდარებელი იყო.

ბოდიშს ვიხდი მანდილოსნების წინაშე, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღვნიშნო: სილამაზეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მუდამ

---

[1] კვაკერი — ინგლისში მე-17 საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული ქრისტიანული თემის რელიგიური სექტის წევრი. ქადაგებდა პაციფიზმსა და ქველმოქმედებას.

[2] იგულისხმება ბერძნული მითი პარისის სასამართლოს შესახებ. მას უნდა ამოერჩია ყველაზე ლამაზი ქალღმერთი და მისთვის გადაეცა ოქროს ვაშლი. ჰერა, ათინა და აფროდიტადან პარისმა აფროდიტა აირჩია.

თან ახლავს პატივმოყვარეობა. იქიდან კი, სადაც პატივმოყვარეობამ დაიდო ბინა, ერთი ხელის დადება რჩება შურიანობამდე. ასე რომ, კარის მეზობლები არიან პატივმოყვარეობა და შურიანობა.

უცნობი ქალიშვილის სილამაზე აოცებდა ყველას, ხოლო მისი თავმდაბლობისა და მოკრძალების წინაშე, უბრალო, თითქმის ღარიბული მორთულობის გვერდით, მკრთალდებოდა გამოპრანჭული ქალების ფუფუნება და დიდებულება, მორთული დარბაზის სიმდიდრე და სადღესასწაულო მეჯლისის ბრწყინვალება. მანამდე აქ აღიარებული ტურფა ქალების თავმოყვარეობა სასტიკად შელახა ელვირას ბუნებრივმა, გასაოცარმა მშვენებამ. ასეთ დაუნდობელ დარტყმას კი ჯერ-ერ ელოდა.

ფრთხილად, ალვარო! დღევანდელი ზეიმი კარგს არაფერს გიქადის არც შენ და არც შენს შავგვრემან პრინცესას!

აღფრთოვანებული, სიყვარულით თვალებმული ალვარო ვერ ამჩნევდა რა სიძულვილი და შხამი ერია იმ დათაფლულ მიმართვაში თუ პირმოთნე ღიმილში, რომლითაც მას და მის პროტეჟეს, — დროებით ასე ვუწოდოთ ქალიშვილს, — ხვდებოდნენ მეჯლისზე. ფაქიზი სულის პატრონმა ელვირამ, პირიქით, უცებ იგრძნო უხერხულობა, ის თითქოს ზურგითაც კი გრძნობდა სიძულვილით აღსავსე მწველ მზერას და შხამიან სარკაზმს, მისი მისამართით წარმოთქმულ ქათინაურებში.

ახლა დროებით დავტოვოთ ეს წყვილი და ახლოს გავიცნოთ დოქტორი ჟერალდო, ალვაროს მეგობარი.

ეს ოცდაათი წლის ღირსეული სენიორი გახლდათ სამართლის ბაკალავრი და ქალაქ რესიფეში დიდად პატივცემული ადვოკატი. ის იყო ალვაროს უახლოესი მეგობარი, რომელმაც მისი კეთილგანწყობა მოიპოვა. პირველ რიგში, საღი და წინდახედული გონებით, გულწრფელობით, პატიოსნებითა და მაღალი ზნეობით. თავისი შეხედულებებით ისინი სრულიად საპირისპირო ადამიანები იყვნენ. კანონის მტკიცედ დამცველი და პრაქტიკული გონების ჟერალდო, არ იზიარებდა ალვაროს ახირებულ რეფორმისტულ იდეებს. მრწამსის სხვადასხვაობა ვერ ანელებდა მეგობრების ერთგულებასა და სიყვარულს. პირიქით, აძლიერებდა მათ დამოკიდებულებას და იცავდა მას მოსაწყენი ერთფეროვნებისაგან, რაც ხშირად გვხვდება ორი, ყველაფერში თანახმა და ერთნაირი აზრის მქონე ადამიანების ურთიერთობაში. უფრო მეტიც, მეგობრები ბევრს იგებდნენ ურთიერთსაწინააღ-

მდეგო შეხედულებებითა და აზრებით. ისინი იწრთობოდნენ ერთმანეთთან ხშირი კამათით, რომელიც, სხვათა შორის, ნამდვილ ჩხუბში არასოდეს არ გადაზრდილა. ასეთი კამათის დროს ისინი ან უფრო რწმუნდებოდნენ საკუთარი აზრის სისწორეში, ან პირიქით, მათი შეხედულებები ხშირად განიცდიდნენ სასარგებლო ცვლილებებს. დოქტორ ეერალდოს ფხიზელ და ჯანსაღ გონებას არაერთხელ გაუნელებია ალვაროს ბავშვური აღმაფრენა და უტოპიური ჩანაფიქრი. ალვაროს, თავის მხრივ, სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა მეგობრის ცივ, დახვეწილ მსჯელობაში და სიმწვავესა და ორიგინალობას ანიჭებდა მას.

როგორც ვიცით, ალვარომ უამბო მეგობრებს მისი და ელვირას არაჩვეულებრივი თავგადასავალი. ჩვენ ისიც ვიცით, როგორ მოახერხა მისი მეჯლისზე მიყვანა. ამიტომ დავბრუნდეთ იქ და მოვუსმინოთ, რაზე ესაუბრება ქალიშვილი მასთან ხელკავით მომავალ პატივცემულ სენიორს.

— მამა, — წაიჩურჩულა ქალიშვილმა, — გავიდეთ ცოტა ხანს დერეფანში, ვიდრე იქ არავინ არის, მე რაღაცა მინდა გითხრა. ო, ღმერთო ჩემო! — განაგრძო მან, როცა დარბაზიდან გამოვიდნენ და დერეფანში მერხზე ჩამოსხდნენ. — მაინც რამ წამომიყვანა აქ მე, საბრალო მონა, მდიდრებისა და წარჩინებულების ამ დღესასწაულზე? თავბრუ დამასხა ფუფუნებამ და ბრწყინვალებამ, იმ მოწიწებამ და ხაზგასმულმა პატივისცემამ, რომლითაც აქ შემხვდნენ. მე თავს დამნაშავედ ვგრძნობ, მამა, ასე მგონია, ჩუმად, ქურდულად შემოვიპარე ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში და სადაცაა ყველაფერი გამომჟღავნდება... ამ ნატიფმა სენიორებმა რომ იცოდნენ, ვინ ცეკვავს მათ გვერდზე! უკეთური, პატრონისაგან გამოქცეული, საზიზღარი მონა! მონა! — ამოისლუკუნა მან და ფეხზე წამოდგა. — ასე მგონია შუბლზე მაწერია და... ყველა კითხულობს ამ საბედისწერო სიტყვას! წავიდეთ რა, აქედან, მამა! ჩქარა წავიდეთ! ისინი დამცინიან მე! სული მეხუთება ამ სასახლეში!.. ჩქარა გავიქცეთ!

გაფითრებული ქალიშვილი სახელოზე ეწეოდა მამას და მონადირის დევნით გატანჯული, დაფეთებული შველივით შესცქეროდა.

— დამშვიდდი ,შვილო! — სთხოვდა ჭაღარა სენიორი და ცდილობდა გაეჩერებინა. — ნუ გეშინია, ეჭვსაც ვერავინ შეიტანს შენს წარსულში... აზრადაც არავის მოუვა შენი მონობა. აბა შეხედე, რომელი წარჩინებული სენიორა შეგედრება... სილამაზით გჯობია ვინმე

თუ განათლებით — შენს ფრჩხილადაც არა ღირს არც ერთი.

— ოჰ, მამა, სწორედ ეს მაწუხებს. მე მივიქცევ ყველას ყურადღება, ყველამ ლამის თვალებით შემჭამოს. მე კი ერთი სურვილი მაქვს: მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს.

— ნუ გეშინია, ძვირფასო, ნუ ფიქრობ მაგას. გახსოვდეს, შეიძლება სწორედ შენმა შიშმა და მორიდებამ დაგვღუპოს, სულ მცირე ეჭვის მიზეზიც კი არ უნდა მისცე არავის. უკუაგდე ფუჭი მორცხვობა და გამოიჩინე მთელი შენი მომხიბლაობა: იცეკვე, იმღერე, იმხიარულე თავდავიწყებით. ვინ გაბედავს შენში ეჭვის შეტანას?! ვინ იტყვის, რომ შენ მონა ხარ?! პირიქით, ყველას პრინცესა ეგონები! მით უმეტეს, რომ მეტს ვეღარ განახავენ. ჩვენ მალე წავალთ აქედან. შეიძლება მართლა ვინმეს ეჭვი ეპარება... დიდხანს აქ დარჩენა არ შეიძლება.

— კი, მამა... ალბათ, ესაა ჩვენი ხვედრი! — წარმოსთქვა ქალიშვილმა და თავი ჩაღუნა. — ჩვენ მოგვიწევს ხეტიალი, საზოგადოებისგან გარიყული, მალული ცხოვრება, სადღაც კუთხეში მიყუჟვა და შიშით კანკალი... რატომ გვარგუნა ზეცამ ასეთი ავი ხვედრი? ნუთუ საუკუნოდ დაწყევლილები ვართ? აქედან წასვლაზე მხოლოდ გაფიქრებაც ტკივილებით მისერავს გულს... რაღაც მიზიდავს მე ამ ავბედით მხარეში, სადაც სულ ცოტა ხანს ვიყავი მხიარული და ბედნიერი. ო, ღმერთო, ჩემო!.. ვინ იცის, იქნებ მონობაში სიკვდილიც ჯობდა!..

სწორედ ამ დროს დერეფანში ალვარო შემოვიდა. ის ყურადღებით იხედებოდა ირგვლივ — ვიღაცას დაეძებდა.

— აი, თურმე სადა ყოფილხართ! — სახე გაებადრა მას. — მე კი აღარ ვიცოდი რა მეფიქრა, სად დაიკარგეთ. რა მორიდებული ყოფილხართ, დონა ელვირა. იმის მაგიერ, რომ დარბაზში ბრწყინავდეთ, თქვენ აქ დამალულხართ. ვის, ემალებით ხალხს, რომელიც მოაჯადოვეთ? დაე, შეუხედავი იები დაემალონ ცნობისმოყვარე მზერას, შენისთანა მომხიბლავი ვარდი კი ყველასათვის უნდა ყვაოდეს და თავისი მშვენიერებით ატკბობდეს საზოგადოებას.

— მაპატიეთ, მაგრამ, — წაიჩურჩულა ელვირამ, — ჩემთვის, სოფლის მყუდროებაში გაზრდილი, ბრწყინვალე მეჯლისების უნახავი ღარიბი გოგოსათვის, ძნელია ასეთი ფუფუნებისა და მხიარულების შეგუება.

— თქვენ მიეჩვევით, მერწმუნეთ! — სხვაგან სად უნდა გაიბრწყინოს თქვენმა წარმოუდგენელმა, ღმერთის მიერ ყველას გასაო-

ცებლად შექმნილმა, ალმაფრთოვანებელმა სილამაზემ, თუ არა აქ, მუსიკისა და სინათლის, მხიარულებისა და ნაზი სურნელის გარემოცვაში. მე თქვენ გეძებთ რამდენიმე თქვენი აღტაცებული კავალრის დავალებით. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ქალები მეჯლისში მეტი ხალისის შემოსატანად ხანდახან ასრულებენ რომელიმე სიმღერას ან არიას, ვისაც რა შეუძლია. ბოდიშს გიხდით, რომ თქვენი ნებართვის გარეშე წამოვაყრანტალე: ვთქვი, თქვენ კარგი ხმა გაქვთ და ახლა ყველა მოუთმენლად ელის თქვენს სიმღერას...

— ოჰ, ეს როგორ მოგვიდათ, სენიორ ალვარო? — ხელები გაასავსავა ქალიშვილმა, — მე ვიმღერო ასეთი ბრწყინვალე საზოგადოების წინაშე?.. გემუდარებით, მიხსენით ასეთი მძიმე გამოცდისაგან. ეს თქვენი საქმეცაა' — მე ცუდად ვმღერივარ და თქვენს იმედებს ვერ გავამართლებ. თანაც შიშისაგან შეიძლება ხმაც კი ჩამიწყდეს. ვაი, სირცხვილო!

— მაპატიეთ, დონა ელვირა. მაგრამ მე არ ვეთანხმები თქვენ! მიზეზებს. მე მოვისმინე თქვენი სიმღერა და დამიჯერეთ, ის ბულბულის გალობაზე უფრო ტკბილია. რომ არ მომესმინა თქვენი მომხიბლავი ხმა, მაშინ არც შემოგთავაზებდით ასეთ რამეს. ნუ გრცხვენიათ, გეხვეწებით, მხოლოდ ერთი სიმღერა იმღერეთ. აი ის — მონა ქალის ნაზი სიმღერა, — რომელმაც ასე გამაოცა და, პირობას გაძლევთ, ყველას დაატყვევებს და მოაჯადოებს თქვენი ხმა.

— მონა ქალის სიმღერა?!. რატომ მაინცდამაინც ის? ის ხომ ჩემში ძალიან ნაღვლიან მოგონებებს იწვევს...

— ალბათ, ამიტომაც აღიქმება ასეთი სულიერი თრთოლვით.

— ოხ, რა უბედური ვარ, უბედური. — ღრმად ამოიოხრა დონა ელვირამ. „რატომაა, რომ ისინი, ვისაც მე ძალიან ვუყვარვარ, ჩემი ჯალათები ხდებიან თავისდაუნებურად," — გაიფიქრა მან.

ელვირა ბევრს ეცადა, როგორმე უარი ეთქვა სიმღერაზე — ასეთ საზოგადოებაში, ამ ვითარებაში სიმღერა ხომ უდიდესი სატანჯველი იყო მისთვის, მაგრამ ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია ალვაროს ხვეწნისათვის, მაშინ შენიშვნებმაც თავისი გაიტანა და წუთიერი ყოყმანის შემდეგ, ალვაროს გამოწვდილ მკლავზე დაყრდნობილი, დარბაზისაკენ გაემართა. პიანინოსთან მისული ელვირა ისე ბუნებრივად და გრაციოზულად მიუჯდა, რომ ყველამ იგრძნო: ინსტრუმენტი მისთვის ახალი ხილი არ იყო.

მალე მთელი ხალხი მის ირგვლივ შეიკრიბა. მათი შოუთმენლობა

წამიერად იზრდებოდა: მამაკაცებს სურდათ გაეგოთ, ექნებოდა თუ არა ამ მომაჯადოებელ ქალიშვილს მისი მომხიბლავი გარეგნობის სადარი ხმა; რა მოხდებოდა, ეს მშვენიერი ფერია სირინოზიც რომ ყოფილიყო. ქალიშვილები ოცნებობდნენ მეტოქის კრახზე, წინასწარ ტკბებოდნენ, რა დიდი სიამოვნებით შეადარებდნენ ამ თვითმარქვიას მითიურ ფარშევანგს, რომელიც ქალღმერთმა იუნონამ ყველა ფრინველზე ლამაზი გახადა, მაგრამ დაავიწყდა მისთვის სიმღერის ნიჭის ბოძება და ამის ნაცვლად საზარელი და გამყინავი ხმით დააჯილდოვა.

ქალიშვილი იმ მომღერლის მდგომარეობაში ჩავარდა, რომელსაც პრემიერაზე, ყველაზე მომთხოვნი და დახვეწილი მსმენელის წინაშე, უცებ სიტყვები დაავიწყდა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სუნთქვაშეკრული ხალხი გარინდებული იდგა და თითქოს საკუთარ გულისცემას უგდებდა ყურს. თვითონ ალვაროც კი, რომელსაც მოსმენილი ჰქონდა ელვირას ღვთაებრივი ხმა, საგრძნობლად აღელდა ამწუთს. ელვირა კი სულაც არ ნაღვლობდა, რას იტყოდნენ მისი სიმღერის შესახებ, ის მხოლოდ ერთზე ოცნებობდა — უცებ ყველას დავიწყებოდა მისი არსებობა და შესძლებოდა სადმე კუთხეში შეუმჩნევლად მიმალულიყო. ქალიშვილს მტანჯველი წინათგრძნობა უხუთავდა სულს და მაინც სულის სიღრმეში მადლობას უხდიდა ამ ვნებით ანთებულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც ასე დაჟინებით ცდილობდა ბრწყინვალე საზოგადოებისათვის ის წარედგინა სილამაზისა და ტალანტის ეტალონად. ელვირას წრფელი გულით უყვარდა ალვარო და ამიტომ არ შეეძლო მისი იმედის გაცრუება. საკუთარზე უფრო ალვაროს ტრიუმფი სწყუროდა. ნაზი და მოქნილი თითების ქვეშ ელვირამ ჩვეულებისამებრ იგრძნო კლავიატურის გრილი ზედაპირი. გაისმა თუ არა პირველი აკორდი, ქალიშვილი თითქოს უცებ გარდაიქმნა და გაოცებული მსმენელის წინ თვალდათვალ გაფურჩქვნილი შროშანივით გადაიშალა მისი სილამაზის ახალი, მათთვის ჯერ უცნობი მხარე. მშვენიერ ქალწულს მოკრძალებული და წრფელი, თვალებდახრილი სახე უცებ რაღაც მაგიური შინაგანი შუქით გაუნათდა;მაღალი, წარმტაცად გამოქნილი მკერდი ძალუმად აუძგერდა, თვალები კი რაღაც ზეციური ციალით აუკიაფდა. ქალიშვილის გარეგნობაში ისე თვალნათლივ იგრძნობოდა რაღაც არაამქვეყნიური შთაგონება, თითქოს დიდებულმა ქალღმერთმა შთაბერაო ყოვლისმძლე ძალა მისი ტაძრის მშვენიერ ქურუმს. ელვირამ თავი იგრძნო როგორც ტახტზე ასულმა, თავისი სიმღერების გასაოცარი ჰარმონიით მთელი

მსოფლიოს დამპყრობელმა, დედოფალმა კალიოპამ[1]. ქალიშვილის ღვთაებრივ სიმღერაში მისი სულის შეშფოთება და უთქმელი მწუხარება იღვრებოდა, თითქოს მშვენიერ მომღერალს ტუჩებზე გულიდან მოძდინარე ცრემლი დაუგუბდა და მასში გაბანილი ცრემლნარევი ჰანგები სწყდებოდა ბაგეს. ახალგაზრდა სირინოზის მეღერი და წკრიალა ხმა მთელ დარბაზს ეხვეოდა, ხავერდივით ეფინებოდა და ამაღელვებელი, უცნაურად ამაღლებული სევდით ავსებდა. სიმღერამ ელვირას მიმართ ბოროტი შურით ავსილი ქალიშვილებიც კი დაატყვევა და ააცრემლა.

წარმატება თავბრუდამხვევი იყო. რამდენიმე წამს, მას შემდეგ რაც სიმღერის უკანასკნელი ჰანგები უსასრულობაში გაიფანტა, დარბაზი გაოგნებული იდგა, შემდეგ უცებ ტაშმა იგრიალა. გაშმაგებული, გამაყრუებელი ტაშისცემითა და მილოცვებით, იფიქრებდით, სადაცაა ჭერი ჩამოიქცევაო.

— ჰო, ჩვენი ალვაროს ფერიას მართლაც სირინოზის ხმა აქვს, — შენიშნა დოქტორმა ჟერალდომ გვერდით მდგომ მეგობარს. — ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ერთ ადამიანში თავს იყრიდეს ამდენი ტალანტი. მაინც რა ჯადო ხმა აქვს. მე მთლად დამავიწყდა თავი, მეგონა ციური ანგელოზების გალობას ვისმენდი.

— ოჰ, ის არაჩვეულებრივია, მას ვერც მალიბრანი[1] შეედრება; ის ევროპას კი არა — მთელ მსოფლიოს დაიპყრობდა. ალვარო მართალია: ქალიშვილი ნამდვილი საგანძურია და თქმა არ უნდა, არავითარი ავანტურისტი.

ამ დროს გაისმა მუსიკა, რომელიც საცეკვაოდ იწვევდა ახალგაზრდებს. მათ შეწყვიტეს საუბარი და ჩვენ საშუალება არ გვქონდა ბოლომდე მოგვესმინა მათი აზრი.

— დონა ელვირა, — წარმოთქვა ქალიშვილისაკენ მიმავალმა ალვარომ, — მე მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენ პატივი დამდეთ და შემპირდით, რომ ჩემთან იცეკვებდით.

ელვირამ თავს ძალა დაატანა და გაიღიმა. ალვარო ვერც კი წარ-

---

[1] კალიოპა — ბერძნულ მითოლოგიაში ეპიკური პოეზიის მფარველი მუზა. დიდებული მომღერლის — ორფეოსის დედა.

[2] მალიბრანი — მარია ფელისიტა (1808-1836) — ცნობილი ფრანგი მომღერალი, მეცო-სოპრანო.

მოიდგენდა რა დიდი ძალისხმევით შეძლო ეს ქალიშვილმა, რომელსაც სიმღერის შემდეგ კვლავ მძიმე სევდა და ბნუნარება შემოყროდა გულს.

ელვირა ღიმილით დაეყრდნო კავალრის შემოთავაზებულ მკლავს. ისინი დარბაზის შუაგულში მიიწევდნენ, თან ადგილს ირჩევდნენ მხიარული კადრილის საცეკვაოდ.

თავი XII

დაკვირვებული მკითხველი, რასაკვირველია, დიდი ხანია მიხვდა, რომ შავგვრემანი ელვირა სხვა არავინაა, თუ არა იზაურა, ხოლო დონ ანსელმო — ქალიშვილის მამა, მოურავი მიგელი. ორივე ჩვენი ძველი ნაცნობები არიან. თქვენ ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ იზაურა გამოირჩეოდა არა მარტო კეთილშობილი სულით, არამედ თავისი დროისათვის ძალზე დახვეწილი და სრულყოფილი განათლებით, რამაც მის ბუნებით მინიჭებულ მშვენიერ აღნაგობას შესძინა დახვეწილი მანერები, საუბრის საინტერესო და თავისუფლად წარმართვის უნარი და სხვა მრავალი ღირსება, რომელიც ამ არაჩვეულებრივ მონას საშუალებას აძლევდა არა მარტო გამოსულიყო განათლებულ არისტოკრატიულ საზოგადოებაში, არამედ აღტაცებაც გამოეწვია მასში.

იზაურას უიმედო, სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ მამა აიძულა უკიდურეს რისკზე წასულიყო და მოეწყო გაბედული, მაგრამ სახიფათო გაქცევა. თავზარდაცემული მიგელი იხსენებდა იზაურას დედის უბედურ ხვედრს და მშვენივრად ესმოდა, რომ ლეონსიო, ისეთივე უსულგულო და დაუნდობელი, მაგრამ უფრო გარყვნილი და უსინდისო, ვიდრე მამამისი, ყოველგვარ სიბოროტეზე წავიდოდა, რათა შური ეძია ჰირვეულ მონაზე. დაკარგა რა ქალიშვილის გამოსყიდვის იმედი, მამამ გადაწყვიტა ესარგებლა დაგროვილი ფულით და ეცადა უბედური მსხვერპლი გამოეხსნა ჯალათის კლანჭებიდან. მიგელს შეგნებული ჰქონდა, რომ მონა ქალის განთავისუფლება გაპარვით, ირგვლივ მყოფთა თვალში იქნებოდა არა მარტო დანაშაული, არამედ წესიერი მოქალაქისათვის შეუფერებელი, უღირსი საქციელიც, მაგრამ მონა ქალი ხომ მისი ქალიშვილი იყო, მისი სათაყვანებელი. უცოდველი მტრედი, რომელსაც სადაცაა წაბილწავს და გათელავს გულქვა ტირანი. მხოლოდ ამ გარემოებით იმართლებდა მიგელი თავს.

იყო დრო, როცა უბედური მამა თავს იიმედებდა: ყველაფერს

მოახსენებს ხელისუფლებას, რომელიც კანონის ძალით შეძლებს დაიცვას მისი ქალიშვილი არაადამიანური მოპყრობისაგან, გამოგლეჯს უმწეო მსხვერპლს გარყვნილი მტარვალის ბრჭყალებიდან, მაგრამ ვისაც კი გაანდო თავისი ჩანაფიქრი, ყველამ ერთხმად ურჩია: თავი გაანებე ამ უიმედო საქმეს, ტყუილად ნუ დახარჯავ დროსა და ფულს. ხელისუფლებას სულაც არ ადარდებს, რა ხდება მდიდრების სახლებში. თითსაც არავინ გაანძრევს ტყუილუბრალოდ. ღმერთს მადლობა შესწირე, თუ მარტო სასამართლოს ხარჯი გადაგახდევინეს, თორემ მათ არც ის გაუჭირდებათ, რაიმე საქმე მოგაკერონ, ბორკილი გაგიყარონ და ციხეში ჩაგაგდონ. ვის გაუგონია, რომ მდიდარი გაამტყუნონ, ხოლო ღარიბი გაამართლონ?

ამის შემდეგ მიგელმა დაიწყო ფარული შეხვედრები ლეონსიოს ხნიერ მონებთან. მათ ახსოვდათ მოურავის გულკეთილობა და ჯერ არ დაეკარგათ პატივისცემა და ერთგულება მის მიმართ. ისინი ყველაფერს დაუფარავად უამბობდნენ, რაც კი ლეონსიოს ფაზენდაში ხდებოდა. როცა გაიგო, რა გასაჭირში ჩავარდა მისი ქალიშვილი კომანდორის სიკვდილის შემდეგ, მიგელს ბევრი აღარ უფიქრია, მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა ეხსნა იზაურა. ისინი გაიქცნენ ღამით, დილით კი ძველი, მონების გადასაყვანი ბრიგი[1] მთელი სისწრაფით მიაქანებდა ლტოლვილებს ჩრდილოეთის პროვინციებისაკენ. გემის კაპიტანი იყო პორტუგალიელი, მიგელის ძველი მეგობარი. მას თავისი ბრიგით მონები გადაჰყავდა აფრიკიდან ბრაზილიაში. როცა პერნამბუკუს პროვინციას მიაღწიეს, საიდანაც გემს კურსი აფრიკის ნაპირებისაკენ უნდა აეღო, კაპიტანმა რესიფეს ყურეში ჩაუშვა ღუზა და მიგელს შეჰპირდა, რომ უკან დაბრუნებისას სამი-ოთხი თვის შემდეგ, თუ საჭირო იქნებოდა, უფრო შორს გადაიყვანდა მათ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად მისი მრავალი ღირსებისა, მიგელს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ბრაზილიაში არსებულ წესებზე და იმაზე, თუ რა მოელოდათ მათ (რა ცოდნა შეიძლება ჰქონოდა უბრალო მებაღეს ან მოურავს? მით უმეტეს, რომ იმ წლების მანძილზე, რაც ის მოურავად მუშაობდა, ერთიორჯერ თუ გაქცეულან ფაზენდიდან. თანაც შეიძლება კი ამას გაქცევა ეწოდოს, თუკი რამოდენიმე ხნის შემდეგ, დაიკმაყოფილებდნენ რა თავიანთ ცნობისმოყვარეობას, ლტოლვილები თავად ბრუნდებოდ-

---

[1] ბრიგი — ორანძიანი ხომალდი.

ნენ. დაღლილნი და არაქათგამოცლილნი, ისინი თვით სასჯელსაც კი აღიქვამდნენ მადლიერებით).

ამიტომ, რა გასაკვირია, რომ მიგელმა არც კი იცოდა, თუ რა უსაზღვრო უფლებები და მრავალფეროვანი საშუალებების მძლავრი არსენალი გააჩნდა მონათმფლობელს გაქცეული მონების დასაჭერად.

მიგელი ფიქრობდა, რომ სამ-ოთხ თვეს ყოველგვარი საფრთხის გარეშე თავისუფლად გაატარებდა პერნამბუკუში ქალიშვილთან ერთად, თუ შეძლებდა საკმაო სიფრთხილის გამოჩენას და შეუმჩნეველად, განმარტოებით იცხოვრებდა.

თავის მტანჯველს მოცილებულ იზაურას უკვე ავიწყდებოდა თავის მწუხარება და მიუხედავად მუდმივი საფრთხისა, თანდათან გამოცოცხლება დაიწყო. მაგრამ მშვიდი ცხოვრება მხოლოდ ალვაროსთან შეხვედრამდე გაგრძელდა. ის ნათელი გრძნობა, რომელიც ამ უმანკო ქალწულის სულში ჩაისახა, ჩვეულებრივ მხოლოდ ერთხელ ჩნდება სიცოცხლეში, მაგრამ ამ მთრთოლვარე, წმინდა სიყვარულმა კიდევ უფრო გაართულა იზაურას ისედაც მძიმე მდგომარეობა.

ალვაროს სახეზე, მანერებში, ხმაზე, ჟესტებსა და თავად სიარულშიც კი იყო რაღაც იმდენად კეთილშობილური, ნათელი და მიმზიდველი, რომ ყველას მის მიმართ განაწყობდა. ამიტომ ძალაუნებურად შეგშურდებოდა იმ ერთადერთი რჩეულისა, იმ ბედნიერი ქალიშვილისა, რომელიც მის სიყვარულს დაიმსახურებდა. იზაურას გულში ჩასახული სიყვარული კი ისეთი დაუშრეტელი ძალით აგიზგიზდა, რომ საბრალო ქალიშვილმა თავი ვერ გაართვა მანამდე უცნობ გრძნობას. თავდავიწყებით მინებდა მას და ქალწულის უმანკო ვნებით გადაეშვა ტრფობის მორევში.

იზაურა გონებით ხვდებოდა, რა გადაულახავი უფსკრული არსებობდა მასა და ალვაროს შორის და ესმოდა, რა საბედისწერო, უიმედო იქნებოდა მისი ცალმხრივი სიყვარული, რომელიც მტანჯველ სევდაში გადაიზრდებოდა და მისი გულის სიღრმეში დაბუდებული, მარადიული ტკივილით დაღრღნიდა მას.

ქალიშვილს ძალზე აწუხებდა დამალვისა და თავისი წარმომავლობის დაფარვის აუცილებლობა. საბრალოს დღითიდღე უჭირდა ასეთი უბადრუკი ცხოვრებდა და როცა ირგვლივ მყოფი ადამიანები პატივისცემით ექცეოდნენ, იზაურა, ასე გულღია და უმანკო არსება, სასტიკად იტანჯებოდა, რადგან ფიქრობდა, რომ მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ასეთ პატივისცემაზე. ღამღამობით მტანჯველი ფიქრი აწ-

ეალებდა იზაურას: შეეძლო კი მას ასე უსინდისოდ მოეტყუებინა თავისი სატრფო? ქალიშვილი გრძნობდა, რა სიყვარული გამოიწვია ალვაროს გულში და მძიმე ტკივილს განიცდიდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა მის შესახებ. როგორ მოიქცევა ალვარო, როცა გაიგებს, რომ ის მონაა? ჩათვლის თუ არა ამას მოტყუებად, შერცხვენად, თავის მოკვრად, საზიზღარ მუხანათობად? ხომ არ აავსებს მწარე საყვედურებით, ლანძღვით, როცა სიმართლეს გაიგებს? არ მოექცევა როგორც უბადრუკ, საზიზღარ მონას?

ოჰ, ღმერთო, ამას ნუ იზამ! — წამოიძახა იზაურამ. — ამას მირჩევნია ყველაზე საშინელი სიკვდილით მოვკვდე! არა, მე არ უნდა მოვატყუო ის, ეს მეტისმეტი უნამუსობაა... მე მას გავუმხელ ჩემს საიდუმლოს, ეს ჩემი ვალია და მე შევასრულებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს... ეს მწარე ფიალაა, მაგრამ მოვალე ვარ ბოლომდე დავცალო იგი... დაე, მან გაიგოს, რომ არ შეუძლია, არა აქვს ჩემი სიყვარულის უფლება, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, არ შევეზიზღები მაინც.

ასე გადაწყვიტა საკუთარ გულისხმასა და კეთილშობილი, ფაქიზი სულის ძახილს მინდობილმა იზაურამ. მაგრამ, როცა ამ საშინელი გადაწყვეტილების შესრულების დრო დადგა, ქალიშვილს ნებისყოფამ უმტყუნა და უნებლიე სულმოკლეობით აჭიანურებდა თავისი გადაწყვეტილების განხორციელებას. ეს არც იყო გასაკვირი. ვის შეუძლია გაამტყუნოს საბრალო მონა, თუ მას გამბედაობა არ ეყო თავისი ხელით დაეგრია საკუთარი ბედნიერება, გაესრისა ის ნაზი ოცნება, რომელიც მისი ცხოვრების ერთადერთ აზრს შეადგენდა?

— ასეთი ბედნიერების უფლება ნამდვილად არა მაქვს, — არწმუნებდა თავს იზაურა. — მე იმ ტუსაღს ვგავარ, რომელიც საკნიდან მხოლოდ იმისთვის გამოუშვეს ,რათა სცენაზე ვითამაშო ბრწყინვალე და ყოვლისშემძლე დედოფლის როლი, შემდეგ კი... სპექტაკლი დამთავრდება და მე კვლავ ბნელ ჯურღმულში გამომამწყვდევენ, სადაც გავატარებ დარჩენილ სიცოცხლეს. მაშ, რატომ უნდა მეთქვა უარი ამ წამიერი ბედნიერების გახანგრძლივებაზე? ყოველთვის მოვესწრები ციურ სამოთხესთან მაკავშირებელი უწვრილესი ოქროს ძაფის გაწყვეტას და სამუდამოდ ჯოჯოხეთში ჩავარდნას, საიდანაც არ ბრუნდებიან.

ასეთ ყოყმანსა და მტანჯველ შინაგან ჭიდილში, სადაც ენება ყოველთვის ჯაბნის გონებას, იზაურამ რამდენიმე დღე გაატარა. ვიდრე

ალვარომ თითქმის ძალით არ დაითანხმა მეჯლისში მიწვევაზე. აქ კი იზაურამ საბოლოოდ შეიგნო, რომ მეტი აღარ შეეძლო საყვარელი ადამიანის მოტყუება.

— კმარა, — გადაწყვიტა მან. — კმარა ამ უკეთილშობილესი კაცის სიკეთითა და ნდობით სარგებლობა! დაუშვებელია, რომ მე, ლტოლვილი მონა, მასთან მკლავგაყრილი გამოვჩნდე მეჯლისზე, ასე ბოროტად გამოვიყენო მისი სიკეთე და სულგრძელობა და სამაგიერო საშინელი საზიზღრობით გადავუხადო.

იზაურა დიდხანს იკრებდა ძალას, მაგრამ იმწუთს, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა უარი ეთქვა, გამბედაობა კვლავ არ ეყო. ის-ის იყო დააპირა თქმა, ნაბიჯიც კი გადადგა, რომ ალვაროს წინაშე დაეჩოქა, მის მუხლებს მოხვეოდა და პატიება ეთხოვა, რომ ახალგაზრდა კაცის სიყვარულით სავსე და სათუთი მზერა დაიჭირა, უცებ მონუსხულივით ენა წაერთვა და ადგილზე გაშეშდა.

— ღმერთო, ჩემო, რა საცოდავი ქმნილება ვარ, და მშიშარა, უღირსი არსება! — თავის თავს საყვედურობდა საბოლოოდ იმედდაკარგული. ნუთუ ძალა არ მყოფნის შევასრულო ჩემი მოვალეობა? სხვა გამოსავალი არ არსებობს: დე, მან მამაჩემისაგან გაიგოს ის, რისი თქმაც მე არ შემიძლია.

იზაურა ხარბად ჩაეჭიდა ამ აზრს, როგორც წყალწაღებული — ხავსს

— მამა, — დაბეჯითებით დაიწყო მან, როგორც კი ალვარო ბალის კუტიკარში გაუჩინარდა, — მინდა იცოდე: მე არასდიდებით არ წავალ ამ მეჯლისზე, მე იქ გამოჩენის უფლება არა მაქვს.

— როგორ თუ არ წახვალ? — გაოცდა მიგელი. — ადრე სად იყავი, რაზე ფიქრობდი? რატომ არაფერი უთხარი სენიორ ალვაროს, ვიდრე ის აქ იყო? არა, არა, ახლა გვიანღაა, ჩვენ პირობა მივეცით.

— ახლაც არ არის გვიან, — შეაწყვეტინა აღელვებულმა ქალიშვილმა. — დაეწიე ალვაროს და აუხსენი ის, რის სათქმელადაც მე ძალა არ მეყო. გააგებინე, ვინცა ვარ სინამდვილეში და უთხარი, რომ ყველაფერი დამთავრებულია.

როდესაც იზაურამ სათქმელი დაამთავრა, სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა ,გაფითრებული ტუჩები უთრთოდა, ხელებს კი გაშმაგებით მუშტავდა. იგრძნობოდა, რომ ეს გადაწყვეტილება მისთვის იოლი არ იყო. საბრალო მიგელი შიშით შესცქეროდა ქალიშვილს.

— ღმერთო ჩემო, ამას რას ამბობ, შვილო? — წაილუღლუღა მან. — შენს თავს მაინც შეხედე, სახეზე ფერი აღარა გაქვს, ავად ხომ არა ხარ?

— არა, მამა, ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ გეხვეწები, მოძებნე ალვარო და გაუმხილე ჩემი საიდუმლო. იჩქარე რა, გემუდარები, იჩქარე!

— არავითარ შემთხვევაში! ეს სიგიჟეა! მე არ დავუშვებ, რომ ბორკილები დაგადონ, ჯაჭვით დაგაბან და იმ ნადირთან დაგაბრუნონ, ის შენ საპყრობილეში ამოგალპობს! არა, იზაურა, ფიქრიც კი არ გაბედო ამაზე. ვიდრე მე ცოცხალი ვარ და შემიძლია ლუკმაპურის შოვნა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ გადაგარჩინო.

— გადამარჩინო რისთვის? სირცხვილისა და სახელის გასატეხად?.. ო, არა, მამა! მე არ შემიძლია მის გვერდით გამოვჩნდე მეჯლისზე როგორ შემიძლია თავი სენიორად გავასაღო, ეს ხომ უდიდესი ცოდვაა? რა მოხდება, როცა კეთილშობილი ბატონები გაიგებენ, რომ მათ გვერდით საზიზღარი მონა ცეკვავდა...

— გაჩუმდი, შვილო! — შეაწყვეტინა მიგელმა. — დამშვიდდი, ნუ ღელავ, ვერავინაც ვერ გაიგებს ვერაფერს. ჩვენ წავალთ აქედან. ხვალვე. წავალთ შეერთებულ შტატებში. მე სამუშაოს ვიშოვი, შენ, მით უმეტეს, შენი უნარით არ დაიკარგები. დავიწყებთ ახალ ცხოვრებას.

— ოჰ, მამა, მე იმის გაფიქრებისაც კი მეშინია, რომ მოგვიწევს სამშობლოს სამუდამოდ მიტოვება.

— მაგრამ ეს ერთადერთი გამოსავალია, შვილო! ოღონდ შენ სირცხვილსა და წაბილწვას გადაგარჩინო და მე მზად ვარ ცხრა მთას იქითაც გადავიხვეწო.

— იქნებ, ამ კეთილშობილმა კაცმა, სენიორ ალვარომ, როცა გაიგებს, რომ მე მონა ვარ, მიხვდეს, რა აუტანელმა პირობებმა გვიბიძგეს გაქცევისაკენ და თავისი მფარველობის ქვეშ აგვიყვანოს, დაგვიცვას მდევრებისაგან?

— ვინ იქნება ამის თავდები, შვილო? ვშიშობ, როცა გაიგებს მწარე სინამდვილეს, იგი შეგიძულებს და გულმოსულმა შეიძლება პირველმაც კი დაგაბეზღოს პოლიციაში. არა, ჩემო კარგო, ჩვენს სავალალო მდგომარეობაში სხვა გამოსავალი არ არსებობს: ჩვენ უნდა დავიმალოთ, არ გავამჟღავნოთ ჩვენი წარსული, თორემ, უსათუოდ, დავიღუპებით. გამაგრდი, შვილო, წავიდეთ მეჯლისზე, გეთან-

ხმები, რომ ეს მძიმე გამოცდაა, მაგრამ უნდა გავუძლოთ მას ჩვენი ბედნიერების გულისათვის. დაფიქრდი, მალე ჩვენ ძალიან შორს ვიქნებით აქედან და ვერავინ, ვერავინ დედამიწის ზურგზე ვერ გაბედავს შენს წყენას. გთხოვ, ნუ ინაღვლებ ამ ხალხზე, ისინი ხომ ვერასოდეს გაიგებენ შენს ვინაობას და შენთან ურთიერთობაც არავისთვის არ იქნება სამარცხვინო.

— შესაძლოა, შენ მართალიც ხარ, მამა, არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი გული წინააღმდეგია ამ ნაბიჯისა.

— რას იზამ შვილო, სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს. თუკი მეჯლისზე არ წავალთ და მოულოდნელად გავუჩინარდებით, მაშინ ჩვენს მიმართ აღძრული ეჭვი, უსათუოდ, გაძლიერდება.

ნაღვლიან ფიქრებში ჩაფლულმა იზაურამ არაფერი უპასუხა. მამის სიტყვებმა მის ისედაც დაკოდილ გულს სისხლიანი ჭრილობა დაამჩნია და ქალიშვილი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. შესაძლოა, მამა მართალია — რა შეიძლება ელოდეს შეპყრობილ მონას დილეგის, ტანჯვისა და სიკვდილის მეტი?

იზაურა ძრწოლამ აიტანა. ეჭვის მღელვარე ოკეანეში მოხვედრილი უმწეო ნავივით ხან იმედის აქაფებულ ტალღას მოექცეოდა კენწეროზე, ხან კი მწუხარების უძირო მორევში ინთქმებოდა.

სათუთი და მგრძნობიარე, გულწრფელი და მიამიტი იზაურა, რაკი არ შეეძლო შერიგებოდა სულ მცირეოდენ ტყუილსა და სიცრუეს, სასტიკად იტანჯებოდა; შინაგანი ალღო მას მეჯლისის წინააღმდეგ განაწყობდა, დროდადრო თითქოს მტკიცე გადაწყვეტილებასაც ღებულობდა და თავის თავს ეუბნებოდა — არა, არაფრის გულისათვის არ წავალ — მერე ქალიშვილი რამდენიმე წუთით მშვიდდებოდა. ვიდრე ეჭვის ჭია ისევ და ისევ არ დაიწყებდა მისი გულის ღრღნას. თანდათან მიგელის მოსაზრება სულ უფრო და უფრო გონივრული ეჩვენებოდა, თანაც მგზნებარე, დაუოკებელი სურვილი, — უკანასკნელად ენახა ალვარო, მის ხელებს შეხებოდა, შეეგრძნო მისი სუნთქვა, გაეგო მისი ხმა, გამოუთქმელ სასოწარკვეთილებაში აგდებდა საბრალო ქალიშვილს.

იმაზე ფიქრი, რომ მალე, შესაძლოა ხვალვე, მას მოუწევდა წასვლა და სატრფოსაგან საუკუნო განშორება, ისე რომ ვერ მოასწრებდა პატიების თხოვნას, გულს უკლავდა იზაურას. უცხო მხარეში გამგზავრება, სატრფოს მიტოვება, განშორების წამს მისი გულში ჩაკვრისა და მის მკერდზე გამოსათხოვარი ცრემლის დაღვრის იმედის და-

კარგვა, ქარბორბალასავით ადგილიდან ადგილზე ხეტიალი, საიმედო თავშესაფრის უქონლობა და მუდმივი შიში... ო! რა საშინელი მომავალი გაუმზადა მუხთალმა ბედმა! სხვა მომავალს კი ქალიშვილი ვერ ხედავდა. თუმცა, არა: მას თვალწინ დაუდგა ღამის ზმანება, ჯადოსნური ღამისა, რომელიც ჰპირდებოდა უდიდეს ნეტარებას — სატრფოს სიახლოვეს. ღმერთო, რა დროს ფიქრი და ყოყმანია, როცა თვით განგება აძლევს უკანასკნელ შესაძლებლობას ალვაროსთან გაატაროს ღამე, ერთი ჰაერით ისუნთქოს, მისი სითბო შეიგრძნოს და მისი გულის ძგერა მოისმინოს. არა, ასეთი ღამე ქალიშვილის გატანჯული სულისათვის მართლაც უკვდავებაა, თუნდაც მომავალში მხოლოდ დარდი და ხიფათი, მონობა და სიკვდილი ელოდეს!

იზაურამ დიდი ტკივილით სძლია საკუთარ თავს, მას ესმოდა, რომ უსინდისოდ იქცევა, მაგრამ მაინც ფიქრობდა რა თავის იდეალზე, უკეთილშობილეს, მაღალი სულის და ხალასი აზრების მქონე ახალგაზრდა ადამიანზე, ალვარო კი ასეთი გახლდათ, უკუაგდო სინდისის ქენჯნა.

ბუნებით მონიჭებული შორსმჭვრეტელობითა და განსაკუთრებული გუმანით, იმ ჭეშმარიტად მეექვსე გრძნობის წყალობით, რომლითაც მრავალი ქალია დაჯილდოებული, ქალწული სწრაფად მიხვდა, რომ ალვაროს დამოკიდებულება მისადმი არ იყო არც მისი სილამაზისათვის გაღებული უბრალო ხარკი და არც დროებითი გატაცება, ან ახალგაზრდობის მაცდური კაპრიზი. არა, იზაურა გრძნობდა, რომ ალვაროს ის უყვარდა ყველაზე გულწრფელი, მგზნებარე და უსაზღვრო სიყვარულით. ენა ვერ აღწერს, რა შინაგან სიამაყეს განიცდიდა იზაურა, როცა ალვაროს აღტაცებულ მზერას იჭერდა. ასეთ წუთებში მას საკუთარი წარმოშობაც ავიწყდებოდა.

— მე მართლაც ღირსი ვარ ალვაროს სიყვარულისა, — არწმუნებდა იგი თავის თავს, — სხვანაირად ის არც შემიყვარებდა. თუკი მისი სიყვარულის ღირსი ვარ, მაშინ, რატომ არ შეიძლება მან ჩემი თავი წარუდგინოს ყველაზე წარჩინებულ საზოგადოებას? ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ ერთი ადამიანის ვერაგობამ და სისასტიკემ დაანგრიოს ღვთის მიერ შექმნილი ყოველივე კარგი და კეთილი.

ასე ფიქრობდა იზაურა. მომავალ მეჯლისზე და სათაყვანებელ ალვაროსთან შეხვედრაზე ფიქრი უფრო და უფრო დიდ გამოძახილს პოულობდა მის სულში, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, აღტყინებისაგან ღონემიხდილმა არ წამოიძახა: „მე წავალ, მე წავალ მეჯლისზე!“

იმ დროს, როდესაც იზაურა ფიქრობდა მამის მოსაზრებებზე და თავს იმტვრევდა, რა პასუხი გაეცა მათზე, შვილზე არანაკლებ შეშფოთებული, აღელვებული მიგელი ბაღში დახეტიალობდა და მოუთმენლად ელოდა ქალიშვილის პასუხს.

— მე წავალ მეჯლისზე, მამა, — როგორც იქნა მოესმა მას, — ოღონდ მოვემზადები როგორც მსხვერპლი, რომელსაც საზეიმო გალობით წაიყვანენ დასასჯელად და გზაზე ყვავილებით შეამკობენ მე ცუდი წინათგრძნობა მიხრავს და მიმძიმებს სულს.

— რა წინათგრძნობა, იზაურა?..

— არ ვიცი, მამა. მე მხოლოდ ვგრძნობ, რომ უბედურება დაგვატყდება თავს.

— მე კი, შვილო, პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეჯლისი გადაგვარჩენს ჩვენ...

თავი XIII

იმედი მაქვს მკითხველი არ ფიქრობს, რომ მეჯლისი, რომელსაც ბედნიერება გვქონდა დავსწრებოდით, დამთავრდა. ის პატარა გადახტრა, რომელიც ჩვენ წინა თავში გავაკეთეთ, იმისთვის გვჭირდებოდა, რომ გვეჩვენებინა, რა ულმობელი წინააღმდეგობები უხუთავდნენ სულს ჩვენს მონა ქალს და ბოლოსდაბოლოს, როგორ მიიყვანეს ფატალურ გადაწყვეტილებამდე — წასულიყო დიდებულ მეჯლისზე, სადაც თავს იყრიდა ბრწყინვალე საზოგადოება. ალბათ. ყველაზე მკაცრი გულიც კი გაიგებს, მაგრამ ვერანაირი ლოგიკა, ვერანაირი გონება ვერ გაამართლებს ყოველთვის სინდისიერი, მოკრძალებული და კეთილგონიერი ქალიშვილის ამ უგუნურ საქციელს.

მაშ, ასე, მეჯლისი გრძელდებოდა, თუმცა დასაწყისში გამეფებული გამოცოცხლება, მხიარულება და თავისუფლება უკვე რამდენადმე მიმცხრალიყო. მქუხარე ოვაციები, საყოველთაო პატივისცემა და აღტაცება, უხვი კომპლიმენტები, რომლითაც კაცები ასე თავშეუკავებლად ამკობდნენ იზაურას, საბოლოოდ ყველაზე ბრწყინვალე. ელეგანტურ და გონებამახვილ ქალებსაც კი უკვე ყელში ამოუვიდათ და მოთმინება დააკარგვინა. ძვირფასმა კავალრებმა, რომლებიც აღტაცებით და მოურიდებლად თაყვანს სცემდნენ და არნახულ პატივს მიაგებდნენ გერიას, გაანაწყენეს ქალბატონები და შეურაცხყოფილე-

ბი, ისინი უარს ამბობდნენ ცეკვაზე. ხალისიანი საუბარი და კეთილი ხუმრობა კი არა, ღვარძლიანი და გესლიანი რეპლიკები ისმოდა ხან ერთი და ხან მეორე კუთხიდან.

ვითარება თანდათან იძაბებოდა. ვეებერთელა დარბაზის კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული ქალების ჯგუფს ტალღასავით გადაუარა უკმაყოფილების გუგუნმა. ქარიშხალი ახლოვდებოდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ კავალრების მიერ ასე უდიერად მიტოვებულმა რამდენიმე ქალმა ეჭვი აიღო, რომელიღაც შეუცნობელი გუმანით იგრძნო, რომ წარჩინებული საზოგადოების ყველა ლამაზმანის დამჩრდილავი გრაციოზული და მომხიბლავი უცნობი, სხვა არავინაა, თუ არა მონა. რამდენიმე მათგანმა, განსაკუთრებით მათ, ვისაც ალვაროს გულის მოგების იმედი ჰქონდა, მიატოვა მდიდრულად მორთული დარბაზი. იზაურას ტრიუმფით დათრგუნვილმა და მისი სილამაზის წინაშე უძლურმა უიღბლო ქალებმა გადაწყვიტეს, რომ ყველაზე გონივრული იქნებოდა არ გაემჟღავნებინათ წყენა და შეუმჩნეველად გასცლოდნენ იქაურობას ,რათა საწოლი ოთახის სიმყუდროვეში განმარტოებით ეცადათ დამარცხების სიმწარის დავიწყება.

თუმცა ნუ გამოვიჩენთ უსამართლობას და ნუ ვიტყვით, რომ ამდენ კეთილშობილ და ლამაზ ქალებში არ იყვნენ ისეთები, რომლებსაც ყოველგვარი, შურის და ანგარების გარეშე აღაფრთოვანებდათ იზაურას სილამაზე და მანერები და გულწრფელად უხაროდათ მისი თავბრუდამხვევი წარმატება; სწორედ ამ მშვენიერი ქმნილებების წყალობით ხერხდებოდა სიმხიარულისა და უშუალობის შენარჩუნება მეჯლისზე. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ქალები უმცირესობას შეადგენდნენ, ოჰ, ქალები, ქალები! ნება მიბოძეთ, გკითხოთ: რატომაა, რომ მშვენიერი სქესის, თუნდაც სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ნებისმიერ თავყრილობაზე, ნახევარი მაინც ხდება შურის, ეჭვის, ჭორისა და ინტრიგის ობიექტი? მოწინააღმდეგეზე გამარჯვების სურვილი რატომ სჯობნის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს, გვაძულებს დავივიწყოთ მეგობრობა და ცოლქმრული ერთგულება?

თუმცა, კმარა ამდენი გადახვევა. შეგახსენებთ, რომ ჩვენ დავტოვეთ იზაურა სწორედ იმ დროს, როცა ის ალვაროსთან მკლავგაყრილი მიაბიჯებდა დარბაზში და ადგილს ირჩევდა კადრილის საცეკვაოდ. ვიდრე მშვენიერი წყვილი იცეკვებს, ჩვენ ერთი წუთით შევიხედოთ

ჭეზობელ მწვანე მაუდგადაკრულ ლომბერის[1] მაგიდებითა და სხვადასხვა მარკის ლიქიორებით, ლუდითა და შამპანური ღვინოებით გავსებული ბუფეტებით გაწყობილ ოთახში. ეს ოთახი ყურთამდე გამოღებული ორფა კარებით უშუალოდ უკავშირდებოდა საცეკვაო დარბაზს. შესვლისთანავე შევამჩნევთ ცხარედ მოსაუბრე ახალგაზრდების ჯგუფს, უმთავრესად — სტუდენტებს, ერთგვარ ქარაფშუტა დენდებს, დარდიმანდებს, რომლებიც ექსცენტრიული, ბაირონული გამომეტყველებით ცდილობდნენ ეჩვენებინათ, როგორ მოყირჭდათ აბეზარი ქალების საზოგადოება. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სიამოვნებით ყვებოდნენ, როგორ მოიქანცნენ სასიყვარულო თავგადასავლებით და ახლა არაფრის გულისათვის არ გაცვლიდნენ არომატული სიგარის გაბოლებით ან ერთი ჭიქა შამპანურის დალევით მიღებულ სიამოვნებას მხედველობის გამაღიზიანებელ ულამაზეს ქალზე. იყვნენ ისეთებიც, ლექსად ან თხრობით რომ აღწერდნენ უიმედო სიყვარულს, გაბზარულ გულს და ცხოვრებაზე გულის გატეხვას, ვნების ალით დადაგულ ან მოყირჭებით გამოფიტულ სულს. და ბოლოს, მათ შორის იყვნენ მოღუშული მიზანთროპებიც, ისინი ხომ ნებისმიერ საზოგადოებაში გვხვდებიან. მათი ცნობა ადვილია უსიცოცხლო, ჩამქრალი გამოხედვით და იმ გულგრილობით, რომლითაც ისინი სხვის დასანახად გამოხატავენ მაღალი ცხოვრების, ფუქსავატური ჩვევებისა და უდარდელი დროსტარების უგულებელყოფას.

მათ შორის გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ, რადგან მან თითქმის მთავარი როლი უნდა ითამაშოს შემდგომი მოვლენების განვითარებაში. მასში არ იყო არაფერი ბაირონული ან მელანქოლიური, პირიქით, მის გარეგნობასა და მანერებში შეიმჩნეოდა ცინიზმი და მოურიდებლობა. ის თავის მეგობრებზე ათი წლით უფროსი ჩანდა. მასიური, გამოკვეთილი თავი თითქოს მხრებიდანვე იზრდებოდა. დიდი დამრეცი შუბლი, ფართო ყვრიმალებამოჩრილი სახის ზემოთ, დაწინწკლული იყო მრავალრიცხოვანი ბუსუსებითა და ფორებით, რაც,

---

[1] ლომბერი — ბანქოს თამაში სამ მოთამაშეს შორის; ლომბერის მაგიდა — ბანქოს სათამაშო მაგიდა, ჩვეულებრივ, მწვანე მაუდგადაკრული და დასაკეცი.

ლაფატერის[1] თანახმად, მისი გონების შეზღუდულობასა და სიმწირეზე მეტყველებდა. მის გამოშტერებულ, თითქმის გროტესქულ სახეზე ამოიკითხავდით მდაბალი ეგოისტური ნატურის დამახასიათებელ ნიშნებს, ასეთი ადამიანები არ ერიდებიან ყველაზე საზიზღარ საქმეს. წვრილ ღორისებურ თვალებს სწრაფად დააცეცებდა აქეთ-იქით და ამითაც ამჟღავნებდა თავის ფლიდ ხასიათს. ეს უაღრესად ხარბი და პატივმოყვარე ახალგაზრდა კაციც სტუდენტი იყო, თუმცა თავისი ულაზათო, ალაგ-ალაგ მოთხუპნული ტანსაცმლით უფრო ჩარჩს მოგაგონებდათ, აი, უკვე თხუთმეტი წელია, რაც მარტინიო, ასე ერქვა ამ ახალგაზრდას, სწავლობდა და საფასურს საკუთარი ჯიბიდან იხდიდა, შემოსავალს კი ტავერნიდან[2] იღებდა, რომლის თანამფლობელიც იგი იყო.

— მეგობრებო, — თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, — ლანდსკნეხტი[3] ხომ არ გვეთამაშა, ვიდრე ეს უსაქმურები ტლინკებს ყრიან და ეთაყვანებიან ერთმანეთს?

— შესანიშნავი აზრია! — შესძახა მეორემ, მყისვე გაბედულად მიუჯდა მაგიდას და ხელში ბანქოს ქაღალდი აიღო. — სხვა საქმე მაინც არა გვაქვს, მოდით, შევუდგეთ საქმეს, მით უმეტეს, რომ სიცოცხლე ბანქოშია. აგურის ქალის დანახვაზე გული ჩიტივით მიფანცქალებს და მზადაა მკერდიდან ამოვარდეს, როგორც რომეოს ჯულიეტას დანახვაზე... აფონსო, ალბერტო, მარტინიო, აქეთ წამოდით, ორი-სამი ხელი ვითამაშოთ, მეტი არ გვინდა.

— მე დიდი სიამოვნებით მივიღებდი თქვენს წინადადებას, ჩემო მეგობარო, — გამოეხმაურა მარტინიო, —მაგრამ იძულებული ვარ ვიჩქარო სულ სხვა პარტიის სათამაშოდ, რომელიც თითის გაუნძრევლად და ყოველგვარი რისკის გარეშე ჯიბეში რამდენიმე კონტოს ჩამიდებს.

— რა სისულელეს ჩმახავ, ეშმაკმა წაგიღოს? თავი დაანებე უკბილო ხუმრობას და დაჯექი, ლანდსკნეხტი ვითამაშოთ.

— არა, სახუმროდ სულაც არა მცალია, ისეთი ნაღდი საქმეა და

---

[1] ლაფატერი, იოჰან კასპარი 1741-1801 შვეიცარელი მწერალი, ცდილობდა დაედგინა კავშირი ადამიანის შინაგან სამყაროსა და თავის ქალისა და სახის აგებულებას შორის.

2. ტავერნა — პატარა სამიკიტნო.

3. ლანდსკნეხტი — აზარტული კარტის თამაში.

თანაც თავისით ჩამიკარდა ხელში, რომ აბა, სადა მცალია აზარტული თამაშისათვის, რომელშიც ისედაც საკმაო ფული გადავყარე? ასეთი სულელიც არ გეგონოთ!

— ათასი ეშმაკი, მარტინიო! ბოლოს და ბოლოს აგვიხსენი, რა თამაში გაქვს მხედველობაში?

— შეეცადეთ გამოიცნოთ... არ შეგიძლიათ? ეს შესანიშნავი ბისკაა[1] კარგით, გეტყვით. საკმაოდ გახმაურებული საქმეა და დიდი აურზაური ატყდება, მსოფლიო სკანდალი. აბა რას იტყვით? თუ გამოიცნობთ, დიდებულ სუფრას გაგიშლით ყველაზე საუკეთესო რესტორანში.

— ჩათვალე რომ არავითარი ქეიფი არ იქნება, უბადრუკო თევზიჭამია, რადგან ჯერ არ გაჩენილა კაცი, რომელიც შეძლებს გამოიცნოს, რა სულელური იდეა ჩაისახა შენს არანორმალურ თავში. ასე რომ, მხოლოდ ბანქოს თამაშით შეგვიძლია ფული დაგცინცლოთ.

— თავი დამანებეთ, — შეუღრინა მარტინიომ და გააგრძელა დარბაზში მოცეკვავე წყვილების დაჟინებული თვალთვალი. — მე ჩემს შემოსავალს ვანგარიშობ. დავუშვათ, რომ ჭადრაკის პარტიას ვთამაშობ: გარდე დედოფალს, ქიში მეფეს და შამათი! ჯიბეში ხუთი კონტო მექნება!

— არა, ერთი ამას დამიხედეთ! ნამდვილად შეიშალა. მოდი, ასე მოვილაპარაკოთ, მარტინიო: ან ამოყაჭე, რაც ჩაიფიქრე, ან აქედან მოუსვი, სანამ დროა და მოთმინებიდან არ გამოგვიყვანო შენი ნაბოდვარით.

— ეს მე ვარ შეშლილი? ეჰ, თქვენ ხომ ყველას ერთად ჩემი ნახევარი ჭკუაც არა გაქვთ! რაც შეეხება ჩემს თამაშს... კარგით, რამდენს გადამიხდით, ყველაფერი რომ გიამბოთ? პირობას გაძლევთ, ხტუნვას დაიწყებთ, იმდენად მოულოდნელია.

— შენ გინდა ჩვენი ცნობისმოყვარეობის გაღვიძება და ფულის დაცინცვლა? არაფერი გამოგივა, ვერ გაგვაცურებ. ჯანდაბამდის გზა გქონია შენი სულელური თამაშით, ჩვენ კი როგორმე ჩვენსას ვითამაშებთ. მეგობრებო, დაარიგეთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ ვიგინდარას.

— აი, სულელი, საცოდავი ძუძუმწოვრები! — შესძახა მარტინიომ. — კარგით, გამომყევით და დაგიმტკიცებთ, რომ ეს არც სუ-

---

[1] ბისკა — კარტის თამაშის სახეობა.

ლელური თამაშია და არც თაღლითობა. მართლა, ინებეთ, — დაუმატა მან და თან ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო. — აი, ჩემი კოზირი. ეს განცხადებაა გაქცეულ მონაზე.

— ო! მართლა? საოცარია!

— რა სისულელეა! შენ ნამდვილად ჭკუაზე შეიშალე, მარტინიო!

— რა შუაშია აქ განცხადება გაქცეულ მონაზე?

— შენ რა, სასამართლოს აღმასრულებლად დაგნიშნეს თუ ტყის კაპიტნად?[1]

ასე სიცილნარევი შეძახილებით ხორხოცობდნენ ახალგაზრდები და ცდილობდნენ ჩაეხშოთ ორკესტრის ხმაური.

— მე არ მესმის თქვენი გაოცება, — მწყრალად შენიშნა მარტინიომ, — და ძალიან მიკვირს, რომ თქვენ სათანადო ყურადღება არ მიაქციეთ ცირკულიარს გაქცეული მონების შესახებ, რომელიც რიოდე-ჟანეიროდან გამოგზავნეს და „ჟორნალ დუ კომერსიუს“ დამატების სახით ვრცელდებოდა.

— შენ რა, პოლიციის მაძებრები გგონივართ, თუ სასამართლოს აღმსრულებლები, რომ ამგვარი ცირკულარები ვათვალიეროთ?

— არ ვიცი, არ ვიცი. მაგრამ ძალზე საინტერესო შემთხვევა კია, ხოლო ჯილდო ისეთია, რომ ცოდვაა მისი უგულებელყოფა.

— საწყალი მარტინიო! ჩანს, ძალიან გჭირდება ფული, რაკი მისი გულისათვის საცეკვაო დარბაზშიც კი ნადირობ ლტოლვილ მონებზე! იქნებ, იმპერატორის სასახლეშიც მოგეძებნა?

— იცინეთ ,იცინეთ, ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ლტოლვილი აქ, მეჯლისზე, იმყოფება. ხოლო ხუთი კონტო ქუჩაში არ ყრია, მით უმეტეს, რომ ჩემი დუქანი ამ ბოლო დროს ძველებურ შემოსავალს აღარ იძლევა.

დუქანს მარტინიო პატარა ტავერნას უწოდებდა, რომლის თანამფლობელიც იგი იყო. საცეკვაო დარბაზისა და ბანქოს სათამაშო ოთახის გამყოფ კარებში გაჩერებული, ის დროდადრო თვალს ავლებდა მოცეკვავე წყვილებს და თან ხელში დაჭერილ ქაღალდს ჩაჰკირკიტებდა, თითქოს რაღაცას ამოწმებდა და ადარებდა.

— ეშმაკმა წაიღოს. რას აპირებს იგი? — წამოიძახა ერთმა ბანქოს მოთამაშემ და წამიერად გადაავიწყდა კარტი.

— ნამდვილად შეიშალა, — შენიშნა მეორემ. — მხოლოდ გიჟს

---

[1] ტყის კაპიტანი — გაქცეული მონების მდევარი რაზმის უფროსი.

შეუძლია მეჯლისზე ლტოლვილი მონის ძებნა! თუმცა, ხხვა რას შეიძლება ელოდო მარტინიოსაგან — გამოქცეულ პრინცესას, ალბათ, კოლომბოში[1] დაუწყებს ძებნას.

— შესაძლოა ლტოლვილი რომელიმე პაჟი ან ქალბატონის მოახლე იყოს?

— არა, აბა მათ ვინ შეუშვებდა დარბაზში, ნახე, მარტინიო რა გაფაციცებით ადევნებს თვალს მოცეკვავეებს!

— გეყოფათ, მეგობრებო, ეშმაკსაც წაუღია! გვიჯობს ვითამაშოთ.

— ის არის! — ხმამაღლა წარმოთქვა კარებს მოცილებულმა და თავის მეგობრებისკენ შემოტრიალებულმა მარტინიომ. — არავითარი ეჭვი. უდავოდ, ისაა!

— ვინ არის ის, მარტინიო?

— აბა, გამოიცანით?

— ნუთუ გამოქცეული მონაა?

— დიახ, სენიორებო, წარმოიდგინეთ — სწორედ ლტოლვილი მონა! თანაც აქ, ამ დარბაზში ცეკვავს!

— ჰა, ჰა, ჰა! რა ხუმარა ვინმე ხარ, მარტინიო! სიცილით არ მოგვკლა! სულ მთლად გააფრინე! ამდენი არასდროს მიცინია!

ასეთი შეძახილები მოისმოდა ლომბერის მაგიდიდან, რომელსაც ახალგაზრდა კაცები უსხდნენ, ცრემლებს იწმენდდნენ და თან სიცილით იბჟირებოდნენ.

— თქვენ დამცინით? დამაცადეთ, მალე ეს ფარსი ტრაგედიად გადაიქცევა.

— მშვენიერი ნათქვამია! განაგრძე, მარტინიო!

— არა გჯერათ? მაშ, მომისმინეთ და საკუთარ თავს დააბრალეთ, საცოდავო ტუტუცებო!

ამ სიტყვებზე მარტინიო სკამზე ჩამოჯდა, ქაღალდი გაშალა და წასაკითხად მოემზადა. ბანქოს მოთამაშეები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ გარს.

— ყურადღებით მომისმინეთ, — განაგრძო მარტინიომ. — „ხუთი კონტო“ — დიდი ასოებით გამოყვანილი ასეთი მრავლისმეტყველი

---

[1] კოლომბო — ლტოლვილი ზანგი მონების დასახელება.

სათაური აქვს ამ ქალალდის ნაგლეჯს, რომელიც უფრო მეტი ღირს, ვიდრე კამოენსის „ილიადა“.

— მით უმეტეს, უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე ჰომეროსის „ლუზიადა“,[1] არა, მარტინიო? სისულელეებს თავი გაანებე, გულახდილად გვითხარი, თუ რამე გაქვს.

— ახლავე, ახლავე, — თქვა მარტინიომ და კითხვა დაიწყო: — „სენიორ ლეონსიო გომეშ და ფონსეკას ფაზენდიდან, კამპუსის ოკრუგი, რიო-დე-ჟანეიროს პროვინცია, გაიქცა მონა, სახელად იზაურა. ძირითადი ნიშნები: თეთრკანიანივით ნაზი და ფერმკრთალი კანი, მუქი დიდი თვალები, ოდნავ ხვეული შავი, გრძელი თმა, კოხტად მოყვანილი პატარა პირი, სწორი თეთრი კბილები, თხელი, მოხდენილი ცხვირი, წვრილი წელი, ჩამოქნილი ტანი, საშუალო სიმაღლის, შარცხენა ლოყაზე პატარა შავი ხალი, მარჯვენა ძუძუს თავზე პეპელას ფრთის მსგავსი დამწვრობის ნაკვალევი, იცვამს გემოვნებით და ელეგანტურად ,გასაოცრად მღერის და უკრავს პიანინოზე. საუკეთესო განათლების და დახვეწილი მანერების წყალობით შეუძლია თავი გაასაღოს წარჩინებული საზოგადოების თავისუფალ ქალბატონად. გაიქცა მამასთან ერთად. მამა პორტუგალიელია, სახელად მიგელი. სახელები, ალბათ, შეცვლილი ექნებათ. ის, ვინც ლტოლვილებს იპოვის და მონას დაუბრუნებს ზემოთ აღნიშნულ სენიორს, გაწეული ხარჯების გარდა, საჩუქრად ხუთ კონტოს მიიღებს“.

— ნუთუ ნამდვილად ასე წერია განცხადებაში, მარტინიო? შენ ხომ ეს-ესაა ნამდვილი ვენერას პორტრეტი დაგვიხატე და ახლა ცდილობ დაგვარწმუნო, რომ ის გამოქცეული მონაა? — წამოიძახა ერთ-ერთმა ბანქოს მოთამაშემ.

— თუ არა გჯერათ, შეგიძლიათ საკუთარი თვალით წაიკითხოთ, აჰა, აიღეთ ქალალდი.

— ო, მეგობრებო, ასეთი მონა მართლაც ღირს იმად, რომ არაფერი დაიშურო მის დასაჭერად, — ოღონდ — საკუთრად შენთვის და არა ხუთი კონტოსათვის. მე რომ ბედი მქონდეს და დავიჭირო, არაფრის დიდებით არ დავუბრუნებდი პატრონს.

— მე აღარ მიკვირს, რომ მარტინიო აქ ეძებს მას: ასეთ სრულ-

---

[1] იგულისხმება ჰომეროსის „ილიადა“ და კამოენსის „ლუზიადა“. მარტინიოს დაბალი კულტურისა და განათლების მაჩვენებელი.

ქმნილ არსებას, მართლაც, მხოლოდ პრინცის მეჯლისზე თუ შეხვდება კაცი.

— ან ზღაპრულ სამეფოში. სიტყვამ მოიტანა და, გარეგნული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, ის სხვა ვინ იქნება, თუ არა მშვენიერი ქალღმერთი ,რომელმაც ასე აღგვაფრთოვანა დღეს...

— ყოჩაღ, ალბერტო, შენ პირდაპირ ათიანში მოახვედრე, — შენიშნა მარტინიომ. — მოდით აქ, — მან კარებისკენ მიიწვია მეგობრები. — შეხედეთ იმ მზეთუნახავს, ალვაროსთან რომ ცეკვავს. საბრალო ალვარო, რა ბედნიერად გრძნობს თავს! რომ იცოდეს ვისთან ცეკვავს, გული წაუვიდოდა. ყურადღებით დააკვირდით, სენიორებო, ჩემი აზრით, ყველა ნიშანი ემთხვევა, ასე არ არის?

— სუყველა! — შესძახა ალბერტომ. — გასაოცარია! ხალიც კი მარცხენა ლოყაზე, ასე რომ უხდება. თუ მას ძუძუს თავზეც აღმოაჩნდება პეპელას ფრთისებრი ნიშანი, საკითხი გადაწყვეტილია. ო, ღმერთო! ნუთუ, შესაძლებელია, რომ ასეთი მომხიბლავი ქალიშვილი მონა იყოს?!

— მაგრამ როგორ ეყო გამბედაობა ამ მეჯლისზე მოსასვლელად? — იკითხა აფონსომ. — მე უბრალოდ გაოცებული ვარ.

— რაც შემეხება მე, — განაცხადა მარტინიომ, — შეიძლება ჩავთვალო, რომ თავი ქუდში მაქვს. ხუთი კონტოც უკვე ჩემია. ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო.

ამ სიტყვებით მან გულმოდგინედ დაკეცა ქაღალდი, ჯიბეში ჩაიდო, ხელები კმაყოფილებით მოიფშვნიტა, ქუდი ჩამოიფხატა და იქაურობას გაეცალა.

— ვაი, რა წუწურაქი ვინმეა, — წარმოთქვა აფონსომ — ფულის გულისთვის ყველაფერს იკადრებს. მე მგონი, ის აპირებს პირდაპირ მეჯლისზე შეიპყროს უბედური ქალიშვილი.

— ჰო, ხუთი კონტოსათვის ის ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს. ამისთანა არამზადა მთელ ჩვენს საზოგადოებას არცხვენს. პირი ხომ არ შევკრათ და აკადემიიდან გავარიცხინოთ? პირადად მე დიდი სიამოვნებით გადავიხდიდი ხუთ კონტოს, ამ მზეთუნახავის მონა რომ გავხდე.

— საოცარია პირდაპირ! ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი ანგელოზის სახით მონა ქალი იმალება!

— ვინ მოგახსენა, რომ მონის სხეულში ანგელოზის სულს არ შეუძლია დამალვა?

კადრილი როგორც იქნა დამთავრდა. გახარებულმა და აღფრთოვანებულმა ალვარომ თავისი მშვენიერი პარტნიორი გამაგრილებელი სასმელების დასალევად მიიწვია და ერთ-ერთ მოშორებულ ოთახში წაიყვანა. ისინი ხალხის ჯგუფს მიარღვევდნენ. მათ მიაცილებდა ასეულობით თვალი, რომელთა გამოხედვაშიც იგრძნობოდა დაუფარავი ეჭვი და შური, სიძულვილი და აღტაცება. ალვარო აქამდე კიდევ არ გამოსტყდომოდა ელვირას სიყვარულში, თუმცა მისი სიყვარული დღითი დღე ძლიერდებოდა და იგრძნობოდა ყველაფერში: სიტყვებში, გამოხედვაში, ჟესტებსა და ქცევაში. მას ეგონა, რომ მათი პირველი შეხვედრიდან განვლილ ორ თვეში დაწვრილებით შეისწავლა თავისი სატრფო და დაასკვნა, რომ ის სრულქმნილი ბრილიანტი გახლდათ. მას ეჭვიც არ ეპარებოდა ელვირას სულის სიწმინდესა და მისი გრძნობების გულწრფელობაში და გადაწყვიტა, რომ იპოვა თავისი ბედნიერება. ამ სიყვარულის საწინდრად, ის მზად იყო გაეცა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა: სული, წრფელი გული და ქონება. ელვირას ჩამომავლობა სულაც არ აღელვებდა მას. ასე რომ, არც კი უცდია გაეგო მისი სადაურობა. დემოკრატიული ბუნების ალვაროსათვის უცხო იყო რასისტული შეხედულებები და სოციალური უთანასწორობის თეორიები. მისი სიყვარული ოდნავადაც არ შეიცვლებოდა ელვირას მიმართ იმისდა მიხედვით, თუ ვინ იყო ის — პრინცესა თუ ღარიბი მებადურის ქოხში დაბადებული ქალიშვილი. მისთვის ისიც კმაროდა, რომ მის გვერდით იყო, სცოდნოდა, რომ ის ყველაზე მშვენიერი და სათაყვანებელი არსებაა დედამიწის ზურგზე.

როგორც ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, ალვარო კვაკერების პურიტანულ შეხედულებებს მისდევდა, ამიტომ მას არც უცდია ესარგებლა იმ სიყვარულით, რომელსაც მისადმი განიცდიდა მომხიბლავი ქალწული, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ცოდვილი აზრებისგან თავის შეკავება ვაი, რომ ძნელი იყო.

მაგრამ ამ სასწაულებრივ ღამეს ახალგაზრდა შეყვარებული ელვირას ღვთაებრივი სილამაზითა და გასაოცარი მუსიკალური ნიჭით საბოლოოდ დატყვევებული და დაბრმავებული, თავს ვეღარ იკავებდა. ხვაშიადის გამხელა პირდაპირ იფრქვეოდა მისი თვალებიდან და ყოველ წამს მზად იყო მის ბაგესაც მოსწყვეტოდა, ამიტომ, როგორც

კი ჩვენი წყვილი ცარიელ ოთახში აღმოჩნდა, აღელვებულმა ალვარომ დაიწყო:

— დონა ელვირა, თუ სახლში და თქვენი სამოთხის ბაღში ანგელოზი ხართ, მაშინ აქ, ამ მეჯლისზე თქვენ შეუდარებელი ქალღმერთი ხართ. ჩემი გული დიდი ხანია თქვენ გეკუთვნით. მხოლოდ თქვენ ზიხართ შიგ და სხვა არავის შეუძლია იქ შესვლა, რადგან მისი გასაღები საგულდაგულოდ გადავმალე. თქვენა ხართ ჩემი სულის მეუფე, დღეიდან ჩემი ბედი თქვენს ხელთაა და მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. თქვენა ხართ ჩემი ბედის ვარსკვლავი და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ საუკუნოდ გამაბედნიეროთ ან პირიქით, გამხადოთ ყველა მოკვდავზე უბედური. ვიმედოვნებ, საკმაოდ კარგად მიცნობთ და ეჭვი არ გეპარებათ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში. მე საკმაოდ მდიდარი ვარ, პატივისცემით ვსარგებლობ საზოგადოებაში, მაგრამ არასოდეს ვიქნები ბედნიერი, თუ თქვენ თანახმა არ იქნებით ჩემთან ერთად გაიზიაროთ ჩემთვის ბედისაგან ნაბოძები სიკეთე.

სიყვარულით ნაკარნახევი ალვაროს მხურვალე და ფაქიზი სიტყვები სხვა დროს შეიძლება სალბუნად მოჰფენოდა იზაურას დაკოდილ გულს, მაგრამ ახლა ისინი გახურებული შანთივით დაღავდნენ მას, მუხთალი ბედის გულქვა დაცინვასავით გაისმოდა და მის სულში მოგიზგიზე ჯოჯოხეთს სამოთხის მუსიკასავით ეფინებოდა. ერთი მხრივ, თითქოს კეთილი ანგელოზი ედემის ჰარმონიისა და ნეტარებისაკენ იტაცებდა მას, მეორეს მხრივ — ჯოჯოხეთის საზიზღარი ნაშიერი, პირქუში დემონი, ბორკავდა და დაუნდობლად ეჭაჩებოდა ქვესკნელის საუკუნო ტანჯვისა და წამებისაკენ.

ახლა დროა მკითხველმა იცოდეს, რომ იზაურამ მხიარული კადრილის ცეკვის დროს შეამჩნია მარტინიო, რომელიც მიყრდნობოდა კარის წირთხლს და ფლიდი ღიმილით დაჟინებით აკვირდებოდა მას, თან დროდადრო ხელში დაჭერილ ქაღალდს ჩასცქეროდა. მისმა გამოხედვამ ბასრი სატევარივით განგმირა იგი, იზაურა მყისვე მიხვდა, რომ მისი საიდუმლო გახსნილია. უეცრად თვალთ დაუბნელდა და მოეჩვენა, რომ ფეხქვეშ იატაკი ჩაექცა და მიექანება უძირო უფსკრულისკენ. თავი რომ შეეკავებინა, ეპნ ორივე ხელი მაგრად მოხვია ალვაროს მხრებზე და თავი მის მკერდზე დახარა.

— რა მოგივიდათ, ჩემო სენიორა? — ჰკითხა შეშინებულმა ალვარომ — ცუდად ხომ არა ხართ?

— ცოტა, — ძლივს წაილუღლუღა გონზე მოსულმა იზაურამ, —

უცებ ტკივილი ვიგრძენი მკერდში, მაგრამ უკვე გამიარა... მიჩვეული არა ვარ ასეთ ხალხმრავლობას, ალბათ, ამიტომ ოდნავ თავბრუ მესხმის.

— არა უშავს, მალე გაგივლის, — უპასუხა ალვარომ და მოქნილ ტანზე ხელი მოხვია ქალიშვილს. — თქვენ მეჯლისებისთვის ხართ დაბადებული... თუმცა, თუ წასვლა გსურთ...

— არა, არა, — შეიცხადა იზაურამ, — გავაგრძელოთ ცეკვა, მით უმეტეს, რომ მალე დამთავრდება.

ალვარო დამშვიდდა და კადრილის ფინალით აღტაცებულმა, ეერც კი შეამჩნია როგორ გაფითრდა ქალიშვილი. საბრალოს უკვე აღარ შეეძლო ცეკვა და ცდილობდა რიტმს მინდობოდა და როგორმე აყოლოდა ალვაროს; იზაურას ფიქრები სადღაც შორს დაქროდნენ, კარებში სფინქსივით დაყუდებული მარტინიოს საზიზღარი ფიგურის გარდა, ვერაფერს ხედავდა .ქალიშვილს გული ეკუმშებოდა საშინელი უბედურების მოლოდინში, რომელიც კლანჭებგაშლილი ქორივით მოექანებოდა ცისკამარაზე და სადაცაა დააცხრებოდა ამ საბრალო მტრედს შიშისა და დარდისაგან გატანჯულმა იზაურამ ხმაც ვერ ამოიღო ახალგაზრდა კაცის მხურვალე და გულახდილი სიტყვების საპასუხოდ. საბრალომ კრინტიც ვერ დაძრა, ალვაროს კი ეგონა, რომ მისმა სიტყვებმა ააღელვეს და შეაცბუნეს ქალიშვილი.

— მითხარი რამე, — შეევედრა ვაჟი. — ერთი, მხოლოდ ერთი სიტყვა და მე...

— ო ,სენიორ, — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა იზაურამ, — რა შემიძლია გითხრათ ასეთი ალერსიანი სიტყვების შემდეგ? მე ძალიან ვღელავ, დამიჯერეთ, მაგრამ...

ის მოულოდნელად გაჩუმდა, წაიბორძიკა და მკლავში ჩაეჭიდა ალვაროს, რომელმაც თავის მხრივ, შიშით შეხედა ქალიშვილს.

იზაურამ უცებ შეამჩნია, რომ ოთახში, სადაც ის და ალვარო განმარტოვდნენ, მარტინიო შემოდიოდა და მთრთოლვარე ხმით ძლივს ამოღერღა: — ის არის!.. ქალიშვილმა იგრძნო, როგორ გაუცივდა ფეხები, ხოლო გული კი ისე გამალებით უცემდა, თითქოს მკერდიდან ამოხტომას ლამობსო.

— მაპატიეთ, სენიორ, — წაიჩურჩულა მან, — მე მიჭირს ასეთი ალერსიანი, ნაზი სიტყვების მოსმენა... რაღაც შეუძლოდ ვარ. ჰჭენით მოწყალება, მიმიყვანეთ მამასთან...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, დონა ელვირა! — დაფაცურდა

ალვარო. — ო... ღმერთო ჩემო, როგორ გაფითრდით! სახეზე ფერი აღარ გაქვთ! თქვენ, ალბათ, ძალიან ცუდადა ხართ? იქნებ ექიმს და ვუძახოთ? — ვერაფერს მიმხვდარიყო ვაჟი.

— გმადლობთ, სენიორ ალვარო, ნუ შეწუხდებით ჩემი გულისათვის. მე, ალბათ, უბრალოდ დავიღალე. არაფერია. სახლში მივალ. ცოტახანს დავწვები და ყველაფერი გაივლის.

— როგორ, თქვენ გინდათ ისე წახვიდეთ, რომ იმედის მომცემი სიტყვაც კი არ მითხრათ?

— ნუგეში, შეიძლება, აი იმედი კი...

— კი მაგრამ, რატომ?

იმიტომ, რომ მე თვითონაც არა მაქვს იმედი...

— ესე იგი, არ გიყვარვართ?

მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, დამიჯერეთ.

— მაშ, თქვენ თანახმა ხართ გახდეთ ჩემი?

არა, ეს შეუძლებელია...

— შეუძლებელი? კი მაგრამ, რა გვიშლის ხელს?

— დამიჯერეთ, ჩემთვის ძნელია აგიხსნათ, სენიორ: ეს ჩემი გოლგოთაა. მუხთალი ბედი, თუ გინდათ...

ორი შეყვარებულის საუბარი ყველაზე საინტერესო ადგილზე შეწყდა, რადგან ოთახში ბოთლიდან ამომძვრალი ჯინივით მოულოდნელად გამოჩნდა მარტინიო და თავი მდაბლად დაუკრა. განრისხებულმა ალვარომ ის იყო დააპირა ქეციანი ძაღლივით გაეგდო ეს მოურიდებელი ხეპრე, ხოლო იზაურა კი შიშისაგან გაშეშდა.

— სენიორ ალვარო, — განსაკუთრებული პატივისცემით დაიწყო მარტინიომ, — თუ ნებას მომცემთ, ორიოდე სიტყვა მაქვს პირისპირ სათქმელი სენიორასათვის, თქვენ რომ ხელით გიჭირავთ.

— ამ სენიორასათვის? — გაოცდა ალვარო. — რა საქმე უნდა გქონდეთ მასთან?

— დამიჯერეთ, სენიორ, ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა, დრო კი არ ითმენს. ეს მან უკეთ იცის, ვიდრე მე და თქვეს.

ალვარომ მშვენივრად იცოდა მარტინიოს გათახსირებული, ბილწი ზნე, ამიტომ იფიქრა, რომ ეს იყო რომელიმე შურიანი და მშიშარა მეტოქის ოინები, რომელმაც გადაწყვიტა ამ არამზადის შურის საძიებლად ან კიდევ რაიმე სიმდაბლის ჩასადენად გამოყენება. ამიტომ სიბრაზეს სძლია და წყნარად ჰკითხა იზაურას:

თქვენ რაიმე საერთო გაქვთ ამ კაცთან, დონა ელვირა?

— მე? არა, რა თქმა უნდა. მე ის თვალითაც არ მინახავს აქამდე, — აკანკალებული ხმით ჩაიჩურჩულა მომაკვდავივით გაფითრებულმა ქალიშვილმა.

— ღმერთო ჩემო! რა მოგვიდათ, დონა ელვირა? სახეზე ფერი აღარ გადევთ. როგორა ბედავთ მის ასე აღელვებას, არამზადა? დონა ელვირა, ნუ გეშინიათ, გევედრებით! მე თქვენთანა ვარ და ვერავინ გაბედავს თქვენს წყენას!

— მე თქვენი წყენა სულაც არ მიფიქრია, სენიორ ალვარო, — არ ცხრებოდა მარტინიო, — მაგრამ საქმე გაცილებით სერიოზულია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ.

— კარგი, სენიორ მარტინიო, გეყოფათ მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი. გულახდილად თქვით — რა გნებავთ ამ სენიორასაგან?

— მე მზად ვარ სათქმელად, მაგრამ თქვენთვის უკეთესი იქნებოდა, რომ არ გაგეგოთ.

— ა, მაშ თქვენ რაღაც საიდუმლო გაქვთ! ასეთ შემთხვევაში გიცხადებთ, რომ არც ერთი წუთით არ დავტოვებ სენიორას თქვენთან პირისპირ და თუ არ გინდათ თქვენი საქმის გამხელა, ოთხივე კუთხით გზა ხსნილი გაქვთ.

— არა, სენიორ! ჩემთან ეს ნომერი არ გაგივათ. ვერ მოგართვით. მე არ ვაპირებ დროის ფუჭად დაკარგვას, მით უმეტეს, რომ ხუთი კონტო ჭუჭაში არ ყრია.

ბოლო სიტყვები მარტინიომ კბილებში გამოსცრა.

— ყური მიგდე, სენიორ მარტინიო, — წამოენთო ალვარო, — ვთხოვთ, მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ და საერთოდ, დიდი მადლობელი ვიქნები, თუ მარტო დაგვტოვებთ.

— ო, სენიორ, — მშვიდად უპასუხა მარტინიომ, — ღმერთია მოწამე, მე ვერიდებოდი ამის გაკეთებას, მაგრამ, რაკი თქვენ ასე გსურთ, ინებეთ. მაშ ასე, მაქვს პატივი მოგახსენოთ რომ ქალი, რომელიც თქვენს გვერდით დგას, — ლტოლვილი მონაა!

ალვარო, თუმცა კი იცოდა ამ არამზადის სიტყვების ფასი და შინაგანად მზად იყო ყველაზე საზიზღარი გამოხდომისთვისაც, პირველ წამს მეხდაცემულივით გაშეშდა. მაგრამ, რადგან ფიქრადაც არ მოსვლია ამ საზიზღარი განცხადების დაჯერება, ამიტომ წამიერი დაფიქრების შემდეგ დაასკვნა, რომ ის რომელიღაც მზაკვრული თამაშის მსხვერპლი შეიქმნა. მით უმეტეს, რომ ეს საძაგელი პიროვნება,

მარტინიო, რომელიც ხშირად ყოფილა სხვა, მასავით არამზადა ტიპების უსინდისო ჩანაფიქრის შემსრულებელი, მასში ზიზღის მეტს არაფერს იწვევდა.

— სენიორ მარტინიო, — მკაფიოდ, ხმაში დაუფარავი სიძულვილით წარმოთქვა ალვარომ, — თუ თქვენ ვინმე ფულს გიხდით ამ საზიზღარი ფარსის გათამაშებაში, დამისახელეთ თანხა და მე თქვენ ორჯერ მეტს გადაგიხდით, მხოლოდ თავი დაგვანებეთ.

ამ სიტყვებმა სილასავით გაიტყლაშუნა, მაგრამ მარტინიოს უტიფარ ფიზიონომიაზე ნაკვთიც არ შერხეულა.

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — გამოსცრა მან და თან ხმას თავხედურად აუწია. — ეს სენიორა ლტოლვილი მონაა, ჩემი მოვალეობა კი მისი დაჭერა და პატრონისათვის დაბრუნებაა!

ამასობაში იზაურამ თვალი მოჰკრა მამას, რომელიც მას დაეძებდა, ხელი გაუშვა ალვაროს, მიგელისაკენ გაქანდა და მის მკერდში ჩარგო თავი.

— ღმერთო, რა სირცხვილია! — მოთქვამდა ის და თან ქვითინებდა. — მე ხომ ვგრძნობდი, რომ ასე იქნებოდა.

— ,ეს კაცი ან გამოუსწორებელი თავხედია ,ან ჭკუაზე შეშლილი, ან კიდევ უბრალოდ გვარიანად გალეშილა! — მრისხანედ შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა ალვარომ. — ყოველ შემთხვევაში ის უნდა გაძევდეს აქედან შეუფერებელი საქციელისათვის.

და აი, ალვაროს რამდენიმე მეგობარი ხელებში წვდა მარტინიოს და დააპირეს მისი ,როგორც მთვრალის ან ჭკუაზე შეშლილის გაგდება, მაგრამ არამზადა მოულოდნელად ალაპარაკდა, თანაც მის ხმაში ურყევი დამაჯერებლობა ისმოდა:

— მოითმინეთ, სენიორებო! ვიდრე მე ანგარიშს გამისწორებთ, მომისმინეთ, რა წაგიკითხოთ და თუ მერეც ჩამთვლით მატყუარად, მაშინ შეგიძლიათ მიმბერტყოთ და ფანჯრიდან გადამაგდოთ.

ეს კამათი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მათ გარშემო საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი შეიკრა, ამასთან, ცნობისმოყვარეთა რიცხვი ყოველ წუთს იზრდებოდა.

საბედისწერო სიტყვები: „ეს სენიორა — ლტოლვილი მონაა“, რომელიც მარტინიომ საგანგებოდ ხმამაღლა წარმოთქვა, თვალის დახამხამებაში მოეფინა მთელ შენობას და ახლა ყველა, ვინც იქ იყო — ქალბატონები, კავალრები, მუსიკოსები, შვეიცრები და ლაქიები — ერთმანეთს იდაყვებით აწვებოდნენ და თავქუდმოგლეჯილი მიქროდ-

ნენ შორეული ოთახისაკენ. რათა მოესწროთ არაჩვეულებრივი სანახაობისათვის. მომხდარი ამბავი რომ კარგად დაენახათ, სეირის მოყვარულები ყელყელაობდნენ. თითის წვერებზე დგებოდნენ და ხარბათ იჭერდნენ მათ თვალწინ გათამაშებული ტრაგიკული სპექტაკლის თითოეულ სიტყვას.

გაოცებული და დადუმებული, სენსაციას მოწყურებული ბრბოს შუაგულში მდგომი მარტინიო ტკბებოდა თავისი გამარჯვების ყოველი წამით და განგებ აუჩქარებლად იღებდა ჯიბიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობ ქაღალდის ნაგლეჯს. შემდეგ, როგორც იქნა, გაშალა და ომახიანად, გამოთქმით დაიწყო კითხვა.

— როგორც შეამჩნიეთ — თქვა მან ,როცა კითხვა დაამთავრა, — უკელა ნიშანი სახეზეა, ასე რომ, მხოლოდ ბრმა ვერ ამოიცნობს ამ სენორაში ლტოლვილ მონას, რომელზედაც ცირკულარშია ლაპარაკი. ხოლო, თუ გინდათ საბოლოოდ გავფანტოთ ყველა ეჭვი, უნდაა ვნახოთ, აქვს თუ არა ძუძუს თავზე დამწვრობის ნიშანი. თუ ნებას მომცემთ, მე მზად ვარ, ახლავე გავაკეთო ეს. ამ სიტყვებით მარტინიო ურცხვი სითამამით მიუახლოვდა იზაურას.

— 'ეესდექ, არამზადავ! — 'ეჰყვირა ალვარომ და მკლავში ხელი სტაცა მარტინიოს. შემდეგ ისე ღონივრად მოიქნია, რომ მარტინიო დაბარბაცდა და მათ ირგვლივ მჭიდრო წრედ შეკრული ხალხი რომ არ მდგარიყო, იატაკზე დაენარცხებოდა.

— ხელი არ ახლო! მონაა თუ არა, არ გაბედო შენი ბინძური ხელებით შეეხო მას!

მტანჯველი სირცხვილით გათანგული იზაურა გათავისუფლდა მამის მკლავებიდან, ბრბოსკენ შემობრუნდა, თავი ასწია და ციებიანივით აკანკალებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ლაპარაკი:

— გემუდარებით, ხელს ნუ მახლებთ... გთხოვთ, ქალბატონებო და ბატონებო, მაპატიეთ! — მე უმძიმესი, მიუტევებელი ცოდვა ჩავიდინე!.. მაგრამ, ღმერთია მოწამე, რომ ეს სასტიკმა ბედისწერამ მაიძულა. ბატონებო, ის, რაც ამ კაცმა გითხრათ, — სიმართლეა. მე... მონა ვარ...

ამ სიტყვების შემდეგ საბრალომ თავი მოწყვეტილი შროშანასავით ჩაჰკიდა, მრისხანე ქარიშხლის დროს ჩამოქცეული მარმარილოს ქანდაკებასავით შექანდა და გონება დაკარგა. ის ნამდვილად იატაკზე დავარდებოდა, მიგელისა და ალვაროს ღონიერ ხელებს რომ არ დაეჭირათ.

მონა! იზაურას მკერდიდან ამოგლეჯილი და პირიდან პირში გადაცემული ეს სიტყვა, სიკვდილის მომასწავებელი ხრიალივით, კიდევ დიდხანს ექოდ მეორდებოდა მდიდრული შენობის თაღებქვეშ და პირქუში ტყის ტევრში მოზუზუნე ქარის ბოროტ სტვენასავით გაისმოდა.

მომხდარმა ამბავმა დენთის აფეთქებასავით იმოქმედა ხალხზე: პირველად შიში, ნერვული შოკი, განცვიფრება, მერე კი შეძახილები, საყოველთაო ღრიანცელი, აურზაური და ალიაქოთი გამოიწვია.

გულწასული იზაურა ქალების ოთახში გადაიყვანეს ალვარომ და მიგელმა, სადაც მათ რამდენიმე გულჩვილი ქალბატონიც მიეხმარა, ქალიშვილი მოხერხებულად დააწვინეს და მანამდე არ მოსცილდენ, ვიდრე იზაურა გონზე არ მოიყვანეს. ლეშიჭამია სვავივით დამფრთხალი მარტინიო აჩრდილივით უკან დასდევდა მათ, რადგან შიშობდა, ხელიდან არ გამოეგლიჯათ ნადავლი.

იზაურას მხილებამ ჭეშმარიტად დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია: გულგრილი არავინ დარჩენილა — ირგვლივ წარმოუდგენელი გუგუნი და გნიასი იდგა. ყველაზე საოცარი იყო დაგენახათ, როგორ ეცვლებოდათ გამომეტყველება წარჩინებულ ქალბატონებს, აღიარებულ ლამაზმანებს, როცა გაიგებდნენ, რომ უცნობი, რომელმაც ყველა დაჩრდილა სილამაზით, დახვეწილობით, მიმზიდველობითა და ტალანტით, იყო უბადრუკი მონა! არავის შეუძლია აღწერა გრძნობების ამ მრავალფეროვანი პალიტრისა... თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო. მრავალი აქ მყოფი ქალბატონის შელახული თავმოყვარეობის, დამცირებისა და სასტიკი იმედის გაცრუების გრძნობას ემატებოდა რაღაც განსაკუთრებული, თავისებურად შურისმგებლური შინაგანი თვითკმაყოფილება. ეს ყველაზე მეტად მათ ეჩვენებოდათ, ვისი არცთუ ისე თავაზიანი და გალანტური კავალრები უზომო აღტაცებას გამოთქვამდნენ უცნობი მზეთუნახავი მომღერლის მშვენიერებაზე. განსაკუთრებით ისინი ზეიმობდნენ, ვისაც კიდევ ჰქონდა ალვაროს გულის მოგების მიმქრალი იმედი. წარჩინებული ახალგაზრდა კაცის სახალხოდ დამცირება და შერცხვენა ღვთის განგებად ესახებოდათ მათ.

— არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ალვარო, — ენას აჭარტალებდნენ ისინი. — მონა ქალის ყმა, ჰა-ჰა! ნახეთ, როგორ დაუგრძელდა სახე, როცა მისი აღიარება მოისმინა!

— ხანაძლეოს ვდებ, რომ ის გაათავისუფლებს ქალს და მერე

შეერთავს. ის ხომ არანორმალურია და შეუძლია ნებისმიერი ოინი ჩაიდინოს.

— რა თამამი მიჯნურია, არა! ერთბაშად იშოვის ცოლსაც, მომღერალსაც და ბრწყინვალე ჯურჯლის მრეცხავსაც!

არავითარ ხანჯალივით მჩხვლეტავ და ბასრ ავ ენას არ შეეძლო იზაურას დამცირება, მისთვის იმ მომხიბლაობისა და ტალანტის წართმევა, რომელთან შედარებითაც კეკლუცი და პრანჭია წარჩინებული ქალები საცოდავად და უბადრუკად გამოიყურებოდნენ.

მომხდარი ამბავი მამაკაცებმა სულ სხვაგვარად მიიღეს. მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ დარჩა გულგრილი ქალიშვილის ბედის გამო, რომელსაც სულ ახლახანს აღტაცებით უკრავდა ტაშს მთელი წარჩინებული საზოგადოება. ყველგან, საითაც კი გაიხედავდით, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ახალგაზრდები და გაცხარებით არჩევდნენ ამ შემაშფოთებელ ამბავს. ისეთებიც მოიძებნა, რომლებიც ნიშნების სარწმუნო დამთხვევის მიუხედავად, ვერ ეგუებოდნენ სიმართლეს და თვით იზაურას აღიარებასაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ.

— არა, — ამბობდნენ ისინი, — ასეთი ქალი, უბრალოდ არ შეიძლება იყოს მონა, ეს სრულიად შეუძლებელია. აქ რაღაც საიდუმლო იფარება, რომელიც აუცილებლად გამომჟღავნდება.

— რა საიდუმლოება? ყველაფერი აბსოლუტურად ნათელია, თანაც თვითონ მან აღიარა. მაგრამ მე მინდოდა მენახა ის გულქვა და სასტიკი ფაზენდეირო, რომელიც ასეთ მომხიბლავ ქმნილებას მონობაში აჭკნობს!

— ალბათ, რომელიმე გაბღენძილი და კუდაბზიკა რეგვენი იქნება მდაბალი სულით.

— უბადრუკი მატლი!

— ან რომელიმე ახლად მოვლენილი, სულთანი, რომელიც მას ხასად ინახავდა თავისი ჰარემისათვის.

— რაც არ უნდა იყოს, ის მტარვალია და უნდა ვაიძულოთ გაათავისუფლოს იგი. ვერ წარმომიდგენია, რომ სამეფო ტახტის ღირსი ქალი, მონათა ბინძურ თავშესაფარში იტანჯებოდეს.

— მხოლოდ მარტინიოს მსგავს ხარბსა და ზნედაცემულ კაცს შეეძლო ასეთ ანგელოზში მონის დანახვა! რა უსინდისობაა! მზადა ვარ ნაკუწებად ვაქცევ იგი!

ამასობაში მარტინიომ მოასწრო ორდერის მიღება იზაურას დასაპატიმრებლად და სასამართლოს აღმასრულებლის თანხლებით დაბ-

რუნებული. დაჟინებით მოითხოვდა მისთვის გადაეცათ ლტოლვილი. მაგრამ ალვარომ გამოიყენა მთელი თავისი გავლენა, ავტორიტეტი და გადაჭრით წინ აღუდგა მარტინიოს ნებას. მან მიაღწია, მისთვის მიენდოთ მონა ქალის ბედი. ყველა იქ დამსწრე მოწმედ დაიყენა და დაიფიცა, რომ ის თვითონ დაუბრუნებდა მონა ქალს პატრონს, როცა ეს უკანასკნელი ამას ისურვებდა. მარტინიო ტყუილად ჯიუტობდა და აქნევდა ორდერს, ყველამ ერთხმად გამოლანძღა იგი და აიძულა იქიდან წასულიყო.

— წყეულიმც იყავით! — შლეგიანივით ღრიალებდა მარტინიო. — თქვენ მე გამჭურდეთ! მომპარეთ ხუთი მილიონი რეისი! ხუთი კონტო! ღმერთმა შეგრისხოთ! საზიზღრებო!

ის შეშლილივით ეცა კიბეს, გაქანებული ორი-სამი ნაბიჯით გადაეცლო მას და შურდულივით გავარდა ქუჩაში. თან ბრაზმორეული ღმუოდა.

თავი XV

მას შემდეგ თითქმის თვე გავიდა. ალვაროს თავგანწირული ჩარევისა და მხარდაჭერის შედეგად, იზაურა და მიგელი ძველებურად აგრძელებდნენ ცხოვრებას თავის მყუდრო სახლში სანტუ-ანტონიუს რაიონში. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ გაქცევის მცდელობა, ან უფრო საიმედო ადგილზე გადასვლა. მაგრამ თავისი გულწრფელი მფარველის ჩარევით, ეწეოდნენ ყველაზე შეუმჩნეველ ცხოვრებას და ელოდნენ მათი გადარჩენის მიზნით ალვაროს ენერგიული მოქმედების შედეგებს. მიუხედავად ამისა, მათი ცხოვრება მაინც მუდმივ შიშსა და განგაშში გადიოდა. ბედისწერა მათ დამოკლეს მახვილივით სდევდა თან.

ალვარო მათ ყოველდღე ნახულობდა. სამნი ერთად საათობით განიხილავდნენ იზაურას განთავისუფლების ყველა შესაძლო და შეუძლებელ ხერხს. იმედის ნაპერწკალი ჯერ კიდევ ბჟუტავდა მათ გულებში.

იმის გასაგებად, თუ რა მოხდა იმ საბედისწერო ღამის შემდეგ, იზაურასათვის ტრაგიკული მეჯლისის დასასრულს, ლტოლვილების სახლში შევიდეთ და მოვისმინოთ, რაზე საუბრობენ ალვარო და მისი მეგობარი, დოქტორი ჟერალდო.

ჟერალდომ მეჯლისის მეორე დილითვე დატოვა რესიფე და ცხენი პროვინციის ერთი მიყრუებული პატარა ქალაქისაკენ გააჭენა, სადაც მას სასწრაფო საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. რამდენიმე კვირის შემდეგ უკან დაბრუნებულმა, უმალ ალვაროს დაუწყო ძებნა. მას იმდენად მეგობრული გრძნობა არ აწუხებდა, რამდენადაც ცნობისმოყვარეობა. იგი რამდენჯერმე იყო ალვაროს სახლში, მაგრამ, რაკი იქ ვერავინ ნახა, მიხვდა, რომ მისი პოვნა მხოლოდ იზაურასთან შეიძლებოდა, თუ, რა თქმა უნდა, იგი კვლავ რესიფეში ცხოვრობდა. ის არც შემცდარა. ალვარომ იცნო მეგობრის ხმა, რომელიც მას იზოს კარიდან ეძახდა. მასპინძლები დაარწმუნა, რომ ამ კაცის ნდობა შეიძლებოდა და ნება ითხოვა სახლში მოეწვია იგი.

სახლში შემოსული ჟერალდო აღმოჩნდა პაწია წინკარში, სადაც ოდნავ ბნელოდა და სიგრილე სუფევდა, ირგვლივ კი ყვავილები აფრქვევდნენ სურნელს. აქ ყველგან ყვავილები იყო, ალისფერი, მუქი წითელი, ლალისფერი და თვალისმომჭრელ გირლიანდებად ეშვებოდნენ ფანჯრებიდან თუ კედლებიდან, გარს ეხვეოდნენ შემოსასვლელ კარს, რის გამოც წინკარი ედემის ბაღის ფანჩატურს, ან დილის სიგრილით გაჟღენთილ ზღაპრულ მღვიმეს უფრო წააგავდა, სინათლე აქ მხოლოდ ატლანტიკის ოკეანისკენ მიქცეულ ღია ვერანდაზე გამავალი შემინული კარიდან აღწევდა. ვერანდის გადაღმა მოჩანდა ქოქოსის პალმების ამაყი ტანი, რომლებიც სახლს სანატრელ ჩრდილსა და სიგრილეს უძღვნიდნენ.

ხასხასა ზურმუხტისფერი სიმწვანის მიღმა თვალი იფლობოდა ლაჟვარდისა და საფირონისფრად მოელვარე ოკეანის სილურჯეში, რომელიც შორს კრიალა ფირუზისფერ ცას ერწყმოდა.

მიგელი და იზაურა სტუმარს მიესალმნენ და რამდენიმე თავაზიანი ფრაზის შემდეგ სახლის სიღრმეში განმარტოვდნენ, რომ მეგობრებს თავისუფლად ესაუბრათ ერთმანეთში.

— რა გითხრა, ალვარო, — სიცილით წარმოთქვა დოქტორმა ჟერალდომ, — მართლაც, მშვენიერი სახლია, ისე რომ, სულაც არ მიკვირს, შენ რომ ასე დიდხანს ატარებ აქ. რა საოცარი ყვავილებია! პირდაპირ ზღაპრული ფერების ჯადოსნური მღვიმე გეგონება. ძალიან ვწუხვარ, რომ წყეულმა ჯადოქარმა ხელის ერთი მოსმით გაანადგურა შენი ფერიის ხიბლი და ის ჩვეულებრივ მონად აქცია!

— ო, ნუ დამცინი, ჩემო კეთილო მეგობარო! დღემდე ვერ მოვსულვარ გონზე. თავიდან არ ამოდის საბედისწერო ღამის საშინე-

ლება და მაინც, გეფიცები, ჩემი გრძნობები მის მიმართ არ შეცვლილა. მე ის ისევე მხურვალედ მიყვარს, როგორც ადრე...

— რას ლაპარაკობ? არაფრის დიდებით არ ვიფიქრებდი. ჭეშმარიტად უსაზღვროა შენი ახირებულობა!

— რას იზამ, ასეთი დავიბადე. პირველ წუთებში მე სრულიად შეცბუნებული და თითქმის დაბრმავებულიც კი ვიყავი სირცხვილითა და სიბრაზით, იმდენად, რომ ჩემდა სამარცხვინოდ, თავზარდაცემულმა პირველად გავიხარე კიდეც: ასე მოგიხდება, გავიფიქრე, ეს გამცემლობის საზღაურია. ღმერთო, რა საშინელი იმედის გაცრუება გამოვცადე! ერთი თვალის დახამხამებაში ნანგრევებად იქცა ჩემს ოცნებაში შექმნილი სიყვარულის კოშკი... მე თავს დათრგუნვილად და დამცირებულად ვთვლიდი: წარმოიდგინე, ვიღაცა მონამ ამდენ ხანს გამაცურა და ბოლოს ხალხშიც გამომაჭენა! მსურდა მიწა გამსკდომოდა, სირცხვილისაგან ვიწვოდი, მით უმეტეს — ქალების წინაშე, რომლებმაც ჩემი წყალობით მთელი საღამო მონის გვერდზე გაატარეს...

— და მერე, როგორი მონის, — დაუმატა ჟერალდომ, — რომელმაც ყველა მათგანი დაჩრდილა. შენ თითქოს განგებ მოუმზადე მათ ასეთი სიურპრიზი. ამას არაწოდეს გაპატიებენ, თუმცა, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მათ შენც ისევე მოტყუებული და გაბრიყვებული ჰგონიხარ, როგორც თვითონ არიან.

— იცი, ჟერალდო, მე მიხარია კიდეც, რომ ყველაფერი ასე მოხდა. ვფიქრობ, მამაზეციერმა სპეციალურად მომიწყო ასეთი მკაცრი გამოცდა, თვალნათლივ რომ ეჩვენებინა, რამდენად უსუსური და ულიმლამოა ადამიანთა განსხვავება მხოლოდ წარმომავლობით. ჰოდა, აი, ღმერთმა, ჩემი აზრით, გადაწყვიტა თავისი ადგილი მიეჩინა ჩვენი პატივმოყვარე, კუდაბზიკა და თავმომწონე დიდკაცობისათვის, მათზე აღამაღლა უბრალო ,უთვისტომო მონა ქალი და ამით დაამტკიცა, რომ იგი არაფრით არ ჩამოუვარდება ნებისმიერ პრინცესას, პირიქით, ზოგჯერ დაჯაბნის კიდეც. მაპატიე, მე ცოტა გავერთე და საქმიდან გადავუხვიე... მაშ ასე, მალე მე გონს მოვეგე და მისდამი კვლავ ისეთი სიყვარული ვიგრძენი, რომლის ჩაქრობაც ვერავითარმა სკანდალმა ვერ შეძლო; მყისვე დამავიწყდა მოყენებული წყენა და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დამეცვა ეს მომხიბლავი ქალიშვილი. როცა დავინახე, რომ საბრალო გონს მოვიდა და დავრწმუნდი, რომ მას საშიშროება არ ელოდა. მაშინვე გავემართე ჩემი კარგი ნაცნო-

ბისაკენ პოლიციის შეფთან, გულლახდილად მოვახსენე, რაც მოხდა და მივიღე ნებართვა, რომ იზაურა და მისი მამა — მე მჯერა, რომ მიგელი, მართლაც, მამამისია, — კვლავ თავის სახლში იცხოვრებდნენ. მე მთელი ქონებით თავდებად დავუდექი, რომ ისინი არ გაიქცევიან. მადლობა ღმერთს, ეს საქმე გამოვიდა მარტინიოს ისტერიკების მიუხედავად, რომელიც იდიოტური ჯიუტობით ამტკიცებდა, რომ იზაურას თავისუფლად გაშვება არ შეიძლებოდა. მეორე დღეს, თვითონ პოლიციის უფროსმა, როცა დაფიქრდა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ სკანდალს, სურვილი გამოთქვა, რომ იზაურა მასთან გამოცხადებულიყო დაკითხვაზე და პიროვნების დასადგენად — ღმერთო, როგორ ვწუხვარ, რომ შენ ის არ გინახავს იმ დროს! სულის რა სიწმინდე, როგორი გულწრფელობა და კეთილი ბუნება აღმოაჩნდა ამ უაღრესად შეშინებულ და ატირებულ ქალიშვილს. იფიქრებდი, ცით ჩამოსული ანგელოზი გამოცხადდაო იზაურას სახით. პოლიციის უფროსი სულის სიღრმემდე აღტაცებული და გულაჩუყებული იყო და სიმართლე უნდა ითქვას, დაკითხვას ძალზე რბილად და თავაზიანად ატარებდა. საბრალო გულუბრყვილო ქმნილება! უნდა გენახა, როგორი მიამიტი შეცბუნებით, გულახდილად აღიარა ყველაფერი. დიახ, ისინი მამასთან ერთად გაიქცნენ, რათა იგი ეხსნათ გულქვა, გარყვნილი და შურისმაძიებელი სენიორისაგან, რომელიც დახვეწილი ხერხებით ცდილობდა ქალიშვილის იძულებას მისი უხეში და ყველაზე ბილწი ლტოლვის აღსასრულებლად. რაღა დარჩენოდა ასეთ სიტუაციაში საბრალო იზაურას, ამ ნატიფ, არაჩვეულებრივად განათლებულ ქალიშვილს, რომელსაც ბავშვობიდან მაღალი ზნეობის და უმანკოების სულისკვეთებით ზრდიდნენ? ის გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა იმ ცხოველის წადილს, მაგრამ, როცა მდგომარეობა აუტანელი გახდა — ქალიშვილს სცემდნენ და ყოველნაირად ამცირებდნენ, — იზაურა დაყვა მამის რჩევას და გაქცევა გადაწყვიტა... ეს, რა თქმა უნდა უკიდურესობაა, მაგრამ სხვა რა გზა იყო?

— კეთილი, ალვარო, გაქცევის მიზეზი სავსებით გასაგებია და სადღაც ამართლებს და ამაღლებს კიდეც ქალიშვილს, მაგრამ... მაინც ლტოლვილად ითვლება იგი.

— მით უმეტეს, იმსახურებს ის თანაგრძნობას. საბრალომ მიამბო მთელი მისი სიცოცხლის ნაღვლიანი ისტორია — მე მისი თითოეული სიტყვისაც მჯერა... ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ მას

აქვს საბუთი თავისუფლებაზე და ის შეეცდება დაამტკიცოს ეს. მოხუცმა სენიორამ, იზაურას პატრონის დედამ, საკუთარი შვილივით აღზარდა იგი და ბრწყინვალე განათლება მიაღებინა. მოხუცი ქალბატონი მოწმეების დასწრებით ხშირად ამბობდა, რომ თავის ანდერძში გამოხატავს უკანასკნელ სურვილს — თავისუფლებას აჩუქებს იზაურას... მაგრამ კეთილი ქალბატონი მოულოდნელად გარდაიცვალა, ასე რომ, ვერ მოასწრო ანდერძის შედგენა და იზაურაც ამ საძაგელი, გახრწნილი არამზადის ხელში ჩავარდა.

— დიახ, მართლაც ნაღვლიანი ისტორიაა. მაგრამ, რის გაკეთებას აპირებ მომავალში?

— მე მინდა მივაღწიო, რომ იზაურა თავისუფლად დატოვონ და დანიშნონ ადვოკატი, რომელიც დაიცავს მის უფლებებს.

— კი მაგრამ, რანაირად აპირებ მისი უფლებების დამადასტურებელი რაიმე დამამტკიცებელი საბუთის ან სხვა დოკუმენტების შოვნას?

— ეჰ, ჟერალდო, მე აფორიაქებული ვარ. მსურს რჩევა გკითხო და ამიტომაც გელოდი ასე მოუთმენლად. შენ შენი იურიდიული ცოდნით უნდა ამიხსნა ამ საქმის ყველა წვრილმანი. სხვათა შორის, პირველი, ჩემთვის ნათელი ნაბიჯი უკვე გადავდგი: იმ ავადსახსენებელი მეჯლისის მეორე დღესვე წერილი მივწერე იზაურას ბატონს და ყველაზე მორიდებული და დახვეწილი სიტყვებით შევთავაზე დანიშნოს მონის გამოსასყიდი თანხა, ოღონდაც, ვშიშობ, რომ ყველაფერი წავახდინე. თავმოყვარე და ეჭვიანი „რაჯა“ ეტყობა, გაბრაზდა და თავის გამოდება გადაწყვიტა, პასუხად გამომწვევი და უხეში უსტარი მაახლა (მე ის ახლახანს მივიღე), რომელშიც მე მაცდურს და სხვისი მონების დამფარავს მიწოდებს და მატყობინებს, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა კანონის ძალით უკან დაიბრუნოს თავისი საკუთრება...

— ანჩხლი და მოურიდებელი „ხონთქარი“, — წამოიძახა გულმოსულმა ჟერალდომ, რომელმაც სასწრაფოდ გადაავლო თვალი ალვაროს მიერ მოწოდებულ წერილს, — თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უხეშ გამოთქმებს...

— რის გამოც ის მე პასუხს გამცემს, პირობას გაძლევ...

— მაშ ასე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უხეშ გამოთქმებს და შენ არა გაქვს იმის უეჭველი საბუთი, რომ შენ მფარველობაში მყოფ ქალიშვილს აქვს თავისუფლების უფლება, მაშინ მას, რა მწარეც არ უნდა იყოს სათქმელად, იურიდიული უფლება აქვს ნების-

მიერ დროს მოითხოვოს თავისი მონა, სადაც არ უნდა აღმოჩნდეს იგი.

— ღმერთო, რა სამარცხვინო და გულქვა კანონია, ჟერალდო! ეს უბრალოდ დაცინვაა — კანონი ეუწოდოთ ცივილიზებული საზოგადოებისათვის შეუფერებელ ბარბაროსული ჩვეულების დამტკიცებას. რომლის წინააღმდეგაც გამოდიან მოქალაქეობრივი უფლებების დამცველებიც, ეკლესიაც და საერთოდ, ყველა წესიერი ადამიანი. რა საშინელებაა ,რომ საზოგადოება ითმენს ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც ჰირველულ და ზნედაცემულ, მდაბალი და სამარცხვინო ინსტინქტით გატაცებულ ტირანს უფლება აქვს ყოველნაირად აბუჩად აიგდოს ულონო და უდანაშაულო არსება. მხოლოდ იმის გამო, რომ ეს უბედური მონობაში დაიბადა. მე ვთვლი, რომ ეს უკიდურესი ფარისევლობა და გახრწნილებაა.

— შენ მთლად მართალი არა ხარ, ძვირფასო ალვარო. რა თქმა უნდა, მონების მკაცრი მოპყრობის ნებისმიერი შემთხვევა გადაჭრით უნდა აღიკვეთოს, მაგრამ, თვითონ დაფიქრდი, როგორ შეუძლია მთავრობას მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩაერიოს ან მათ კერძო მამულებში შეიჭრას, თუნდაც იქ ყველაზე ამაზრზენი და სამარცხვინო უხამსობა ხდებოდეს? ან როგორ გაიგებს ამას მართლმსაჯულება, თუ ხანდახან მეზობლებმაც კი არ იციან ერთმანეთის საქმიანობა? ეჰ. ალვარო, ვიდრე მონობა არსებობს, მსგავსი საძაგლობა გარდუვალია. ამ საშინელმა სისტემამ იმდენი ბოროტმოქმედება წარმოაჩინა, რომ მათი აღრიცხვა შეუძლებელია, მაგრამ ისინი მოისპობიან მხოლოდ პირველადი ცოდვის — მათი გამომწვევი მიზეზის საფუძვლიანი ამოძირკვის შემდეგ.

— დიახ, საუბედუროდ, ეს ასეა, მაგრამ მე ყველაზე უფრო ის მაშფოთებს, რომ ჩვენი საზოგადოება, რომელიც თავს იწონებს ცივილიზაციით, საბრალო მსხვერპლს ჯალათს უტოვებს საჯიჯგნად, თუ ვინმე დიდსულოვანი და კეთილშობილი დამცველი არ გამოჩნდა. რაც შემეხება მე, ჟერალდო, ვფიცავ, რომ, ვიდრე ჩემს მკერდში გული ფეთქავს, მე ვიბრძოლებ არა მარტო იზაურას განთავისუფლებისათვის, არამედ საერთოდ, მთლიანად მონობის გაუქმებისათვის და იმედი მაქვს, რომ ღმერთი შემეწევა ამ საძართლიან და წმინდა საქმეში.

— აღიარე, ალვარო, რომ ახლა შენი პირით მარტო ფილანთროპი

არ ლაპარაკობს... შენ ხომ თავდავიწყებით გიყვარს ეს მონა ქალი, ასე არ არის?

— შენ მართალი ხარ, ჟერალდო, მე ‘სიგიჟემდე მიყვარს ის და სამუდამოდ მეყვარება; ამაში დასამალი არაფერია. ან რა არის უჩვეულო და სამარცხვინო მონის სიყვარულში? პატრიარქმა აბრამმა თავისი მონა აგარი შეიყვარა და მისი გულისათვის თავისი ცოლი, სარა მიატოვა. განა იზაურა ნაკლებად კეთილშობილი, წმინდა და უბიწოა იმის გამო, რომ ის მონაა? განა ის კარგავს სიკეთის და სათნოების იმ ნათელ შარავანდედს, რომელიც გარს არტყია? არა, ჭეშმარიტი სილამაზე და უმანკოება — ეს ორი ვარსკვლავი — უფრო მკვეთრად კიაფობს. როცა გარშემო უბედურებისა და ბოროტების ჯოჯოხეთური წყვდიადი ჩამოწვება.

— შენი ფილოსოფია შშვენიერია, ჩემო მეგობარო, და სავსებით შეეფერება შენს კეთილშობილურ გულს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენი საზოგადოების კანონები, რომლებიც სოციალურ უთანხმოებას ამართლებენ, ადამიანის მიერაა შექმნილი, ამიტომ ისინი ხშირად ასე არასრულყოფილნი, უსამართლო და ულმობელია. ანგელოზი გოდებს მონობის უღელში, მაგრამ ითმენს მას, სატანას კი ეღიმება და ხელებს იფშვნეტს — აქ ჯერჯერობით ის იმარჯვებს.

— ესე იგი, ჩვენი კანონები ნებას არ გვაძლევენ უდანაშაულო მსხვერპლი გამოვტაცოთ ჯალათს? — ნაღვლიანად იკითხა ალვარომ.

— არა, ალვარო, ოღონდ შენ უნდა შეძლო იზაურას უფლების დამადასტურებელი დამაჯერებელი საბუთების შოვნა. კანონის წინაშე მონა მხოლოდ საკუთრებაა და არა ადამიანი. სენიორს საკუთრების აბსოლუტური უფლება აქვს მონაზე, რომლის დაკარგვაც მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლებას აჩუქებს მას, ან გაყიდის, ან კიდევ სასამართლოს წინაშე ნებაყოფლობით უარს იტყვის მასზე, მაგრამ არანაირი მკაცრი მოპყრობა არ გამოდგება მონის განთავისუფლების მიზეზად.

— ღმერთო, რა სამარცხვინო კანონები გვაქვს ,კანონები კი არა ქაღალდის უმაქნისი და უბადრუკი გროვაა. მათში უამრავი ფანდია დაფარული, რომლის საშუალებითაც შეიძლება ბადეში მოაქციო სიკეთე, დაიცვა ტყუილი, მასხარად აიგდო უდანაშაულო, გაძარცვო ღარიბი და წააქეზო ძლიერთა ამა სოფლის სიხარბე. მაგრამ, როცა იდევნება ამაღლებული და ჰუმანური მიზანი, როცა საქმე ეხება ჭეშმარიტად უდანაშაულოს დაცვას ძალადობისაგან ,უბედური მსხვერპ-

ლის გადარჩენას დევნისა და დამცირებისაგან, მაშინ ეს კანონები ან უძლურნი არიან, ან ულმობელნი. და მაინც მე თავს შევაკლავ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ გავათავისუფლო საბრალო იზაურა სამარცხვინო და სასტიკი მონობისაგან. მე ძალას მმატებს არა მარტო დიდსულოვნება, არამედ მხურვალე სიყვარულიც, რომლისაც მე არა მრცხვენია.

უნდა ვაღიაროთ, რომ დოქტორი ჟერალდო საკმაოდ შეაშინა მისი მეგობრის ამ მხურვალე სიტყვებმა, რომელიც, როგორც გულუბრყვილოდ ფიქრობდა ჩვენი განათლებული იურისტი, ჯერ კიდევ ზეცაში დაქროდა და არ სურდა შერიგებოდა მიწიერი ცხოვრების მკაცრ სინამდვილეს.

— ეს კი არ მეგონა, — სერიოზულად დაიწყო მან, — რომ შენ ასე შორს შეტოპავდი აღტაცებულ და უგუნურ სიყვარულში. ის, რომ ცდილობ დევნისაგან დაიცვა ასეთი ნიჭიერი მონა, — რა თქმა უნდა, ძალზე ჰუმანური, ღირსეული საქციელია და პატივს გდებს. მაგრამ დანარჩენი, როგორც მეგობარს მაპატიე, და — ეშმაკისეულია.. შენი რომანტიკული წარმოდგენების ნაყოფი. თავად დაფიქრდი: რა გავლენას იქონიებს შენი მგზნებარე სიყვარული მონისადმი შენს მდგომარეობაზე საზოგადოებაში, ხალხთან ურთიერთობაში?

— მონა! — თითქოს გემოს უსინჯავსო, ისე წარმოთქვა ეს სიტყვა ალვარომ. — არა, ეს ცარიელი, არაფრის გამომხატველი სახელი არ არის, ეს ბოროტებისა და ტყუილის განსახიერებაა. წმინდა ანგელოზი, სათუთი ფერია — აი, ჭეშმარიტი სინამდვილე! ნუთუ ერთ ადამიანს, თუნდაც მთელ საზოგადოებას, შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს შემოქმედის ნებას, რომელმაც ზეციდან ანგელოზი მოავლინა მიწაზე და უარი თქვას მის ადამიანურ უფლებებზე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ანგელოზი — მონაა?

— მეტად სამწუხაროა, რომ ანგელოზი ზეციდან პირდაპირ მონობის აშმორებულ ჭაობში ჩავარდა და ვერავინ მთელი დედამიწის ზურგზე ვერ შეძლებს მის გამოყვანას ამ საბედისწერო ჭაობიდან. გესმის, ალვარო, საზოგადოებამ ჩვენ დაგვიგო უმარავი დახლართული და მზაკვრული მახე, რომლებსაც მოხერხებულად უნდა ავუაროთ გვერდი, თუ არ გვინდა, რომ შერცხვენილი გამოვიდეთ ამ ბრძოლიდან. რას იზამ, ისეა მოწყობილი ჩვენი ცხოვრება, რომ ის, ვინც პატივს არ სცემს მის პირობითობას, ან თუნდაც ცრურწმენებს, სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

— მაგრამ მონობა ხომ თავისთავად უსინდისობაა. საშინელი დაღი, საზოგადოების სამარცხვინო ლაქა, რომელიც თვითონ წარმოშვა და თვითონვე იცავს ამ ბარბაროსულ წესს. არა. ჟერალდო, გინდა მომკალი, მე არ მესმის, რატომ უნდა ვცეთ პატივი ამ აბსურდულ რწმენას, რომელიც მთელი ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე გვარცხვენს. დაე, მე ვიყო პირველი, ვინც მონების განთავისუფლების კეთილშობილი იდეალების უანგარო სამსახურის მაგალითს მისცემს, მაგრამ, შესაძლოა, ჩემს კვალს სხვებიც გამოყვნენ...

— შენ, რა თქმა უნდა, მდიდარი ხარ, ალვარო და შენი ქონება უფლებას გაძლევს საკმაოდ დამოუკიდებელი იყო, რომ ასეთ რომანტიკულ საქმეებს შეეჭიდო და შენი რომანტიკული სურვილები დაიკმაყოფილო, მაგრამ უმდიდრესიც რომ იყო, შენ ვერასოდეს ვერ შეცვლი მთელი ჩვენი საზოგადოების საუკუნოვან რწმენას და ვერ მიაღწევ, რომ მონა, თუნდაც ყველაზე განათლებული და ბრწყინვალე, თავის თანასწორად მიიღონ საზოგადოებაში მაღალ ფენებში. თუნდაც იმ პირობით, რომ შენ თანახმა ხარ ჯვარი დაიწეროს მასზე.

— მიმიფურთხებია ამ მაღალი ფენებისათვის! მაგრამ შენ ცდები, ჟერალდო. ადამიანები ყოველთვის ელაქუცებიან და ქედს იხრიან სიმდიდრის წინაშე, ვის ხელშიც არ უნდა იყოს იგი, ოქროს ბრჭყვიალი აბრმავებს მათ და აიძულებს თვალი დახუჭონ ეგრეთ წოდებულ, სოციალური წარმოშობის ყოველგვარ დეფექტზე. დარწმუნებული იყავი. სანამდე ჩვენი ფული გვექნება, არც შეგობრები მოგვაკლდება და არც პატივისცემა.

— კი, ალვარო, მაგრამ შენ არ ითვალისწინებ ერთ გარემოებას: ერთიც ვნახოთ და ვერ გაათავისუფლო შენი პროტეჟე?

მკვდრის ფერმა გადაჰკრა ალვაროს სახეზე და მყის დადუმდა. მოიკრუნჩხა და ფიქრებში წასული არაფრის მეტყველი თვალებით ოკეანეს დააშტერდა. ასე გაჩუმებული იდგა მანამდე, სანამ ჭიშკართან მომლოდინე მეეტლემ არ აუწყათ, რომ სენიორ ალვაროს ვიღაც კაცები კითხულობდნენ და მასთან და მიგელთან სურდათ ლაპარაკი.

— რატომ მკითხულობენ აქ? — ჩაიბურტყუნა ალვარომ. — რატომ სახლში არ მომაკითხეს? და რა შუაშია აქ მიგელი... კარგი, შემოვიდნენ.

— ალვარო, — თქვა ფანჯარაში მაცქერალმა ჟერალდომ, — თუ არ ვცდები, ესენი პოლიციიდან უნდა იყვნენ. აი, ის კი, მარჯვნივ,

შგონი, სასამართლოს აღმსრულებელია. ნუთუ მეჯლისის ისტორიის გაგრძელება გველოდება?

— არა, ეს შეუძლებელია! ან რა უფლება აქვთ ჩემი აქ შეწუხებისა, პოლიციის უფროსი ხომ მენდობა მე. ან როგორ ბედავენ ჩემი პიროვნების ხელშეუხებლობის დარღვევას?

— პოლიციის უფროსის იმედი ნუ გექნება, ჩემო მეგობარო. თეშიდა, ვაი რომ, ცვალებადი და მაცდური ქალღმერთია. მასზე დაყრდნობა არ შეიძლება. დღეს იმას ვანგრევთ, რასაც ჯერ კიდევ გუშინ ასე გულმოდგინედ ვაშენებდით.

თავი XVI

ძვირფასო მკითხველო, ხომ არ დაგავიწყდათ უძღური გულისწყრომით აღრენილი მარტინიო როგორ ტყვიასავით გავარდა ქუჩაში. მას შემდეგ რაც ჩაიფუშა მისი გეგმები პირდაპირ მეჯლისზე შეეპყრო იზაურა? ჰოდა, აი, ჯერ კიდევ გაუნელებელი მრისხანებით მარტინიო დაჯდა და წერილი მისწერა იზაურას პატრონს, რომელშიც აცნობა, რომ მან შეძლო მოეძებნა და ემხილებინა ლტოლვილი მონა.

მას სიტყვები არ დაუშურებია ისე ხატოვნად, დაწვრილებით აღწერა თავისი მონდომება, რომელიც მან გამოიყენა ლტოლვილის ამოსაცნობად, განსაკუთრებით აქებდა საკუთარ გულმოდგინებასა და მიხვედრილობას, რომლის წყალობითაც მან და მხოლოდ მან, შეძლო მონა გაერჩია ასეთ შესანიშნავ, ზრდილ და განათლებულ ქალიშვილში. სინდისის ქენჯნის გარეშე ამახინჯებდა ფაქტებს და აშკარა ტყუილს მოურიდებლად სწერდა, რომ მიგელი და იზაურა ძველებურად რესიფეში იმყოფებოდნენ და მამა ფულს შოულობს ქალიშვილის სილამაზით, იგი ყველგან მახეს უგებს ახალგაზრდა უქნარებს, მდიდარი მშობლების შვილებს და ერთი ადგილობრივი ჯიბესქელი პერნამბუკუდან უკვე წამოეგო ამ ანკესს. ამ გულუბრყვილო რეგვენს ალვაროს ეძახიან, ის მილიონერია, თუმცა სრულიად გამოტვინებულს სიგიჟემდე უყვარს იზაურა და მზად არის დღესვე იქორწინოს მასზე. გონებადაკარგული ლენჩი იქამდეც კი მივიდა, რომ თავისი სატრფო მეჯლისზე მოიყვანა, სადაც მან, მარტინიომ, შეძლო ფარდა აეხადა საიდუმლოსათვის და დაიჭერდა კიდეც და პატრონს დაუბრუნდებდა თვითმარქვიას, მაგრამ სენიორ

ალვაროს უცერემონიო ჩარევამ ნება არ მისცა სიმართლეს ეზეიმა. ორმაგად საწყენია. რომ, როცა ალვარომ გაიგო, ვინც იმალებოდა კეთილშობილი უცნობის სახით, მაინც არ შერცხვა თავის მფარველობის ქვეშ აეყვანა იგი ,ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით და გავლენით. რომლითაც ის მხოლოდ სიმდიდრის წყალობით სარგებლობს. ალვარო ყოველგვარი უფლების გარეშე გახდა მონის მზრუნველი, მართალია, მან დაიფიცა, რომ ქალი გადაეცემა მხოლოდ მის პატრონს. მაგრამ. მარტინიო სრულიად დარწმუნებულია, რომ ალვარო ყოველნაირად შეეცდება გაათავისუფლოს იზაურა და ჯვარი დაიწეროს მასზე. ან საყვარელ დაისვას. მარტინიო კი, როგორც კეთილსინდისიერი მოქალაქე. მოვალეა ყველაფერი აცნობოს ლეონსიოს.

ასეთია მოკლედ მარტინიოს წერილის შინაარსი, რომელიც რიოდე-ჟანეიროში ალვაროს წერილთან ერთად ერთ პაკეტში გაგზავნა. ალვარო კი, როგორც ვნახეთ, თავაზიანი ფორმით სთავაზობდა იზაურას განთავისუფლების წინადადებას. ლეონსიო თითქმის ზეიმობდა, როცა გაიგო, რომ ლტოლვილი მოიძებნა. მაგრამ უმალ ღვარძლითა და ეჭვით, შეპყრობილმა შეადგინა თავხედური და შეურაცხმყოფელი პასუხი ალვაროსადმი. ბედის ირონიით, ეს წერილიც მარტინიოს კონვერტთან ერთად ერთი პაკეტით ჩამოვიდა რესიფემდე. ლეონსიო მარტინიოს ავალებდა დაუყოვნებლივ შეეპყრო იზაურა. რისთვისაც ის აღფურვა განსაკუთრებული უფლებებით. იმავე კონვერტში ლეონსიომ ჩადო რამდენიმე გავლენიანი პირის ხელმოწერილი ბარათი რესიფეს პოლიციის უფროსთან, რათა მას ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მარტინიოსათვის.

მიიღო თუ არა წერილი, მარტინიომ სასწრაფოდ გაქუსლა პოლიციაში, უფროსს წარუდგინა ყველა ქაღალდი და მოსთხოვა, რომ მოხმარებოდნენ მონა ქალის დაპატიმრებაში. საბუთების გულმოდგინე შესწავლის შემდეგ, პოლიციის უფროსი მიხვდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ,მარტინიოს სახელზე ორდერი გამოწერა და განკარგულება გასცა მისთვის ორი მებადრაგე და სასამართლოს აღმასრულებელი მიეცათ დასახმარებლად.

ყველა აუცილებელი უფლებით აღჭურვილი მარტინიო თავისი რაზმით გამოჩნდა იზაურას სახლის წინ. რათა ალვაროსათვის წაერთმია მისი შეყვარებული.

— ისევ ეს არამზადა! — კბილებში გამოსცრა ალვარომ, როცა

სახლისკენ მომავალი მარტინიო იცნო. ახალგაზრდა კაცს ტანში გაჟრჟოლა უმალ.

— რა ნებავს სენიორს ჩემგან? — მშრალად იკითხა ალვარომ.

— მე ვფიქრობ, რომ თქვენ ხვდებით ჩემი ვიზიტის მიზეზს, სენიორ, — ორჭოფულად უპასუხა მარტინიომ.

— სულაც ვერაფერს ვერ ვხვდები, თუმცა, ვაღიარებ, გაკვირვებული ვარ, რომ თქვენ პოლიციელები გახლავთ თან.

— აღარ გაგიკვირდებათ, როცა გაიგებთ, რომ მე მოვედი, რათა მოვითხოვო გადმომცეთ ლტოლვილი მონა ქალი, სახელად იზაურა, რომელიც მე თავის დროზე ვიპოვე მეჯლისზე, სადაც თქვენი მოწყალებაც ბრძანდებოდა. დავალებული მაქვს მონა მის პატრონს გავუგზავნო რიო-დე-ჟანეროში, რასაც თქვენი მოწყალება, ყოველგვარი კანონიერი საფუძვლების გარეშე, ცდილობდა წინ აღსდგომოდა და მონა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა.

— კმარა, სენიორ მარტინიო! ვინა ბრძანდებით, რომ ჩემი მოქმედების კანონიერებაზე მსჯელობთ! მე აქ ქალიშვილის მეურვედ ვარ დანიშნული და ის ჩემი მფარველობის ქვეშ ხელისუფლების თანხმობით იმყოფება.

— არა, სენიორ, თქვენი მხრივ ეს იყო თვითნებობა, მაგრამ მისი დასასრული მოვიდა, რაკი თქვენ ვერ შესძელით იმ საბუთების წარმოდგენა, რომლებიც დაადასტურებენ ქალიშვილის უფლებას თავისუფლებაზე. უფრო მეტიც, მან ალვაროს ორდერი გაუწოდა, — აი პოლიციის შეფის მიერ ხელმოწერილი განკარგულება, რომელიც მე უფლებას მანიჭებს პატიმრობაში ავიყვანო აღნიშნული მონა. კანონის შესაბამისად მოვითხოვ, რომ დამემორჩილოთ.

ალვარომ სწრაფად გადაავლო თვალი ქაღალდებს და თქვა: — სინიორ მარტინიო, მე ვხედავ, რომ თქვენ მაინც არ აიღეთ ხელი თქვენს უსინდისო ჩანაფიქრზე — მზადა ხართ ერთი მუჭა ვერცხლის გულისთვის ჯალათს ემსახუროთ და გაუსწორდეთ საბრალო ქალიშვილს. ნუთუ, ვერა გრძნობთ, რომ სამარცხვინო და საზიზღარ საქმეს სჩადიხართ?

მარტინიომ, რომელსაც პოლიციელების იქ ყოფნა გამბედაობას მატებდა, თამამად და ქედმაღლურად უპასუხა:

— სენიორ ალვარო ,მე თქვენი უტაქტო ზნეობრივი მოძღვრების მოსასმენად კი არ მოვსულვარ, არამედ კანონის ძალით მოვითხოვ ლტოლვილ მონას, რომელიც ამ სახლში იმალება. კეთილი ინებეთ

და დაუყოვნებლივ დამემორჩილეთ. თუ არ გინდათ, რომ ჩემი უფლებით ვისარგებლო და...

— რა უფლება გაქვთ ასეთი?

— სახლის გაჩხრეკისა და მონის ძალით წაყვანის უფლება.

— გაეთრიე აქედან, შე არამზადა! — წამოიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ალვარომ.

— სენიორ, ალვარო... თქვენ ინანებთ!..

— დოქტორი ჟერალდო, რომელიც აქამდე ჩუმად იდგა, მიხვდა, რომ სიბრაზემ ალვაროს გონება დაუბნელა და საჭიროდ ჩათვალა ჩარეულიყო. მან წინ გადადგა ნაბიჯი და მაგრად დაუჭირა ხელი მეგობარს.

— გონს მოდი, ალვარო. — წასჩურჩულა მან, — მუშტი-კრივს ნუ გამართავ, ასე შენ უფრო გაართულებ იზაურას ხვედრს. გონივრულად მოიქეცი ,გეხვეწები.

— კი მაგრამ, რა ვქნა?

— გაატანე იზაურა.

— არაფრის გულისათვის! — მოუჭრა ალვარომ.

— რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა. ალვარო, ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა. — მგონი, რაღაც მოვიფიქრე, — ყურში უჩურჩულა ჟერალდოს, — ახლავე მოვსინჯავ...

პასუხს არ დაელოდა, მარტინოსკენ გაემართა.

— სენიორ მარტინო, — დაიწყო ხმადაბლა და თან ჟესტით გვერდზე გაიხმო ანგარების მოყვარული ტავერნის თანამფლობელი, — ვეჭვობ, რომ თქვენ მთელი ეს საქმე — საბრალო ქალიშვილის სასამართლო დევნა, — ფულის გულისათვის წამოიწყეთ. მე მესმის თქვენი, ჩანს, რომ არც ისე მდიდარი ხართ, ხუთი კონტო კი საკმაოდ სოლიდური თანხაა, დიახ, დიახ, გასაგებია. ერთი წინადადება მაქვს: თუ თქვენ მზად ხართ მიატოვოთ ეს საქმე და თავს დაანებებთ იზაურას, მე პირობას გაძლევთ, ორჯერ მეტს გადაგიხდით.

— ...ორჯერ... ათ კონტოს?.. ათ მილიონ რეისს! — წამოიძახა თვალებდაჭყეტილმა მარტინომ.

— დიახ, ათი კონტო, თანაც დღესვე.

— კი მაგრამ, სენიორ ალვარო, როგორ მოვიქცე... — მე სიტყვა შევეცი იზაურას პატრონს, პოლიციასაც მოველაპარაკე და...

— არაფერია. უთხარით, რომ ის კვლავ გაიქცა, ან რაიმე სხვა მიზეზი მოიფიქრეთ...

კი, მაგრამ რა მიზეზი? ყველამ იცის, რომ ის თქვენი მოწყალების მფარველობაში იმყოფება.

— მე დარწმუნებული ვარ, თქვენ იპოვით გამოსავალს, სენიორ მარტინიო. თქვენ, ჩემი აზრით, გონიერი და მოხერხებული კაცი ხართ და ამისთანა წვრილმანი, რა თქმა უნდა, ვერ შეგაკრთობთ.

— კარგით, შევთანხმდით! — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ თქვა მარტინიომ. — რაკი თქვენი მოწყალება ასე ზრუნავს ქალიშვილზე, მე უკან ვიხევ და მეტს აღარ შეგიძლით ხელს, მით უმეტეს, რომ სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი უკვე ზიზღს იწვევს ჩემშიც. მორჩა, მე ვიღებ თქვენს წინადადებას, სენიორ.

— მადლობთ, თქვენ დიდი სამსახური გამიწიეთ.

— კეთილი, მაგრამ, ღირსეულად მაინც როგორ გამოვიდე ამ საქმიდან?

— ეგ უკვე თქვენი საქმეა, სენიორ. იფიქრეთ, გონებას ძალა დაატანეთ, იქნებ ათ კონტოზე ფიქრმა მოგაგონოთ რაიმე.

რამდენიმე წუთს თავჩაქინდრული და ფიქრებში წასული მარტინიო ფრჩხილებს იკვნეტდა. ბოლოს ის გასწორდა, საზეიმოდ შემართა საჩვენებელი თითი და წამოიძახა: — ვიპოვე! იმის თქმა, რომ მონა ქალი კვლავ გაიქცა, არ ივარგებს. ეს თქვენს კეთილშობილებას ჩრდილს მიაყენებს. ამის ნაცვლად განვაცხადებ, რომ გულმოდგინე შემოწმების შემდეგ, გაირკვა, რომ შეცდომა მოგვივიდა. ქალიშვილი, რომელსაც თქვენ მფარველობთ, სულაც არ არის ის მონა, რომელსაც ეძებენ... საქმეც ამით დამთავრდება. რას იტყვით?

— ჩინებულია... მაგრამ მოწმეები?

— ეს უბრალო საქმეა. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, განცხადებაში ნათქვამია, რომ იზაურას მარჯვენა ძუძუს თავზე დამწვრობის ნიშანი აქვს? ჰოდა, მეც ვიტყვი, რომ ასეთი ნიშანი არ აღმოაჩნდა, არადა, ის არის ძირითადი, მაშასადამე, პიროვნების იდენტურობის დადგენაც შეუძლებელია. ამას კიდევ დავამატებ, რომ ქალიშვილი, რომლითაც ასე დაინტერესებული ბრძანდება თქვენი მოწყალება, მაშინ, ღამით სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე აქ, დღის სინათლეზე, და არაფრით არ ჰგავს იმ ღამაზ მონა ქალს, რომელზეც ლაპარაკია... თანაც ის არა ოცის, არამედ ოცდაათი, ან სულაც ორმოცი წლისაა, ხოლო ღამაზად იმიტომ მომეჩვენა, რომ საგულდაგულოდ იყო შეღებილი და კარგად მხოლოდ სანთლის შუქზე გამოიყურებოდა.

— მეტად გონებამახვილი ბრძანდებით, სენიორ, — გაიღიმა ალ-

ვარომ. — ისეთი დეტალებია... წყალი არ გაუვა. მაგრამ არის კიდევ ერთი სიძნელე, სენიორ მარტინიო. მე მხედველობაში მაქვს მისი საკუთარი აღიარება ხალხის წინაშე. აქაც ხომ შეცდომას არ დავუშვებდით...

— ეს ფაფის ჭამაზე ადვილია! მე ვიტყვი, რომ მას ხანდახან ისტერია და ჰალუცინაციები ემართება.

ბრავო, სენიორ მარტინიო! ახლა კი ვხედავ, თქვენ ისეთი გაქნილი ყოფილხართ, ყველანაირ დავიდარაბას დააღწევთ თავს. ახლა რას აპირებთ?

— ახლა ყველაფერს პოლიციის შეფს მოვახსენებ, თანაც დავამატებ, რომ მე ხელს ვიღებ ამ საქმიდან, რომელიც ერთმა ნაცნობმა ტყის კაპიტანმა დამავალა, და ამით ყველაფერი დამთავრდება. იზაურას პატრონს კი მივწერ, რომ შეცდომა მოგვივიდა. ამის შემდეგ ის აღარ გააგრძელებს ძებნას ჩვენს მხარეში. როგორი გეგმაა?

— შესანიშნავია, საქმეს შეუდექით, სენიორ მარტინიო, დროს ნუ დაკარგავთ.

— მივრბივარ! ორ საათში უკან დავბრუნდები გასამრჯელოს მისაღებად.

— არა, აქ აღარ მოხვიდეთ. მე მალე წავალ აქედან. ჩემ სახლში ვიქნები და ფულსაც მოგიმზადებთ.

გარეთ გამოსულმა მარტინიომ პოლიციელები და სასამართლოს აღმასრულებელი გაუშვა, შემდეგ სიხარულით მოიფშვნიტა ხელები და თავისთვის ჩალაპარაკა: — ორმაგი გასამრჯელო — ბანქოშიც არ მოხდება ასეთი რამ. ეს მონა ქალი ნამდვილი ოქროს საბადო ყოფილა და მგონი ჯერჯერობით არც დაშრეტილა, ჰო-ჰო... ჩაიცინა მან და ეზოდან გამოვიდა.

— რაზე მოელაპარაკე ამ არამზადას, ალვარო? — ჰკითხა აღელვებულმა ჟერალდომ, როგორც კი მარტინიო ოთახიდან გავიდა. ალვარომ ორი სიტყვით უამბო, რაც მოხდა.

— რა თაღლითი ვინმეა ეს მარტინიო! — წამოიძახა ჟერალდომ. — მე, შენ ადგილზე, არ ვენდობოდი. ამისთანა ნამუსგარეცხილი საკუთარ მამასაც გაყიდის. ალვარო, შენ ფიქრობ, რომ ბევრ რამეს მიაღწიე?

— არც ისე, მაგრამ რაღაცას მაინც მივაღწიე. დროს მაინც მოვიგებ, ერთი ანდაზისა არ იყოს: „ვიდრე ჯოხი არ ხვდება, ზურგი ისვენებსო“. ლეონსიო დარწმუნდება, რომ იზაურა აქ არ არის და

ძებნაა სხვა ადგილებში გააგრძელებს. ამასობაში, ქალიშვილი ჩემს გვერდით მშვიდად იცხოვრებს. მას არც ამ ველურის დევნა შეაწუხებს და არც მისი ცხოველური მოპყრობა. მეც ვისარგებლებ ამ შესვენებით და შევაგროვებ მისი თავისუფლებისათვის საჭირო საბუთებს. ჯერჯერობით ესეც იკმარებს. რაც შეეხება დანარჩენს, თუმცა შენ თვლი, რომ მე მხოლოდ ოცნების კოშკებს ვაშენებ, ღმერთი მოწყალეა, მისი სამართლიანობისა მჯერა და ერთხელ არჩეულ გზას არ გადავუხვევ.

— რა საპატიკად ცდები, ჩემო საბრალო ალვარო!.. შენ გულუბრყვილოდ გჯერა, რომ, რაკი მარტინიო მოიცილე, იზაურას დევნაც შეწყდება? ნუთუ, მართლა ვერაფერს ვერ ხედავ? შენ ვერც წარმოიდგენ, რამდენი მაბეზღარა გყავს. ხუთი კონტოს გულისთვის ეშმაკსაც კი მიჰყიდიან სულს! ეს მათთვის დიდი თანხაა, დამიჯერე. ისე დაგესევიან, როგორც სვავები ლეშს. კი, მარტინიო დროებით ჩამოიცილე, მაგრამ საქმე იმდენად გახმაურდა, რომ მალე აუცილებლად გამოჩნდება ასობით მისნაირი და დღედაღამ მოსვენებას არ მოგცემენ.

— შენ გამოუსწორებელი პესიმისტი ხარ, ჟერალდო და ყველაფერში მხოლოდ ცუდს ხედავ. მე კი მჯერა, მალე ყველას დაავიწყდება მარტინიოს ცრუ ნაბოდვარი და არავინ გაიხსენებს ვიღაც მონას! რაც არ უნდა იყოს, მე მოვიპოვე დრო და ვეცდები იზაურას გამოსახსნელად გამოვიყენო.

— კეთილი, ალვარო, დავუშვათ, რომ შენ მართალი ხარ. მაგრამ შენს პატივისცემას და ღირსებას არ შელახავს ეს ისტორია? აი, ნახე — ლეონსიომ თავს დაგატეხა ყველაზე უტიფარი ლანძღვა-გინება. მერე, თუ კანონის ძალით ვიმსჯელებთ, შენ, მართლაც. იტაცებ და მალავ სხვის მონებს.

— მაპატიე. ძვირფასო ჟერალდო, მაგრამ ვერ დაგეთანხმები. შენ, რა თქმა უნდა, მართალი ხარ, მაგრამ ნუ გავიწყდება, მე და იზაურა სულ სხვა ვითარებაში ვიმყოფებით. დამიჯერე, თავს კი არ ვიმართლებ, მე ხომ მართლაც უცოდველ ანგელოზს და უდანაშაულო მსხვერპლს ვიცავ ტირანი ჯალათისაგან. სწორედ ეს ამაღლებული მოტივები მამოძრავებენ. ამ შემთხვევას იმ ადამიანის არაჩვეულებრივი თვისებები აკეთილშობილებენ, ვისი გულისთვისაც გადავეშვი გრძნობათა მორევში. ამიტომ ჩემი სინდისიც სუფთაა.

— კეთილი, ალვარო, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მე ჩემი

სათქმელი გითხარი. კიდევ ერთხელ გიმეორებ: შენ ბავშვივით უგუნურად იქცევი, რაც არ შეგეფერება.

ბოლო სიტყვები დოქტორმა ჟერალდომ დაუფარავი წყენით წარმოთქვა. მას უყვარდა თავისი მეგობარი და გულწრფელად განიცდიდა, რომ მგზნებარე სიყვარულმა გონება დაუბნელა და ახირებული საქციელისკენ უბიძგა მას. ჟერალდო იზაურას განთავისუფლების საუკეთესო გზებს კი არ კარნახობდა ალვაროს, პირიქით, ცდილობდა ხელი აეღებინა ამ საქმისაგან, ამიტომ ასე მუქ ფერებში უხატავდა საქმის პერსპექტივებს. მას რომ შესძლებოდა, თვითონ დაუბრუნებდა იზაურას პატრონს, რათა ალვარო გამოეხსნა ბრმა და უგუნური ვნების ტყვეობიდან.

თავი XVII

მარტოდ დარჩენილი ალვარო მაგიდას მიუჯდა და, ხელებზე თავდაყრდნობილი, ღრმა ფიქრს მიეცა.

სახლში სიჩუმემ დაისადგურა და იზაურა მიხვდა, რომ გარეშე პირები უკვე წავიდნენ, ქალიშვილი ოთახში შემოვიდა. ფიქრებში ჩაფლულმა ალვარომ ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოვიდა მისი სატრფო.

— სენიორ ალვარო, — მორიდებით წარმოთქვა მან და მიუახლოვდა, — მაპატიეთ... თქვენ, ალბათ, ისე დაღალეთ ჩემი გულისთვის... მე მესმის...

— ნუ ,ნუ, ძვირფასო იზაურა, — შეკრთა ალვარო. — რას ლაპარაკობ? პირიქით, შენ ყოველთვის სასურველი ხარ ჩემთვის.

— მე მიმძიმს თქვენი ასეთი მდგომარეობაში ნახვა! აქ ისეთი ხმაური იყო. რა ხალხი იყო. მათ გამო ხართ ასეთი ნაღვლიანი, ჩემო ბატონო?

— სულაც არა, იზაურა: დოქტორ ჟერალდოს ნაცნობები იყვნენ. მას ეძებდნენ.

— კი, მაგრამ, რატომ ხართ ასე მოწყენილი?

— არა, იზაურა შენ გეჩვენება, რომ მოწყენილი ვარ. მე უბრალოდ ვფიქრობ, როგორ გაგანთავისუფლო ჩემო ანგელოზო, როგორ გამოგგლიჯო მონობის უღელს და იმ ცხოვრებას გაზიარო, რომლისთვისაც შეგქმნა მამაზეცერმა.

— ო, სენიორ, გემუდარებით, ასე ნუ იტანჯავთ თავს ჩემს გამო.

მე თქვენი ყურადღებისა და მზრუნველობის ღირსი არა ვარ. ტყუილად ნუ ცდილობთ ჩემს გადარჩენას მოსალოდნელი ხვედრისაგან.

— ამას ნუ იტყვი იზაურა, გულს ნუ მიხეთქავ. შენ არ იცი, როგორ მაღფრთოვანებს შენი სიყვარული, რა ძალას მმატებს!

— ო, ჩემო ბატონო, მე ამ სიტყვების ღირსი არა ვარ. თქვენ სხვა უნდა შეიყვაროთ, თქვენი თანასწორი და გულიდან ამოირეცხოთ საბრალო მონა, რომელმაც დაფარა თავისი ვინაობა და ასეთი შეურაცხყოფა მოგაყენათ.

— გაჩუმდი, იზაურა, გთხოვ! როდემდე უნდა გახსოვდეს ეს საშინელი ამბავი? მე თვითონა ვარ დამნაშავე. ძალით წაგიყვანე მეჯლისზე, შენ ხომ არ გინდოდა. მართალიც იყავი. ჩვენი სიყვარულის გულისათვის, გემუდარები, დაივიწყე ეს ამბავი, იზაურა!..

— არ შემიძლია სენიორ, ძალზე, დაუნდობლად მჭენჯნის სინდისი და სულს მიხუთავს სირცხვილისა და უსინდისობის მოგონებები. უბედურება ცუდი მრჩეველია, ის სულს აბნელებს და გულს უხრავს ადამიანს. მე კი ძალიან მიყვარხართ და დღითი დღე უფრო მემატება თქვენი სიყვარული. მაპატიეთ, მონისათვის შეუფერებელი ეს სიტყვები.

— პირიქით იზაურა, თქვი! ხშირად გაიმეორე, რომ გიყვარვარ. მე მაურს მთელი სიცოცხლე ყურს ვუგდებდე შენი ბაგედან მოწყვეტილ ამ თაფლივით ტკბილ სიტყვებს!

— ღმერთო, ამ ქვეყნად რა შეიძლება იყოს უფრო სევდიანი და ტრაგიკული, ვიდრე მონის უსიხარულო და უიმედო სიყვარული? მაგრამ რა შეედრება იმ ბედნიერებას, რომელიც თქვენმა სიყვარულმა მაჩუქა? მე ზეცაში დავფრინავ, საკუთარ თვალში ვმაღლდები და მავიწყდება კიდეც ჩემი დამამცირებელი და სამწუხარო მდგომარეობა.მაშინ კი შიშისგან ჭკუაზე ვიშლებოდი, მეშინოდა ,რომ თქვენ სიმართლეს გაიგებდით და საუკუნოდ დავკარგავდი თქვენს სიყვარულს, ყველაზე ძვირფასს, რაც ცხოვრებაში გამაჩნია, რაც მათბობდა და იმედით მავსებდა. მომიტევეთ, ჩემო ბატონო, მომიტევეთ, უბედურ მონას, რომელმაც ასე თამამად გაბედა სიყვარული...

— დაივიწყე ეს, იზაურა, თავს ნუ იტანჯავ მოგონებებით და ნურც ამისთანა სიტყვებს ამბობ. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. სხვა დანარჩენს არა აქვს მნიშვნელობა. თუ შენი მომხიბლაობითა და მშვენიერებით მოჯადოებულმა ერთი ნახვით შეგიყვარე, ახლა, რო-

ცა შენს ღირსებებს წამებულის შარავანდედიც დაემატა, ასჯერ უფრო მეტად მიყვარხარ, მე შენ გაღმერთებ.

— ვიცი, რომ გიყვარვართ, სენიორ, ამიტომ უფრო მიმძიმს.. რა დაუნდობელი და ვერაგი ყოფილა ეს სიყვარული .თუ მე ის ბედნიერებაც კი არა მაქვს, თქვენი მონა გავხდე და განწირულს ჯალათის ხელით მელის სიკვდილი!

— არა, გეფიცები, ეს არასოდეს არ მოხდება ,იზაურა! — მგზნებარედ წამოიძახა ალვარომ. — ყველაფერს მივცემ, რაც მაბადია: სიცოცხლესაც არ დავიშურებ, მაგრამ დაგიხსნით საზიზღარი ტირანისაგან! თუ ამქვეყნიური მოსამართლეები და კანონები არ გვიშველიან, მე იმედი მაქვს, ყოვლისშემძლე ღმერთი შეგვეწევა ამ სამართლიან და კეთილშობილურ ბრძოლაში.

— ო, სენიორ ალვარო! თავს ნუ გასწირავთ უბრალო მონისათვის. ის თქვენს ფრჩხილადაც არ ღირს. თვითონ უნდა ვზიდო ჩემი ჯვარი. ბედისწერას ვერავინ შეცვლის... მერწმუნეთ, მხოლოდ ის, რომ დავიმსახურე ასეთი კეთილშობილი და მშვენიერი ბატონის სიყვარული, უდიდესი აუხდენელი ბედნიერებაა, რომელიც ყოველთვის იქნება ჩემი ნუგეში და დასაყრდენი. მაგრამ მე ნებას არ მოგცემთ, ჩემი სიყვარულისათვის საფრთხეში ჩააგდოთ თქვენი ღირსება და სახელი.

— შემიბრალეთ, იზაურა, გულს ნუ მიფლეთთ ასეთი შეუბრალებელი სიტყვებით. რომელი მონა? შენ ის არც ყოფილხარ და არც არასოდეს იქნები. არავითარ ძალაუფლებას, თვით ყველაზე სასტიკ ტირანიასაც, არ ძალუძს ხელიდან წასული არამზადა კრავად აქციოს, მაგრამ არც იმისი უფლება აქვს, ღვთის გაჩენილი ანგელოზი მონობაში იყოლიოს. არა, იზაურა, მე უნდა დაგეხმარო და ზეცის მიერ შენთვის განკუთვნილი ადგილი გაპოვნინო ცხოვრებაში. სამართლიანი ღმერთი დამეხმარება და წინ გამიძღვება ამ საქმეში, რადგან მის ერთ-ერთ ანგელოზს ვიცავ.

საბედისწერო მეჯლისის შემდეგ, რომელზეც გაირკვა, რომ მომხიბლავი უცნობი გამოქცეული მონა იყო, ალვარო იზაურას ძველებური სინაზითა და მოკრძალებით ეპყრობოდა. სხვანაირად მოქცევა მას არ შეეძლო, რადგან ბუნებით კეთილშობილი და დახვეწილი პიროვნება იყო და არც ქალიშვილისადმი აღძრული წრფელი გრძნობები მისცემდნენ ამის უფლებას. მორცხვობა, სისპეტაკე, სიკეთე, უმწეობა, ნიჭი — ადამიანის ეს თვისებები, რომლებიც მას ყველაზე წმინდად და პატივისცემის ღირსად მიაჩნდა ქალებში, ყოველთვის

იპოვიდნენ გამოძახილს მის სულში. გინდა მონა ყოფილიყო ასეთი. გინდა — პრინცესა. მისი სიყვარული, იზაურასავით წმინდა და უბიწო. იმდენად ამაღლებული იყო, რომ მის გულს არასდროს შეჰპარვია ცთუნება, ფიქრადაც არ მოსვლია ცოდვილი აზრი, ესარგებლა შეყვარებულის გამოუვალი მდგომარეობით და შეებღალა მისი ქალწულობა. მშვენიერ ქალიშვილს ლოყები არასდროს შეწითლებია რაიმე ზედმეტად თამამი ჟესტის ან ორაზროვანი სიტყვის გამო და არც ალვაროს ბაგე შეხებია მათ, თუნდაც ყველაზე მსუბუქი ამბორით. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში, იზაურას გამუდმებულ დაჟინებულ თხოვნას დაყოლილმა ალვარომ, თავს უფლება მისცა „შენობით“ მიემართა მისთვის, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა შეყვარებულები მარტო რჩებოდნენ. და, აი, ახლა უნაზესი და მგზნებარე გრძნობით გატაცებულმა ალვარომ უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა, ხელი მოხვია იზაურას და ნაზად ჩაიკრა მკერდში.

სიყვარულის ამ პირველი გაუბედავი ჩაკონების სიტკბოთი და ჰარმონიით მოჯადოებული შეყვარებულები გაირინდნენ. მაგრამ სახლთან მოგრიალებული ეტლის ხმაურმა და უხეშმა შეძახილმა: „ეი, რომელი ხართ სახლში“! დაამსხვრიეს ეს წუთიერი ნეტარება.

კარებზე კაკუნი გაისმა და ოთახში ალვაროს მეეტლე შემოვიდა. მან მოახსენა, რომ სენიორს ვიღაც უცნობი კაცი კითხულობდა.

— ო, ღმერთო, როდის მოეღება ბოლო ამას! — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა ალვარომ. მას ეგონა, რომ კიდევ ერთმა მაძებარმა მიაგნო იზაურას კვალს. ის მიბრუნდა ქალიშვილისკენ და უთხრა: — კარგი იქნება, თუ მარტო დამტოვებ, საყვარელო. რა ვიცი, ვინ არის. მე კი არ მინდა, რომ შენ უცხომ გნახოს.

— კი, ბატონო, რა თქმა უნდა, — უპასუხა იზაურამ და თავჩაქინდრული გავიდა ოთახიდან.

რამდენიმე წამში ოთახის კარი გაიღო და გამოჩნდა არისტოკრატიული გარეგნობის, ელეგანტური, კოხტად ჩაცმული ლამაზი ახალგაზრდა კაცი. თუმცა, თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ მის სილამაზეში იყო რაღაც სატანური, ძლივს შესამჩნევი ავბედითი და სასტიკი გამომეტყველება, ჩამოფხატულ წარბებს ქვემოდან მომზირალი შიშისა და ზიზღის აღმძვრელი პირქუში გამოხედვა.

— „არა, ეს ჯაშუში არ არის“, — გაიფიქრა ალვარომ და სკამი შესთავაზა შემოსულს.

— დაბრძანდით და მიამბეთ, რამ მოგიყვანათ აქ.

— ბოდიშს გიხდით, სენიორ, — თქვა უცნობმა და ოთახს თვალი მოავლო, — მაგრამ მე თქვენთან არ ვაპირებ საუბარს. მე მინდა ველაპარაკო კაცს, რომელიც ამ სახლში ცხოვრობს, ან მის ქალიშვილს.

ალვაროს ჟრუანტელმა დაუარა. საუბედურად, მისი ცუდი წინათგრძნობა დადასტურდა: თუ ეს ახალგაზრდა კაცი მაძებარი არ არის, ის მაინც იზაურას კვალზეა მოსული. ვიდრე მასპინძელს დაუძახებდა, ალვარო მაინც შეეცადა გაეგო დაუპატიჟებელი სტუმრის ზრახვები.

— სახლის პატრონმა უფლება მომცა მე ვაწარმოო მათი ყველა საქმე, — მტკიცედ თქვა მან, — ასე რომ, შეგიძლიათ მე მელაპარაკოთ.

— კეთილი, სენიორ, მე არაფერი მაქვს დასამალი და საიდუმლო, ამიტომ გეტყვით: ამ სახლში იმალება ლტოლვილი მონა — იზაურა, ვის დაბრუნებასაც მე მოვითხოვ.

— ასეთ შემთხვევაში, თქვენ სწორ გზაზე დგახართ, რადგან მე ვახლავართ იზაურას მეურვე.

— მართლა! მაშ, თქვენა ხართ სენიორ ალვარო?

— მზად ვარ გემსახუროთ.

— როგორც იქნა ,შევხვდით. ვფიქრობ, თქვენ ხვდებით, რომ მე ლეონსიო ვარ, იზაურას კანონიერი პატრონი.

— ლეონსიო! იზაურას პატრონი! — ალვარო მეხდაცემულივით გაირინდა. ამ ავბედითი აღმოჩენის სიმძიმემ დათრგუნა იგი. აი, თურმე, როგორია ეს კაცი, ასე პირქუში, შეუპოვარი გამომეტყველებით მკაცრ სახეზე, ლუციფერივით ვერაგი და ბოროტი, თითქოს მზად არის უბედურ მსხვერპლს ხელი სტაცოს და ჯოჯოხეთში გააქანოს.

აი ,ისიც! თვითონ ჯალათი! ეჰ, საბრალო იზაურა!..

თავი XVIII

შესაძლოა, მკითხველი ალვაროზე ნაკლებად არ გააოცა ლეონსიოს მოულოდნელმა გამოჩენამ რესიფეში. ამიტომ საჭიროა ამ მოულოდნელი ამბის ახსნა.

როგორც უკვე ვიცით, ლეონსიომ ორი წერილი გააგზავნა ფოსტით: ერთი — ალვაროს, მეორე — მარტინიოს, მაგრამ ამით ვერ

დაწყნარდა. იმ ამბავმა, რომ იზაურას მფარველობს მასზე შეყვარებული მდიდარი ახალგაზრდა, ბანჯალივით გაუარა გულში. — მშვენიერი ქალი. შესაძლოა. უკვე სხვას ეკუთვნის — ეს ფიქრი კიბოსავით მოედო მის გულს და სულ უფრო ცხარედ აღვივებდა მის ცხოველურ წადილს. ამიტომ, შეიტყო თუ არა იზაურას ადგილ-სამყოფელი, ლეონსიომ დედაქალაქი მიატოვა და იქ გაემგზავრა, რათა პირადად მიეღო მონაწილეობა მის დაჭერაში. გემის გამგზავრების წინა დღე მან საშინელ მღელვარებაში გაატარა. თუმცა წერილები უკვე გააგზავნა, მაგრამ მტანჯველი დაძაბულობა ნებას არ აძლევდა ადგილზე დარჩენილიყო და მოთმინებით დალოდებოდა შედეგს. იმ დროს ბრაზილიაში ის იყო ფეხს იდგამდა სანაპირო ნაოსნობა და ფოსტა უაღრესად ნელა მუშაობდა. ამასთან, როგორც ლეონსიოს ესმოდა, შორიდან მას არ შეეძლო საქმის დაჩქარება: პოლიციელებისა და სასამართლოს მოხელეების გულმოდგინების გაღვიძება, მით უმეტეს, რომ მათ ალვაროს წინააღმდეგ უნდა ემოქმედათ. ის კი რესიფეში უფრო დიდი გავლენით სარგებლობდა, ვიდრე თვითონ. ასე რომ, ფაზენდეიროს იღლა დარჩენოდა, წერილებს კვალში მიჰყოლოდა.

გამგზავრების წინ ლეონსიომ იუსტიციის მინისტრიც კი ინახულა. ესთანაც მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, და მისგან სარეკომენდაციო წერილი მიიღო პერნამბუკუს პოლიციის შეფთან (ეს წერილი ოფიციალურ ბრძანებას უტოლდებოდა). მინისტრი ითხოვდა დახმარება გაეწიათ მონის მოძებნასა და დაჭერაში. ლეონსიომ მიგელის დასაპატიმრებელი ორდერიც მიიღო. მას მონის გატაცებასა და დაფარვაში ედებოდა ბრალი. ერთი სიტყვით, გულნატკენი მონათმფლობელი ძალას არ იშურებდა მოწინააღმდეგეზე სრული გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ლეონსიომ აუცილებელი საბუთები მიიღო და მეორე დღესვე ჩრდილოეთის გზას დაადგა. იგი იმავე გემით მიცურავდა, რომლითაც მისი წერილები. მაგრამ ამ წერილებმა რამდენიმე საათით ადრე მიაღწიეს ადრესატებს, ვიდრე მათი ავტორი რესიფეს მიწაზე ფეხს შედგამდა.

გემიდან ჩამოსული ლეონსიო უმალ პოლიციის შეფთან მივიდა და მინისტრის წერილი გადასცა. თან, რა თქმა უნდა, საკუთარი დაქირებული თხოვნაც დააყოლა.

— სენიორ ლეონსიო, სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ ორი

საათიც არ გასულა, რაც აქედან გავიდა კაცი, რომელსაც თქვენ ლტოლვილის დაჭერა დაავალეთ. მან განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა: ეჭვმიტანილი ქალიშვილი არაფრით არა ჰგავს თქვენგან გამოქცეულ მონას.

— თქვენ, სენიორ მარტინიოზე ლაპარაკობთ?

— დიახ.

— უყურე შენ... — ლეონსიომ თავი გააქნია.

— მას თან ახლდა სასამართლოს აღმასრულებელი და ორი პოლიციელი. — დაუმატა პოლიციის უფროსმა.

— გამოდის, რომ დავიგვიანე! ახალგაზრდა კაცი წყენას არ ძალავდა. მაგრამ მე არ მჯერა ამ მარტინიოსი. ვფიქრობ, რაღაცაშია საქმე, ამბობენ, სენიორ ალვარო ძალზე მდიდარიაო...

— რა თქმა უნდა, ეს უქნარა მარტინიო ყველაფერს იკადრებს, — დაეთანხმა პოლიციის შეფი — ამიტომ თქვენ, სენიორ ლეონსიო, როგორც დაინტერესებულ პირს, უფლება გაქვთ თვითონ შეამოწმოთ ყველაფერი.

— სწორედ ამას ვაპირებ. დაუყოვნებლივ წავალ იქ და საკუთარი თვალით დავრწმუნდები ყველაფერში!

— როგორც ინებებთ. ჯერ ისევ აქ არის სასამართლოს აღმასრულებელი და პოლიციელები. მათ შეუძლიათ გზა გიჩვენონ და საჭირო შემთხვევაში დახმარებაც გაგიწიონ.

— კეთილი, — თავი დაუკრა ლეონსიომ და ჯიბიდან მიგელის დაპატიმრების ორდერი ამოიღო: ჩემთვის აუცილებელია, რომ პოლიციამ ეს დადგენილებაც შეასრულოს. სხვისი საკუთრების მომპარავი გაძევება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

პოლიციის შეფი ამ მოთხოვნასაც დაეთანხმა და რამდენიმე წუთის შემდეგ ლეონსიო სასამართლოს მოხელისა და ორი პოლიციელის თანხლებით სასწრაფოდ გაემართა მიგელის სამფლობელოსაკენ.

იზაურასა და ალვაროსათვის დადგა კრიტიკული, რომ არა ვთქვათ გამოუვალი, სიტუაცია. მოწინააღმდეგეს უდავო იურიდიული უფლება ჰქონდა დაეშორებინა ახალგაზრდები, ფეხქვეშ გაეთელა მათი წმინდა სიყვარული და საბრალო მონა თავის ავხორცობის დასაკმაყოფილებლად წაეყვანა. ალვაროს ისღა დარჩენოდა, მორჩილად ედევნებინა თვალი, როგორ შებოჭავდნენ იზაურას და შეურაცხყოფდნენ მის უმანკოებას. თვით მონობის არსებობა, ერთი ადამიანის

უფლება განაგებდეს მეორის ბედს, უწყობდა ხელს გარყვნილების დღესასწაულს, გზას უღობავდა სათნოებას.
ლეონსიო ბრაზით შეპყრობილი ჩამოვიდა იზაურას წასაყვანად. ექვი ღრღნიდა და შურისძიების წყურვილი ახრჩობდა. მას უნდოდა, რაც შეიძლება მეტი შეურაცხოფა მიეყენებინა და დაემცირებინა მოწინააღმდეგე — ასეთ სიამოვნებაზე უარს ვერ იტყოდა.

— ჩემთვის კარგადაა ცხობილი, — განაცხადა ლეონსიომ და ჩვენს მიერ წინა თავში შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა, — რომ თქვენ არა მარტო დამალეთ ლტოლვილი მონა, არამედ ცრუ ჩვენებითაც დაბნიეთ ხელისუფლება. მაგრამ ახლა მე თვითონ მოვკიდე ხელი ამ საქმეს და თქვენ ვეღარ შეძლებთ ვინმეს გაცურებას!

— მე არავინ მომიტყუებია, სენიორ! — სცადა შეპასუხება ალვარომ. — მე მხოლოდ უბედური ქალიშვილის დაცვა მინდოდა სასტიკი დევნისაგან...

— ა, გამოდის, რომ ახლა ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად შეიძლება სხვისი მონების მოპარვა, ამისათვის საკმარისია განაცხადო, რომ შენ არ მოგწონს, როგორ ეპყრობიან მათ? საინტერესო შეხედულებები გქონიათ კანონიერებაზე...

— ახლა დაცინვის დრო არ არის, სენიორ! — მკაცრად წარმოთქვა ალვარომ. მე ვაღიარებ, რომ მსურს იზაურას განთავისუფლება და ამისათვის არაფერზე არ დავიხევ უკან. მე მზად ვარ ნებისმიერი თანხა გადაგიხადოთ, ოღონდ ბედნიერება ვაჩუქო ამ ქალიშვილს...

— თქვენი ფული არ მაინტერესებს, მას მე მთელი ქვეყნის ოქროზეც არ გავყიდი — ჩაიცინა ლეონსიომ.

— რა ბარბაროსული ახირებაა! — აღშფოთებისგან მთლად აკანკალდა ალვარო.

— იყოს ახირება, სენიორ, მაგრამ კანონიერი. რატომ არ შეიძლება მქონდეს ახირება, თუ ის სხვის უფლებებს არ ხელყოფს? ჟინი თქვენ უფრო გკლავთ: სხვისი მონის ხელში ჩაგდება მოინდომეთ, მაგრამ ეს არაკანონიერია. მე კი ჩემი უფლების ხელყოფას არ დავუშვებ! — წამოიყვირა ლეონსიომ.

— ჩემი ახირება კეთილშობილურია, სენიორ, და სხვა ადამიანისათვის თავისუფლება და ბედნიერება მოაქვს, თქვენსას კი — მონობა და ტანჯვა. თქვენ დედათქვენის საბოლოო სურვილიც კი დაივიწყეთ. მან ხომ ასეთი სიყვარულით აღზარდა იზაურა და ანდერძიც დაგიტოვათ თავისუფლება მიგეცათ მისთვის. ახლა კი ზეცაში ის შე-

აჩვენებს თავის შვილს, რომელსაც სამარცხვინო მონობაში ჰყავს ასეთი მშვენიერი და გონიერი არსება.

— თქვენი აზრით, სენიორ, საკმარისია მონა სანდომიანი და გონიერი იყოს, რომ თავისუფლება მიიღოს? მერწმუნეთ, ცდებით. რაკი თქვენ დედაჩემიც ახსენეთ, მაშინ იმასაც მიხვდით, რომ თუ მას ეს ქალიშვილი ჩემი ჟინის მოსაკლავად არ გაუზრდია, როგორც თქვენ ბრძანებთ, თქვენზე მით უმეტეს, არ იფიქრებდა. თუ თქვენ, სენიორ, გული არ გითმენთ ხასად დაისვათ სანდომიანი მონა, სხვაგან მოძებნეთ იგი!

— სენიორ ,ლეონსიო ,ნუ გავიწყდებათ. რომ აქ თქვენი ფაზენდა არ არის და არც თქვენს მოურავს ელაპარაკებით. გაფრთხილებთ: დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ!

— კარგით, სენიორ, — დაუდევრად ჩაიქნია ხელი ლეონსიომ. — მომბეზრდა ყბედობა. მე აქ მორალის მოსასმენად არ ჩამოვსულვარ. მე მხოლოდ ერთი მსურს: დამიბრუნეთ ჩემი საკუთრება და ნუ შაიძულებთ ძალას მივმართო.

მოწინააღმდეგის ქცევით გაცოფებული ალვარო სწრაფად კარგავდა მოთმინებას. ის გრძნობდა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთი გამოსავალი არსებობდა — მოეკლა საზიზღარი მეტოქე. სასოწარკვეთილი და განრისხებული ალვარო სკამიდან წამოვარდა და ლეონსიოს საყელოში ჩააფრინდა.

— ჯალათო! მოძალადევ! იზაურა ჩემთან არის, მაგრამ ვიდრე მაა შიიღებდე, პასუხს აგებ ყველაფერზე!

— მიშველეთ! მკლავენ! — შეჰყვირა ლეონსიომ და კარებისკენ გასხლტა.

იმ წუთში, ხმაურზე ოთახში შემოვიდნენ ერთი მხრიდან იზაურა და მიგელი, მეორედან — სასამართლოს აღმსრულებელი და პოლიციელები. ქალიშვილს ერთი თვალის გადავლებაც ეყო. რომ მიმხვდარიყო: ყველაფერი დაიღუპა. გონდაკარგული ალვაროს მხრიდან რაიმე წინდაუხედავი საქციელი რომ არ დაეშვა, მან გადაწყვიტა თავი გაეწირა. ის მიუახლოვდა ლეონსიოს და მხოლოდ სამი სიტყვა წარმოთქვა:

— აქა ვარ, ბატონო.

— აი, ისინი! შეიპყარით, შეიპყარით! — ლეონსიო პოლიციელებს იზაურასა და მიგელისაკენ უბიძგებდა.

— წადი, იზაურა ჩემო სიყვარულო და გახსოვდეს: მე არ მიგატოვებ! — აკანკალებული ტუჩებით ჩურჩულებდა ალვარო და უკან

მიჰყვებოდა ქალიშვილს.

— გახსოვდეს, მე დაგიხსნი ჯალათის ბრჭყალებიდან. ღმერთი შეგვეწევა...

ამ ამბიდან ერთი საათის შემდეგ ალვაროს სახლს მარტინიო მიადგა. ის მხიარულ გუნებაზე იყო, რადგან ეგონა, რომ წარმატებით გაართვა თავი დავალებას და დაუყოვნებლივ მიიღებდა დათქმულ გასამრჯელოს.

— ათი ათასი, ათი ათასი... — სულმოუთქმელად იმეორებდა მარტინიო. — ნახვამდის აკადემიის მერხებო, ამიერიდან მხოლოდ რბილ სავარძელში ვიჯდები! ნახვამდის, გაქონილო წიგნებო, მე თქვენ ფანჯარაში მოგისვრით! ამიერიდან მე თავისუფალი ვარ, მდიდარი. მალე ყველა დარწმუნდება, როგორ მოხერხებულად წავიყვან საქმეს!

მარტინიო გონებაში ითვლიდა საბირჟო სპეკულაციიდან მიღებულ შემოსავალს და რამდენიმე წუთში, ყოველგვარი ჯაფის გარეშე, ასჯერ გაზარდა ალვაროს მიერ შეპირებული თანხა.

— ჩემო ძვირფასო, სენიორ ალვარო, — განაცხადა ფულისთვის მისულმა ბედნავსმა მუდმივმა სტუდენტმა — მე ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც თქვენ გსურდათ. ახლა შეგიძლიათ დატკბეთ მშვენიერი ლტოლვილი ქალით. ნურაფრისა შეგეშინდებათ. მე წერილი მივწერე იმ რეგვენს, ტყუილებით გავტენე. აი, ინებეთ, ნახეთ...

მარტინიომ უკვე გაუწოდა ქაღალდი ალვაროს, როცა მან მოთმინებადაკარგულმა, ამოითხრა:

— კმარა, სენიორ მარტინიო... საქმე მოთავებულია, მე აღარ მჭირდება თქვენი დახმარება.

— როგორ... მოთავებული? მე?

— ქალიშვილი კვლავ ბოროტი პატრონის ხელშია.

— ლეონსიო?.. შეუძლებელია!

— საუბედუროდ, ეს ასეა, თუ წვრილმანები გაინტერესებთ, პოლიციას მიაკითხეთ.

— ჩემი ათი ათასი? — აწუწუნდა მარტინიო.

— მე ვფიქრობ, თქვენ ის არ დაიმსახურეთ.

ასეთი პასუხის შემდეგ, მარტინიომ დაიკვნესა და ალვაროს სახლიდან კუდაბოლქუებული ძაღლივით გამოვარდა.

აუცილებელი არაა აღვწეროთ ამ მიამიტი სტუდენტის სულიერი ტანჯვა. ყოველ შემთხვევაში, პატივცემულ მკითხველს არ გაუჭირდე-

ბა წარმოიდგინოს ამ საცოდავი არსების მდგომარეობა, რომელმაც ასე უცებ დაკარგა სწრაფი გაძღიდრების ყველა იმედი.

თავი XIX

— როზა, აბა ნახე, რა ქენი! ეჰ, ბატონების სახლში შენი სამზარეულოს იქით გაშვება არ შეიძლება! — საყვედურობდა ლაქია ანდრე ახალ მოახლეს.

— ერთი უყურე, ესეც ბატონი გამიხდა! გული ნუ გამიწყალე, მეტიჩარა! ვალში არ დარჩა როზა. — არც შენი ადგილია სასტუმროში, თავლა უფრო მოგიხდება, შენს ცხენებს მოუარე და ყველაფერში ცხვირს ნუ ყოფ.

— ჭკუის ნატამალი არ გაგაჩნია და ხელებშიც დამბლა გაქვს. — ამოიოხრა ანდრემ და სკამების გასწორებას შეუდგა. — აი, ასე უნდა ეწყოს. ლარნაკებს შეხედე, იქაც ყველაფერი აგირევია. არც სარკეები გაგიწმენდია. ეჰ, იზაურას დროს აქ ყველაფერი წესრიგში იყო. თვალს უხაროდა. ახლა კი რასა ჰგავს? ასეთი საქმისათვის არ ვარგიხარ, წყალი არ გაუვა.

— იზაურა, იზაურა, — წაიბურტყუნა განაწყენებულმა როზამ. ახლა ყველა იმაზე ოხრავთ. თუმცა ციხეში მის სანახავად არ გეჩქარებათ. ყვავილები არ დაგავიწყდეთ! საკანი მოურთეთ!

— გეყოფა, როზა, შეიძლება შენც ჩავარდე იქ.

— მე? ჩემ სიცოცხლეში არა! მე ლტოლვილი არა ვარ.

— ნუ ფიცავ. თუ გაგიჭირდა, ეშმაკსაც დაედევნები... იზაურა კი, მართლა, ყველას გვენანება. ისეთი კარგი გოგო იყო, კულტურული... ახლა კი ის დიდი დამნაშავესავით ჯაჭვით დააბეს... შენ რა, სულ არ გებრალება?

— მებრალება! — კიდე რა გინდა! თავის ბრალია, რატომ გაიქცა?

— ეს მართალია... — კვლავ ამოიოხრა გრძნობამორეულმა ლაქიამ. იცი, მეც ჩავჯდები ციხეში, ოღონდ მასთან ერთად...

— რაღას ელოდები? — დაცინვით მიუგო როზამ. — მის კვალს დაადექ და ის იქნება. წადი პერნამბუკუში გაისეირნე — და მალე შენი საყვარლის გვერდზე გაჩნდები.

ანდრეს თითქოს არც გაუგონია როზას სიტყვები.

— საბრალო იზაურა... განაგრძობდა იგი. — მალე სამუდამოდ მიგვატოვებს. როგორ დააკლდება ამ სახლს!

— მიგვატოვებს? სამუდამოდ? — გამოცოცხლდა როზა. ეს როგორ? ის რა, გაყიდეს?

— ეჰ, რო გაეყიდათ...

— ქალაქის სახლში გადაჰყავთ?

— არა.

— თავისუფლებას აძლევენ?

— რა ცნობისმოყვარე ხარ, გოგო?! ცოტა მოიცადე. საღამოს შეიძლება შენ თვითონ გაიგო ყველაფერი.

— რაღა-რაღაცები იცი. სხვისთვის თქმა კი გენანება.

— ო, არა... ჯერ მეც არ ვიცი დანამდვილებით. ეჭვი მაქვს მხოლოდ, რომ მალე სახლში რაღაც მოხდება და ძალიან საინტერესო. წავალ ბატონებს დავუგდებ ყურს.

— მიდი, მიდი, ყურების გამოჩიჩქნა არ დაგავიწყდეს! — ჩაიხითხითა მოახლემ.

— ჩუმად! — ხელი გააქნია ლაქიამ. — ბატონი მოდის!

ამ საუბრით მკითხველი მიხვდებოდა, რომ ჩვენ კვლავ ლეონსიოს ფაზენდაში აღმოვჩნდით, სწორედ იმ სასტუმრო ოთახში, სადაც ჩვენი მოთხრობის დასაწყისში, პირველად ვნახეთ იზაურა, რომელიც თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა.

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ლეონსიომ იზაურა ჩამოიყვანა რესიფედან. ცოტა ხნის წინათ ის შეურიგდა მალვინას და გუშინ ახალგაზრდა ბატონები ფაზენდაში დაბრუნდნენ ქალაქიდან. შინაყმებს წესრიგში მოჰყავდათ საცხოვრებელი სახლი. მონები რეცხავდნენ იატაკს, მტვერს ასუფთავებდნენ და ავეჯს ალაგებდნენ. როზა და ანდრე სწორედ იმ სასტუმროში ფუსფუსებდნენ, სადაც მრავალი ამბავი დატრიალდა: ამაღელვებელიც და სამარცხვინოც.

რა ბედი ეწიათ იზაურასა და მიგელს რესიფედან ჩამოყვანის შემდეგ? რას უმზადებდა თავის მსხვერპლს ლეონსიო? ან როგორ შეურიგდა ის თავის მეუღლეს? ჩვენ სწორედ ამ ამბებზე გვინდა შევჩერდეთ, ვიდრე თხრობას გავაგრძელებდეთ.

ფაზენდაში ჩამოყვანისთანავე ლეონსიომ უმკაცრესად დასაჯა იზაურა — საპყრობილეში ჩააგდო და ყველაზე საიმედო დაცვას ჩააბარა. ასე მარტო იმისათვის კი არ მოიქცა, რომ სურდა სამაგალითოდ დაესაჯა ჭირვეული მონა. მონათმფლობელმა იცოდა, რა მგზნე-

ბარედ უყვარდა ალვაროს ქალიშვილი და ახსოვდა მისი სიტყვები. ეს სიტყვები დაუფარავ მუქარას შეიცავდნენ მის მიმართ. პერნამბუკუს მდიდარ და გავლენიან მცხოვრებს მრავალი შესაძლებლობა გააჩნდა თავისი დაპირების შესასრულებლად და შეეცდებოდა ძალით ან ეშმაკობით გაენთავისუფლებინა ტყვე. ამიტომ ლეონსიომ არა მარტო საიმედოდ ჩაამწყვდია ლტოლვილი, არამედ რამდენიმე მონა სხვა სამუშაოებიდან გაათავისუფლა და მათგან შეარჩიებული რაზმი ჩამოაყალიბა, რომელიც დღე და ღამე ისე ფხიზლად დარაჯობდა ფაზენდას, როგორც ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეს — გარნიზონი.

ყოველივე ამასთან ერთად, ფიცხი და სასტიკი გულის ფაზენდეროს ხელი არ აუღია თავის ზრახვებზე, რადგან ის ჯერ კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ დასძლევდა იზაურას სიმტკიცეს. ამისკენ ლეონსიოს იმდენად სიყვარული და ავსორცობა არ უბიძგებდა, რამდენადაც ტირანის თავხედური პატივმოყვარეობა და აკვიატებული წადილი შური ეძია უფრო იღბლიან მეტოქეზე. განაწყენებულ მონათმფლობელს სრულიად დააკმაყოფილებდა ამაყ ქალწულს მხოლოდ ერთი დღით დაუფლებოდა, ხოლო შემდეგ პატივაყრილი და წაბილწული ალვაროსთვის მიეგდო და თან აგდებულად ეთქვა: „შეგიძლია იყიდო ეს გომბიო, მე ის აღარ მჭირდება და მზად ვარ იაფად დაგითმო“.

ამიტომ ლეონსიომ ფაზენდაში ჩამოიყვანა თუ არა იზაურა, დაიწყო დაპირებების, ცდუნებების და აღთქმის ხელახალი კომპანია, რომელსაც მალე მუქარა მოჰყვა. უხეში ძალადობის გამოყენებას ახალგაზრდა კაცი ვერ ბედავდა, იმიტომ კი არა, რომ სისასტიკე არ ყოფნიდა. არა, იცოდა იზაურას მტკიცე ხასიათი და გრძნობდა — ასეთ საშუალებას ქალიშვილის სიკვდილი მოჰყვებოდა. ეს კი ვერაფრით დააკმაყოფილებდა ვერც მონათმფლობელის ვნებას და ვერც მის შურიესძიების მისწრაფებას. გარდა ამისა, ლეონსიო მიხვდა, რომ თავისი ჩანაფიქრის შესასრულებლად ის აუცილებლად უნდა შერიგებოდა მალვინას. რა თქმა უნდა, მას სინდისი ან ცოლქმრული სიყვარული არ ამოძრავებდა. ის ამას შეგნებულად, ანგარების მიზნით სჩადიოდა, რასაც მკითხველი მალე გაიგებს.

ჩამოყალიბებული თვალთმაქცი, ლეონსიო, ზედმიწევნით კარგად ფლობდა ტყუილს, ცილისწამებასა და მლიქვნელობას. ამიტომ მალვინას წინაშე ერთობ დამაჯერებლად გაითამაშა დარცხვენა და სინანული, რის შემდეგ დაიფიცა, რომ ეცდება წარსული ახირებული

და თავნება საქციელი გამოისყიდოს მომავალში უმწიკვლო ყოფაქცევით. ლეონსიომ გულწრფელად მოინანია და აღიარა, რომ ის ცოტ-ხანს, მართლაც, მოხიბლული იყო იზაურას სილამაზით. მაგრამ ეს იყო დროებითი ცთუნება, რომელმაც მის გულში არავითარი კვალი არ დატოვა. მას არც ის დაავიწყდა იზაურასათვის გადაესხა საკმაო ჭუჭყი, მალვინას მოახსენა, რომ იზაურა, მართლაც, გაქნილი მაცდურივით იქცეოდა, ცდილობდა შეეცდინა პატრონი, და ამ გზით მიეღო თავისუფლება. ლეონსიომ ათასი ტყუილი მოიგონა და როგორც იქნა, დაარწმუნა მალვინა, რომ რაკი ვერ შეძლო ბატონის ცდუნება, იზაურა თავის შეყვარებულთან ერთად გაიქცა. სწორედ ამ შეყვარებულმა იშოვა ფული მის გამოსასყიდად, მაგრამ როცა ეს არ გაშოუვიდა, რესიფეში გაქცევა მოაწყო. ქალაქში ჩასვლისთანავე, ქალმა ახალი მფარველი გაიჩინა — მდიდარი და თავქარიანი ახალგაზრდა, რომელსაც ისე აუბნია გონება, რომ საბრალო მის ცოლად შერთვასაც აპირებდა. იმ გადარეულმა გაიგო მისი ვინაობა, მაგრამ მაინც აპირებს მის უკანონო განთავისუფლებას.

გულუბრყვილო და დამჯერე მალვინამ, რომელსაც ფაქიზი, მიმტევებელი გული ჰქონდა, ბოლომდე დაიჯერა ქმრის ნათქვამი და შეურიგდა მას. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ლეონსიო იმდენად წარსულ ცოდვებს კი არ ინანიებდა, რამდენადაც ცოლს თავისი მომავალი მიზნებისათვის ამზადებდა.

თავიდან მალვინა მწყარალად უყურებდა იზაურას. გასაგები და ბუნებრივი იყო მისი მრისხანება, რომელიც, სხვათა შორის, ალბათ, მალე გაიფანტებოდა, მაგრამ ლეონსიო სულ სხვას ფიქრობდა და მოხერხებულად აღვივებდა მას. მისი წყალობით მალვინას გულში მალე ისეთი გრძნობა დაიბადა, რომელშიც ერთმანეთს შეერწყა ბრაზი, ზიზღი და სიბრალული. ასეთ გრძნობას კი ახალგაზრდა ქალბატონი ნებისმიერი თავხედი მონის მიმართ განიცდიდა. ლეონსიოს ჩანაფიქრისათვის ეს სავსებით საკმაო იყო. ფაზენდეირომ იცოდა, რომ ფაქიზი სულის პატრონი მალვინა იზაურას ფიზიკური დასჯის ნებას არ მისცემდა, ამიტომ გადაწყვიტა მტკივნეულად დაემცირებინა ჭირვეული მონა.

— რას უპირებ იზაურას? — ჰკითხა მალვინამ ქმარს.

— უნდა გავათხოვო და გავანთავისუფლო, — დაუდევრად უპასუხა ლეონსიომ.

— შენ უკვე მოძებნე მისთვის საქმრო?

— განა მონისათვის ასე ძნელია საქმროს პოვნა? მე ფაზენდიდანაც კი არ გავსულვარ.

— გინდა რომელიმე მონას მიათხოვო? — შენ ძალზე ულმობელი ხარ, ლეონსიო...

— ასეთ შემთხვევაში მეორე მონის განთავისუფლება მომიწევდა. სხვათა შორის, მე ვიფიქრე ანდრეზე... იმ გაიძვერას სული მისდის იზაურასათვის. სწორედ ამიტომაც ვერ მიიღებს. არის უკეთესი საქმრო და თანაც — თავისუფალი.

— ვინ არის ასეთი, ლეონსიო?

— ნუთუ ვერ ხვდები? — ბელშიორი.

— ბელშიორი?! — მალვინა ლამის სიცილისაგან დაიხრჩო. რას მეხუმრები... ვინ არის, სერიოზულად გეკითხები?

— მეც სერიოზულად გეუბნები — ბელშიორი.

— შენ ფიქრობ, რომ იზაურა დათანხმდება?

— არ დათანხმდება და თავის თავს დააბრალოს. თავისუფლებას ვერ მიიღებს და სიცოცხლის დარჩენილ დროსაც ბორკილებში გაატარებს.

— ო, რა დაუნდობელი ხარ... რათ უნდა თავისუფლება, თუ თვითონ არ აირჩევს საქმროს? უბრალოდ გაანთავისუფლე და ვისაც უნდა იმას გაჰყვეს.

— მაშინ ის არავისაც არ გაჰყვება. საკმარისია გავანთავისუფლო და პირდაპირ რესიფეში ამოყოფს თავს. თავის თავხედ საყვარელს ჩაეკონება და იქიდან ორივე დამიწყებს დაცინვას.

— შენ ეს რატომ გაღელვებს ასე? — რაღაც ეჭვით იკითხა მალვინამ.

— რატომ მაღელვებს? — კითხვა დაუბრუნა შეცბუნებულმა ლეონსიომ და პასუხი დაუგვიანა. — როგორ თუ არ უნდა მაღელვებდეს! ის ტიპი ისე დამცინოდა, როცა იზაურას მოცემა არ უნდოდა! შეურაცხყოფაც კი მომაყენა. დედაჩემის ანდერძი რომ არა, მე არც კი გავანთავისუფლებდი ამ გომბიოს, თუნდაც იმიტომ, რომ კუდაბზიკობა დავავიწყო ამ თავხედს.

— კეთილი, ლეონსიო, მაგრამ, მე მაინც მგონია იზაურა, უმალვე ცოცხლად დაიმარხავს თავს, ვიდრე ბელშიორს გაჰყვება ცოლად.

— ამაზე ნუ იდარდებ, ძვირფასო. ჩვენ დავარწმუნებთ გოგოს, რომ ჯვრისწერა მისთვის ხელსაყრელია, — მე მშვენიერი გეგმა მაქვს.

— რას იზამ, თუ ის დათანხმდება, მე წინააღმდეგი არ ვიქნები.

ლეონსიომ, მართლაც, საგულდაგულოდ მოამზადა ეშმაკური გეგმა. რესიფედან იზაურასთან ერთად დაპატიმრებული მიგელიც ჩამოიყვანა და უბედური პორტუგალიელი მონათმფლობელმა კამპუსის ციხეში ჩაამწყვდია. უფრო მეტიც, მან მიაღწია სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც, მიგელი ვალდებული იყო აენაზღაურებინა მათ დაჭერასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. ეს კი მნიშვნელოვან თანხას შეადგენდა. ამის შედეგად, საბრალო ქალიშვილის მამამ არა მარტო დაკარგა მთელი თავისი დანაზოგი, არამედ დიდი ვალიც დაედო, რომლის გადახდას ის მხოლოდ ხანგრძლივი შრომით შეძლებდა. საბრალო პორტუგალიელს ბრძოლის არავითარი საშუალება არ გააჩნდა მდიდარ და გავლენიან ფაზენდეიროსთან, რომელიც მინისტრებთანაც კი მეგობრობდა.

მას შემდეგ, რაც ვერ შეძლო იზაურას ჯიუტობა დაპირებებითა და მუქარით გაეტეხა, როცა ყოველგვარი იმედი დაკარგა, ლეონსიომ გადაწყვიტა თავისი გეგმის გამოყენება და ციხეში მიგელის სანახავად გაემართა.

— სენიორ მიგელ, — თავაზიანად მიმართა მონათმფლობელმა ჰუჰყიან საკანში ტუსაღს. თქვენი და თქვენი ქალიშვილის მიერ მოყენებული ზარალისა და მღელვარების მიუხედავად, მე თქვენს მიმართ ქრისტიანულ სიბრალულს განვიცდი. ამიტომ მსურს ორივეს დაგეხმაროთ და თან ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს იმ შფოთსა და არეულობას, რომელიც იზაურას შემოაქვს ჩემს სახლში.

— მე მზად ვარ გელაპარაკოთ, სენიორ ლეონსიო, თუ თქვენი წინადადება პატიოსანი და ღირსეული იქნება. — მორიდებით უპასუხა პორტუგალიელმა.

— რასაკვირველია, ამაზე ნუ იდარდებთ, — სასწრაფოდ დაარწმუნა ლეონსიომ. — მე მინდა, რომ თქვენი ქალიშვილი ცოლად გაჰყვეს ღირსეულ ადამიანს, ამასთან, თავისუფლებასაც მიიღებს. მაგრამ თქვენი დახმარება მჭირდება.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — გამოცოცხლდა მიგელი.

— იზაურა ,შესაძლოა, რაღაცნაირ მტრობას გრძნობდეს იმ კაცის მიმართ, ვინც მე მის საქმროდ ავირჩიე. ამის მიზეზი იმ სულელურ და უზნეო გატაცებაში იმალება, რომელსაც თქვენი ქალიშვილი. როგორც ჩანს, კვლავ განიცდის იმ რესიფელი ფრანტის მიმართ, მან ხომ ასე აუბნია თავგზა თავისი სულელური დაპირებებით.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ იზაურა იმ ახალგაზრდა კაცი მხოლოდ მადლიერების გრძნობით იხსენებს.

— რაში სჭირდება მას ეს მადლიერება! ნუთუ, თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი ქალიშვილი მისთვის რამეს წარმოადგენდა? ნახშარი წალის ფასადაც არ ულირდა. ისე, სასხვათაშორისოდ, წამიერი გატაცება იყო იმ მოყირჭებული არშიყისა, გახურებული გონების ნაყოფი. თვითონ განსაჯეთ, აი, ნახეთ წერილი. კეთილშობილი სენიორ ალვარო უსაზღვრო თავხედობით მატყობინებს, რომ ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, იზაურას კი მოახლედ წაყვანას უპირებს. როგორი ცინიზმია, ჰა?

— ეს ნამდვილად ასეა, სენიორ? ვინც სენიორ ალვაროს იცნობს, ამას ვერ დაიჯერებს.

— თვითონ წაიკითხეთ. ხელწერა მგონი, თქვენთვის ნაცნობია... — ამ სიტყვებით ლეონსიომ დაუდევრად მიაწოდა წერილი. ეს მისი ხელია, — წარმოთქვა წერილია ‘ინაარსით გაოგნებულმა მიგელმა. — რამდენი უნამუსობაა ამ ქვეყანაზე — ნაღვლიანად დაამატა მან ბოლოს. საწყალმა კაცმა რა იცოდა, რომ წერილი დახელოვნებული ყალბისმქმნელის მიერ იყო შედგენილი.

— იმედი მაქვს ამ გაკვეთილს არ დაივიწყებთ, სენიორ მიგელ. წერილი კი თქვენ გქონდეთ. ქალიშვილს აჩვენეთ. მისთვის უმჯობესია სიმართლე იცოდეს და ნუ შეცდება ადამიანში. რომელმაც ასე დაუფიქრებლად დაუბნელა გონება. თქვენ კი თქვენი მხრით, ეცადეთ ქალიშვილი ხელსაყრელ ქორწინებაზე დათანხმოთ. თუ ამ საქმეს მოახერხებთ, მე არც ვალს გამოგართმევთ და გადახდილ ფულსაც დაგიბრუნებთ. გახსნით რაიმე საქმეს კამპუსში და იცხოვრებთ ბედნიერად ქალიშვილთან და სიძესთან ერთად.

— კეთილი, — თავი დაუკრა მიგელმა. — მაგრამ მაინც ვინ იქნება სიძე? თქვენ არაფერი გითქვამთ მასზე.

— მართალი ხარ ,დამავიწყდა. ბელშორი, ჩემი მეგობარი. თქვენ მგონი იცნობთ მას?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა დარეტიანებულმა პორტუგალიელმა. — მომისმინეთ, სენიორ, თქვენ ნამდვილად აპირებთ ჩემი შვილი მახინჯს გააყოლოთ? საბრალო იზაურა! განა ის დათანხმდება?

— მე ვფიქრობ, თქვენ ძალიან აზვიადებთ გარეგნობის მნიშვნელობას. მთავარია, რომ ბელშორს კეთილი გული აქვს. ის პატიოსანი კაცია და კარგი მშრომელი.

— ყველაფერი მართალია, მაგრამ დაგვთანხმდება ამაზე იზაურა?

— ო, თუ მამა დაარწმუნებს არჩევანის სისწორეში?

— ვეცდები, სენიორ, მაგრამ თქვენ ხომ იცით, ის თავნება გოგოა, თანაც განათლებული.

— თუ გაჯიუტდება, — შეაწყვეტინა მოსაუბრეს ლეონსიომ, — თქვენთვის, ორივესთვის იქნება ცუდი.

მიგელმა მწუხარებით დააქნია თავი. ქალიშვილის დაჭერამ და საკანში ჩასმამ დაამსხვრია მისი იმედები. მომავალი სიღარიბე ათასი უბედურებით იყო მოცული და მასში შიშისა და განადგურების გრძნობას იწვევდა, ამიტომ გულქვა მონათმფლობელის მიერ გადაწყვეტილი საფასური, მას არც ისე მძიმედ ეჩვენა ,ოღონდ ქალიშვილი თავისუფალი ენახა და მასთან ერთად უზრუნველად გაეტარებინა დარჩენილი სიცოცხლე.

თავი XX

იმ დროს, როცა როზა და ანდრე მხიარულად ლაზღანდარობდნენ და სასტუმროს ალაგებდნენ, მონათა ქოხმახების გვერდით, სადაც ორი თვეა იტანჯებოდა ჯაჭვით კედელზე მიბმული იზაურა, ნაღვლიანი და გულისამაჩუყებელი სცენა თამაშდებოდა. ლეონსიოსბრძანებით მოსული მიგელი ცდილობდა ქალიშვილი ბელშიორთან ჯვრის წერაზე დაეყოლიებინა. სავალალო სანახავი იყვნენ ჩვენი გმირები. გაფითრებულნი, თავდატეხილი უბედურებით ღონემიხდილნი და დათრგუნვილნი, ისინი გაფაციცებით შესცქეროდნენ ერთმანეთს აშმორებული სარდაფის სიბნელეში. დამცირებული და გაუბედურებული მამა-შვილი პირველად შეხვდა ერთმანეთს ბოლო ორი თვის მანძილზე, ამიტომ ასე უხმოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს და მერე დიდხანს უყურებდნენ ცრემლმორეული თვალებით.

— კი, შვილო, შენგან დიდ მსხვერპლს მოითხოვენ, მაგრამ უნდა დაემორჩილო... სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს. სხვანაირად მთელ შენს სიცოცხლეს ჯაჭვზე მიბმული გაატარებ... — განწირული ხმით წარმოთქვა მიგელმა.

— ჯალათი მე ორი სახის მონობას მთავაზობს და ვინ იცის, რომელი მათგანი იქნება უფრო მწარე... ამოიოხრა იზაურამ. ამბობენ, რომ მე ლამაზი ვარ, სენიორას შესაფერისი განათლება მივიღე. მე მინერგავდნენ ქალური სიამაყის და უმწიკვლობის გრძნობას, ახლა კი... ახლა სურო უბადრუკ კუზიანს მაჩუქონ? მხიარული ქორწილი

კი მექნება... — იზაურას გაფითრებულ ბაგეს მწარე სიცილი მოსწყდა. რომელმაც სასაფლაოზე შუაღამის ჭოტის კივილი გაახსენა მამას.

— არც ისე საშინელია ყველაფერი ,როგორც შენ გეჩვენება შვილო. — მიგელმა სცადა ქალიშვილის დაწყნარება. დრო კურნავს ჭრილობებს და ადრე თუ გვიან შენც შეეჩვევი ახალ ცხოვრებას. ის კ' ბევრად უკეთესი იქნება, ვიდრე ეს ჯოჯოხეთური წამება... ღმერთ' პატრონია, მე და შენ ბედნიერად თუ არა, თავისუფლად მაინც ვ' ცხოვრებთ...

— ჩემთვის თავისუფლება მხოლოდ სამარეში იქნება. მამა. ჩემ' პატრონის მიერ შემოთავაზებული ორი გზის გარდა, მე მესამესაც ვხედავ... ღმერთი მას იმ უბედურთათვის ინახავს, ვისაც სხვა გამოსავალი აღარა აქვს...

— მხედველობაში სრული მორჩილება გაქვს, შვილო?

— როცა მორჩილება შეუძლებელია, მამა, მხოლოდ სიკვდილ' შეუძლია...

— გაჩუმდი, შვილო! — შეაწყვეტინა მიგელმა ქალიშვილს. — ღმერთს ნუ სცოდავ, გონებას მოუხმე. შენ უნდა იცოცხლო! ნუთუ გეყოფა სითამამე მარტოობასა და სიღარიბეში დააგდო მოხუცი მამა?

— მაპატიეთ, მამა... რა თქმა უნდა, მე უნდა ვიცოცხლო, თუნდაც თქვენი გულისთვის... მაგრამ, ნუთუ ამისათვის მახინჯს უნდა გავყვე ცოლად? მიჯობს საუკუნოდ დილეგში ჩამაგდონ ან სიკვდილამდე პლანტაცია მათოხნინონ თაკარა მზის ქვეშ!

— ჰო, ბელშიორი არც ისე მახინჯია, შვილო... დროთა განმავლობაში მიეჩვევი, მე ის დიდი ხანია არ მინახავს, მგონი, გაიზარდა კიდეც. ის ხომ ჯერ ახალგაზრდაა. არც მანერები აქვს ცუდი. კეთილი, გულიანი კაცია... ასე რომ, გული გაიმაგრე შვილო. შენ თავს დააღწევ ამ წყეულ დილეგს, თავისუფლების სიო სიცოცხლის ხალისს დაგიბრუნებს. ასეთი ქმრის ხელშიც შეიძლება ბედნიერად ცხოვრება.

— ბედნიერად? — იზაურას მწარედ გაეღიმა. ბედნიერებაზე ნუ მელაპარაკები მამა. გული მაინც მქონდეს თავისუფალი... ისიც ალვაროს ეკუთვნის. მას ვუყურებდე, თუნდაც მონა ვიყო მისი — აი, ეს იქნება ჩემთვის ბედნიერება! ვაი მე, უბედურს! მაქვს კი მასზე ფიქრის უფლება ?ან ახსოვს კი მას უბედური მონა?

— არა ღირს, შვილო, მასზე ფიქრი. თავიდან მოიშორე ეს სისულელე. ნუღარ გექნება მეტი სენიორ ალვაროს იმედი.

— რატომ, მამა? განა შემიძლია მისი სიყვარულის დავიწყება?

სიყვარული, სიყვარული... შენს დაბამცრებელ ოცდაოთხ-ბაში, განა შეიძლება იფიქრო ასეთი წარჩინებული ბატონის სიყვარულზე? თქვენს შორის უფსკრულია. შეიძლება მას მართლაც უყვარდი, ოდნავ, მაგრამ ეს უფრო ჟინი იყო, ბატონკაცური გატაცება... ძნელია ამის თქმა შვილო, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება...

— რას ლაპარაკობ, მამა?! თითოეული სიტყვა დანასავით მესობა გულში! ამას მერჩია, იმედი მქონოდა, რომ მას ისევ ვუყვარვარ...

— რა თქმა უნდა, შვილო, მაგრამ შენ უნდა იცოდე ყველაფერი, ის კაცი...

— რა ის კაცი? — აკანკალებული ხმით იკითხა იზაურამ. თქვი, მამა, ის... მოკვდა?

— არა, ჩემო შვილო. მას... ცოლი მოჰყავს.

— ცოლი? ალვარო ცოლს ირთავს?.. არა, ეს შეუძლებელია! შენ საიდან იცი?

— თვითონ იწერება. — ამოიოხრა მიგელმა, — აი, წაიკითხე...

იზაურამ აკანკალებული ხელით აიღო წერილი და სწრაფად გადაავლო თვალი. ხმაც არ ამოუღია და ცრემლიც არ ვადმოუგდია, თვალები გაუშტერდა, ტუჩებზე უჩვეულო ღიმილი შეეყინა. რამოდენიმე წუთს იგი მონუსხულივით უმოძრაოდ იდგა. შემდეგ კი გულამოსკვნით ატირდა.

მამის მკერდზე დაღვრილმა ცრემლმა ქალიშვილს ტანჯვა შეუმსუბუქა. ბოლოს ცრემლები მოიწმინდა და სიმშვიდე დაიბრუნა — ცივი, სასაფლაოს სიმშვიდე. გეგონებოდათ, საბედისწერო დარტყმამ გაანადგურა ადრინდელი იზაურა, მის მაგიერ მხოლოდ გარსილა დარჩა — მოჩვენება... — ყველაფერი გათავდა, მამა, — წაჩურჩულა მან. — მე სული მომიკვდა. ხორცს რაც გინდა, უყავით.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

— გულს ნუ გაიტეხ, შვილო. — ლუღლუღებდა მიგელი და შუბლზე კოცნიდა იზაურას. — მოგვარდება, ყველაფერი მოგვარდება...

კეთილი გულის პატრონი მიგელი, მაინც უბრალო და პრაქტიკული კაცი იყო. მას ვერაფრით ვერ გაეგო ქალიშვილის სასიყვარულო ტრაგედიის მთელი სიღრმე და მისგან გაღებული განუზომელი მსხვერპლი. ის ბედნიერებას მიწიერი თვალსაზრისით უყურებდა და იმედი ჰქონდა, რომ იზაურას ოდესმე ბედნიერი და წყნარი ოჯახუ-

რი ცხოვრება ექნებოდა. მამას არ ესმოდა, რომ შემოთავაზებული ქორწინება ქალიშვილს გულს უთუთქავდა და სულიერად ამცირებდა.

ამასობაში ბატონების სასახლის სასტუმრო დარბაზში მალვინა შემოვიდა. მან იცოდა მიგელის მოსვლის ამბავი და იზაურასთან საუბრის შედეგებს ელოდა სასტუმროში. როზა და ანდრეც აქ იდგნენ ისევ და მზად იყვნენ ქალბატონის ყველა ბრძანების შესასრულებლად.

როდესაც კარები გაიღო და მიგელმა ხელმოკიდებული იზაურა შემოიყვანა ოთახში, მალვინას გული წამიერად შეეკუმშა. თმებაწეწილი, სახეზე მკვდრის ფერითა და უღიმღამო, არაფრისმთქმელი თვალებით, ყოფილი მოახლე გაუბედავი ნაბიჯით შემოვიდა სწორედ იმ დარბაზში, სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, როიალის ჰანგებთან ერთად, მისი სიმღერაც იღვრებოდა... მაგრამ ახლაც კი, ასეთ მდგომარეობაში. საბრალო ტყვე მაინც მშვენიერი იყო. გამხდრობამ ოდნავ გამოკვეთა სახის ნაკვთები და უფრო ხაზს უსვამდა მის სილამაზეს. დიდრონი, ფართოდ გახელილი და უძრავი თვალები ბნელ ეკლესიაში დანთებული სანთლებივით კიაფობდნენ. აწეწილი, დაუვარცხნელი თმა უწესრიგოდ, ანტიკური ქანდაკების ძველებურ მარმარილოს შემოხვეული სუროს ახალგაზრდა ყლორტებივით ეფინებოდა სახის ირგვლივ. ვერც ერთი თანამედროვე მოქანდაკე ვერ იტყოდა უარს ასეთი მშვენიერი სახის ქვაში გამოკვეთაზე...

— საცოდავი იზაურა... — მალვინას თვალზე ცრემლი მოერია და თითქმის უკვე მზად იყო ქმრის წინაშე ეშუამდგომლა ყოფილი მოახლისათვის, მაგრამ ახალგაზრდა ქალბატონს გაახსენდა ქმრის მიერ მონაყოლი იზაურას უწესო საქციელი, მისი უზნეო მიდრეკილებები და გადაწყვიტა გულგრილობა გამოეჩინა.

— აბა, იზაურა, მზადა ხარ ცოლად გაჰყვე იმ კაცს, რომელიც შენმა ბატონებმა შეარჩიეს შენს მეუღლედ? — უშფოთველად იკითხა მალვინამ.

უბედურ ქალიშვილს თავი დაექინდრა და ხმას არ იღებდა.

— დიახ, სუნიორა, — უპასუხა მიგელმა მის მაგიერ. — ის ეთანხმება თქვენი მოწყალების ნებას.

— ძალიან კარგი. ჩემთვის მეტად ძნელია ვუყურო, როგორ იტანჯება გოგო საპყრობილეში და ვიდრე მე ვარ აქ დიასახლისი, ვერ დავეთანხმები ასეთ მდგომარეობას. ჩემი დედამთილი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ამისთვის არ ზრდიდა მას ასეთი სინაზითა და სიყვარულით. — მალვინამ მზერა ქალიშვილზე გადაიტანა. — მაშ ასე,

იზაურა .შენი შეუფერებელი საქციელის მიუხედავად, მე შენი ბედნიერება მსურს და მინდა შენი ცხოვრება სასიკეთოდ შემოვაბრუნო. მე და სენიორ ლეონსიო ერთდროულად თავისუფლებასაც გაძლევთ და მშვენიერ საქმროსაც.

— მშვენიერს?.. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება... წაიჩურჩულა ქალიშვილმა.

— მე ბელშიორი სავსებით შესაფერი მგონია შენთვის. ალალი, შრომისმოყვარე და კეთილი ახალგაზრდაა. დარწმუნებული ვარ, შენ მასთან კარგად იქნები. გარდა მაგისა, თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს. ასე არ არის?

იზაურა უთქმელი შიშით შესცქეროდა ქალბატონს.

— მაშ ასე, მოვილაპარაკეთ. მე ვხედავ, შენ გონიერი და დამჯერი გოგო ხარ. ანდრე! — ლაქიას ადუძახა მალვინამ, — ბელშიორს დამიძახე. პირადად მინდა ვუთხრა, რომ მისი დიდი ხნის ოცნება ასრულდა. ვფიქრობ, სენიორ მიგელი კმაყოფილია ქალიშვილის გაბედნიერებით: ის მიიღებს თავისუფლებას და ცოლად გაჰყვება თეთრკანიანს, ეს ბევრად უმჯობესია, ვიდრე ქვეყანაში აქეთ-იქით ლტოლვილად ხეტიალი. ჩემი კეთილი განწყობა რომ დაგიმტკიცო, იზაურა, შენი მდადე ვიქნები.

ამ სიტყვებზე მალვინამ მაგიდაზე მდგარი კოლოფი გახსნა, იქიდან ძვირფასი ოქროს ყელსაბამი ამოიღო და გაუნძრევლად მდგარ მონას ყელზე გაუკეთა.

— აი, ჩემი საქორწინო საჩუქარი, — დაუმატა დიასახლისმა.

— მადლობას მოგახსენებთ, ქალბატონო, — როგორც იქნა უპასუხა იზაურამ, გულში კი გაიფიქრა: ჯალათებს თოკიც მზად ჰქონიათ მარყუჟის შესაკვრელად.

უცებ კარები გაიღო და ოთახში ბელშიორი შემოვიდა ანდრეს თანხლებით.

— აი ,მეც აქა ვარ, რას ინებებთ თქვენი უბადრუკი მსახურისაგან? — განაცხადა მან.

— მე მინდა მოგილოცოთ, ბელშიორ — საზეიმოდ წარმოთქვა მალვინამ.

— მომილოცოთ?.. რას მილოცავთ?

— შემიძლია გითხრათ. იზაურა თავისუფლებას ღებულობს და.. დანარჩენს თქვენ თვითონ მიხვდებით.

— ნუთუ ის აქედან წავა? რა უბედურებაა!

— როგორი მიუხვედრელი ყოფილხართ არა, იზაურა არსად არ მიდის, მან გადაწყვიტა თქვენი ცოლი გახდეს.

— ოჰ, რასა ბრძანებთ, ქალბატონო? როგორ დავიჯერო? თქვენ, ალბათ, დამცინით მე, საცოდავ მებაღეს...

— მე თქვენ სიმართლეს გეუბნებით, ბელშიორ, აი, იზაურა, აქ არის და მზადაა თავისი გადაწყვეტილება დაადასტუროს. ასე რომ, გაემზადეთ, მალე, შესაძლოა ხვალვე, თქვენს ქორწილს გადავიხდით.

— ო! ქალბატონო! რითი გადაგიხადოთ მადლობა? — ლუღლუღებდა გაოცებული ბელშიორი, მალვინას ფეხებში ჩაუვარდა და ცდილობდა დაეკოცნა. რა ბედნიერებაა..

— ადექით, ბელშიორ, მადლობა იზაურას უთხარით.

მებაღე წამოდგა ფეხზე და ახლა იზაურას წინ დაიჩოქა.

— ო, ჩემი ოცნების პრინცესა! — მხურვალედ შესძახა კუზიანმა და ქალიშვილს ფეხებზე მოეხვია. საბრალო, ღონემიხდილმა ქალიშვილმა წონასწორობა დაკარგა და კინაღამ იატაკზე დაეცა.

ადამიანს, რომელმაც არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, ეს სურათი ღიმილს მოჰგვრიდა.

— ო, ღვთაებრივო იზაურა, — განაგრძობდა ბელშიორი, — რატომ არ უყურებ შენს ყურმოჭრილ მონას? ხელი მომეცი, რომ დაგიკოცნო...

— ღმერთო, რა საშინელი ფარსია, — ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ქალიშვილმა, გვერდით შეტრიალდა და ხელი ბელშიორს გაუწოდა, რომელმაც მისი ლოშნა დაიწყო დაუყოვნებლივ.

— ერთი შეხედე, რა ჩერჩეტია, — წყნარად ჩასჩურჩულა კარებთან მდგარმა ანდრემ როზას. — მართალი უთქვამთ — ერთხელ ნეხვიც აუვავდებაო!

— ადრე მეც მინდოდა რომელიმე რეგვენს გავყოლოდი ცოლად — გამოეპასუხა მოახლე.

— ჩვენს ბატონს პირდაპირ სატანური ჩანაფიქრი აქვს, — განაგრძო ანდრემ. — მოგონება არ უნდოდა: ასეთი მზეთუნახავი — და ამ მახინჯს!

— ე, შენ უბრალოდ შურიანი ხარ! შენც ინატრებდი მის ადგილზე ყოფნას და იზაურას ხელებს კოცნას. მაგრამ საქმე დამთავრებულია, ისლა დაგრჩა, ბატონმა მზითევში გაგაყოლოს იზაურას...

— ვითომ რა? უარს არ ვიტყოდი! სანაძლეოს ჩამოვალ, გოგო ძალით გაათხოვეს ამ მახინჯზე. ასე რომ, მერე... ჩვენ მოვრიგდებოდით და გავაცურებდით ამ კუზიანს.

— უ. რა ტრაბახა ხარ! რათა გგონია, რომ იზაურა მერე შენ აგირჩევს?

— კარგი, კარგი, წინასწარ ნუ ეჭვიანობ. ბოლოს და ბოლოს არა უშავს .შენც კარგი გოგო ხარ.

— გაგისკდეს თავი. ენა გააჩერე, ჩუმად ილაპარაკე, თორემ ქალბატონი გაიგებს...

თავი XXI

— მისმინე, ლეონსიო, ყველაფერი მოაგვარე, რომ დღესვე დავამთავროთ ეს საქმე? — ჰკითხა მალვინამ მეუღლეს მეორე დილით.

— რა იყო ძვირფასო, შენ უკვე მესამედ მეკითხები ამის შესახებ. — სიცილით უპასუხა ლეონსიომ. — მეც მზადა ვარ, მეასედ გიპასუხო — ყველაფერი მოგვარებულია. ჯერ კიდევ გუშინ კაცი გავაგზავნე კამპუსში და იქიდან სადაცაა ჩამოვა ნოტარიუსი და შეადგენს იზაურას განთავისუფლების ცნობას. მღვდელიც ჩამოვა ჯვრის დასაწერად. ხომ ხედავ, არაფერი დამვიწყებია. მართლა, არ დაგავიწყდეს, უბრძანე სამლოცველო მოამზადონ ჯვრისწერისთვის. მგონი, ამათ ქორწინებას უფრო მოუთმენლად ველით, ვიდრე საკუთარს, — ღიმილით დაამატა ლეონსიომ.

მალვინა გავიდა სასტუმრო დარბაზიდან, სადაც ლეონსიო, ჩვენი მოთხრობის კიდევ ერთ გმირთან საუბრობდა. ამ კაცს სახელად ჟორჟეს ეძახდნენ. ის ეკუთვნოდა სამადლოდ სარჩენ მუქთახორა ადამიანების იმ პროფესიონალთა რიცხვს, რომლებიც განუყრელად გარს ახვევია მდიდრებს.

ასეთი ადამიანთა ტიპები მრავალფეროვანია და თითოეულ მათგან თავისი განმასხვავებელი თვისებები აქვს. ჟორჟე იყო წარმოსადეგი, დაუზარელი, თავაზიანი და მახვილგონიერი მამაკაცი, ესე იგი, გაჩნდა მუქთახორა ადამიანის ყველა საჭირო თვისება. უნდა აღინიშნოს ,რომ ეს პარაზიტი ერთი ხის წვენით კი არ იკვებებოდა, არამედ არჩევდა ერთი პატრონიდან მეორესთან ხეტიალს. მას ეს ტაქტიკა კარგად ჰქონდა მოფიქრებული ,რაც საშუალებას აძლევდა იოლად და ხალისიანად ეცხოვრა. ამასთან. არც თავს აბეზრებდა მრავალრიცხოვან მდიდარ ნაცნობებს. ჟორჟეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველა მემამულესთან, რომლებიც მდინარე პარაიბას ნა-

პირებზე ცხოვრობდნენ საო-ჟოაო-დაბარადან საო-ფიდელისამდე. გარეგნულად მუდამ ათასი აუცილებელი საქმით დაკავებული, ჟორჟე ყოველთვის მზად იყო, ნებისმიერი მეგობრის თხოვნით, გვერდზე გადაედო ისინი და მასთან გაეტარებინა რამდენიმე დღე.

როდესაც ლეონსიო მალვინასთან ჩხუბის შემდეგ მარტო დარჩა, ჟორჟეს სახით მან მშვენიერი კომპანიონი შეიძინა. ეს კაცი მზად იყო ფაზენდის პატრონთან ეთამაშა ბანქო, მასთან ერთად ევლო სანადიროდ, სადილობისას უწმაწური ანეკდოტებით გაერთო და მონაწილეობა მიეღო სხვა შეუფერებელ გართობებში. ლეონსიოს მეგობრად მიაჩნდა ჟორჟე და გულახდილად უზიარებდა ყველა ოჯახურ ამბავს, მასთან ერთად აწყობდა მომავლის გეგმებს. მოდით, მოვისმინოთ, რაზე საუბრობს ეს ორი, ერთმანეთის სადარი არამზადა.

— ...ასე გადავწყვიტე ყველაფრის მოგვარება, ჩემო ჟორჟე, — ეუბნება ლეონსიო მეგობარს.

— დარწმუნებული ვარ ,რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა და მალე შემეძლება მოგილოცო შენი გეგმების დაგვირგვინება, — გამოეპასუხა ჟორჟე.

რა თქმა უნდა. ხომ ხედავ, იზაურას განთავისუფლებით და დაქორწინებით, მე, ცოლის ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებ: ქალიშვილი თითქმის უკვე აღარ არის ჩემს განკარგულებაში. მაგრამ მისი მამაცა და „ქმარიც“, აი, ასე მეყოლება! — ლეონსიომ ხელი მომუშტა. მერე კი შენ იცი: დროთა განმავლობაში ყველაზე ველური კვიციც გაიხედნება. ასე რომ, მეც კმაყოფილი ვიქნები და რაც მთავარია, მალვინაც. მასთან კი აუცილებლად მჭირდება კარგი დამოკიდებულება. საქმე იმაშია — მხოლოდ ჩვენ შორის დარჩეს — მე შენ გენდობი...

— რასაკვირველია — სწრაფად გამოეპასუხა ჟორჟე. — შეგიძლია ყველაფერი თქვა, თევზივით დავმუნჯდები...

— ჰო, მე, სიმართლე გითხრა, ყურადღებასაც არ მივაქცევდი ცოლის კაპრიზებს, ჩემი საქმე რომ არ იყოს აწეწილი. მრავალი სულელური გარემოების გამო, ჩემი ქონება საფრთხის ქვეშაა და მე არ ვიცი, შევძლებ კი მის გადარჩენას სხვისი დახმარების გარეშე. დახმარება კი სიმამრმა უნდა გამიწიოს...

— ფრიად გონივრული აზრია. შენ სიმამრსაც კარგად ვიცნობ. მისი სავაჭრო სახლი ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ რიო-დე-ჟანეი-

როში .ხომ არ დატოვებს თავის შვილს გასაჭირში ან დაუშვებს, რომ მისი ქმარი გაკოტრდეს?

— მეც ასე ვფიქრობ. მაგრამ არის კიდევ სხვაც. მომისმინე: იზაურას გათხოვებით მე აგრეთვე სამუდამოდ თავიდან მოვიცილებ იმ რესიფელ ფრანტს — ალვაროს. ხომ იცი, რამდენი უსიამოვნება მომაყენა, სხვისი მონების განთავისუფლებისათვის მებრძოლმა ამ ვაჟბატონმა. მას არათუ შერცხვა იზაურას მოტყუებისა, არამედ სახალხოდ მფარველობდა კიდეც. ახლა კი მას საბოლოოდ მოუწევს თავის პრეტენზიებზე უარის თქმა. აი, ხედავ, რამდენ რამეს ვუკავშირებ ამ ქორწინებას!

— მართლაც. დიდებული გეგმაა, — ამაყად განაცხადა ჟორჟემ.

— ყველაფერი ბრწყინვალედ მოგიფიქრებია. პოლიტიკას რომ მოჰკიდო ხელი, შენზე მალე მთელი მსოფლიო ალაპარაკდება. იმ „ახლად გამომცხვარ“ სხვისი მონების მოყვარულ დონკიხოტზე კი ჩვენ კიდევ ბევრს ვიცინებთ, თუ კვლავ ეცდება შენი გოგოს წართმევას.

— მართალი გითხრა, მე ეჭვი მეპარება, მაგრამ თუ დააპირებს ცხვირის ჩაყოფას...

მეგობრებს საუბარი ანდრემ შეაწყვეტინა. მან მოახსენა, რომ ფაზენდას ცხენოსანთა ჯგუფი უახლოვდებოდაა.

— ეს ალბათ, ისინი არიან, მე რომ დავიბარე: ნოტარიუსი, მღვდელი და კიდევ ვიღაც... თუმცა ისინი უფრო ადრე მოდიან, ვიდრე მე ველოდი, მაგრამ არა უშავს. ანდრე, სთხოვე ჩამოქვეითდნენ და აქ მოიყვანე.

როცა ანდრე გავიდა, ლეონსიომ ზარით როზა გამოიძახა.

— გეთაყვა, სთხოვე აქ მოვიდნენ სენიორა მალვინა, იზაურა, სენიორ მიგელი და ბელშიორი. მგონი, ისინი უკვე მზად არიან, — უთხრა მან და შემდეგ ჟორჟესკენ შემობრუნდა: — იცი, ერთი სული მაქვს მოვამთავრო ეს კომედია, მაგრამ, რაც შეიძლება საზეიმოდ უნდა მოვაწყო, რათა მალვინა გავახარო ჩემი გადაწყვეტილებით სერიოზულობით. სინამდვილეში კი მთელი ეს ქორწილობანა მხოლოდ ხუმრობაა. დარწმუნებული ვარ, იზაურას სულის სიღრმემდე ეზიზღება ეს საცოდავი მახინჯი, რომელიც მისი ქმარი მხოლოდ ქაღალდზე იქნება. მე კი წყნარად დაველოდები უკეთეს დროს, რომელიც იმედი მაქვს, შორს აღარაა.

— მე რომ მკითხო, ეჭვიც არ მეპარება, რომ მალე ეს გოგო მთლიანად შენი იქნება და შენც...

ჟორჟემ ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ სასტუმროს კარებში გამოჩნდა ელეგანტურ სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კავალერი. მის უკან კიდევ ჩანდა სამი თუ ოთხი კაცი. საუკეთესო განწყობილებაზე მყოფი ლეონსიო უცებ დაიძაბა.

— ეს... ისინი არ არიან, ვისაც მე ველი, — წაილუღლუღა მან, — მგონი... მგონი, ეს... ალვაროა!

— სენიორ ლეონსიო! — თავაზიანად დაუკრა თავი შემოსულმა.

— სენიორ ალვარო! — უპასუხა შეცბუნებულმა ლეონსიომ. — რა გაეწყობა, მოხარული ვარ თქვენი სტუმრობისა. ხომ არ დაბრძანდებით? თქვენ, ალბათ, ჩვენ მხარეში მოგზაურობა გადაწყვიტეთ? — ასეთი ბანალური შეკითხვებით ფაზენდის პატრონი ცდილობდა დრო მოეგო და გონზე მოსულიყო. ვითარების ასეთმა მოულოდნელმა შემობრუნებამ მას თავგზა აუბნია.

იმავ წუთს მეორე კარებიდან ოთახში შემოვიდნენ: მალვინა, იზაურა, მიგელი და ბელშიორი. ისინი მოსალოდნელი ცერემონიის შესაბამისად იყვნენ ჩაცმული.

— ღმერთო ჩემო, რა არის ეს?! — იზაურა ზღურბლზე გაშეშდა და მიგელს ხელი მოუჭირა. — ნუთუ მე ვცდები?! არა, ის არის, ის!

— კი, კი, შვილო, ეს სენიორ ალვაროა. რაშია საქმე?

— ო-ო! კიდევ ერთხელ ამოიოხრა იზაურამ და ამ ნაღვლიანი შეკივლებით, თითქოს უბედურებისა და დარდის ის მძიმე ტვირთი მოიხსნა, რომელიც გულზე აწვა ამდენი ხანი. მისი თითქოსდა სამუდამოდ გაფითრებული სახე, უცებ წითლად აღაჟღაჟდა. ცოცხლად დასამარხი ქალიშვილის თვალებში იმედის სხივი აკიაფდა.

— მე არ ველოდი, რომ პატივი მექნებოდა ჩემს სახლში მიმეღეთ, — გააგრძელა ლეონსიომ და საჩქაროდ მიიღო ამაყი და გულგრილი გამომეტყველება. — თუმცა, მიუხედავად ამისა, თქვენც უსწრ მოგილოცოთ და ჩემს თავსაც თქვენი ასეთი დროული გამოჩენა. ასეთი პატივსაცემი სტუმრების ჩამოსვლა, უეჭველია, თვით განგებამ ინება.

— მართლა? მე მოხარული ვარ. მაგრამ თქვენი სიხარულის მიზეზს ხომ არ გვეტყოდით? — იკითხა ალვარომ.

— სიამოვნებით. იცით, ჩემი მონა, რომლისთვისაც თქვენ ასე ცდილობდით პერნამბუკუში და დიდი ენერგიაც დახარჯეთ, დღეს

თავისუფალი ხდება და ცოლად მიჰყვება პატივცემულ კაცს. თქვენ სულზე მოუსწარით ,ახლა საკუთარი თვალით იხილავთ თქვენი ფილანთროპული იდეის განხორციელებას. მე, ჩემი მხრით, ძალზე მსიამოვნებს თქვენი მონაწილეობა საქორწინო ცერემონიალში, რაც, უცილოდ, უფრო საზეიმოს გახდის მას.

— გავბედავ და გკითხავთ, მაინც ვინ აძლევს იზაურას თავისუფლებას? — ღიმილით იკითხა ალვარომ.

— ვინ, თუ არა, მე, მისი კანონიერი პატრონი, — ქედმაღლურად უპასუხა ლეონსიომ.

— ასეთ შემთხვევაში იმედი უნდა გაგიცრუოთ, სენიორ, — წყნარად წარმოთქვა ალვარომ — თქვენ ვერ გაანთავისუფლებთ იზაურას, რადგან ის თქვენ უკვე აღარ გეკუთვნით.

— არ მეკუთვნის?! — ადგილზე შეხტა ლეონსიო. — თქვენ რა, გაგიჟდით? თუ მე დამცინით?

— არავითარ შემთხვევაში, — ისევე მშვიდად განაგრძო ალვარომ, — მაგრამ, გიმეორებთ, რომ ის მონა თქვენ აღარ გეკუთვნით.

— მაინც ვინ გაბედა ამ უფლების ჩამორთმევა?

— თქვენმა კრედიტორებმა, სენიორ, — მტკიცედ განაცხადა ალვარომ. — ამიერიდან ეს ფაზენდა-ყველა მონით, საცხოვრებელი სახლი მთელი მოწყობილობით, თქვენ აღარ გეკუთვნით: თქვენ უფლება არა გაქვთ ისარგებლოთ უმნიშვნელო წვრილმანითაც კი. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, — ალვარომ ქაღალდების დასტა დაანახვა, — ამ თამასუქებს. როგორც გაირკვა, თქვენი ვალები საგრძნობლად აღემატება თქვენს ქონებას, მისი გაყიდვის ვადას შეგატყობინებენ.

ალვაროს ნიშანზე მისმა თანმხლებმა ნოტარიუსმა ქონების ყადაღის ორდერი წარუდგინა ლეონსიოს. მან სიბრაზისაგან აკანკალებული ხელებით ჩაბღუჯა ქაღალდი.

— რაღაც ძალიან სწრაფად მოახერხეთ ყველაფერი, ვშიშობ, უკანონოდაც, — წამოისროლა ლეონსიომ. — განა, გადავადების უფლება არა მაქვს ,რომ შევეცადო ჩემი ღირსებისა და ქონების გადარჩენას?

— თქვენმა მოვალეებმა უკვე არაერთხელ გაგიწიეს ანგარიში; შესაძლოა ახლაც მოგეხერხებინათ, რომელიმე მათგანის დაყოლიება, მაგრამ დღეისათვის თქვენი მთავარი კრედიტორი, თუ ერთადერთი არა, მე გახლავართ. ჩემს ხელთ არის თითქმის ყველა თქვენი თამა-

სუქი. მე კი არ ვაპირებ ვადა გაგიგრძელოთ. არანაირი მიზეზი არ გიშველით.

— წყეულიმც იყავ! — უსუსური სიბრაზით მოუღერა მუშტ- ლეონსიომ.

— ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო... რა უბედურებაა! რა სირ- ცხვილია... — აქვითინდა მალვინა.

თავი XXII

სასტუმრო ოთახში გათამაშებული სცენის მაყურებელს არ შეეძ- ლო არ გაეფიქრა კეთილშობილი ლომისა და ვერაგი ვეფხვის ორ- თაბრძოლაზე, რომელშიც დამარცხებული, მოწინააღმდეგის ძლიერი თათებით მიწაზე გაკრული ვეფხვი, ამაოდ იგრიხება და ღრინავს, მაგ- რამ, მოდით, დროებით მივატოვოთ ეს სცენა და ვნახოთ, რა ვითარე- ბამ მოიყვანა ალვარო ლეონსიოს სახლში, სწორედ იმ დროს, როცა ამ უკანასკნელის შემზარავ ჩანაფიქრს წერტილი უნდა დასმოდა.

რესიფედან იზაურას წამოყვანის შემდეგ, ალვარო ნაღველს მიე- ცა. სატრფოსგან მოცილებული, თავხედი მონათმფლობელის მიერ საშინლად შეურაცხყოფილი, სიამაყეშელახული ახალგაზრდა კაცი თა- ვიდან ვერ ხედავდა გამოსავალს. ადვოკატმა ჟერალდომ, გაიგო თუ არა მეგობრის გასაჭირი, უმალ დაფაცურდა ბედისაგან ასე სასტი- კად დაჩაგრული კეთილშობილი სულის საშველად. მზრუნველი მე- გობრის მცდელობით, ალვაროს ტკივილმა თანდათან დაკარგა სიმ- წვავე. ჟერალდოს რჩევა-დარიგებით, ჩვენი გმირი სადაცაა დათანხმ- დებოდა, რომ მის მდგომარეობაში სჯობდა ნელ-ნელა დაევიწყებინა იზაურა.

— ქალიშვილის განთავისუფლების ყველა შენი შესაძლო მცდე- ლობა, — უხსნიდა მეგობარს ადვოკატი, — ჭეშმარიტი სისულელე იქნება და მარცხით დამთავრდება. შენ გელის ახალი მწუხარება და იმედის გაცრუება. გაიხსენე, რა მწარე დამარცხება იგემე ორჯერ: შეჯლისზე და საკუთარ სახლში. მაშინ შენ კინაღამ დამნაშავეც გახ- დი, როცა ცდილობდი კანონიერი მფლობელის ხელიდან გამოგეგლიჯა შონა ქალი. და თუ კვლავ გააგრძელებ ჯიუტობას, იცოდე, ადრე თუ გვიან, უფსკრულში გადაიჩეხები.

ჟერალდოს ამ და სხვა მოსაზრებების გავლენით, ალვარომ მართ-

ლაც გადაწყვიტა გული გაემაგრებინა და ცდილიყო ხელი აეღო იზაურას სიყვარულზე, მაგრამ ამაოდ ეძებდა ახალგაზრდა კაცი თავდავიწყებას სწავლაში ან სხვა თავქარიან გართობაში. იზაურას სახე მოსვენებას არ აძლევდა. მას თვალწინ ედგა ქალიშვილი, ხან ბრწყინვალე და გრაციოზული, როგორც მეჯლისის ღამეს, ხან მწუხარებით მოდრეკილი და გაფითრებული, როგორც განშორების დღეს. ალვარო მუდმივად გრძნობდა მის მწველ, ვედრებით სავსე მზერას: „ნუ მიმატოვებ! გახსოვდეს, მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი ბორკილების დამსხვრევა!“

ერთი თვის შინაგანი ბრძოლის შემდეგ, ახალგაზრდა კაცმა ირწმუნა, რომ განგებამ შემთხვევით არ დააკავშირა მისი ბედი ამ მშვენიერ და უბედურ ქალიშვილთან. თვით ზეცამ დაუსახა მას უდანაშაულო მზეთუნახავის განთავისუფლება მონობიდან და მისი სათნოების შესაფერი ადგილის მიჩენა. ღვთის ჩაგონებით ალვარომ დაიფიცა, გაეგრძელებინა კეთილშობილური ბრძოლა ქალიშვილის გადასარჩენად.

ამ გადაწყვეტილებით, მაგრამ რაიმე კონკრეტული გეგმის გარეშე, ალვარო რიო-დე-ჟანეიროში წავიდა, იქიდან კი კამპუსში აპირებდა ჩასვლას. მას წინათგრძნობა კარნახობდა, რაც უფრო ახლოს იქნებოდა ლეონსიოსთან, მით უფრო იოლად გამონახავდა იზაურას განთავისუფლების შესაძლებლობას. ვიდრე კამპუსში გაემგზავრებოდა, ჩვენმა გმირმა დედაქალაქის ვაჭრებში დაიწყო ცნობების შეგროვება მოწინააღმდეგეზე.

— ე, მე ძალიან კარგად ვიცნობ ამ სუბიექტს! — გაეცინა პირველივე კომერსანტს, რომელსაც მიმართა ალვარომ. ეს ყმაწვილი მთლად გაკოტრებულია. თუ თქვენც მისი კრედიტორი ხართ, ბედი არ გქონიათ. ყურადღებით იყავით: მის მეზობლებს თვალი რჩებათ მის მამულზე.

ეს ამბავი ალვაროს ელვად მოეჩვენა, რომელმაც ავდრიან ღამეში გზააბნეულ მგზავრს მახლობელ თავშესაფარში მიმავალი ბილიკი გაუნათა.

— შემთხვევით, თქვენც ხომ არ შედიხართ მისი კრედიტორების რიცხვში? — იკითხა ჩვენმა გმირმა.

— დიახ, საუბედუროდ, — მწარედ ამოიოხრა კომერსანტმა. — თანაც ერთ-ერთი მთავარი...

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენად დიდია ამ სენიორის ვალი? — ჩაეძია ალვარო.

— მგონი, — მოსაუბრე ერთი წუთით დაფიქრდა, — მისი ვალი ორჯერ აჭარბებს მთელ მის ქონებას. ასოციაციებით ვალი ასე ოთხასხუთას მილიონ რეისს შეადგენს. მისი ფაზენდა კი კამპუსში, მთელი მონებითა და სხვა დანარჩენით, ორასამდეც ვერ გაქაჩავს. ისე გაპარტახდა... მე და სხვა კრედიტორებიც ვაფრთხილებდით, გადახდის ვადასაც მეტს ვაძლევდით, ვიდრე ეკუთვნოდა... მეტის მოთმენა, სიმართლე ითქვას ,აღარ შეგვიძლია, უფრო მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ.

— მართლა, რას იტყვით სხვა კრედიტორების შესახებ, შეგიძლიათ დაასახელოთ ისინი?

— რატომაც არა? —მხრები აიჩეჩა კომერსანტმა და მათი სახელების ჩამოთვლა დაიწყო. თან მისამართებსაც ამბობდა.

ვაჭარს, რომელსაც ალვარო ესაუბრებოდა, ტყუილი არ უთქვამს ლეონსიოს ფაზენდის სავალალო მდგომარეობაზე. ის ჯერ კიდევ მისი მამის დროიდან გაღარიბდა. მოხუცი კომანდორი, როგორც ვიცით, სიცოცხლის ბოლო წლებს მხოლოდ ქალაქში ატარებდა და ქონების დიდი ნაწილი არა თუ გაფლანგა. არამედ ფაზენდასაც მთლად მიუშვა ხელი და ისიც საგრძნობლად გაჩანაგდა. პატრონის უყურადღებობით შემცირდა მოსავლიანობა. სიკვდილმა და ხშირმა გაქცევამ შეამცირა მონების რიცხვი. ლეონსიოს ჩამოსვლით საქმე უფრო ცუდად წავიდა: ახალგაზრდა პატრონის ხასიათი სავსებით შეუფერებელი აღმოჩნდა დიდი მამულის მეუყაითი მართვისათვის. მეურნეობის უთავბოლო გაძღოლა გაძლიერდა იზაურასადმი სულელური წადილის გამო .მისი მოძებნა და დაჭერა საკმაო თანხა დაჯდა და საბოლოოდ მოშალა ლეონსიოს მეურნეობა. ბოლოს და ბოლოს მან აღმოაჩინა, რომ ჯიბეში ერთი გროშიც აღარ დარჩა. კრედიტორები კი ამ დროს თამასუქებს ამზადებდნენ წარსადგენად. მალე მათ გაიგეს, რომ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ვალის ნახევარს მიიღებდნენ და ამიტომ იჩქარეს ლეონსიოს ქონებაზე ყადაღის დადება, ვიდრე საბოლოოდ არ გაიფლანგებოდა.

ალვარო მოელაპარაკა ლეონსიოს კრედიტორებს და შესთავაზა ნახევარ ფასში შეესყიდა მათი თამასუქები. სხვა მემამულეებს ზიზღი რომ არ გამოეწვია, მან განაცხადა, რომ ვალის გადასახდელად სულაც არ აპირებს მათი უგუნური თანამოძმის სასამართლოში გა-

დაცემას, ან მის მათხოვრობამდე დაყვანას. მართლაც, ლეონსიოსადმი ზიზღის მიუხედავად, ალვარო არ ფიქრობდა შურისძიების უკიდურესი ხერხის გამოყენებას.

მართალი რომ ვთქვათ, თავის მეტოქეზე ათჯერ მდიდარი ალვარო სიამოვნებით გაისტუმრებდა მის ვალებს იზაურას საფასურად.

კრედიტორებმა უყოყმანოდ მიიღეს ალვაროს წინადადება. მათ კარგად ესმოდათ, რომ სჯობდა ერთბაშად და ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე მიეღოთ თამასუქის ნახევარი, ვიდრე წამოეწყოთ რთული და ძვირად ღირებული პროცესი. თანაც არავითარი იმედი არ ჰქონდათ, რომ ამაზე მეტს მიიღებდნენ. ალვარომ თამასუქები შეისყიდა და კამპუსში შეიარა. იქ წესრიგში მოიყვანა აუცილებელი საბუთები და ნოტარიუსისა და ორი სასამართლოს აღმასრულებლის თანხლებით ლეონსიოს ფაზენდისაკენ გაემართა.

ჩვენი მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი მაშინ მივატოვეთ ,როცა მან მოისმინა ქონებაზე ყადაღის დადების განცხადება და წყევლა-კრულვით იქნევდა მუშტებს. შემდეგ ამ მძიმე დარტყმით შეძრული ლეონსიო, სასტუმროდან გავარდა.

— ნუ ჩქარობთ, სენიორ, — ხელში სწვდა ალვარო. — თქვენ ჯერ არ გითქვამთ, რას უპირებთ იზაურას!

— მე გითხარი — ვანთავისუფლებ მას! — მიუგო ლეონსიომ.

— თქვენ თქვით აგრეთვე, რომ ათხოვებთ მას? მართლა, მისი თანხმობა მიიღეთ ამაზე?

— არა! არა! — აყვირდა გამოცოცხლებული იზაურა — მაიძულა!

— მართალია, სენიორ ალვარო, — მორიდებით შენიშნა მიგელმა. — ძალით ათხოვებენ. სენიორ ლეონსიომ თავისუფლების საფასურად მოითხოვა, აი, ამ უბედურს გაჰყოლოდა ცოლად.

— ამას? ალვარომ გაოცებით შეხედა კუზიანს.

— დიახ, სენიორ, — ნაღვლიანად გააგრძელა იზაურას მამამ. — და თუ ჯვრისწერაზე უარს იტყოდა, მაშ სიკვდილამდე ჯაჭვით დაბმული იქნებოდა ციხეში. სწორედ ისე, როგორც რესიფედან ჩამოსვლის დღიდან დღემდე...

— ჯალათო! — აღშფოთებული ალვარო თავს ვეღარ იკავებდა. — ზეცა გსჯის არაადამიანური სიმკაცრისათვის!

— რა თავის მოჭრაა! ღმერთო ჩემო, რა სირცხვილი... ჩუმად ქვითინებდა მაგიდაზე დამხობილი და ხელებში სახეჩამალული მალვინა.

— ჩემო საბრალო იზაურა! — შეძრწუნებულმა ალვარომ ხელი გაუწოდა წაბარბაცებულ ქალიშვილს. — მოდი ჩემთან! მე აღშფოთებული ვარ სულის შეძვრამდე და ჩემი ვალია გიხსნა ასეთი დამამცირებელი მდგომარეობიდან. შენ ანგელოზივით წმინდა და წამებულივით უდრეკი ხარ. ღმერთმა გამომგზავნა დაჩაგრული სათნოების სახსნელად და მტარვალის დასასჯელად.

— გეყოფა ტრაბახი! — წამოიყვირა ლეონსიომ. — ის კვლავ ხელების ქნევას განაგრძობდა. — მას სათნოების განთავისუფლება სურს! ეს სიცრუეა!.. ყველაფერი ეს ძარცვაა და მეტი არაფერი!

— იზაურა, — წარმოთქვა ალვარომ მტკიცე და სერიოზული ხმით, — ცოტა ხნის წინათ ეს კაცი განაგებდა შენს ბედსა და სიცოცხლეს, ძალას გატანდა არასასურველ ქორწინებაზე. ახლა კი, მთელ მის ქონებას შენ გაძლევ. დღეიდან ,იზაურა შენ მისი ქალბატონი ხარ, ის კი, შენი მონა. და თუ არ სურს სამათხოვროდ გაუხდეს საქმე, დაე, შეეეედროს შენს გულმოწყალებას.

— ო, სენიორ, — იზაურა ალვაროს წინ დაიხარა. — თქვენ ისეთი კეთილი და მოწყალე იყავით საბრალო მონის მიმართ! თქვენ კეთილშობილ გულს არ შეუძლია ბოროტება ჩაიდინოს დამარცხებული მეტოქის მიმართ. გთხოვთ, აპატიეთ მას!

— ადექი, დიდებულო ქმნილებავ! — ალვარო ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა ქალიშვილს. შენ მუხლს არ უნდა იყრიდე ჩემს წინაშე, მე მსურს გულში ჩაგიკრა. როგორც არ უნდა იყოს მიწიერი ცრურწმენები, მე უბედნიერეს კაცად ვთვლი ჩემს თავს და მინდა ჩემი მეუღლე გახდეთ!

— სენიორ! — სიტყვა შეაწყვეტინა ლეონსიომ. მას თვალები გიჟივით უელავდა — თქვენ დაეუფლეთ ყველაფერს რაც გამაჩნდა, შეგიძლიათ დატკბეთ შურისძიებით, მაგრამ იმას კი ვეღარ ეღირსებით ,მუხლი მოგიყაროთ!

ამ სიტყვებზე ახალგაზრდა კაცი სასტუმროდან გვერდით მდებარე საძინებელ ოთახში გავარდა.

— ლეონსიო! ლეონსიო! სად მიდიხარ? — წამოიყვირა მალვინამ და ქმარს უკან გამოუდგა. მაგრამ კარებამდე ვერ მოასწრო მისვლა, როცა ოთახში თოფმა იგრიალა. ქალმა შეჰკივლა და იატაკზე გაიშხლართა.

ლეონსიომ თავი მოიკლა.

— ჩემო საბრალო იზაურა! — შეძრწუნებულმა ალვარომ ხელი გაუწოდა წაბარბაცებულ ქალიშვილს. — მოდი ჩემთან! მე აღშფოთებული ვარ სულის შეძვრამდე და ჩემი ვალია გიხსნა ასეთი დამამცირებელი მდგომარეობიდან. შენ ანგელოზივით წმინდა და წამებულივით უდრეკი ხარ. ღმერთმა გამომგზავნა დაჩაგრული სათნოების სახსნელად და მტარვალის დასასჯელად.

— გეყოფა ტრაბახი! — წამოიყვირა ლეონსიომ. — ის კვლავ ხელების ქნევას განაგრძობდა. — მას სათნოების განთავისუფლება სურს! ეს სიცრუეა!.. ყველაფერი ეს ძარცვაა და მეტი არაფერი!

— იზაურა, — წარმოთქვა ალვარომ მტკიცე და სერიოზული ხმით, — ცოტა ხნის წინათ ეს კაცი განაგებდა შენს ბედსა და სიცოცხლეს, ძალას გატანდა არასასურველ ქორწინებაზე. ახლა კი, მთელ მის ქონებას შენ გაძლევ. დღეიდან, იზაურა შენ მისი ქალბატონი ხარ, ის კი, შენი მონა. და თუ არ სურს სამათხოვროდ გაუხდეს საქმე, დაე, შეევედროს შენს გულმოწყალებას.

— ო, სენიორ, — იზაურა ალვაროს წინ დაიხარა. — თქვენ ისეთი კეთილი და მოწყალე იყავით საბრალო მონის მიმართ! თქვენ კეთილშობილ გულს არ შეუძლია ბოროტება ჩაიდინოს დამარცხებული მეტოქის მიმართ. გთხოვთ, აპატიეთ მას!

— ადექი, დიდებულო ქმნილებავ! — ალვარო ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა ქალიშვილს. შენ მუხლს არ უნდა იყრიდე ჩემს წინაშე, მე მსურს გულში ჩაგიკრა. როგორიც არ უნდა იყოს მიწიერი ცრურწმენები, მე უბედნიერეს კაცად ვთვლი ჩემს თავს და მინდა ჩემი მეუღლე გახდეთ!

— სენიორ! — სიტყვა შეაწყვეტინა ლეონსიომ. მას თვალები გიჟივით უელავდა — თქვენ დაეუფლეთ ყველაფერს რაც გამაჩნდა, შეგიძლიათ დატკბეთ შურისძიებით, მაგრამ იმას კი ვეღარ ეღირსებით, მუხლი მოგიყაროთ!

ამ სიტყვებზე ახალგაზრდა კაცი სასტუმროდან გვერდით მდებარე საძინებელ ოთახში გავარდა.

— ლეონსიო! ლეონსიო! სად მიდიხარ? — წამოიყვირა მალვინამ და ქმარს უკან გამოუდგა. მაგრამ კარებამდე ვერ მოასწრო მისვლა, როცა ოთახში თოფმა იგრიალა. ქალმა შეჰკივლა და იატაკზე გაიშხლართა.

ლეონსიომ თავი მოიკლა.

შინაარსი

თავი I	3
თავი II	10
თავი III	17
თავი IV	25
თავი V	27
თავი VI	33
თავი VII	41
თავი VIII	50
თავი IX	56
თავი X	62
თავი XI	70
თავი XII	79
თავი XIII	87
თავი XIV	96
თავი XV	105
თავი XVI	114
თავი XVII	121
თავი XVIII	125
თავი XIX	131
თავი XX	138
თავი XXI	144
თავი XXII	149

რედაქტორი: ცირა ჯიმშელეიშვილი
მხატვარი: გოგი ლომაძე
სამხატვრო რედაქტორი: გურამ ზაკალაშვილი
ტექ. რედქტორი: რდოამ გოგიშვილი
კორექტორი: ნუგზარ ცომაია
გამომშვები: გოგი აფრიგონიძე

ს. ბ. № 1 художественное издание
გადაეცა წარმოებას 26.06.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.91. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ნაბეჭდი თაბახი 10. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8. შეკვეთა № 28მ ტირაჟი 70.000

ფასი 10 მან

გამომცემლობა „მაცნე"
თბილისი, კეცხოველის ქ. № 2.

Издательство «Мацне»
Тбилиси, ул. Кецховели № 7

კოოპერატივი „არმაზი — 88"